



საქართველოს
ენციკლოპედია

ISSN 0132-1307

საბჭოთა სელოვნება

1980 11

11/1980

საბჭოთა სელოვნიცა

შენიშვნები

ალმანახის გეგმა	2
ოთარ ბაქანიძე — ალმანახში კომენტარების გახსენება	4
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თ. ბ. აბულაძისა და რ. ზ. ჩხიძისთვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის სახაბიო წოდების მინიჭების შესახებ	11
მეგობრივი ურთიერთობების განვითარების თეორიული	12
ვალერიან თოთიშვილი — სიმონ ჯანაშია და ადელას მატერიალური კულტურა	14
ირინა შელა — რეჟისორების მემორიალი	21
ვახილ კიკნაძე — ნოზარ გვალაშვილის	26
მურმან თავიშვილი — „გვალაშვილი“ მარკსიზმის თეორიის „უნიტარული“ ფუნქციონირება	34
ოლეგ თაბუკაშვილი — თანამედროვე გეგმის და თანამედროვეობის პრინციპების ქართულ ლიტერატურაში	39
ნ. გოგოლი — კომპოზიტორის „მელოდია“	45
ელენე მაკავაძე — ეთიკის იდეოლოგიის მონათხრობი და X-XI სს ქართული მხატვრული წიგნი	52
ამირან კახიძე, იური დავითაძე, შოთა მამულაძე — ქართული ლიტერატურის უმაღლესი მხატვრული პრინციპების ხიზნობა	60
ვიტორ გუგუშვილი — თეორიული ხელოვნების ცხოვრებაში	64
ახარაშვილი — ხელოვნების განვითარების	69
ვიტორ გუგუშვილი — ფუნქციონირება	74
თეიმურაზ მესხიძე — ინტელექტუალური	78
ნუგზარ მუხამაძე, გიორგი ხუციშვილი — განათლებლობის პრობლემა	81
ანაბა მესტიაშვილი — მხატვრული და წიგნი	83
თამარ წულუკაძე — მელოდიაში	86
ოთარ მამულაძე — ფუნქციონირების კომპოზიტორი (პეგა)	97
ახალი წიგნები	114
ბიბლიოგრაფია	115

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის
ქვეშევლინებული ბიბლიოთეკისთვის

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
თეატრალური

მთავარი რედაქტორი
თამაზ მელიქიძე
სარედაქციო კოლეგია:
სააკი ბაქრაძე,
ვახტანგ ბერიძე,
ნოზარ გვალაშვილი,
ჯუმაბერ თეთრბერიძე,
დავით მამულაძე,
მანუჩარ კვიციანი,
ნოზარ გვალაშვილი,
ჯუმაბერ თეთრბერიძე,
ნათელა ურუხაძე,
რეზა ჩხიძე,
ანდრე წულუკაძე,
ნიკო ზაფხავაძე,
ნოზარ ჯანაშია



ლიბერატორისა და ხალხმწიფის მოღვაწე
ნო, კულტურის მუშაკებო! შეამჩნიეთ ჩვენი
დიადი საპრობლემო ღირსი ნაწარმოებები!
მაღლა გავიხარეთ საბავთო ხალხმწიფის
პარტიულობისა და ხალხური მისი დროს!

საკა მინტალური კომიტეტის მო-
წოდებანი დიდი ოპორტუნის სიდი-
ალისტური კავშირების მათ წლის-
თავისათვის.

ადმაკლბის გზით

საბჭოთა ხალხები შრომითი ერთობაშიაში შე-
ვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-
ციის 63-ე წლისთავს.

ჩვეულებრივ, ამ უდიდესი დღესასწაულის აღნიშ-
ვნისას, კიდევ ერთხელ ვავლებთ თვალს საბჭოთა სახე-
ლმწიფოს მიერ განვლილ გზას და სიამაყის გრძნო-
ბით აღვნიშნავთ, თუ როგორ ვიზარდეთ, როგორ აღ-
მავლობას განიცდის ჩვენი ეკონომიკა, სახალხო მეუ-
რნობა, როგორ იფურჩქნება, ჰყვავის კულტურა, ხე-
ლოვნება.

სამოცდასამი წელიწადი იმ მასშტაბების ძვრების-
თვის, რაც ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში მოხდა,
არც ისე ბევრია. ამ პერიოდში განუზომლად გაიზარ-
და საბჭოთა სახელმწიფოს ავტორიტეტი მსოფლიოს
ხალხთა თვალში, სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი
იმსჯელებს იმის რწმენით, რომ სწორედ საბჭოთა
კავშირი წარმოადგენს მშვიდობის უმთავრეს ბუჯს
ჩვეს პლანეტაზე.

თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს დღევანდელი დღი-
სა და კიდევ უფრო ბედნიერი მომავლის რწმენით
წუძლია გაიმეოროს საბჭოთა პრესის დღევანდის
— გაზეთ „პრავდის“ 13 ოქტომბრის მონინავე წე-
რილის სიტყვები:

„წლევანდელი დღესასწაული განსაკუთრებით ღი-
რსშესანიშნავია. იგი აღვნიშნავთ პარტიის XXVI ყრი-
ლობისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების პერი-
ოდში. დღეს მთელ საბჭოთა ქვეყანაშია გაშლილი სო-
ციალისტური შეჯიბრება, რომლის დევიზია „ხუთ-
წლედს — დამკვერთული ფინიში! სკკპ XXVI ყრილო-
ბას — ღირსეული შეხედრდა!.. კომუნისმის მილიონ-
ობით მშენებელს ახალ ენერჯიას მატებს პარტიის მო-
წოდება: „საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ღირსე-
ულად შევეცებთ სკკპ XXVI ყრილობას!“

საბჭოთა ხალხის წინაშე ახალ ამოცანებს სახავს
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრა-
ლური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა
კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდო-
მარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ვრცელი სიტყვა სკკპ ცენ-
ტრალური კომიტეტის პლენუმზე 1980 წლის 21 ოქტო-
მბერს.

ამ სიტყვაში ჩვენი დიდი სახელმწიფოს მეთაური
ამბობს:

„განვლილმა წლებმა დადასტურა პარტიის XXIV
და XXV ყრილობებზე შემუშავებული ეკონომიკური
სტრატეგიის სისწორე. მნიშვნელოვნად გაიზარდა



ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალი. ახალი ნაბიჯი გადაიდგა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების, დიდი და მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანების გზაზე. ერთი სიტყვით, ახლანდელი ხუთწლიანი ღირსეული ადგილის დაიკავეს კომუნისმის გზით მტკიცედ მიმავალი საბჭოთა ხალხის გმირულ საქმეთა ისტორიაში“.

მოპოვებულია გრანდიოზული წარმატებები, სამეურნეო დებსახული კიდეც უფრო გრანდიოზული ამოცანები.

მაგრამ, როგორც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი თქვა, „ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი უფრო მეტია“.

კერძოდ, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, რომ „ბევრ რაიონში არ მყოფნით კეთილმოწყობილი საცხოვრებელი, ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის დანებსებულებანი...“

მართლაც, როგორც იტყვიან, სიმართლეს ვერსად წავევალთ. ჩვენს რესპუბლიკაშიც ჯერჯერობით ბევრია გასაკეთებელი იმისთვის, რომ გაფართოვდეს კულტურული დანებსებულებების ქსელი და უფრო ქმედითი გახდეს საბჭოთა ადამიანებზე, ჩვენს საზოგადოებრიობაზე ამ კულტურული დანებსებულებების შემოქმედების ძალა.

„პარტია თავის ყრილობას ეგებება ხალხთა მჭიდრო კავშირში, ეგებება საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში მოქმედების მკაფიო პროგრამით. ნება მიბოძეთ, გამოეთქვა რწმენა, რომ კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი იწონებენ ამ პროგრამას, შეუპოვრად და თანმიმდევრულად განახორციელებენ მას“.

— განაცხადა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში ახალ-ახალი წარმატებებით ეგებებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წელს.

შეიძლება კიდეც და კიდევ სიამაყის გრძობით აღვიწინოთ, რომ მიმდინარე, 1980 წელმა საბჭოთა საქართველოს ახალი წარმატებები მოუტანა კულტურის, სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. გავისცენოთ, თუნდაც, ქართული თეატრის გასტროლები ჩვენი დიდი სახელმწიფოს დედაქალაქში — მოსკოვში, აგრეთვე ინგლისში, საბერძნეთში, იტალიაში...

ამ ბოლო წლებში საფუძველი ჩაეყარა შესანიშნავ დღესასწაულს — თბილისქალაქობას, დღესასწაულს, რომელმაც ახალი სული ჩაბერა ჩვენი დედაქალაქის

ძველ უბნებს. თბილისში, კიევიმ, მოსკოვსა და ერევანში ფართოდ აღინიშნა დავით გურამიშვილის დაბადების 275 წლისთავი და ეს დღესასწაული იქცა საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის ნათელ დემონსტრაციად. ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია ხალხის, პარტიის მიერ დასახული მიზნების ხორც-შესხმისათვის ყველაფერს აკეთებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წამყვან ქართველ მხატვართა ჯგუფები ხალხის ცხოვრების უკეთ გაცნობის მიზნით მივლინებულნი იყვნენ მესხეთ-ჯავახეთში, სვანეთში, რაჭაში, მთათუშეთში, ზუგდიდში, ყაზბეგში, ზესტაფონში. ამ მივლინებების შედეგად ქართველმა მხატვრებმა შექმნეს ჩვენი რესპუბლიკის მონიშნავ ადამიანების — კოლმეურნეთა და მუშათა პორტრეტები, სურათების მთელი სერიები. სასურველი იქნება, რომ საქართველოს მხატვართა კავშირმა ამგვარი შემოქმედებითი მივლინებები ტრადიციად აქციოს.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რესპუბლიკის კომპოზიტორთა შეხვედრა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტინის საამქროს მუშებთან და ინჟინრებთან. ამ შეხვედრაზე შესრულდა ჩვენი საუკეთესო კომპოზიტორების როგორც უკვე საყოველთაოდ ცნობილი, ისე ახალი ნაწარმოებები.

კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში გაიხსნა მხატვრული ხელოვნების ცენტრი, რომელმაც უკვე ჩაატარა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება.

სულ ამასწინათ, დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავის დღეებში, ქალაქ ბორის ძნელაძეში გაიხსნა საქართველოსა და უკრაინის შემოქმედებითი ახალგაზრდობის ბანაკი. ორი მოძმე რესპუბლიკის ახალგაზრდა პოეტებმა და პროზაიკოსებმა, მხატვრებმა და არქიტექტორებმა, მუსიკოსებმა, კომპოზიტორებმა, თეატრისა და კინოს მოღვაწეებმა ამ ბანაკში უკვე ჩაატარეს დიდი მასშტაბის ღონისძიებები, რაც, უდავოდ, სახავს ახალ და ახალ პერსპექტივებს ჩვენი ორი რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციის ურთიერთანამშრომლობის სფეროებში.

შემოდგომაზე საქართველოში ზეიმით აღინიშნება ხოლმე პოეზიის დღესასწაული — რუსთაველის დღეები.

წელსაც დიდძალი ხალხი შეიყარა მესხეთში, მთავალ რუსთავში. დღესასწაულზე მოვიდნენ ასპინძის, ადიგენის, ახალციხის, ახალქალაქის, პოგდანოვკის რაიონების მშრომელები, სტუმრები თბილისიდან, რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან. დღესასწაულისათვის

წელსაც გამოვიდა საგანგებო კრებული „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

წლებადელი წელი დიდი აკაკის წელია. ქართველი ხალხი დიდი მამულიშვილის დაბადების 140 წლის-თავს აღნიშნავს „განთიადის“ ავტორის საკადრისი სიყვარულით.

ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის მიღწევები მთელი სიგრძე-სიგანით აისახა ინტერვიუში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა აშხ. ე. ა. შევარდნაძემ მისცა „ლიტერატურნაია გაზეტას“ სპეციალურ კორესპონდენტს. ეს საუბარი არა მარტო შეჯამებაა იმ წარმატებებისა, რაც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა მატერიალური და სულიერი ცხოვრების სფეროებში, არამედ იგი ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციას უსახავს შემდგომი მუშაობის ახალ ამოცანებსაც.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს კანონიერ სიამაყეს გვრის აშხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვები, რომლებიც მილიონობით საბჭოთა მოქალაქეებმა ნაიკითხეს „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე. კორესპონდენტის შეკითხვაზე — „პატივცემულო ელჟარდ, თქვენ ხშირად ხვდებით ხოლმე მწერლებს, კულტურის მოღვაწეებს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენ ხელოვნებას, მხატვრულ ლიტერატურას უკავშირებთ გარკვეულ იმედებს ცხოვრების წესის სრულყოფაში წარმატების მისაღწევად?“ აშხ. ე. შევარდნაძემ უპასუხა:

— დიანაც რომ, ფრიად დიდ იმედებს ვუკავშირებ. ეს იმედები მართლდება. უფრო მეტიც, კერძომსაკუთრული ტენდენციების, უზნეობის წინააღმდეგ პროტესტი, იდეალების სინამდინისათვის, სოციალისტური ცხოვრების წესისათვის უანგარო მებრძოლთა სახეები ქართულ ლიტერატურასა და კინოში გაცილებით უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე დადებოდა ითას ცხრაას სამოცდათორმეტი წელი, წელი, საიდანაც დაიწყო სწორედ, არსებითად ჩვენში მიხანმამართული მორალურ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა. კიდევ უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა: მწერლებს, მათგან საუკეთესოებს, რა თქმა უნდა, არასოდეს არ უღალატიათ იმ მაღალი იდეალებისთვის, რომლებიც მუდამ იყო ლიტერატურაში, ერის კულტურაში“.

„ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენო, კულტურის მუშაკებო! შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსი ნაწარმოებები!“

მაღლა გეჭირთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა!“ — ვკითხულობთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მონოდებებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ნა-უ წლის-თავისათვის.

ყველა საფუძველი გვაქვს ღრმა რწმენა ვიქონიოთ, რომ მომავალი, 1981 წელი ახალ-ახალი შემოქმედებითი წარმატებებით გავაზარებს, ახალი სიმაღლეებისკენ წაიყვანს ჩვენს კულტურას, ხელოვნებას.

ალექსანდრე კორნეიჩუკის ბახსენება

ოთარ ბაქანიძე

სიმბოლოში და კანონზომიერი იყო, რომ უკრაინული დრამატურგიის უნიკიერესი წარმომადგენლის ალექსანდრე კორნეიჩუკის მხატვრული სიტყვა საქართველოში პირველად მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაისმა. იმ თეატრში, რომელსაც ლეს კურბასის „ბერეზილის“ გასტროლები, კოტე მარჯანიშვილის გამოსვლა უკრაინელი ხელოვნების მუშაკებისადმი მიმართული კარგად ახსოვდა.

1934 წლის დეკემბერში მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა წარმოადგინა ა. კორნეიჩუკის პიესა „ესკადრის დაღუპვა“. პიესა დადგა დ. ნაკაშიძემ, მხატვრობა ეკუთვნოდა დ. კაიხაიძეს, მუსიკა — ა. ბალანჩივაძეს.

როგორც პრესაში აღინიშნა, სექტაკლს წარმატებისათვის მიუღწევია, დამდგმელსა და მთელ შემოქმედებით კოლექტივს სწორად გაუფიქრო და გაუხსნიათ დრამატურგის ჩანაფიქრი. მარჯანიშვილის თეატრს, — წერდა სერგი ჭილაია თავის რეცენზიაში, — ჰქონდა „დრამატული მასალა სცენურად გამართული, იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი და დამაჯერებელი ღირსებებით...“ შემკული¹. ეს ღირსებები მოხდენილად გამოუყენებია მარჯანიშვილსა თეატრალურ კოლექტივს და მიზნისთვის, ძირითადად, მიუღწევია კიდევ. „თეატრმა ძირითადად ცოცხალი, გამართული და ენთუზიაზმით აღსავსე სექტაკლი მიიღო“², — აღნიშნავდა ს. ჭილაია. მასობრივებს: ი. ვიშაქის (სტრეილი), მ. სარაულს (ბოცმანი ბუხტი), ა. კობახიძეს (გვიანი), ე. გომიასვილს (ბოცმანი კობზა), თ. ჭავჭავაძეს (ოქსანა) თავი გამოუჩენიათ როლების ოსტატური შესრულებით.

სექტაკლის დეკორაციები, მხატვრობა საინტერესო და შთამბეჭდავი ყოფილა. პროფ. დ. კაკაბაძის მიერ შესრულებული მხატვრული გაფორმება პიესის საერთო განწყობილებას გამოხატავდა და ხელს უწყობდა სექტაკლის მთლიანობაში აღქმას. პიესის საერთო ხასიათს ექვემდებარებოდა და მის სულსკვეთებას შესანიშნავად გამოხატავდა კომპოზიტორ ანდრია ბალანჩიშვილის მუსიკა.

ქართველმა მსაყურებელმა ალ. კორნეიჩუკის პიესა მარჯანიშვილსთვის წარმოადგენით თბილად მიიღო. მიუხედავად ამისა, რეცენზენტმა მიანც ჰქონდა სერიოზული შენიშვნები თეატრის მიმართ. სუსტად ყოფილა, მისი აზრით, დამუშავებული პირველი სურათი, ესკადრის დეტალები კარბა. პიესის კანონი სწორად აქედან იხსნება და რეჟისორი უფრო ეფიქრება ჩასწვრივობა და დრამატურგის ჩანაფიქრს, შენიშნავდა ს. ჭილაია. სცენაზე სათანადოდ ვერ გამოკვეთილა ორი საწინააღმდეგე აზრი ომის შესახებ, ბოლშევიკების სწორი და წამყვანი როლი ოსტატურად ვერ წარმოიხილა მსაყურებელთა წინაშე. სუსტი ყოფილა ახალგაზრდა მსახიობების მამაში, ზოგიერთი მიზანსცენა და სხვა.

მიუხედავად ამ ხარვეზებისა, მარჯანიშვილის თეატრის სექტაკლს „ესკადრის დაღუპვას“ მსაყურებელთა ინტერესი გამოუწვევია, რეჟისორისა და მსახიობებს თავისი ხელოვნებით მსაყურებელთა მოწონება და ოვაციები დაუმსახურებიათ.

საქართველოში „ესკადრის დაღუპვასთან“ დაკავშირებით საინტერესო საბუთები არსებობს, რომელთაც პრინციპული მნიშვნელობა აქვთ ამ პიესის შემოქმედებითი ისტორიის დასადგენად. თბილისში ყოფნისას ალ. კორნეიჩუკს თავისი მოსაზრებანი დრამატურგის ხელოვნებაზე გაუზიარებია ქართველი მწერლებისა და თეატრის მუშაკებისათვის და „ესკადრის დაღუპვის“ შექმნის ისტორია გაუხსენებია.

„ორი წლის წინათ დაიწყო შემოაბა პიესაზე, — თქვა მან კ. მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივთან შე-

ხვედრისას — იმავითვე ასე მესახებოდა: „ესკადრის დაღუპვა“... თერამტირ წელი... მამასადამე, უნდა ვანვა-სახიგო რი უდარდელი „მამა-კაციბი“, რომელთაც მანამდე სხვა პიესებში ვხვდებოდი“³. დრამატურგი შეუღდიამი მუშავებისა, დაუწერია რამდენიმე სურათი⁴, წუთუ-კვირად ამხანაგებისათვის, მათ მოსწონებიათ პიესა. „არა უშავს რაო, — იგონებს ალ. კორნეიჩუკი, — მეუხნებანი, ხალხი ვამს ძახილით შეხვდებოა“⁵.

ამის შემდეგ იგი გამგზავრებულა სევსტაპოლს, სადაც 1918 წლის ამბების მონაწილე მეზღვაურებს შეხვედრია. პიესებში გამოყვანილი თავზეხელაღებული, უდარდელი „მამა-ბიჭების“ ნაცვლად, იგი წაწყდომია სულ სხვა ყაიღის, განათლებულ ოფიცერებს, რომელთაგანაც ერთი, მაგალითად, 1918 წელს ცეცხლფარეშად რომ ყოფილა გემზე, აკადემია დაუთმავრებია, სახელგარავრეთ უმოგზავრია და ახლა მას ორ ენაზე შეეძლო საუბარი. დაახლოებით ასეთვე წარსულისანი ყოფილან სხვა ოფიცრებიც.

თვენახვარი გაატარა მწერალმა შავი ზღვის გემებზე, მიიღო მონაწილეობა რამდენიმე საზღვაო რეისში, ახლო, საქმეში გაეცნო ბოძოლავანგლო მეზღვაურებს, თავისი პიესის გმირებთან ერთად დაჰყო ეს ხანი და რადიკალურად შეიცვალა წარმოდგენა საბჭოთა მეზღვაურებზე, პიესისი ასახული ტრავდილის მონაწილე გმირებზე. სწორედ მაშინ გაიყო მან, თუ როგორ პირობებში იბრძოდნენ ოინი თაიანიტი იდეების განსახორციელებლად, თუ როგორ გაუმკლავდა მათ რთულ ვითარებაში ვარკვევა. „მაშინ ხელახლა ჩავეჭყეი პიესას, — იგონებს დრამატურგი, — დაიწყე წერა იმ აზრებისა და მოვლენების შესახებ, რომელიც სინამდვილეში არსებობდნენ და არა მარტო ჩემს წარმოდგენაში“⁶.

მეზღვაურთა სახიათის გასაცხილად დრამატურგისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი ყოფილა ერთი ბაწია დეტალი, რომელიც მას ეფექტური, ვაზრებული ფინალი-სათვის გამოდგომია. მწერალმა თავისი პიესისათვის ეცემდა დასკვნით ავორდს. იგი დაიენებით სთხოვდა მეზღვაურებს ეამნათ მისთვის ყოველივე, რაც გემების ჩაიბრავსთან იყო დაკავშირებულ, გაცხენებით ყოველი დეტალი. მეზღვაურები ათას რამეს იხსენებდნენ, მაგრამ მწერალს ფინალური სცენისათვის არც ერთი არ აკმაყოფილებდა. ბოლოს, ერთმა მოხუცმა ბოცმანმა, რომელიც 20 წელს დაცურავდა შავ ზღვაზე, შემოხვევით გაიხსენა, თუ როგორ ვარცხებს გემზე ყველაფერი, ზოგიერთი ნაწილი შეადლეს კიდევ, როგორ დაალავეს, გაწმინდეს გემი ჩაიბრვის წინ. „ეს მან აღნიშნა სხვათაშორის, — იგონებს ალ. კორნეიჩუკი, — მე კი იმ წუთს მივხვდი, რომ სწორედ ამ დეტალს ეეძებდი. მე მაშინ დავარწმუნდი: თუ ახლოს არ მივიდით ცხოვრებასთან, იგი კარგი პიესა არ დაიწერება“⁷.

ბოცმანის მიერ გახსენებულ, თითქმის უმნიშვნელო დეტალი ალ. კორნეიჩუკისათვის მეტად სერიოზული და დამაფიქრებელი აღმოჩნდა. მაშინ გაიაზრა შემოქმედმა, რომ ხელოვანი არაჩვეულებრივად და ეფექტურის, არ-



ნახულისა და არაგაონილის ასახვას კი არ უნდა გამოეკიდოს, არამედ რბილად უნდა ჩაწვდეს ცხოვრების ძირს და ქემშარტიად ის ატმოსფერო, ვარემო თუ ვითარება წარმოასხოს, რომელშიც ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ მშემდეგ გმირები.

ამან გაავთვინა ვარკვეული დასკვნა და ათქმევინა დრამატურგს, რომ ჩვენ, ახალგაზრდა დრამატურგები მოვისულებთ უპირველეს ყოვლისა, მით, რომ ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ ცხოვრებას, ნაკლებად ვიცნობთ ჩვენს ნაწერებში გამოხატულ ადამიანებსა და პროცესებს.⁸

ალ. კორნეიჩუკს უყვებოდა მამონი, 30-იან წლებში თამაშად შეეძლო გავსწრებინა თვალი ცხოვრებისათვის და „ესკადრის დაღუპვით“ ეამაყა კიდევ, რადგან ამ პიესაში არამეველებრივი მხატვრული სიძლიერით, რეალისტურად განსახიერა ისტორიული ამბავი და თავისი ჩანაფიქრი.

სწორედ ეს პიესა, რომელმაც საკავშირო კონკურსზე პრემია დაიმსახურა, და რომელთანაც არის კორნეიჩუკი დრამამატურგის წარმატება დაკავშირებული, საქართველოში დაიდრე 1934 წელს, მისი შექმნიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ.

მარჯანიშვილის თეატრში „ესკადრის დაღუპვის“ დადგმოდნენ ერთი წლის თავზე თბილისში კვლავ გამოჩნდა აფიშები კორნეიჩუკის ვეპროთ, ამჟერად რუსთაველის თეატრმა (რეისორი ვ. აღსაბაძე) და პუხჩანოვის სახელობის მუშათა კლუბის ქართულმა მოძრაობამ თეატრმა (რეისორი ვ. ნინიძე) წარმოადგინეს ალ. კორნეიჩუკის პიესა „პლატონ კრეჩეტის“.

1935 წლის 9 დეკემბერს რუსთაველის თეატრში საზეიმო ვითარებაში შედგა ალ. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტის“ პრემიერა. ეს იყო თეატრის პირველი ახალი დადგმა მიმდინარე სეზონში. თეატრს დაიგა რევისორმა შ. აღსაბაძემ, მხატვრულად გააფორმა ს. ქობულაძემ, მუსიკა დაწერა ი. ტუსკაიამ. თეატრმა შემსრულებელთა ორი შემაჯავებელი შეარჩია: პლატონ კრეჩეტს თამაშობდნენ ავ. ხორავა და გიორგი დავითაშვილი, ბერესტს — ავ. ვასაძე და ვლ. ლორთქიფანიძე, ლიდას — თ. ბაქრაძე და ნ. ლაფანი, მარიამს — ნ. დავითაშვილი, არაჯიას — დ. მუჯია და გ. სიღრაძე, ბუხლოვს — ემ. აფხაიძე და გ. სარჩიშვილი, ვალიას — შ. ჯანაშიელი და რ. ბერიძე, სანტიარქ ქალს — ნ. ჯავახიშვილი. პიესის თარგმანი ეკეთვნოდა ალ. ბოკიას.

„პლატონ კრეჩეტის“ დადგმა ქართულ თეატრში მოვლენად იქცა. ამიტომაც იყო, რომ გაზეთმა „კომუნისტმა“ თავის ფურცლებზე დიდი ადგილი დაეთმო უკრაინელი დრამატურგის აღიარებულ პიესის ქართულ სცენაზე დადგმას, გაზეთმა გამოაქვეყნა ა. ვასაძის, ა. ხორავის, შ. აღსაბაძის, გ. ვუგუნავას, ი. ტუსკაიას წერილები.⁹

„პლატონ კრეჩეტის“ დადგმით თეატრი და მისი „მხატვრული კოლეგია“, — ნათქვამია გაზეთში, — პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამს თავის მუშაობაში. „პლატონ კრეჩეტს“, — წერს ა. ხორავა, — ჩვენს თეატრში ახალი შემოქმედებითი ხაზის მომასწავებელია“. მისი განმარტებით, „ეს ხაზი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვიწყებთ ციციხელი ადამიანის ჩვენებას. მისი შინაგანი

ემოციური ბუნების გამომკვლევებით“, მისი გვეგუებოდა ეს სახალხო თეატრისა, რადგან „წინათ ეს ჩვენება მხოლოდ სტარტულ სურათს არ სცილდებოდა“.

თეატრის, უფრო სწორად, დადგმული რეისორის მიერ ახალ, თავისებურ მიდგომას სპექტაკლის გააზრება-დადგმა ისევე განმარტავდა შალვა აღსაბაძე, „პლატონ კრეჩეტის“ დადგმული რეისორი.

იგი ორიოდ სიტყვით მიგვითითებდა რუსთაველის თეატრის დადგმების საერთო ხასიათზე და წერდა, რომ „რუსთაველის თეატრი მასალას თავის შემოქმედებისათვის ადრე მიიღებდა ყოფა-ცხოვრებაში ექმბდა. აქედან გამომდინარეობდა ის ვარგველი ზედმეტი მოძრაობა, ვარგველი ტაქტიკა, გადაპირბუთული ტრაგიკიზმი, ზედმეტი ემოციურობა, რომელიც რუსთაველის დადგმებს ახასიათებდა“.

მას მიანიჩა, რომ თეატრის ძველი ხელმძღვანელების მეთოდმა, გზამ, რომელსაც ადრე თეატრის ხელმძღვანელობა ადგა, „შეზღუდა მსახიობის განვითარება, ამ გზას აქტიური ერთფეროვნებისაკენ მიჰყავდა“.

ეს გზა, მისი შეხედულებით მცდარი იყო, და ამიტომაც შეეცადა გადაეწყვიტა მხატვრული ნაწარმოების სცენაზე წარმოდგენა, ვადავდა პირველი ნაბიჯი თეატრის ახალ ეტაპზე. პიესის არჩევაც ამ ახალი გზით სვლამ განაპირობა.

პიესის მთავარი გმირი პლატონ კრეჩეტი თავის თავს პროლეტარული რევოლუციის „მოქმედ ინსტრუმენტს“ უწოდებს, მასში ა. კორნეიჩუკმა გამოკვეთა საბჭოთა ინტელიგენციის ახალი თვისებები. მტკიცე ნებისყოფის ახალგაზრდა ქორუგი გაბედულად ცდილობს „სამუდამოდ მოსპოს ნაადრევი სიველილი, წაართვას სიცილი და სიბრძნე, დაუბრუნოს მომავალ თაობებს მილიონი შიზანი დღეები. ამ აზრის განხორციელებისას იგი არავითარ წინააღმდეგობას არ უშინდება. კრეჩეტი ესაა „ბრძოლა, თავდადება, წინსვლა“. აი, ასე ცნობს ავტორისული ჩანაფიქრი კრეჩეტის როლის შემსრულებელს აკაკი ხორავას. ამიტომაც არის, რომ იგი ასე მოიხიბლა ამ როლით. პიესის მაღალ მხატვრულობას, რეალისტურ სიღრმეს, ცხოვრებისეულ სიმწვავეს დაუტყვევებია და აღუგზნია მსახიობი. შემოქმედი, გმირული როლების უბადლო შემსრულებელი, რომელმაც სახელი გაითქვა ანზორ ჩერბიას თუ ფრანც მოიორის სახეთა შექმნით, ახალ საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლის სახეს გაუტაცნია.

მომდევნო თეატრალურ სეზონში აკაკი ხორავა კვლავ დაუბრუნდა რუსთაველის თეატრის მიერ დადგმულ ამ სპექტაკლს. ვაზ. „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ წერილში იგი მკითხველებს აცნობს ამ სიძინელებს, რაც 30-იანი წლების დადგმებს რუსთაველის თეატრის წინაშე დგა, ახასიათებს სპექტაკლებს, დადგმებს, რომლებიც, მისი თვალსაზრისით, თეატრის წარმატებების გამომხატველი იყო. მათ შორის იგი ასახელებს „პლატონ კრეჩეტს“.

რუსთაველის თეატრმა „პლატონ კრეჩეტის“ დადგმით მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა თეატრალურ სამყაროში. ალ. კორნეიჩუკი წერდა: „კრეჩეტისა და ბერესტის ნახებში, შექმნილი საბჭოთა ხელოვნების ბრწყინვალე ოსტატების აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძის მიერ,

მე, როგორც ავტორის, არა მარტო მაქმიყოფილებს, არამედ ღრმად მალელებს კიდევ⁴.

ასეთი მაღალი შეფასება მისცა რუსთაველის თეატრში განსახიერებულ „პლატონ კრეჩეტს“ და მის წამყვან მსახიობებს დრამატურგმა.

აღ. კორნეიჩუკის პიესამ აღიარება ჰპოვა ქართულ თეატრში. იგი რუსთაველის თეატრის გარდა, საქართველოს სხვა ქალაქების თეატრებშიც დაიდგა. პლუხინოვის სახელობის მუშათა კლუბში თბილისის ქართული

თეატრში (1940-1941 წწ.), გორის სახელმწიფო თეატრში (1941 წ.), სანკულტურის თეატრში (1947 წ.), ქუთაისის თეატრში (1947 წ.), ფთრის მოვანიანების ლანჩუსტის, ცინცალოის, ხულოს, სოხუმის, ქუთაისის (განმეორებით) და ქობულეთის თეატრებში. დადგა იგი რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის ა. ხორავას კლასმა 1952 წელს.

„სპლატონ კრეჩეტი“ აღექვსანდრე კორნეიჩუკის ჰუმარით გამარჯვება იყო და ქართულ თეატრს საკავშირო ასპარეზზე მისთვის სიცოცხლის მინეცებაში ერთი უპირველესი ადგილი ეკუთვნის.

1940 წელს აკაკი ვასაძემ რუსთაველის თეატრში დადგა აღ. კორნეიჩუკის პიესა „ბოგდან ხმელნიცი“⁹. უღრმად საინტერესოა თვით ფაქტი, რომ უკრაინელი დრამატურგის ეს ნაწარმოები ქართულად თარგმნა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და დრამატურგმა შალვა დადიანმა. როგორც ამას იგონებს შალვა დადიანი, პიესა მას რუსთაველის თეატრისათვის უთარგმნა „ავტორის, აღ. კორნეიჩუკის წაქეზებით“¹⁰. დიდი ქართველი თეატრალი საგანგებოდ გამოყოფდა ნაწარმოების იდეას, თემს და მივითითებდა იმ მიზეზებზე, რამაც დაინტერესა შემოქმედი და თარგმნინა უკრაინელი თანამოქალაქის პიესა. ეს ნაწარმოები ასახავდა უკრაინელი ხალხის ისტორიის უღრმესად მნიშვნელოვან, სასიცოცხლო ამბებს, — აღნიშნავდა შალვა დადიანი, — „ბოგდან ხმელნიციში“ დიდი სიმართლით არის აღწერილი უკრაინელთა ბრძოლა უცხოეთის მომლაგრებულ ძალებთან (პოლონეთის შლიახტასთან) და მათი მოურევნელი მისწრაფება რუსეთთან შეერთებისა“¹¹.

შალვა დადიანისეული თარგმანი საოცარი ხელოვნებითაა შესრულებული. შეიძლება ითქვას, რომ აღ. კორნეიჩუკს ბედმა გაუღიმა, როდესაც მისი პიესის თარგმნას დათანხმდა სწორუპოვარი მოქართულე, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი.

„ბოგდან ხმელნიცის“ წარმოდგენა რუსთაველის თეატრში წარმატებით ჩატარდა. „ბოგდან ხმელნიცი“ განხორციელდა რუსთაველის თეატრში მეტად მწყობრად. — წერს შალვა დადიანი, — ხმელნიცის როლს ასრულებდა სახალხო არტისტი გიორგი დაეთაშვილი, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა“¹².

რეკისორმა და მსახიობებმა კარგად გაართვეს თავი სირთულეებს და ქართველი მყურებლის წინაშე ვააცოცხლეს უკრაინელი ხალხის წარსულის სურათები.

სექტაკლის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი არა მხოლოდ ბრწყინვალე თარგმანმა, არამედ ირ. გამრეკელის შესანიშნავმა მხატვრობამ.

პრემიერას ესწრებოდა, ა. კორნეიჩუკი, რომელმაც სექტაკლის დამთავრების შემდეგ მადლობა გადაუხადა თეატრის კოლექტივის შესანიშნავი წარმოდგენისათვის.

40-იან წლებში ა. კორნეიჩუკის პიესები შედარებით ნაკლებად იდგმებოდა საქართველოს თეატრებში. ეს სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ უკრაინელი დრამატურგი იმ დროს არ ქმნიდა მნიშვნელოვან ნაწარმოებებს თემისათვის მხატვრულობის თვალსაზრისით და არც იმას, რომ საქართველოში შენედა ინტერესი მისი შემოქმედებისადმი. 1941-45 წლების დიდმა სამამუ-



სვენა მარჯახიძის თეატრის სექტაკლიდან „სოფია გულისა“.

მოდრავი თეატრის მიერ (დამდგმელი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ნინიძე, მხატვარი — კულუში, 1935 წ., დეკემბერი), ჭიათურის თეატრში (1936 წ.), ბათუმის თეატრში (1935-1936 წწ.), ფოთში (1936-1937 წწ.), თელავში (1936 წ.), ჩხარის საკოლმეურნეო თე-

ლო ომა გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ მოითხოვა ხალხის მთელი ძალების მობილენება. საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკა, იდეოლოგია, კულტურა სამშობლოს დაცვის სამსახურს ჩადგა.

40-იან წლებში ა. კორნეიჩუკი აქტიურებს თავის სამწერლო მოღვაწეობას, წერს პიესებს, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია „ფრონტი“. როგორც ცნობილია, ამ პიესას საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა დრამატურგიის ისტორიაში.

40-იან წლებში ქართველმა მკურებელმა კვლავ გაიხსენა ა. კორნეიჩუკის პიესა „პლატონ კრეჩერი“.

50-იან წლებში საქართველოს თეატრები ხალხით დღემდე იმ პიესებს, რომლებშიაც შვეიციურიანი ცხოვრების სურათები აისახა. ასე, მაგალითად, 1950-1951 წლების სეზონში სოხუმის, ქუთაისის, ცხინვალისა და ჭიათურის მკურებელმა ნახა უკრაინელი დრამატურგის ლირიული კომედია „ახველის ჭაღა“.

1957 წელს რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ მარჯანიშვილის თეატრში დადგა „ესკადრის დღეუბა“. ეს მოხდა პიესის პირველი დადგმოდან 23 წლის შემდეგ. საგულისხმოა ის გარემოება, რომ საექტაკლო თეატრმა დიდი ოქტომბრის ამერიკოე წლისათვის მიუძღვნა. ამჯერადად ბოცმან კობახს როლი წარმატებით შესარულა ვ. გომიანიშვილმა. გაიდაის როლში თავი ისახელა ახალგაზრდა მსახიობმა ო. მეღვინეთუხუცესმა. ოქსანას როლი შესარულა ნათელა აფაქიძემ, ოფნგასი — ელენე ყიფშიძემ.

ნიჭიერად დადგმული საექტაკლო ახალი ხმით აფლერდა მარჯანიშვილის თეატრში და მკურებელმა იგი გულთბილად მიიღო.

თავისი დადგმა მარჯანიშვილის თეატრმა 1958 წელს მოსკოვში გამართულ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკლამეზე წაიღო.

პიესაში ქვეყნდება მრავალი სტატია, რომლებშიც სათანადო შეფასება მიეცათ ალ. კორნეიჩუკის შემოქმედებასა თუ საქართველოს თეატრებში წარმოდგენილ საექტაკლებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. კორნეიჩუკის შემოქმედების გააზრება თანამედროვე ქართულ სცენაზე, ის გამარჯვება, რომელიც მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მოიპოვა უკრაინელი მწერლის მხატვრულმა სიტყვამ — „ხსოვნამ გულისა“, რომელიც ქართულ სცენაზე განახორციელა სახელოვანმა რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ.

...ჩვეულებრივი თბილედ და მზიანი შემოდგომა იდგა მისი თბილისში. წლის ამ დროს თავისებური ელფერი შეეტანა თეატრის ცხოვრებაშიც. მარჯანიშვილის თეატრში სავანესო საშაბდისი იყო. საექტაკლზე დასასწრებად ჩამოსულ ავტორს ელოდნენ. ალექსანდრე კორნეიჩუკს, თუმცა იმხანად შეუძლოდ ვერძნობდა თავს, გულმა თბილისისავე გამოუწია.

ახალმა აღუგებელი ვარ, — თქვა საექტაკლის შემდეგ ა. კორნეიჩუკმა, — უსაზღვროდ ღივ მადლობას ვუხდით ჩვენს ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო თეატრალურ კოლექტივს და დიმიტრი ალექსიძეს ჩემი პიესის ასეთი მშვენიერი დადგმისათვის. მთელი გულით შევიგრძენი ის დიდი სცენური კულტურა და მომხიბვლელობა, რაც

ახსიათებთ ქართულ სცენის შესანიშნავ ოსტატებს...
დღევანდელი საექტაკლო დრამატურგის ჩანაწერში რეჟისორის ღრმად ჩაწვდომის დემონსტრაცია, გოცო ადამიანი, სიტყვა ვერ მომინახავს მაღლისა სათქმელად ესოდენ გულთბილი და მსურველ მიღებისათვის.

მარჯანიშვილის თეატრის საექტაკლს პრესა ფართოდ გამოეხმაურა. ვაზეთებში „კომუნისტის“, „თბილისის“, „ვეჩერნი ტბილისის“, ჟურნალებში „საბჭოთა ხელოვნება“, „თეატრალური მოამბე“, „ტეატრ“ და სხვ. გაშუქდა მარჯანიშვილეთა გამარჯვება.

მსახიობთა შემადგენლობა ისე იყო შერჩეული, რომ მათი შესრულების ოსტატობაზე რეცენზენტს საუბარი ალბა უხდებოდა. ვერაქო ანჯაფარიძემ, ვასო გომიანიშვილმა პიესის ვიზიტის გალისა რომანოვნასა და კირილ სერგევიჩის დაუფიქარი სახეები შექმნეს, ალექსანდრე ომაიძის მაქსიმე მაქსიმოვი, მარინა თბილელის კატერინა მიხაილოვნა, კოტე მახარაძის ანტონო ტერაჩინი მსახიობების წარწინვალ გამარჯვება იყო.

საექტაკლის წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს მხატვრმა უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ — მ. კობიაჩმა, კომპოზიტორმა — უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. სკორიკამ.

ქართულმა პრესამ სათანადოდ შეაფასა მარჯანიშვილის თეატრის საექტაკლო და იგი თეატრის დიდი შემოქმედებით გამარჯვებულად აღიარა.

საექტაკლის წარმატება დიდად განაპირობა პიესის მთარგმნელმა, გამოჩენილმა მწერალმა გრიგოლ აბაშიძემ.

მარჯანიშვილეთა საექტაკლს გამოეხმაურა არა მარტო საქართველოს პრესა, არამედ საექსპიროც. ჟურნალებმა „ტეატრმა“ დაბეჭდა თეატრმცოდნე ვ. ვოროზიოვას საინტერესო რეცენზია.

საექტაკლმა „ხსოვნა გულისა“ საერთო აღიარება ჰპოვა და იგი მარჯანიშვილეთა მორიგე წარწინვალ გამარჯვებულ იქცა.

... ალექსანდრე ედვოიძეს ძე თბილისში დაბინავებული იყო სასტუმრო „ინტურისტის“ გვერდით ფლიგელში, ცალკე ბინაში, სადაც ახლა საქართველოს მხატვრული კავშირისა მოთავსებული. მისი ოთახის ფანჯრები ქაშუეთის ეკლესიას ვაკუულებდა.

საექტაკლის მეორე დღეს ამ ბინაში მოინახულეთ მეგობრებმა. ალექსანდრე ედვოიძეს ძე იწვა. შეუძლოდ იყო. მეუღლე დასტრიალბუდა თავს. ერთხანს ასე ვისაუბრეთ. მალე ვაპირებდით წასვლას, მაგრამ არ გამოგვიშვა. ახლა ჩემი სადილობის დროა, წამლების შემდეგ უკეთ ვერძნობ თავს, უნდა ავდგე და ერთად ვიყოთ. წამალად. მისმა მეუღლემ ქართული სუფრა გაშალა. ალექსანდრე ედვოიძეს ძემ ისე ხალისიანად ჩაატარა სადილი, იმდენი გვაციინა, რომ სულ დაგვაიწყდა მისი მიმე მდგომარეობა.

საუბრის დროს გვემუცო დაესახეთ. გვიწოდდა დიდი მწერლისა და მოღვაწის ყოფნა თბილისში მაქსიმალურად გამოგვეყენებინა. დოც. ნ. გოგიტიძემ ახალგაზრდობის თხოვნა გადასცა — სკოლის მოსწავლეები თხოვდნენ, ეგებ დრო გამოიხატო ჩვენთან შეზღვედრებისათვის.



თვისო. ალექსანდრე ევლოკიმეს ძე ხალისით დათანხმდა და დაპირდა, ბორჯომიდან როგორც კი ჩამოვბრუნდები, მეორე დღესვე მივალ თქვენს სკოლაში.

ბორჯომში დილით მანქანით გავემგზავრეთ ალექსანდრე ევლოკიმეს ძე, მისი მეუღლე, მარჯანშვილის თეატრის დირექტორი ანზორ ქუთათელაძე და მე. გეზოვობა კარგად გადაიტანა, ხუმრობდა, იგონებდა ომის წლებს. ეს ძალზე მაირტიერებდა პიესა „ფრონტზე“ მუშაობის დეტალები. გაიხსენა ბევრი რამ ამ პიესის შემქნელად და მისი გამოქვეყნებლად.

ა. კორნეიჩუკი საოცარი ტაქტის კაცი იყო. მრავლის მნახველი და თავმდაბალი. არასოდეს ტიტულებით დამწვენიებული თავისი მძლავრი ავტორიტეტით არ ამამებდა და არ ჩაგრაგვდა მოსაუბრეს. აი, პატარა დეტალი: როგორც კი ჩავდით ბორჯომში და ლიკანის მეოთხე სამმართველოს სანატორიუმში ალექსანდრე ევლოკიმეს ძე მისთვის განკუთვნილ ბინაში დავბინავეთ, ბორჯომელი ამხანაგები გამოჩნდნენ. ჩვენთან შეხვედრა უნდოდათ. ალექსანდრე ევლოკიმეს ძეს მოსევენება ესაჭიროებოდა. მაგრამ, როგორც კი შეიტყო, რომ ამხანაგები იყიდნენ, მეუღლესთან ერთად ოთახში შებრუნდა და, წამალბე მიიღო, ნემსი გაიკეთა და ისევ ჩვენთან გამოვიდა.

ორიოდ საათი დაეკავით ბუნების წიაღში. ალექსანდრე ევლოკიმეს ძე იქაც ენერჯული, იუმორით სავსე, ხალისიანი მოსაუბრე იყო.

სანატორიუმში რომ მივბრუნდით, მან ხელი მომხვია და მითხრა — რა მშვენიერად გვატარებთ ეს დღე. რა ლამაზი და შინაარსიანი იყო იგი და რა მდებარეობა იყო შენი ყოველივე ამისათვის.

რამდენიმე დღის შემდეგ შეგვაცხოზინეს, რომ ალექსანდრე ევლოკიმეს ძეს არ მოხდომია ბორჯომი. ჩამობრუნდა თბილისში და მატარებელი გავისტუმრეთ კიევსაკენ. რა ვიცოდით, რომ ეს უკანასკნელი შემოდგომა იყო ალექსანდრე კორნეიჩუკისათვის.

1945 წლის მაისში საბჭოთა თეატრალურმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ა. კორნეიჩუკის დაბადების 40 წელი. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკურმა გაზეთმა „კომუნისტი“ გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი სტატია.

გამოჩენილი ქართველი მწერალი და თეატრალური მოღვაწე შალვა დადიანი უფროსად „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაბეჭდილ წერილში გვესაუბრება უკრაინელი თანამოაზრის ცხოვრება-შემოქმედებაზე და ამასთან ერთად თავის შეხედულებებს გვიცნობს ა. კორნეიჩუკის დრამატურგიის შესახებ.

შალვა დადიანი წერილის შესავალშივე აღნიშნავს, რომ „სწორ-უტყუარი საბჭოთა მწერლის“ სახელი, მისი შემოქმედება ცნობილია არა მარტო მთელს ჩვენს დიად კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც“. მთავარი მისი შეხედულებით, ის არის, რომ თვით თეატრმა შეიყვარა კორნეიჩუკის დრამატურგია. დღემდე მისი პიესები წარმოადგენენ მთავარ ღერძს უკრაინის რეპერტუარისას. შალვა დადიანი ინ ვარემოებაზე განსაკუთრებით მიუთითებს, რომ უკრაინელი დრამატურგის პიესებში, ამავე დროს, მთელი მრავალეროვანი საბჭოთა თეატრის „მეტად სანუკვარი სახარბაო“.

შალვა დადიანი ასახელებს ა. კორნეიჩუკის ცნობილ პიესებს, აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მათგანს, მათგან კი სენაზე დაიდვა, მათ შორის „პოვდან ხელნაკეთი“, რომელიც თვითონ შალვა დადიანმა თარგმანა. ქართველი ხელოვანი მაღალ შეფასებას აძლევს რუსთაველის თეატრის მსახიობების თამაშს. აკაკი ხორავამ, მისი აზრით, შექმნა „დიდად მომხიბველი სულიერად და სხეულბრუნვი აზროვნებით გამოკეთილი სახე პლატონ კრეჩეტის“. მაღალ შეფასებას აძლევს იგი უკრაინულ დრამატურგს, რომელსაც მისი შეხედულებით, სიახლის შეგრძნების საოცარი უნარი აქვს, ხედვას და გვიხატავს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ, მარგარინებელ როლს, გვიცნობს საბჭოთა ხალხის სულიერ ცხოვრებას და ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხთა ურუკე მეგობრობას ქადაგებს.

შალვა დადიანი აღნიშნავს კორნეიჩუკის დრამატურგიის დამახასიათებელ თვისებებს და კორნეიჩუკს ერთ-ერთ მოწინავე ადიღს მიუჩენს საბჭოთა ლიტერატურაში.

1954 წელს საქართველოში უკრაინული ლიტერატურის დეკადსთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი ა. კორნეიჩუკის ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ. გვცთ „ზარია ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა წერილი „მწერალი, მებრძოლი, კომუნისტი“, რომლის ავტორიც იყო გამოჩენილი ქართველი მწერალი დემნა შენგელაია. ა. კორნეიჩუკი, წერს დემნა შენგელაია, ლიტერატურისა და ხელოვნების აღიარებული მოღვაწე, რომლის „სახელთან განუყოფლად არის დაკავშირებული საბჭოთა თეატრის განვითარების ისტორია“. თითქმის ყველა საქმეცალი, ნათქვამია სტატიაში, რომელიც მისი პიესების მიხედვით იდგმებოდა, საეტაპო მივლენად იქცეოდა თეატრალური ხელოვნების სფეროში.

სამართლიანად შენიშნავს წერილის ავტორი, რომ კორნეიჩუკის პიესებში „მრავალი შესანიშნავი მსახიობი პოულობდა და პოულობს უმდიდრეს მასალას თავისი ნიჭისათვის“. დემნა შენგელაიას ეს ნათქვამი ქართველ მსახიობებსაც შეეხება. როგორც ამას ა. ხორავა იცნობს, მისთვის აღმოჩენა იყო პლატონ კრეჩეტ და არც ერთ გმირს ისე არ აუღელვებია და გაუტაცნია იგი, როგორც ა. კორნეიჩუკის გმირს. მართალია, ეს იყო ა. ხორავას მიერ ოტლოს განსახიერებამდ თქმული, მაგრამ იმ დროისათვის მას უკვე ჰქონდა ნათამაშევი ანზორიო („ანზორიო“) და მორიცი („ყაჩაღებში“). ეტყობა, ისე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა პიესამ ხორავაზე, რომ კარგა ხნის შემდეგ, უკვე პედაგოგი სტუდენტებს კორნეიჩუკის ნაწარმოებებზე ზრდიდა და წყაროდ.

საკებობი სწორად აღნიშნავს ქართველი მწერალი, რომ კორნეიჩუკი ისეთ პრობლემებს ეხება და გამოაქვს თეატრის რამდენიმე შექმნა, რომლებიც ერთნაირად მტკივნეულია უკრაინისა თუ რუსისათვის, ქართველისა თუ სომხისათვის. ამავე დროს მწერალი იმ იდეურ-მხატვრულ დონეზე სვამს და წყვეტს ამ პრობლემებს, რომ იხტრებს იწვევს ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხეში. „ამ პრობლემებს, — წერს დემნა შენგელაია, — დრამატურგი ყოველთვის მწერალი-კომუნისტის, კომე-

ნისტური მშენებლობის დიდი იდეებისათვის აქტიური მებრძოლის პოზიციიდან წყვეტს.

ქართველი მწერლის ღრმა რწმენით, ა. კორნეიჩუკი ჭეშმარიტად დიდი მხატვარია, მის ნაწარმოებებში ყოველთვის მოჩანს ჩვენი თანამედროვეის დღეობით გამოცემის შთაბეჭდილი სახე.

დემნა შენგელია თავის სტატიაში იგონებს ავრთვე კორნეიჩუკის პიესების დადგმის ისტორიასაც.

ქართულ თეატრში ალექსანდრე კორნეიჩუკის პიესების წარმოდგენაზე მკითხველს უაღრესად საინტერესო ცნობებს აწვდის ცნობილი თეატრმოცი დე მკულერი ნინო შეანგირაძე. ვახუშტი ოქტობრულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში „1929 წელს ხარკოვის „ქარნოზოვსკის“ თეატრის ხელმძღვანელი ა. დონეცი, — მოგვითხრობს ავტორი, — სანდრო ახმეტელს წერდა: „ჩვენს თეატრებს შორის უნდა დაეამყაროთ მკიდრი კავშირი. გამოცდილებათა და მიღწევათა მუდმივი გაცლა-გამოცლის მიზნით გათვალისწინებული გეჰქვს 1929-1930 წლის სეზონში დაედგათ ქართული საბჭოთა დრამატურგების პიესები... ჩვენი მხრით კი ამ წერილთან ერთად ვაგზავნით სამ უკრაინულ თანამედროვე პიესას.“¹³

ამ ბათაის მოწერის შემდეგ სანდრო ახმეტელმა და კოტე მარჯანიშვილმა დადგეს უკრაინელი დრამატურგების: მ. კულშის „კომუნა ველზე“, ი. მიკიტუნკოს — „ანათუთ ვარსკვლავები“ და კოჩერკის — „გროსმისი ტერი“. ა. კორნეიჩუკის მიხედვით „ესკადრის დაღუპვა“ მარჯანიშვილის თეატრმა პირველად წარმოადგინა 1934 წელს და ამით დაიწყო ა. კორნეიჩუკის პიესების დადგმა ქართულ სცენაზე.

ნინო შეანგირაძე მკითხველებს შეახსენებს საქართველოში ა. კორნეიჩუკის პიესების დადგმის ისტორიას და ფაქტობრივი მასალებით მიიღობ, სანტერესო სტატიაში ასყენის, რომ ა. კორნეიჩუკის პიესებმა გზა გაუკაფეს საქართველოში უკრაინულ ხელოვნებას.

1964 წლის ოქტომბრის დამდეგს საქართველოში უკრაინული ლიტერატურის დეკადის დროისათვის რეჟისორმა თამაზ მესხმა ქუთაისის თეატრში დადგა ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“.

1965 წლის მაისში ა. კორნეიჩუკს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით უკრაინული მწერლის ცხოვრება-მოდვეწობაზე სანტერესო დ მოუთხრობს მკითხველებს ერემია ქართველიშვილი, ვახუშტი „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მობილის“ ათავსებენ საბუთილო წერილებს, აღსანიშნავია ვახუშტი „თიბონისში“ დაბეჭდილი უკრაინული მწერლის ვაიმი სობკოს მეტად საინტერესო სტატია, რომელშიც კორნეიჩუკის დრამატურგიის შესანიშნავი ანალიზია მოცემული.

1972 წლის 14 მაისს მიმივე ავადმყოფობასთან ბრძოლით გადალილმა ალექსანდრე კორნეიჩუკის გულმა შეწყვიტა ფეთქვა. ქართველი მწერლების ჯულისტიკიული გამოხატვა გამოჩინებულა კრიტიკოსმა ბესარიონ მეგობარო! მისთვის ჩვეული მგზნებარებით, რომელსაც ამჯერად ნაველი ახლდა, ბესარიონ ელენტმა ქართველ ხალხს, დიდი მწერლის თაყვანისცემლებს და

ახალ თაობას შეახსენა უკრაინელი თანამომძის ალექსანდრე კორნეიჩუკის გიორული ცხოვრება-მოდვეწობა, მხატვრული შემოქმედება და სიყვარულით გამოხატული სიტყვები უღმინა საქართველოსთან, ქართველ ხალხთან, მწერლებთან, თეატრთან უკრაინული დრამატურგის მეგობრობას.

ა. კორნეიჩუკთან შეხვედრების შესახებ საინტერესო მოგონებები გამოაქვეყნა მწერალმა ამირან შერვაშიძემ.

ალექსანდრე კორნეიჩუკის პიესები, რომლებიც ქართულმა თეატრებმა წარმოადგინეს, გულთან მიიტანა მათვე უტრეკლმა. ამ პიესების მეოხებით ქართველ ხალხს გარკვეული წარმოდგენა ექმნებოდა არა მარტო უკრაინული თეატრისა ხუ ლიტერატურის მიღწევებზე, არამედ უკრაინელი ხალხის სულიერი სამყაროზე, მის ფსიქიკაზე, მის ხასიათზე, იმ ახალ ადამიანზე, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ, სოციალისტურმა საზოგადოებამ ჩამოაყალიბა, გამოაწყო. ა. კორნეიჩუკის პიესებში დასტული პირობლები მხოლოდ ერთგული ინტერესებით არ შემოიფარგლებოდა. უკრაინელი დრამატურგის საუკეთესო ნაწარმოებები ყოველთვის ზოგად-საჯაროების ხმანადა ჰქონდათ, მათი ინტერაციონალური პათოსი მძლავრი და, ამვე დროს, მისაღები და გასაგები იყო დიდი საბჭოეთის ყველა ხალხებისათვის. კორნეიჩუკს შესწევდა უნარი ეგრძნო ეპოქის ტიცილი მისი ჩასახვისთანავე, მას ჰქონდა საოცარი ალლო სწორად გაეაზრებინა ცხოვრების მიერ წამოჭრილი მოთხოვნები, აქტუალური საკითხები და თავის ფაქიზ ვემოციონების წყალობით მაღალმატერული ნაწარმოებები შექმნა მათზე.

საქართველოსა და სხვა მომზე რესპუბლიკების თეატრებში ა. კორნეიჩუკის წარმატების ერთი უმოკრესი პირობათაგანი, რა თქმა უნდა, მისი პიესების მხატვრული ღირებულება იყო, — ნაწარმოების მხატვრული დონე, მწერლის ენა, მისი სიტყვის ძალა და, საერთოდ, პიესის ის მხატვრული სასიამოლო, რომელიც მხოლოდ მწერლის მხატვრულ ნიჭზე დამოკიდებული. ქართულმა კრიტიკამ საკვებით ლოგიკურად განავითარა აზრი, რომ ქართული დრამატურგი თავისი სტილის, მხატვრული „მეს“ გამომწვევებისა ეყრდნობოდა რუსულ და უკრაინულ დრამატურგიას, კარგად შეთვისა რუსული და უკრაინული დრამატურგიის ტრადიციები. ამიტომაც გახდა მისი ღრმა ფილოსოფიური აზრის მქონე პიესებისთვის დამახასიათებელი მწყობრივი კომპოზიკია, მოქმედების სწრაფი განვითარება, ლაკონიური და მახვილი დალოგი, მოსწრებული ხალხური სიტყვაყაზმულობა, მკავიო მიხანსწრაფვა, მხატვრული უშუალობა.

მაგარა, როგორც ნემიროვიჩ-დანიჩენკო ამბობდა, პიესის დიდი წარმატებისათვის საკმარისი არაა, რომ იგი ნიჭიერად იყოს დაწერილი. ამისათვის საჭიროა, მის ავტორს ჰქონდეს თეატრალის გრძნობა, იგი უნდა გრძნობდეს თეატრის ბუნებას და მისი გათვალისწინებით ავებდეს პიესას, თავისი მხატვრული ნიქის მომარებებით ქმნიდეს შედეგს. სწორედ ამ ლვითი მომადლებული ნიჭითა და გრძნობით იყო დაჯილდოებული ა. კორნეიჩუკი. ამიტომაცაა მისი საუკეთესო პიესები ეპოქალური მნიშვნელობის, ამიტომაც შემორჩენს ისინი ისტო-



რის და გადავლენ თაობიდან თაობაში. ეს აზრი სავსებით მართებულიადაა გატარებული ქართულ კრიტიკაში.

საქართველოს გაზეთები, რადიო და ტელევიზია მრავალგზის და მრავალნაირად ასახავდნენ, გადმოსცემდნენ საქართველოსთან, ქართველ ხალხთან ალექსანდრე კორნეიჩუკის ურთიერთობის ამსახველ მასალებს. იქნებოდა ეს სავაჭეთო თუ საეჟრნალო წერილი, მოგონება თუ ფოტოსურათი, ყოველი პუბლიკაცია, დაღმა, ჩვენება, რაც უკავშირდებოდა ამ დიდი ხელოვანის სახელს, გამთბარი იყო ხალასი მეგობრობის, ქეშპარტი სიყვარულის გრძნობით. ამიტომაც იყო უაღრესად ობიექტური ქართული პრესა, ქართველი საზოგადოებრიობა მწერლის შემოქმედებისა თუ მისი ნაწარმოებების ქართულ სცენაზე წარმოდგენის შეფასებისას.

ა. კორნეიჩუკის პიესებმა თავისი კვბლი დასტოვეს ქართული თეატრის ისტორიაში. ა. ხორავას, ა. ვასაძის, გ. დავითაშვილის, ვ. გომიაშვილის, ე. ანჯაფარიძისა და სხვა სახელოვან ქართველ მსახიობთა და გამოჩენილი რეჟისორის დიმიტრი ალექსიძის მაღალი ხელოვნებით ა. კორნეიჩუკის პიესებმა არა თუ გაამდიდრეს ქართული თეატრალური კულტურის საგანძური, არამედ თვით უკრაინელი დრამატურგის პიესებს მისცეს ახალი სი-
ოცნსუ.

- 1 ს. კილაია „ესკადრის დაღუპვა“, კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1934 წ., № 284, 11 დეკემბერი.
- 2 იქვე.
- 3 ალ. კორნეიჩუკის სიტყვა, დაეცლია მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმში.
- 4 „მგოსანი, სამი სურათი“, უთქვამს მის მარჯანიშვილუბასათვის, ზოლო საქართველოს მწერალთა კავშირში შეხვედრის დროს — „ორი მოქმედება უკვე დაწერილი მქონდაო“ (გაზ. „კომუნისტი“, 1935 წ., № 232, 5 ოქტომბერი, გვ. 4.
- 5 ალ. კორნეიჩუკის სიტყვა.
- 6 იქვე.
- 7 „შეხვედრა უკრაინელ მწერლებთან“, გაზ. „კომუნისტი“, 1935 წ., № 233, 5 ოქტომბერი, გვ. 4.
- 8 ალ. კორნეიჩუკის სიტყვა.
- 9 „პლატონ კრეჩეტი“ რუსთაველის თეატრში“, გაზ. „კომუნისტი“, 1935 წ., № 284, 9 დეკემბერი, გვ. 4.
- 10 შალვა დადიანი, გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ეჟრნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1955 წ., № 5.
- 11 იქვე.
- 12 იქვე.
- 13 ნინო შვანიტაძე, „ა. კორნეიჩუკი ქართულ თეატრში“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1964 წ., № 40, 2 ოქტომბერი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულებით კინორეჟისორებს თენგივ აბულაძესა და
რეზა ჩხეიძეს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სახალხო
არტისტის სპატიო წოდება**

თენგივ აბულაძე.



ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ულოცავენ გამოჩენილ კინორეჟისორებს ამ მაღალ წოდებას და უსურვებენ შემდგომ შემოქმედებით გამარჯვებებს.



რეზა ჩხეიძე.



კვანო ფოტო გამოქანა



საქართველოში, სადაც უკვე დაიწყო მშენებლობის სამუშაოები, რომლებიც დაიწყეს კონსტრუქციის დასრულების მიზნით.

სადაც უკვე დაიწყო მშენებლობის სამუშაოები, რომლებიც დაიწყეს კონსტრუქციის დასრულების მიზნით. მშენებლობის სამუშაოები დაიწყო კონსტრუქციის დასრულების მიზნით. მშენებლობის სამუშაოები დაიწყო კონსტრუქციის დასრულების მიზნით.

გამოქანა კონსტრუქციის დასრულების მიზნით. მშენებლობის სამუშაოები დაიწყო კონსტრუქციის დასრულების მიზნით.

კვანო ნამუშევრების თბილისში

საქართველოში, სადაც უკვე დაიწყო მშენებლობის სამუშაოები, რომლებიც დაიწყეს კონსტრუქციის დასრულების მიზნით.

და იქვე შეიქმნა, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხის ზღვებისა და იდუალების. ისევე როგორც მის პოეზიაში, ჭაბუღი ფიქს, ამ ფორმის შემქმნელი დიდი ავტორი.

საინტერესოა იგი აგრეთვე საქართველოში მონაწირობის ფორმისზე აღებული კატეგორია. გამოქანა დიდი ინტერესი გამოიქვია.



მის შუი და ნი (სოკოლი) მთელი მთისთვის მთელი მთისთვის კოლხეთში

ბაშრაშვილი ისტორიკოსი და სამეცნიერო მუშაობის შესანიშნავი ორგანიზატორი ს. ჯანაშია ისტორიული კვლავი-ბის სფეროში სხვა ძირითად პრობლემებთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მატერიალური კულტურის საკითხებს შენაწევს. მისი თაოსნობით ამ საკითხებზე მუშაობა ანტიმწიფრად მიმდინარეობდა ჯერ ერის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის („ინსტიტ“) შესაბამის განყოფილებებში, ხოლო შემდეგ მის პასუხე ჩამოყალიბებულ ინსტიტუტებში (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, გ. მუხომბეგოვის სახ. ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი) და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ხელოვნების მუზეუმი...). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასტიკოში შემაჯავ სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტში მატერიალური კულტურის საკითხებზე მუშაობას ს. ჯანაშიას შორეულადღობით დაინაწირობით ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა, გასაქვირებით ამ პერიოდში, როდესაც იგი ერთპიროვნად იყო ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქარაივლოს ისტორიის კათედრის გამგე და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ს. ჯანაშია არა მარტო დიდ ყურადღებას იჩენდა ქართული ხელოვნების დონების, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ისტორიკოსების მიმართ, რომლებიც მატერიალური კულტურის საკითხებს სწავლობდნენ ცალკეულ დარგების ამოკრებით და მეოთხედის შესაბამისად, არამედ თვითონვე, როგორც მკვლევარი, აქტიურად მონაწილეობდა ამ საქმიანობაში. საკერძოა ბიენიშის, რომ მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დიდი მნიშვნელობა იქონიერებდა მატერიალური კულტურის შესწავლის საქმეში. მკვლევარი ახვე დაინტერესებული იყო ყოველი შემინახული საქოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, დგამ-ქუჩრების, ტანსაცმელის და კულტურის სხვა კომპონენტების შესწავლით და ეთნოგრაფიული კვლევის ტერტრებს ვეცდა შესაბ.


სიბოც ჯანაშია და ადღდას მატერიალური კულტურა

ვალერიან იოანიშვილი

ღებულ პირობებს უტყნიდა ამ მიმართულებით მუშაობის შედეგობი განვითარებისათვის.

ს. ჯანაშია თვითონვე კრებდა ეთნოგრაფიულ მასალებს, რომლებს გარკვეული მანოლი ცალკეული საკითხების კვლევაში გამოიყენა კოლექტი. ამასთან ერთად, მის პირად არქივში იყო საინტერესო ჩანაწერები, რაც სენაიონეცნიერო მასალებთან ერთად მისი შრომების მეოთხე ტომში შევიდა ს. ჯანაშია ეთნოგრაფიულ მასალებს აგრევიდა საქართველოში (აფხაზეთში), ადღღში და აფხაზეთში. 1929 წელს

80



სანი კანია

ადღღში იგი მიეღწეხული იყო სენაიონეცნიერო მასალებს მოპოვების მიზნით, მატერიალური კულტურისა და ფონის ზოგიერი მხარტვი ყურადღების აქვეყდა და თავის საკველ დღღღში ამ შრომაც საინტერესო მასალებს იჩენდა. სტუდნად მყოფი მეცნიერი, როგორც უშუალო დაწკოვრებელი, აღწერდა სტუდნ-მასპინძლის ტრადიციებს, უფროს-უცნობისობის წესებს, ჩაცმულობას, სახეობრებულ ნაგებობებს მისი მონუმენტობით და ეთნოგრაფიული ოვალსტრისით საინტერესო სხვა

მოკლებებს შორისადა, მის არ დატყნისა-ხვის რომღღღ ამ საკითხის საკვიალური შესწავლა, მის მიერ დტკირებული მასალები უშთაყრსად ეპოლოგური ხასიათისაა, მატერიალური კულტურის მანაწერისადა ნაყო მუცნიერული ღირებულება გააწინა ეს მასალა საყურადღღღში ოღწად იიტომ, რომ ქართველ მეცნიერთა შორის ს. ჯანაშია პირველია, ვინც ადღღში ეთნოგრაფიული მასალის შეტროვებზე იფიქრა. ეს ეტებს ვეცდა ზემოხსენებულ საკითხის, მათ შორის ისეთ საკითხებზეც მატერიალური კულტურის პრობლემადან.

როგორცაა ადილურ-ჩერქეზული ტანსაცმელი და საცხოვრებელი ნაგებობანი.

ს. ჯანაშია ადილურში შეხვედრია ეროვნულ კოსტიუმში გამოწყობილ არაერთ მხბრობელს და დაპკვირვებია როგორც მათ ჩაცმა-დახურვას, ისე იმ ცვლილებებს, რაც ტანსაცმელმა განიცადა ყოფაცხოვრებაში მომხდარ გარდაქმნათა გამო. კოსტიუმის ცალკეულ დეტალებს მკვლევარი ეცნობოდა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს. ამასთან დაკავშირებით იგი გზადგაზა ეხებოდა ადილურის მოდგმის ტომებში (შაფსულელებში, ბზადულელებში ანუ ბუედულელებში, აბახებში) შემორჩენილი ეროვნული ჩაცმულობის ელემენტებს (ჩოხა, ბეშმეტი, ბოხოხი, სარტყელი...). მკვლევარი ზოგჯერ ასეთი ელემენტების სრული აღწერითაც არ დაინტერესდა და მხოლოდ ერთი რაიმე თავისებურების აღნიშვნას დასჯერდა. მაგალითად, მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ჩაცმულობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა ჩოხას, მაგრამ იგი შეეხო მხოლოდ ჩოხის ქილების გამოყენების წესს, რის შესახებაც დღიურში ვკითხულობთ: „ძველად ჩოხის ქილებს ძალიან მაღლა აკურებდნენ, იმისათვის, რომ კბილებით შესაძლებელი ყოფილიყო ქილის ამოძრობა“ (ს. ჯანაშია, შრომები, ტ. IV, თბ., 1968, გვ. 120). ეს ცნობა ეხება არა სამკაულად გამოყენებულ ჩოხის ქილებს, რომლებსაც მეორენაირად მასრები ერქვა (მაგალითად, ხევში), არამედ სასროლად მომზადებულ ტყვიებს, რომლების კბილებით ამოძრობის საჭიროება ნაკარნახევი იყო ციცილ-მსროლელი იარაღის დროულად დატენვისა და ეფექტურად გამოყენების მიზნით.

ბზადულეების სამოსლიდან ს. ჯანაშიამ გამოყო ბეშმეტი და ბოხოხი, როგორც მისი ერთ-ერთი მეგზურის მამის შემოსილობის ძირითადი ელემენტები (ტ. IV, გვ. 87). სხვა შემთხვევაში მკვლევარი ბოხოხს კი იხსენიებს, მაგრამ ბეშმეტი მხოლოდ აქ არის დასახელებული. როგორც ჩანს, XX საუკუნის 30-იანი წლებისათვის ბეშმეტი ჯერ კიდევ იხმარება. ყოველ შემთხვევაში, მას უფროსი თაობის ადამიანები მაინც ატარებდნენ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ბეშმეტი წრილო კავკასიის ხალხებში, ისევე როგორც შუა აზიის მოსახლეობაში, მამაკაცის ფართოდ გავრცელებული სამოსელი იყო. ბეშმეტი მისი თარგის მიხედვით იცვამდნენ პერანგის ზემოთ, ჩოხისა და ხალათის ქვეშ. ფართო

ან ვიწრო სახელოების მიხედვით ბეშმეტი სხვადასხვაგვარია, მაგრამ მის ძირითად ნიშნად მიჩნეულია ქართულ ახალუხთან მსგავსება. ბეშმეტი მუხლებამდე ჩამოშვებული, წინ მთლიანად ჩასხმული, წელთან ნაოჭწყერილი და ზოგჯერ დალინდაგებული ზედა სამოსელია, რომელიც ქამრით იკვრება.

გარდა ბზადულეებისა, ს. ჯანაშიას ბოხოხი შეუნიშნავს შაფსულელების შემოსილობაშიც. მათ „თავს ახურავთ ან ბოხოხი (დაბალი), ან შაჰის თავსაბურავი რამდენსამე“ (ტ. IV, გვ. 63). ეს ცნობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ გავრცელებული თავსახურავი შაფსულელებში ბოხოხი იყო, ხოლო ნაწილი შაჰის თავსაბურავსაც იყენებდა. გამოდის, რომ შაფსულეები ძირითადად ინარჩუნებდნენ ტრადიციულ თავსურავს, ხოლო შაჰის თავსაბურავი შემოტანილი ჩანს მამამდიანობის გავრცელების შემდეგ, რასაც არსებითი გავლენა არ უნდა მოეხდინა თავბურვის ძველებურ წესზე. სხვათა შორის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ქალების მიერ ჩადრის ტარების წესიც შაფსულელებში არ გავრცელებულა. ყოველ შემთხვევაში ს. ჯანაშიას იქ ეს არ შეუნიშნავს (ტ. IV, გვ. 81).

ბოხოხის ტარებასთან ერთად შაფსულეებისათვის ტრადიციული ყოფილა საკინძის შეკვრა და სარტყლის შემორტყმა. პირველ რიგში, ეს ევალებოდათ ახალგაზრდებს. ამასთან დაკავშირებით ს. ჯანაშიას დღიურში ვკითხულობთ: „ჩვენი მამასინძელი ამბობს, რომ ყმანვილკაცს რომ უსარტყლოდ გაველო, ან საკინძამაოხსინდოდ, მამას შეეძლო მისთვის მათრახით ეცენმა“ (ტ. IV, გვ. 76). ყმანვილ კაცს უზრდევლობად ჩათვლებოდა ხელების უკან დაწყობაც და „აგრეთვე ჯოხის დაჭერა ხელში, გამაჰკუთრებით ლამაზი ჯოხის, არ შეიძლება. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოხუცს გამოეროშია ჯოხი და დაერტყა პატრონისათვის“ (ტ. IV, გვ. 76).

ს. ჯანაშია ამ ფრაგმენტებს ისეთ ვითარებაში აფიქსირებდა, როდესაც მამა-პაპური ტანსაცმელი თითქმის ხმარებიდან გამოსული იყო და მას უმთავრესად მოხუცებულა ინარჩუნებდნენ. აღნიშნულის [დამადასტურებელია დღიურში ასახული ფაქტები. მაგალითად, ერთ-ერთი შაფსულის ოჯახში შეხვედრისა და საუბრის შესახებ ეკითხულობთ: „მოხუცი ძალიან სუფთად ცხოვრობს. სხვა სამკაულებთან ერთად ოჯახში უკიდია ჩოხა და ხანჯალი. ამ ტანსამოსს მე არასოდეს დავაგდებ, ეს

მეცვა დაბადებიდან და ამით უნდა მოვკვავდეთ. თავზე ბოხოხი ახურავს. მე ბევრი ქუდი მაქვს, წითელამრეცის და სხვა. მაგრამ ამას არ გადავადებო” (ტ. IV, გვ. 126).

ასე ფიქრობდა მოხუცი და ასეთი სიყვარული ცდილობდა ძველი კოსტიუმის შენარჩუნებას. მაგრამ დრო თავისას აკეთებდა. ყოფა-ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები ჩაცმა-დახურვასაც იერს უცვლიდა. რაც კარგადაა ნაჩვენები თვით ს. ჯანაშიას დღიურის ერთი ადგილიდანაც. შფუსულებს საზოგადოების ერთ-ერთ სოფელში, ვახშობის შემდეგ, ს. ჯანაშიას პატივსაცემად ჭიანჭრი დაუკრავთ და უმღერიათ. იქვე ერთ-ერთ ჩერქეზს მეორისათვის უთქვამს: „საჭიროა დროგამოშვებით კრასნოდარში კონცერტები გამართოთ, იქ ბევრია ჩერქეზი“. ამაზე მეორეს უპასუხნია: „იქ ბევრია ჩერქეზი, მაგრამ ძნელია გამოცნობა, ვინ არის ჩერქეზი და ვინ არა. ეხლა ფორმას (ჩერქეზ. ტანისამოსს) აღარ ატარებენო“ (ტ. IV, გვ. 69).

ამ დიპლომიდან აშკარად ჩანს, რომ „ფორმად“ სახელდებული ეროვნული ჩერქეზული ტანსაცმელი ს. ჯანაშიას იქ ყოფნის დროს ხმარებიდან გამოშლილი ყოფილა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ტრადიციული მატერიალური კულტურის სფეროდან უკვე ამოვარდნილი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური თავისებურებისა და თვითყოფადობის ერთ-ერთი ელემენტი. ამას განსაკუთრებით განიცდიდნენ ტრადიციული ცხოვრების მომხრენი, რომელთაც საერთოდ ანუხეზდათ ეროვნული კულტურისა და მშობლიური ენის დაკარგვის საშიშროება. ს. ჯანაშიასთან საუბარში მათ უთქვამთ, რომ ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ენისა და „ძირის“ ანუ „ფესვის“ შენარჩუნება (ტ. IV, გვ. 125). მათი გაგებით კი ძირი ანუ ფესვი იყო ადგილობრივი ტრადიცია, ყოფა და კულტურა, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს ეროვნული კოსტიუმიც შეადგენდა.

ისევე როგორც ეროვნული კოსტიუმის, სახლ-კარისა და მისი შიდამოწყობილობის შესახებაც ს. ჯანაშია ცნობებს აფიქსირებდა მგზავრის შთაბეჭდილებათა სახით. დაგვეგმილი და გამიზნული აღწერილობა მას არ უწარმოებია. იგი ჩანანერს აკეთებდა უმთავრესად იმ სახლის შესახებ, სადაც სტუმრად იმყოფებოდა. ამის მაგა-

ლითად შეიძლება დავიმონწილო სოფ. ნართანში მიხრობელთან შეხვედრის ერთი ეპიზოდი: „მოხუცი ცხოვრების სოფლის გარეთ, ერთი ხევის ფლატოში გაუკეთებია მიწური. პანანა მიწურია. ერთს კუთხეში ტახტია გამართული, ზედ დოშაკი, დოშაკზე ნაბადი დაგველი, ბალიშო; იხურავს, როგორც ჩანს, ქურქს. მეორე კუთხეში პატარა თუნუქის წუმელი დგას“ (ტ. IV, გვ. 145).

ეთნოგრაფიული აღწერილობის ანალოგიურ ხერხს მიმართავდა მეცნიერი სხვა შემთხვევებშიც. ბზადულების აულში, სადაც აბაძახესა და შფუსულებსაც უცხოვრიათ, ს. ჯანაშიას დაუთვალეირებია სამზარეულო სახლი და დაინტერესებულა ინტერიერით. მისი ყურადღება მოუქცევია უმთავრესად ჩერქეზული სამზარეულო სახლის შიდამოწყობილობის ზოგიერთ მხარეს, რის შესახებაც წერს: „ვნახეთ ჩერქეზული სამზარეულო სახლი... კერა წარმოადგენს დატაკიანი ადგილს. აგურია დაგებული და ზედ მიწაა გადაგლეხილი. ამას ზემოდან დახურული აქვს დიდი მილი. საკმაოდ დაბლა ჩამოწეული, ქვევით თიხკუთხედი, ზემოთ მრგვალი და უფრო ვიწრო, მაგრამ მაინც საკმაოდ ფართო გასაავალი აქვს ბოლისა. მილი სწორია, და არა მრულე. გაკეთებულია დანწულად, და გაგლეხილია თიხით. კედლის მხრით პატარა ბარიერი აქვს ბუზრის თავივით, გალესილი აგური, ორნამენტით შემკული. ეს იმიტომ, რომ კედელი დაცული იქნას ცეცხლისაგანაო, რადგან კედელი გალესილია თიხით, გაცხლებულ თიხას კი შეუძლია ცეცხლი გაუჩინოს ხის ან წნელის კედელს“ (ტ. IV, გვ. 93).

ს. ჯანაშია იქვე გვაცნობს კერისპირას განლაგებულ ნივთებს და მათ დანიშნულებას. როგორც მან აღნიშნა, „კედელთან, იქვე კერასთან, გამართული იყო თიხისავე ტახტი, ძალიან დაბალი (3-4 ფერს), ზედ ეფნა ჭილობი; ეს ცეცხლის პირას საჯდომადო“. იქვე მდგარა დაბალი და მრგვალი სამფეხა მაგიდა. „ამაზე თურმე ღოჭს აგებენ შუაში ყველასათვის ერთ გუნდად, ღოჭში აკეთებენ სიღრმეს, რომელიც ასხამენ წვეს (ქათმისას). თუ ასეთი სადილად აქვთ. იქვე კერასთან გაკეთებულია პურის საცხობი ფურნე“ (ტ. IV, გვ. 93-94).

სტუმრად მყოფ მეცნიერს კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა მისცემია გასცნობოდა როგორც საცხოვრებელი ნაგებობის კომპლექსში სასტუმროდ განკუთ-

ენილ ოთახს, ისე ამავე დანიშნულების მქონე იზოლირებულად მდგარ ნაგებობა-საც. ადიღეში შესვლისთანავე მან გავარკვია, რომ სტუმრის მისაღებს ერქვა „ჰაჭაჰ“, რაც მომდინარეობს სტუმრის ადგილობრივი სახელწოდებიდან („ჰაჭა“). ადიღეში, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიაში საერთოდ, სასტუმრო სახლი (ოთახი) ანუ საყონალო საყოფელთად გავრცელებული სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციის მატერიალურ გამოხატულებას, სტუმართმოყვარეობის ატრიბუტს წარმოადგენდა. ს. ჯანაშიამ თავის თავზე გამოსცნა ადიღელთა გულთბივი სტუმართმოყვარეობა და განცდილის აღწერასთან ერთად სასტუმროს ზოგიერთ მხარესაც ყურადღება მიაქცია.

ს. ჯანაშიას დაკვირვებით, სტუმრის მისაღებად უფრო მეტად იყენებდნენ ეზოში მდგარ საყონალოს, რომელიც ჩვეულებისამებრ ერთკამერიან იზოლირებულ ნაგებობას წარმოადგენდა. ერთ-ერთი ასეთი სასტუმრო სახლი შავსულეების სოფელ აფიფსიფში, სადაც თვითონ ს. ჯანაშია მიიღეს, მის მიერ ასეა აღწერილი: „სასტუმრო სახლი ერთოთახიანია, მიწური. შუაში დიდი დახურული ღუმელია. კედლები დაბალია, თეთრად შეღესილი, ოღონდ იატაკთან მოსდევს მინისფერი ზოლი ერთი მტკაველის სიფართე. იატაკი დატკენილი მიწაა, ნათელი ზოლებით დაყოფილი უჯრედებად. სასტუმრო სახლის კარი ფართოდ ღია იყო, როცა მივედი. ოთახში იდგა ერთი ხის სარეცელი ზედ დაფენილი ჭილობითა და ბალიშით, ერთი მაგიდა გადაფარებული თეთრი სუფრით და რამდენიმე სკამი. კედელზე გამართულია ძალიან გრძელი ხის საკიდი ტანისამოსისათვის. სახლში იშვიათი სისუფთავეა. იატაკი დაგვილია, ისე რომ ნემსი არ დავიკარგება“ (ტ. IV, გვ. 63).

როგორც ჩანს, ის რაც ს. ჯანაშიამ ერთი საყონალოს აღწერაში აღნიშნა, დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ადიღეში გავრცელებული ამ ტიპისა და დანიშნულების მქონე ნაგებობისათვის საერთოდ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგი თავისებურების მიხედვით საყონალოებს შორის განსხვავებასაც უნდა ჰქონოდა ადგილი. განსხვავება შეინიშნებოდა თუნდაც

გადახურვის მიხედვით. თუ ზემოთ აღწერილი საყონალო მიწური იყო, ს. ჯანაშია მიუღიათ ლერწმით დახურულ საყონალოშიც (ტ. IV, გვ. 76).

ს. ჯანაშია ნამყოფი იყო არა მარტო ერთოთახიან იზოლირებულ ნაგებობაში, არამედ საცხოვრებელი სახლის სასტუმრო ოთახშიც. მისი ერთ-ერთი მასპინძლის ეზოში, რომელიც იქ თურმე სიმდიდრით გამოირჩეოდა, მრავალ სხვა შემობასთან ერთად, მდგარა აგურის სახლი, რომლის სასტუმრო ოთახში მისი ყურადღება მიუქცევია დად „სარეცელზე“ დაწყობილ თოვლივით ქათქათა ლოკინს (ტ. IV, გვ. 99).

ს. ჯანაშიას იქ ყოფნის დროს იზოლირებულად მდგარი ჰაჭაშების (საყონალოების) რაოდენობა შემცირებული იყო. 1929 წლის 14 მაისს ბზადულების სოფელ თლიუსთენეშაბლი-ში ამის ქესახებ მისთვის უთქვამთ: „ზოგიერთი რამ უკვე იცვლება, მაგალითად, „ჰაჭაშები“ ჩვენს სოფელში ახლა ცოტა არის. ნამდვილი ძველებური ჩერქეზული ჰაჭაში (საკომლო მთლიანი კერით და მიწის ტახტით) ერთადერთი იყო და ამ ერთი თვის წინათ დაანგრიესო“ (ტ. IV, გვ. 87-88).

ვინაიდან ტრადიციულად არსებული საყონალოების რაოდენობა მცირდებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მას თავისი დანიშნულებით ენაცვლებოდა სახლის შიგნით სასტუმროდ გამოყოფილი ოთახი. კანონზომიერ პროცესად წარმოგვიდგება იზოლირებული ერთკამერიანი ნაგებობიდან სასტუმროს გადანაცვლება საცხოვრებელ ნაგებობაში. თავისთავად ეს პროცესი სტუმარ-მასპინძლობის ადრინდელი მასშტაბების შემცირებისა და მამაპაპური ტრადიციების შესუსტების შედეგი უნდა ყოფილიყო.

ჰაჭაშების შემცირებასთან ერთად ცვილებებს განიცდიდნენ საცხოვრებელი ნაგებობანი საერთოდ. თანდათანობით მწყობრიდან გამოდიოდა ძველებური დგამ-ჭურჭელიც, სახლის მონეობილობაში ნელ-ნელა ადგილს იკავებდა ფაბრიკული ნაწარმი, მაგრამ ს. ჯანაშიას იქ მივლინების დროს საცხოვრებლის შიდამონეობილობაში მაინც მამაპაპური ინვენტარი ჭარბობდა. ეს მას საშუალებას აძლევდა უშუალო დაკვირვების საფუძველზე აღწერა ის, რაც მას სახლში შესვლისას ხვდებოდა. მკვლევარს არ უფიქრია სახლის აღწერაზე არქიტექტურული თვა-

ლსაზრისით. იგი არსად არ შეხებია მის გეგმას, ჭრილსა და ფაქტს. სასტუმრო ოთახისა და პაჭაშის მაგალითზე კარგად გამოჩნდა, რომ ს. ჯანაშია უფრო მეტად ყურადღებას აქცევდა ინტერიერს და მის აღწერასთან ერთად ეთნოგრაფის თვალთ აკვირდებოდა დღამ-ჭურჭელსაც. სხვადასხვა სახლში ყოფნისას მისი ყურადღება მიუქცევია სასადილოდ განკუთვნილ მაგიდას, სკამებს, ჭურჭელს, ლოგინს, ტუალეტს და ა.შ. მას იქ შეუნიშნავს როგორც ოთხკუთხედი, ისე მრგვალი მაგიდები, რომლებსაც ზოგჯერ სხვადასხვა დანიშნულება ჰქონიათ, ზოგჯერ კი მისი ფორმა საგნის ფუნქციის განმსაზღვრელი არ იყო. ერთ-ერთი შადსული ოჯახში იგი დაუსვამთ კედელთან მიდგმულ ოთხკუთხა სასტუმრო მაგიდასთან. მისივე დაკვირვებით, სასადილოდ იყენებდნენ, აგრეთვე, დაბალფეხიან მრგვალ ჩერქეზულ ტაბაკს. მეცნიერის იქ ყოფნის დროს ასეთ მაგიდაზე პური უჭმევიათ შემოსრებული მეზობლებისათვის, რომლებიც ჯორჯოებზე მისხდრან (ტ. IV, გვ. 76).

ს. ჯანაშია სხვა შემთხვევაშიც აღნიშნავს, რომ სტუმრისთვის განკუთვნილი მაგიდისაგან განსხვავებულ პაჭარა მაგიდას ან ტაბაკს მეზობლებისათვის იყენებდნენ. როგორც კი მას გაუშასპინდლდნენ, ამის შემდეგ მიხედეს იქ შემოსულ ოსს მეზობელს, რომლებსაც სავახშოდ მოშორებით პაჭარა ადგილობრივი ტაბაკი დაუდგეს (ტ. IV, გვ. 68).

ასეთი სამეფვა მაგიდები ს. ჯანაშიას აბაზეშიაც უნახავს (ტ. IV, გვ. 106), სადაც ის არა მარტო მეზობლებს გასამსპინდლებლად, არამედ სასტუმროდაც გამოიყენებოდა. თვით ს. ჯანაშია აღნიშნავს რომ მოხრობელთან საუბრისა და ხელების დაბანინების შემდეგ შემოიტანეს ჩერქეზული დაბალი მრგვალი მაგიდა და მის ირგვლივ სტუმრები ჯორჯოებზე დასხეს (ტ. IV, გვ. 111).

ს. ჯანაშია დაკვირვებია ავეჯის განლაგების პრინციპსაც, რამდენადაც ეს დაკვირვებული იყო ასაკობრივ-ფუნქციური მდგომარეობასთან. „ყველაზე საბატიო ადგილი ოთახში იქნება კარის პირდაპირ, სკამი ტახტსა და მაგიდას შორის; მეორე სკამი ამავე მაგიდასთან იქნება მომდევნო საბატიო ადგილი და ასე შემდეგ კარისაკენ. კართან ეს ყველაზე უკანასკნელი ადგილია, ახალგაზრდებისათვის. ტახტთან

იმიტომაც, რომ მოხუცი თუ დაიღვრა, შეიძლება ტახტზე გადადგეს“ (ტ. IV, გვ. 115).

მაგიდების, სკამებისა და ჯორჯოების განლაგება-დანიშნულებასთან ერთად, ს. ჯანაშიას სუფრის განყოფილებაში შეუნიშნავს ხის კოფეხ (სულილა და მანკის საჭმელად) და ჩანგალი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მამაპაპურ ჭურჭელთან ერთად ხმარებაში იყო შემოსული ქარხნული წესით დამზადებული ნივთებიც.

სახლის ღონისძიებებიდან ს. ჯანაშია ეხება ლოგინსაც და აღნიშნავს მის ხარისხიანობასა და სისუფთავეს, როგორც ადრეულთა სტუმართმოყვარეობის ერთ-ერთ ხელშესახებ ატრიბუტს. მისი დაკვირვებით, ასეთ ლოგინთან ერთად სასტუმრო ოთახში ყოველთვის მდგარა ტაშტი და წყლით სავსე კუმღანი (სპირიტმის ჭურჭელი). სხვათა შორის, იგი ყოველ ნაბიჯზე ამჩნევდა წყლით სავსე ჭურჭლის ფართოდ გამოყენებას. როგორც წესი, სტუმარს სახლში მიღებისთანავე და განსაკუთრებით კი ბურის ტამის წინ უსათუოდ ხელებს დააბანინებდნენ და მისადმი პატივისცემას შეხვედრისთანავე ამითი გამობახტავდნენ (ტ. IV, გვ. 64). სტუმარსადმი ყურადღება თავს იჩენდა ჰიგიენის დაცვის სხვა პირობების მიხედვითაც. სტუმარს რომ უხერხულა არ ეგრძნო, სასტუმრო ოთახთან ერთად საპირფარეოს დადგამაზეც კი საგანგებოდ ზრუნავდნენ. ამასთან დაკავშირებით, სასტუმრო ოთახის მოწყობილობის აღწერასთან ერთად, ს. ჯანაშია აღნიშნავს, რომ ოჯახი აკეთებდა მონწილსა და შიგნით თიხით შეღებილ ორ საპირფარეოს, რომელთაგან ერთი საოჯახოდ იყო განკუთვნილი, ხოლო მეორე — სასტუმროდ. ერთი კეთდებოდა საცხოვრებელ სახლთან, ხოლო მეორე — სასტუმრო სახლის უკან ისეთ ადგილას, რომ საცხოვრებელი სახლიდან არ გამოჩენილიყო (ტ. IV, გვ. 79).

ინტერიერისა და მისი მოწყობილობის აღწერისას ს. ჯანაშია ძირითადად ეყრდნობოდა სასტუმრო ოთახში მიღებულ შთაბეჭდილებებს. ამასთან ერთად, მკვლევარი ეხება მის ზოგიერთ სხვა მხარესაც. ამ მხრივ აღსანიშნავია სასტუმრო ოთახის დანიშნულება ქალ-ვაჟის რთოიერთობაში. ს. ჯანაშიამ გაარკვია, რომ ქალიშვილის მიერ სასურველი ვაჟის სასტუმრო ოთახში მიღება ადგილობრივ ჩვეულებად ითვლებოდა და სათანადო წესების შესრულებას იოვალისწინებდა. „ოთახში მარტო არიან

ქალ-ვაჟი. მხოლოდ მათი სკამები წინასწარ დანიშნულ ადგილას დგას. არც ერთი ოჯახის უფროსი წევრი ამ დროს პაჭაში, თუ ქალიშვილის ოთახში, არ შევა“ (ჭ. IV, გვ. 79). თავისი მოხრობლებისა და მეგზურების დამონებით ს. ჯანაშია იქვე უმატებს: „სკლამმა მიამბო, ასლანბეკიც ადასტურებს, რომ ქალიშვილებს თავიანთი ოთახი აქვთ, სადაც ისინი სტუმარს იღებენო. შეიძლება იქვე იყვნენ მხოლოდ ქალის უმცროსი და. თუ სტუმარი ღამით აპირებს დარჩენას, მხოლოდ მაშინ გამოევა ქალის მამა ან ძმა, ქალი კი ამ დროს დარბაზს ტოვებს“ (ჭ. IV, გვ. 80).

ეს ფაქტი თავისთავად არა მხოლოდ სასტუმრო ოთახის არსებობას ადასტურებს, არამედ იმასაც, რომ სასტუმრო ოთახი განკუთვნილი ყოფილა ქალიშვილისთვისაც; რომელიც სარგებლობდა სტუმრად მისული ვაჟის მიღების უფლებით. ოღონდ ყველა იმ წესების დაცვით, რაზეც ზემოთ იყო ნათქვამი.

საზოგადოებრივ ყოფაში განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებოდა პაჭაში (საყონალო), რამდენადაც იქ არა მარტო სტუმარს ღებულობდნენ, არამედ ერთობოდნენ კიდევაც. ს. ჯანაშია გვაცნობს გართობაში მონაწილეთა რაოდენობას და შემადგენლობას: „სიმღერებსა და ცეკვებსა და ცეკვებში, სიმღერისა და ცეკვის რეპერტუარს, მუსიკალურ საკრავებს და მათი გამოყენების წესებს.“

ჩანაწერიდან აშკარად ჩანს, რომ გართობაში მონაწილეობდნენ სოფელში ახალგაზრდები და ეს ღონისძიება სასოფლო მისსტაბისა იყო. აქ ერთი რომელიმე ოჯახის ინიციატივა არ ჩანს. ამდენად, საფიქრებელია, რომ საყონალოც, სადაც სოფლის ახალგაზრდები გართობის მიზნით იკრიბებოდნენ, სასოფლო უნდა ყოფილიყო. ამის შესახებ ს. ჯანაშიას არაფერი უთქვამს, მაგრამ მისი ცნობები საოჯახო სასტუმრო სახლის შესახებ გვაგულისხმებინებს მცირე გაბარჩების მქონე ნაგებობების არსებობას. 30 კაცის თავმოყრა, სიმღერა და მითუმეტეს ცეკვა კი საჭიროებდა მოზრდილ ფართობს, ე.ი. საოჯახო პაჭაშთან შედარებით დიდი მიცეულობის საყონალოს. ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ასეთი საყონალოები არსებულა ჩრდილო კავკასიის ყველა კუთხეში, მათ შორის ადიღეშიაც, სადაც ისეთი სტუმარი იველებოდა, რომელსაც სოფელში მასპინძელი არ ჰყავდა. ასეთი

სასოფლო საყონალოში გაჩერებული კაცი სოფლის სტუმრად ითვლებოდა და მას მთელი სოფელი მასპინძლობას უწევდა. სწორედ ამგვარ საყონალოში უნდა მომხდარიყო შაფსულების თავმოყრა, რაშიაც ს. ჯანაშიაც მონაწილეობდა. ასეთი შეკრების მიზანი უნდა ყოფილიყო არა მარტო ახალგაზრდობის გართობა, არამედ საპატიო სტუმრისადმი პატივისცემაც. ს. ჯანაშიას იქ ყოფნის დროს სოფლის მიერ ამ ღონისძიების ჩატარება და წინასწარი შეტყობინებით მისი მიწვევა, ნათქვამის დამადასტურებელია.

საცხოვრებელ ნაგებობათა ზოგი თავიშებურების აღწერასთან ერთად ჩრასაც სისრულის პრეტენზია არ გააჩნია. ს. ჯანაშია ასევე გაკვირით ეხება შაფსულურ სოფელს და დასავლეთ საქართველოს (სამეგრელოს, აფხაზეთის) სოფელთან მის მსგავსებას აღნიშნავს. ამის შესახებ მის დღიურში ვკითხულობთ: „სოფელი ძალიან მაგონებს აფხაზურს. არფელ-დარეული მიხვეულ-მოხვეული ორღობეები, ლობე მხოლოდ წნელის, ჭიშკარი მთლად ჩვენებური. საბაქელი, სასიმინდე, აკრეთვე დაწნული, ჩვენებურის მსგავსი, მხოლოდ სასიმინდე დაბალ ფეხებზე დგას. ეზო ყველას ფართო აქვს. ჭები ჩვენებური (მეგრული) წყლის ამოსაღები ბურკვით“ (ჭ. IV, გვ. 64).

ასეთია იმ მასალების შინაარსი, რასაც ს. ჯანაშია იწერდა ადიღელთა მატერიალური კულტურის სფეროდან. ეს მასალები აღნიშნული საკითხების კვლევისათვის შეიძლება საკმარისი არ იყოს. მაგრამ უსათუოდ გასათვალისწინებელია. თავისი ფრაგმენტულობის მიუხედავად, ამ ჩანაწერებს, პირველ რიგში, იმიტომ ენიჭება წყაროს მნიშვნელობა, რომ ცოცხალ ეთნოგრაფიულ ყოფაშია დეკლარებული და, თანაც, ს. ჯანაშიას მიერ, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობაში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების ფასი ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შესწავლისათვის. მასალები ადიღელთა მატერიალური კულტურის საკითხებზე, რაც მხოლოდ ერთი ნაწილია ს. ჯანაშიას მიერ ჩრდილო კავკასიაში შეკრებილი ფრიად საინტერესო ეთნოგრაფიული მასალებისა, მნიშვნელოვანი შესამატია ქართული ეთნოგრაფიული მცენიერებისათვის.

რწმენის ერთგულება

ირინა შელია

ანდრეი ტარკოვსკის ფილმების ემოციურ ზემოქმედებას განსაზღვრავს მათი იდეური და ზნეობრივი პრობლემების განუყრელი კავშირი ნანარჩობების ესთეტიკურ ამოცანებთან, რომელთა მიმართ რეჟისორის გამძაფრებული ყურადღება იძლევა მისი ფილმების ერთგვარ სირთულეზე მსჯელობის საბაბს. მაგრამ რეჟისორის სწრაფვა იქითკენ, რომ უმადლეს ესთეტიკურ ნორმებს აზიაროს ფართო მავსურებელი, შემოქმედის უფლებაა, რომელიც განსაზღვრავს კიდევაც მის პიროვნებას. ა. ტარკოვსკის ახალი ფილმი „სტალკერი“ ამის ნათელი დადასტურებაა.

შეიძლება თუ არა „სტალკერს“ ეკრანიზაცია ეწოდოს? ეს უფრო რეჟისორის ფიქრია არკადი და ბორის სტრუგაცკების ფანტასტიკური მოთხრობის „პიკნიკი გზის პირას“ თემაზე. ეს არის ფსიქოლოგიური ანალიზი ადამიანის ზნეობრივი სამყაროს მნიშვნელოვანი ასპექტებისა, უნატიფესი ნიუანსებისა და ეს ანალიზი შორს სცილდება დასახულ პრობლემას. რაც უფრო მეტად ეთვისები, უკვირდები ამ ფილმს, მით უფრო მეტად გრძნობ ჰარმონიულ შესაბამისობას სურათის აზრის ლოგიკასა და მისი მხატვრული სტილისტიკის ლოგიკას შორის.

მეცნიერებისა და ტექნიკის გრანდიოზული მიღწევები, რევოლუციები, ომები, მილიონობით ადამიანი ბრძოლის, კოლოსალური ინფორმაციის დაგროვების პროცესში, ადამიანთა სწრაფვა მოქმედებისა და აზროვნების თავისუფლების მოპოვებისაკენ, ხალხის იდეური და შემეცნებითი სიმნიფე, ცივილიზაციის პროგრესის ილუზორულობა, და ადამიანი... ადამიანის სული, ის ნათელი სხივი ადამიანში, რომელიც, „როგორც ყოველი ცოცხალი არსება, სუსტი და მოქნილი იბადება“.

მოთხრობის ავტორებმა ადამიანის სულის ამ სფეროს ზონა უწოდეს და მის არსებობას ფანტასტიკური მოვლენის ხასიათი მიანიჭეს. ა. ტარკოვსკი და ოპერატორი ა. კნიაჟინსკი სთავაზობენ მავსურებელს სრულიად რეალურ მოგზაურობას ზონაში, სადაც მთელი ატმოსფერო ადამიანის ყურადღების კონცენტრაციას ახდენს ფიქრზე საკუთარი „მეს“ ჭეშმარიტი არსის შესახებ.

... ზონაში, მინის ამ მონაკვეთზე უცნობი მეტეორიტის დაცემის შედეგად რომ წარმოიქმნა, გაჩნდა ოთახი, რომელშიც ადამიანს ნებისმიერი სურვილი უსრულდება. ოთახში მოხვედრა ადვილი როდია — ზონას საგულდაგულოდ იცავს ჟანდარმთა რაზმი. ეს ბუნებრივიცაა — ფილმის ერთ-ერთი გმირის სიტყვებით „კაცმა არ იცის, ვის რა სურვილი გაუჩნდება“; მაგრამ შეუძლებელია აუკრძალო ადამიანს სწრაფვა ჯერ კიდევ შეუცნობელის შეცნობისაკენ, რა ხიფათანაც არ უნდა იყოს ეს დაკავშირებული. ამასთან, ნებისმიერ აკრძალულ ადგილს ყოველთვის აღმოუჩნდება გზის

გამკვალავი — იმ ჯიშის კაცი, ვისთვისაც ყოველთვის გასაგებია ის, რაც სხვისთვის უცნაური და უჩვეულოა. ამ ზონაში ჰპოვებენ საკუთარ „მეს“ სტალკერად ნოდებელი არსებანი...

ზონა, რომელიც სტრუგაცკების მოთხრობაში ფანტასტიკურ პირობითობად გვევლინება, ფილმ „სტალკერი“ ყოველგვარ

იძლება გაეთიშო ამ ქვეყნის ყოველნამიერ ფუსფუსს და ყოველგვარი შიშისა და ეჭვის გარეშე ჩაიხედო საკუთარი გულისა და სულის იდუმალ კუნჭულებში. ფილმის იდეა ხომ მარტო ის არ არის, რომ გააზრებულ იქნას დასახული პრობლემა, არამედ ისიც, რომ დამკვიდრდეს აუცილებლობა ამ პრობლემამდე სწორი, საგულდაგულოდ



კინორეჟისორი ანდრე ტარკოვსკი და ოპერატორი ალექსანდრე კნიაჟინსკი ფილმ „სტალკერის“ გადაღების დროს.

ფანტასტიკურ აზრს მოკლებულ პრობლემათა ანალიზის ხილული პროცესის ფორმად იქცევა. ფილმის იდეა, მისი ლერძი მარტივია, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ყლერდეს ამგვარი განცხადება თანამედროვე სულიერ პრობლემათა მრავალმხრივობის მიმართ. მაგრამ ეს უზრალო იდეა ერთ-ერთი მთავარია ადამიანში, თუკი ის თავისი ყოფის არსზე დაფიქრებულა. და იმისთვის, რომ სიტყვიერი გამოხატულება მოუძებნო ამ იდეას, უნებლიედ მიჰყვები ფილმის სტილისტიკას, რომელიც თავისთავად, საკმაოდ ხანგრძლივი ეკრანული დროის მანძილზე, თანდათან ქმნის იმ სულიერი კლიმატის ატმოსფეროს, სადაც შე-

მოფიქრებული გზით მისვლისა, ესოდენ სახოვნად და მხატვრული დამაჯერებლობით რომ ვლინდება ზონისადმი სტალკერის (ა. კაიდანოვსკი) ფაქიზ დამოკიდებულებაში. მან ინტუიტურად შეიცნო ადამიანის სულსა და აზრებში სასიცოცხლო „ზონის“ არსებობის, ამქვეყნიური ყოფისათვის ბუნებისაგან ნაბოძები მთელი დროის მანძილზე გულისა და გონების სიცოცხლისა და მოქნილობის შენარჩუნების სურვილის მნიშვნელობა.

რა არის სტალკერი, როგორც ცნება, რაშია მისი ადამიანური და, გნებავთ, პროფესიული არსი? სტალკერის ცხოვრების ყოფითი, გარეგნული მხარე საქმეში ჩაუ-

ხედავ კაცს უღიმიამოდაც შეიძლება მოეჩვენოს: ამ ადამიანს, რომელმაც ცხოვრებაში ვერაფერს მიიღწია, ერთის მხრივ, საულისად, ღვთის გლახად აღიქვამენ, მეორეს მხრივ, კი ძალზე უცნაური ხელობის კაცად — იგი მეგზურობას უწევს სასონარკვეითი უკანასკნელი იმედის ილუზორულ სამყაროში, ამასთან, გარკვეულ საზღაურსაც იღებს ყოველი სხვა ხელობის წარმომადგენელთა მსგავსად. ადამიანი ეძებს თავის ადგილს მზისქვეშეთში და ყოველნაირად ცდილობს, რომ ეს ადგილი საიმედო იყოს, „ადამიანურზე, ძალიან ადამიანურზე“ ფიქრისთვის კი თითქმის არ სცდია. უმწიე შიში, ძრწოლა რწმენის, ზნეობრივი მომთხზვნელობის, სიკეთის უბრალო კანონების საყოველთაო მივიწყების წინაშე განსაზღვრავს სტალკერის ფსიქოლოგიურ სახეს. მოგონილ ზონაში მეგზურის პროფესია ამ მხატვრული სახის მხოლოდ გარეგანი მხარეა. მთელი აზრობრივი დატვირთვა ყოველი ცოცხალი არსების, საერთოდ ადამიანის რწმენის სურვილშია. სტალკერის რწმენის ეს წყურვილი გართულებულია კაცობრიობის სამწუხარო გამოცდილებით, გართულებულია, მაგრამ განადგურებული როდია. ბევრად უფრო ბედნიერი იყო დიდ კიხობ ღამანჩლი. ურყევი იყო მისი რწმენა და წარმოდგენები. მას ხომ ეჭვიც არ ეპარებოდა ქარის წისქვილებთან თავისი ბრძოლის სიმართლეში. სტალკერის კეთილშობილურ ზრახვებს, მის სურვილს იხოვს პიროვნება, რომელსაც ეყოფა ძალა საკუთარი თავის რწმენისა და კეთილი სანყისის უპირატესობის ურყეობისა, აფრთხობს შიში იმის წინაშე, რომ არ არსებობს ის, რის გარეშე თვით არსებობაც კარგავს აზრს.

სიფათით აღსავსე გზის შემდეგ სამნი აღწევენ მიზანს და იმ ალტიმული ოთახის ქარის ზღურბლთან ჩერდებიან. ფილმის სიუჟეტი და ფსიქოლოგიური ქარგა ამ სცენაში კულმინაციას აღწევს. მესსიერება მას უწვრილეს დეტალებამდე აღბეჭდავს. ამ სცენის თვით გრაფიკული ნახატიც მიმდინარე მოვლენების სწორუფლებიან, ცოცხალ მონაწილედ იქცევა. სტალკერი წამით მოწყდება თანამგზავრებს და მუსხმორთხმული კედელთან გაიჩინდება. იგი თითქოს იმ ლოცვას აგრძელებს, სასიფათო მოგზაურობის დასაწყისში რომ წარმოთქვა: „დე, აღსრულდეს ის, რაც ჩაფიქრებულია; დე, მათ ირწმუნონ. დე, დასცინონ საკუთარ

თავს, რამეთუ ის, რასაც ისინი ვნებას უწოდებენ, სულის ენერჯია კი არ არის, არამედ სულსა და გარე სამყაროს შორის ხასუნია მხოლოდ. და რაც მთავარია, დე გაუჩნდეთ საკუთარი თავის რწმენა...“ მთავარია ადამიანს ჰქონდეს საწუვარი ზრახვებისა და სურვილების სიკეთის რწმენა. ამ თითქოს მარტივ და ცხად სიტყვებშია სტალკერისა და მისი რთული და ბედნიერი მოწოდების არსი.

და დადგა დადამწყვეტი წითი. სტალკერი თანამგზავრებს ანდობს ოთახის საიდუმლოებას — ის თვით ამოიცნობს ყველაზე საწუვარ ქვეცობიერ სურვილებს, იმ სურვილებსაც კი, რაშიც ადამიანი საკუთარ თავსაც არ უტყვდება. რა სურვილებია ეს? რაა პიროვნების არსი, როგორია მისი ზრახვები — დიდი თუ უმნიშვნელო? ამას კაცი მხოლოდ ოთახიდან გამოსვლის შემდეგ გაიგებს, მაგრამ უკვე მომხდარს ველარ გამოასწორებს. დროსა და სივრცის მდორე, ნელ, წარმოუდგენლობამდე რეალურ დინებაში, სტალკერის აღსარების შემდეგ, თითქმის შეუმჩნეველად იცვლება პროფესორის გადანყვეტილება: ოთახის ზღურბლთან იგი აუჩქარებლად ხსნის სუმბარას. აღმოჩნდება, რომ პროფესორი არც კი აპირებდა ოთახში შესვლას — აქ ის იმისათვის მოდიოდა, რომ ოთახი გაენადგურებინა. მას რა მოხდა? რამ შეუშალა ხელი? რა არის ეს — გარდატეხა, რომელიც მოხდა სტალკერთან მისი შეჯახების შედეგად, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი თავგანწირულად ეცა პროფესორს, როგორც კი გაიგო ამ მომავდინებულ მქანჯის არსებობა? ან, იქნებ მეცნიერში გაიღვიძა რაღაც ადამიანურმა, როდესაც სტალკერის ნატანჯ თვალბეში ცრემლი დაინახა, იქნებ გადაედო ტკივილი ადამიანისა, რომელიც მიუსაფართა ერთადერთი იმედისთვის სასიკვდილო განაჩენის გაუქმებას ევედრებოდა: „ჩემსას მაინც ნუ წაშართმევთ! მე ისედაც წამართვეს ყველაფერი იქ — მაგთულუხლართების იქით. ყველაფერი ჩემი აქ არის, გესმით? აქ, ზონაში! ჩემი ბედნიერება, თავისუფლება, ღირსება — ყველაფერი აქ არის! აქ ხომ ჩემსავით უბედურები და განამებულები მოწყავს. მათ... აღარაფრის იმედი აქეთი მე შემიძლია მათი შველა! მათ ვერავინ ვერ უშველის, ვერავინ! მე კი, მე, ბინძური მწილი, მე ვუშველი მზად ვარ ბედნიერებისგან ვიტირო, რომ შველა შემიძლია! სულ ესაა! და მეტი არაფერი“

მინდა.“ — სამწუხაროდ, სტალკერის ეს სიტყვები არ განასაზღვრავს პროფესორის გადამწყვეტილებას. სამაგიეროდ განმსაზღვრელია ისინი სტალკერის მიერ მისი ერთ-ერთი თანამგზავრის ალქისათვის. ადამიანები იმდენად გათიშულები არიან ერთმანეთს, რომ არც კი შეხსენებ უნარი დაიჭირონ სულ მცირე, თითქმის ნამიერი, მაგრამ ძალზე ძვირფასი გაველეხა ერთმანეთს შორის ნათესაური მსგავსებისა სამყაროს, საკუთარი თავის, ერთმანეთის ალქმაში.

არც მწერალი დასთანხმდა ოთახის ზღურბლის გადაბიჯებას. რამ შეაჩერა, რამ შეაშინა ეს ადამიანი, რომელსაც შეიძლება უამრავი ნაკლი მოუძებნოს კაცმა, მაგრამ იმას ვერავინ უარყოფს, რომ მისი დამოკიდებულება საკუთარი პროფესიისა და საქმის მიმართ საღი და პატიოსანია.

მწერალი სასტიკად სცემს სტალკერს ზემოთ უკვე ნახუნებ სცენაში, როდესაც ის ცდილობს ყუმბარა გამოგლიჯოს პროფესორს, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ სტალკერის გვერდით ჩამოჯდება და ხელს გადახვევს — ცემის სახეცალოდ სტალკერი ხელს მიაშველებს მწერალს, როდესაც ის კარის ზღურბლს ნაპოპრავს ფეხს და ამით ოთახში შევარდნისაგან იხსნის. „არ შევალ იმ შენს ოთახში. არ მინდა, ის სიბინძურე, ჩემში რომ დაგროვებულა, ვინმეს დაეთხას თავზე, თუნდაც შენს თავზე...“ მაშ, არ აკავეს ერთადერთი გადამწყვეტი ნაბიჯისაგან იმათ, ვისაც ამდენი ფათურაკისა და განსაცდელის შემდეგ აქამდე მოუღწევია? შიში დაანთხოინა ადამიანებს „ის სიბინძურე, რომელიც სულში დაგროვებულა“, ან იქნებ შიში იმისა, რომ ქვეცნობიერება მოისურვებს გამოუწნაობებელ ბოროტებას, ყოფილი სტალკერის „მაჩვლარბას“ მსგავსად? მაჩვლარბამ დაარღვრა დებულება, რომლის თანახმადაც სტალკერს ეკრძალებოდა ზონაში ანგარებიანი მიზნით შესვლა. მან გაბედა ოთახში შესვლა, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ერთი რამ სურს ამქვეყნად — სიმდიდრე და ამაში, მისი აზრით, არავითარი ცოფა არ იყო. მან თავისი მიიღო, მაგრამ რა ფასად? დაიღუპა მისი ძმა — პოეტი, რომელიც ხორცსაკებად წოდებულმა ხაფანგმა გადასანსლა. ან იქნებ „მაჩვლარბას“ ყველაზე სანუკვარი ოცნება ახდა?

შესანიშნავია ფილმის ერთ-ერთი ბოლო ეპიზოდი: სტალკერს ცოლი (ა. ფრინდლინი) ანუგეშებს, აწყნარებს მისი უკანასკნელ

ლი კრახის შემდეგ, როდესაც იგი სასოწარ-კვეთილი ნაშრომებზე: „არავის არ სჯერა. მარტო ამ ორს კი არა, არავის ვინღა წაიყვანო — იქ? ღმერთო, ღმერთო, აღარავის არ წაყვები იქ...“ ამ მწარე სიტყვების პასუხად ცოლი სრულიად მშვიდად სთავაზობს: „...გინდა, იქ მე წამოგყვები?“ და სტალკერისათვის ამ თითქმის ანაზღაურად წარმოთქმული სიტყვების უღივად მინიშნელობას ხაზს უსვამს მისი განწირული ყვირილი: „არა, არა ...ვაითუ, შენც არაფერი გამოგივიდეს... არაფერი გამოგივიდეს“. ვაითუ შენც არაფერი გამოგივიდეს! — ალბათ მთელ ფილმში ეს ერთადერთი სიტყვებია, რომლებიც მთელი სიღრმით წარმოაჩენენ ტრაგიზმს თვით სტალკერისა და იმ პასუხისა კითხვაზე, რომელსაც სტალკერს უსვამს არა მარტო მწერალი, არამედ მაყურებელიც: თვით სტალკერი რატომ არ შედის ოთახში? ის, რომ სტალკერის ეკრანზეა ზონაში შესვლა ანგარებიანი მიზნით, არ არის დაბაჯრებელი პასუხი ამ რთულსა და მტიკინველ კითხვაზე. ეს პასუხი მხოლოდ მალეგრძელდება და გულუბრყვილოს თუ დაკამყაოფილებს და თითქოს არღვევს კიდევ ფილმის იდეის ლოგიკას. ამ პრობლემის გადაჭრა ანუ დასმულ კითხვებზე ნებისმიერად უპასუხაო პასუხი დაბარდევდა იმ აშკარა სიმართლეს, რომელიც ესოდენ დამაჯერებელ ხდის ადამიანის ბუნების ნატივ ფსიქოლოგიურ ანალიზს ფილმში. გარეგნულად გმირის მისია კრახს განიცდის. ტარკოვსკის ფილმის სტალკერული (თუ შეიძლება ვიხმაროთ ასეთი ტერმინი) იდეა იმარჯვებს — ის კარგად დროით ჩაითრევს მაყურებელს იმ ფიქრის, იმ ზნეობრივი პრობლემების რეალში, რომელთა მიმართ რეჟისორის ინტერესი განსაზღვრავს სტალკერის არსსაც და ფილმის იდეასაც. და განა მარტო ფილმისა? თუ მხატვრის მსოფლმხედველური პოზიციისა იმ სიტუაციაში, როდესაც პიროვნების ზნეობრივ კრიტერიუმს გამოცდა ელის, არა მარტო მორალურ ურყევობაში, არამედ ადამიანთა სამყაროსთან მრავალრიცხოვან მიმართებებში.

დოსტოევსკის ერთ-ერთ უკანასკნელ რომანში არის სიტყვები, რომლებიც ითქვა სულ სხვა რამის გამო და სულ სხვა კავშირში. ამ სიტყვებს მოაქვს უსასრულოდ მრავალწახანგოვანი აზრი ცოცხალი ადამიანისათვის აუცილებელ წყურვილზე ეჭივდება და პიოვებდეს ზნეობრივ საყრდენს

„იმ ჯიშის არსებაში“, თავად რომ განეკუთვნება. ეს სიტყვები განსაკუთრებულს თითქოს არაფერს შეიცავს, მაგრამ ჩაუკვირდეთ, მივუვადით მათ ყური: „Я преисполнен мыслями о вашем совершенстве“. ეს არის და ეს. იმისათვის, რომ დიჯეროს უმაღლეს იდეურ მითხონილებამდე საკუთარი ზნეობრივი საწყისის მიახლოება მინც, სტალკერმა, ე. ი. უბრალოდ, ადამიანმა, ზარატუსტრამ, ქრისტემ კი არა, უბრალოდ, ადამიანმა, რომელიც არ არის ჩართული სულიერი მექანიზაციის პროცესში — უნდა ჰპოვოს განძი — განიმსჭვალოს აზრით სხვა ცოცხალი არსების, უბრალოდ ადამიანის სრულყოფილებების შესახებ, დაიჯეროს, რომ არის შესაძლებლობა იხილოს გამარჯვება, რომელიც ვერ იტანს ვერავითარ ზნეობრივ კომპრომისს.

ერთი გაორებული არსების ორი „მეს“ საჩვენებლად ა. ტარკოვსკი არ მიმართავს ალგორითს. რეჟისორულ აზრს პიროვნების ასეთი ორპლანაინი ანალიზის შესახებ ფილმში ხორცი შესახა მსახიობთა შესანიშნავმა დუეტმა — ანატოლი სოლონიცინმა და ალექსანდრე კადანოვსკიმ. მწერალი და სტალკერი — ორი სრულიად განსხვავებული ადამიანი, რომელთაც ერთმანეთის მიმართ არავითარი სიმპათია არ გააჩნიათ და კაცმა რომ თქვას, არც რაიმე განსაკუთრებული მტრობაა მათ შორის, მხოლოდ გარეგნული მოქმედების პრინციპთა შეუსაბამობა. მაგრამ რაოდენ ნატიფადაა ჩანსული, რაოდენ ჰარმონიულადაა შეფარდებული ერთმანეთთან სტალკერის ჩუმი მორჩილება, რომელშიც გამოსჭვივის ურყევი ძალა, და მწერლის თავგუთვალეული ცინიზმი, რომელშიც უმწეობა მოსჩანს. სწორედ ამ გმირებს მოაქვთ ფილმის ძირითადი იდეა.

სურათის საერთო კომპოზიციამ ბუნებრივად და მოქნილადაა ჩანსული ამ ორი გმირის თავისებური და თითქოს იდუმალი სულიერი დაფებით სინქრონიზებული შინაგანი პლასტიკა და მისი გარეგანი ნახატი. ტემპარითი ხელოვნების ნაწარმოების აღქმისას მას ორი ასპექტით უფერადები — რა პრობლემას, რა იდეას ისახავს მხატვარი და რა საშუალებით წყვეტს დასახულ ამოცანას. ზემოთ შემთხვევით არ აღვნიშნეთ ფილმის იდეის ლოგიკის და მისი სტილისტიკის ლოგიკის შესაბამისობა. შეიძლება მიიღო ან არ მიიღო ასეთი სტილის-

ტიკა, უკუაგდო ლოგიკური მსჯელობის ასეთი გზა და მხატვრული პრინციპი, ან გაჰყვე მას, მაგრამ შეუძლებელია არ აღიარო მთლიანობა ფილმისა, რომელიც თითქოს ერთი ამოსუთქვითაა შექმნილი. თუკი მიემართავ მუსიკალურ ტერმინოლოგიას, ფილმის ფსიქოდელიკა თემის ნელი, ჩაღრმავებული განვითარება, დინამიკის ხაზგასმულად განწლილი არითმულიკის ატმოსფერო ფილმის შემადგენელ ელემენტთა იშვიათი ჰარმონიულობით იქმნება. რეჟისორისა და მხატვრის (ამ შემთხვევაში თვით ა. ტარკოვსკი) ხედვა განუყოფელი ოპერატორ ალექსანდრე კნიაჟინსკის ხედვისაგან, რომლის ნიჭიერმა ნამუშევარმა უდავოდ დიდი როლი შეასრულა ფილმის მთლიანი, ჰარმონიული ატმოსფეროსა და საერთო განწყობილების შექმნაში.

ამბობენ, ცდომილები და ვარსკვლავები ზოგჯერ იცვლიან ორბიტას და მასში სამყაროს გიგანტურ სივრცეში სფეროთა ოდნავ გასაგონი მუსიკა ფლუნსო. კომპოზიტორი ედუარდ არტემოვი თითქოს ეძებს მის გამომხილს ზონაში, მის მისადაგობებთან, ადამიანის სულში, ზონა რომ ეზმანება.

ფილმის პოეტური მომხიბვლელობა იწვევს არა მარტო აზრებისა და ემოციების დაძაბვას, არამედ ძაბვას ესთეტიკურ გრძნობებსაც. იმ მწვევ და სახიფათო სიტუაციების მორალური პერსპექტივა, რომელიც გმირებისაგან ზონაში მიმდინარე მოვლენებზე დაუყოვნებლივ რეაქციას მოითხოვს, გადანულია ნათელ ელემენტურ ჭვრეტასთან. და ძალა იმ სასწაულისა, რომელსაც ახდენს ავადმყოფი გოგონას მზერა, კრახზე ძლიერი. ესაა ძალა სასწაულისა, რომელსაც ჰქვია „აზრი სრულყოფილებაზე“...

მწვითარე და შეუქცევადია დროის დინება. დრო ყოფიერების, ბუნების, საგანთა, ადამიანთა საიდუმლოებებს ამოცინებს, ის წინ მიედინება... მაგრამ საით? ციცილიზაციის დალუპვისაკენ, აპოკალიფსისისაკენ თუ „სიხარულის ოდის“ ჰარმონიისაკენ? „მშვენიერება იხსნის სამყაროს...“ იხსნის კი? აუცილებელია, როგორც მინიმუმში, ეს გწამდეს და ამაღლებული ხელოვნების მოწოდებაა ამ წრწენის ძალა შემატოს. ანდრეი ტარკოვსკის ახალი ფილმი სწორედ ასეთი ხელოვნების ნაწარმოებია.

ნოდარ მგალობლიშვილი

ვასილ კიკნაძე

დღივი განძა პოეტური აქტიორული „აბიტუსი“. იგი ბუნების გულუხვი წყალობაა. ხშირად გაუცნობიერებელი ასეთი ბედნიერება, მხოლოდ მისი დაკარგვის შემდეგ ხდება შეცნობა დაკარგული ღირებულებისა. მიშვებულობა და უგულისყურობა ან ზედმეტი დანდობა მასზე — ამ დიდი სიკეთის გაუფასურებით მთავრდება, მაგრამ არის წუთები, როდესაც ინსტინქტი, გამოცდილება თუ გონება რაღაც უცნაურ ძალას იკრებს და ერთბაშად თვისობრივად ახალ ხარისხში გადაჰყავს ბუნებით ნაკურთხი ის პოეტური აქტიორული „აბიტუსი“. ამ მომენტიდან ჩვენ მოწმე ვხდებით ახალი აქტიორული აღმოჩენისა. ერთი აღმანიით იმატებს კაცობრიობა. ეს სულ სხვა ნამატია, სულის წიაღიდან დაბადებულთა და მის სულ სხვაგვარი მნიშვნელობა აქვს. ასეთი აღმანიების სტატისტიკა, მილიარდებსა და მილიონებს არ ითვლის, როგორსაც კაცობრიობის მოსახლეობა. ერთით მეტი დიდი მხატვრული სახე ისიც ქართულ ტელეეკრანზე, სადაც თითებზე ჩამოსათვლელია ამგვარი რამ, — მართლაცა დიდი სიკეთეა!

ჩვენ ვლაპარაკობთ ნოდარ მგალობლიშვილის თეიმურაზ ხევსთაზე („ჩაყის ხიზნები“ — თ. ჩხეიძის ბრწყინვალე რეჟისორული გადაწყვეტით!). ტელეეკრანიდან ჩვენს შერქვეშ შემოვიდა ადამიანი, რომელსაც თითქოს არსად არ დავდგომება, რაკი უფრო წარსულს ეკუთვნის, ვიდრე დღევანდელ დღეს.

არც სასურველი სტუმარია, მაგრამ მაინც მოვიდა და რა საოცარი ძალით ააფორიაქა ადამიანთა სულები. ამ თითქოსდა უკონფლიქტო ბუნების კაცმა აზრთა ჭიდილი, ვნებათა ლღვა და ერთობ დრამატული პერიპეტეიებიც წარმოქმნა. ერთნი შეამფოთა, მეორენი ჩააფიქრა.

მართლაც გამაოგნებელია ნ. მგალობლიშვილის თეიმურაზის გულახდილობა. იშვიათად თუ ვინმეს უცხოვრია ეკრანზე ასე უნილბოდ ყოველგვარ სიტუაციაში!

ეკრანის პირველ კადრში ფიქსირებულია თეიმურაზის მოქუტუთი თვალის თანდათან ახელის პროცესი. სამყარო უცებ არ ირეკლება მისი თვალის სარკეში. თანდათანობით ათასი სურათებითა და ფერებით ივსება მისი თვალსაწიერი. ხედვის არეში ექცევა მთელი ცხოვრება, დრმა სოციალური პროცესები, ადამიანთა ხასიათები, ყოფითი კოლიზები. სწორედ თანდათან ხდება საჩინო ზნეობრივი დაქვეითება, შეგუება, სულოერისა და ზორციელის გათიშვა, თეიმურაზის მორალური კატეგორიების აბსტრაქტულობა. თვალის გახელა პირველი კადრია, თვალის დახუჭვა და ოდნავ ირონიული ღიმილი — უკანასკნელი. ადამიანის მთელი ცხოვრებაა განჩენილი ამ ორ წერტილს შორის. ხედვის არეში კი მოქცეულია არა მხოლოდ ჩაყისა და მარგოს ურთიერთობა, მათი გარემომცველი სამყარო, სოციალური ატმოსფეროს ზემოქმედება, არამედ უფრო სიღრმისეული, ადამიანის სულის

უფკრთის მთელი კიდევანი. სულის წიაღში ჩაფენილი ათასი შრე და ნიუანსი თითქოს კოდირებულია თეიმურაზის ხასიათის გენეტიკური თავისებურებაში. მსახიობი ესწრაფვის შეიკნოს მანამდე შეუცნობელი, ამოიკითხის ყოველი ნიუანსი და ეკრანული გარკვეულობა მიანიჭოს ყველაფერს. მართლაც, რა საოცარი სისადავე და სინათლე მიღწეული მის შესრულებაში, ნ. მგალობლიშვილი აღწევს ოსტატობის მწვერვალს, როცა საცებიო ქრება ნაკეთობის კვალი, როცა ვირტუოზულობას სახე პირველქმნილ უშუალობამდე დაჰყავს. აქ ყველაფერი ისეა, თითქოს თეიმურაზი პირდაპირ ცხოვრებიდან გადავიდა ეკრანზე და იქ აგრძელებს არცთუხსნის. საოცარი არტიკული სიმსუბუქეა მიღწეული, როგორ იავისუფლად ფლობს მსახიობი პლასტიკას, როგორ კარგად ატარებს კოსტუმს ერთმანეთს ვარჯიშის თაბრა და ტელეეკრანი, ერთმანეთს ავსებს და ქმნის რაღაც ახალ სინთეზს. რეჟისორის თ. ჩხეიძისა და ნ. მგალობლიშვილის თანახმობა მოიცავს ყველა დეტალს და იგი იგარანობა შემოქმედების მთელ პროცესში. დაუნდობელია ნ. მგალობლიშვილის რეალიზმის ძალა. ღრმა ფსიქოლოგიურ ნიუანსებზე აღმოცენებული სახე იმდენად ტყეაღია, რომ მნელა მასში ერთი რომელიმე მოტივის გამოყოფა. ეგების არც არის საჭირო ასეთი დანაწევრება. იგი რთული სტრუქტურის მთლიანობაა, სადაც ყველაფერი სულაერი შეწონასწორებისა და პარპონიულობის პრინციპს ემყარება. თავისი არსით კლასიკურია ნ. მგალობლიშვილის მხატვრული შედეგი. შინაგანისა და გარეგანის მთლიანობა გაუზნარავია უქანასკნელ ამოსუნთქვამდე, ყველაგან მნელა ამის მიღწევა, მაგრამ განსაკუთრებით თეიმურაზის სახის შექმნისა, თეიმურაზის მისწრაფებებისა და უხეში სინამდვილის შეპირისპირება თავისთავად ვარაუბისა და გახლეჩის მანიშნებელია.

რეჟისორი და მსახიობი ხასიათების რთულ მოძრაობაში და ურთიერთქმედებაში ზუსტად პოულობენ რიტმს. ეს არის საყრდენი წერტილი, თეიმურაზის ქცივის მთავარი ნიშნები ძალა. იმდენად მეტყობია და უკომპრომიოსო ნ. მგალობლიშვილის მხიბვლელ ცხოვრების რიტმი, ზოგჯერ ისე სულისშემუსხუთველია მისი შინაგანი მოწოდებები, იმდენად აქტიურ რეაქციას იწვევს ხასიათის პასუხი პოზიციკა, რომ სურვილი გებადება იყვარა, რათა როგორმე დასძლიო თეიმურაზის მთვლემარება.

მ. ჭავჭავაძის თეიმურაზს „უკიდურესა-

დკალსა და ხალხოსანს“ უწოდებს. თეიმურაზი „უშუალო ყველაფრით ნაზი და ლამაზი, ნატიფად ასხმული“ ადამიანია. მერე და როგორ არ ეგუდება ეს ყოველივე მის ნაკაცობას, მის უკიდურესობად დაშვებას? ზნეობრივი გადაგარება და მალევე იდელების ძიება დაუჭერებელის დავალებას, შეუირებელის შეგუებას უდრის. ამიტომ იგი შინაგანი კონფლიქტითა და დინამიკით არის სავსე. ეკრანზე ერთობ გაბედულად ფიქსირდება ჯავის სექსუალური ვახლებას, დემონსტრირება თეიმურაზის სარეცელზე და ეს შემზარავი, საღვინებისათვის თითქოს აუხსნელი მომენტის სრულად ამომვლენს თეიმურაზის სახეს. ეს ყველაფერი ასეა და ჩვენ არც უნდა გვინდოდეს თეიმურაზის პიროვნების ამ ბნელი საწყისების შემარბილებელი ტონების წარმოება, მაგრამ მხატვრული სახის ცხოვრება უფრო რთულ კომპლექსებს შეიცავს, უფრო ღრმა და დამოუკიდებელი პროცესები გააჩნია, ვიდრე ჩვენი (მკითხველისათვის მაყურებლის) სურვილებია. იგი ანგარიშს არ უწევს ჩვენს სიმპათიებს თუ ანტაპათიებს. მხატვრულ სახეს, თუ იგი ნამდვილია, თავისი ცხოვრების კანონზომიერება აქვს და სწორედ ასეთად წარმოგვიდგება ნ. მგალობლიშვილის თეიმურაზი. რამდენადაც უფრო გულწრფელია მსახიობის პერსონაჟი, მით უფრო მეტია ჩვენი გაცუება, როგორ ბოლომდე ფერუცვლულად ინარჩუნებს იგი ამ გრძობას. მგალობლიშვილმა ზუსტად გაიგო თეიმურაზის გრძობათა ბუნება. იოვა გულწრფელი მოტივი მის გამოსახატავად.

ს. ზაქარაიძე ამბობდა: თეორი რაში იშვიათად ჩამოიჭოლებს ხოლმე მსახიობის წინ, მაგრამ თუ ჩამოიჭოლა, უნდა მოასწრო შეხტობა, თორემ მეორედ აღარ გამოივლის. ნ. მგალობლიშვილსაც ჩამოეჭოლა თეორი რაშმა და მხედარიც ღირსეულად დახვდა. ეს არის სწორედ ის ამაღლების ძალა, ეან-ლუე ბარო რომ ამბობდა:

„მედნიერია, ვინც ფრთებს მოიჭნევს, ან ცის ღუფარდში ვინც აიჭრება“

„არტიკული ფრთების“ მარჯვედ მოქნევა მუდამ იშვიათი ხილი იყო ხოლმე და ასეა დღესაც. ნუ დავეჭურება ეპითეტები, როცა გამამხნეველები ქაჩი დაექროლებს ქართულ სცენასა თუ ეკრანს. ქარს გაბედულად მიიჭებს ათასი შტამპი, გზას უწმენდს სიახლეს. ეს განმანახლებელი მოძრაობა წარმოქმნის

ახალ სულოვრ ენერჯის, აფართოვებს არტისტების მავანტურ ველს. იმდენად დიდია ერთი წარმატების აფეთქების იალა, რომ სხვა როლებსაც ვადასწევდება ხოლმე იგი. რალაც განსხვავებულ ფერსა სქესს „მეველ სხვებსაც“.

წერილის დასაწყისში ვთქვით, რომ დიდი მადლიაო პოეტური არტისტული „აბიტუსი“. სწორედ ასეთ სკეიტეს ფლბს ნ. მგალობლიშვილი. მსახიობის არტისტულ ცხოვრებაში ამ თვისების უცნაური გაუჩინარებაც მინახავს და გამოინათვლა. აქ არაფერი არ არის მოუღონელი. შემოქმედებაში წარმატება და წარმატებლობა ერთი მედლის ორი მხარეა. ნ. მგალობლიშვილის ერთი რეგია და მეორეც. მაგრამ სულ სხვა ის სიმძლე, რომელსაც მან თეიმურაზ ხევისთავის შესრულებაში მიადწია. ტოტალური რეჟისორული აზროვნების დროს, სადაც ყველაფერი მის გონებასა და ემოციას ემორჩილება, მგალობლიშვილიან დაკულა „არტისტული ხელშეუხებლობა“, როგორც ათასწლოვანი მემკვიდრეობითი უფლება. მოხდა საინტერესო ურთიერთგაგება რეჟისორისა და მსახიობის შორის. მათ შეძლეს თავიანთი „მესა“ და უფლებების ზუსტი მოსაზღვრა. აქ ისინი დარჩნენ „მარად ძველი“ და „მარად ახალი“.

ერთ-ერთ რეპეტიციებზე ახმეტელმა თქვა: მომავალი თეატრის ძიებანი როგორც არ უნდა იყოს, მაინც იქნება ძიება პრობლემებისა, არტისტული ექსტრისა და რიტმისა, რიტმია ყველაფრის ორგანიზატორი. რიტმია მასუბრებისა და თეატრის დამაკავშირებელი, რათა ზუსტად გადაეცეს ნაძიებარი პრობლემა. „ჯაყოს ხიზნები“ თითქმის დიდი რეჟისორის ნააზრევის თავისებური გამოართლებაა არის. თანადროული პრობლემის ძიებას შესაბამისი ექსტი აქვს მოძებნილი, რიტმი კი მართლაც აერთიებს მთელ სურათს. რიტმული მონაცვლეობა ქმნის მრავალფეროვნებას. კადრები, ცალკეული ეპიზოდები, სხვადასხვა პლანები რიტმულად ისეა დიდფერენცირებული, რომ განწყობილებისა და პლასტიკური ხატის საოცარ განსხვავებულობას ქმნის. ამასთანავე მოტრის გუმუნნივით როგორ ძლიერად ისმის რიტმის ერთიანი დინება მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ნ. მგალობლიშვილის თეიმურაზის პოეტური საწყისის პრობლემას. მართალია მწერალმა თეიმურაზს „ლაშაზი და ნატოვად ასმული“ უწოდა, მაგრამ ეკრანზე მისი ასეთად წარმოიჩინა ხომ არ შეაბრბლებდა თეიმურაზის მხილების ძალას? ზედმეტად ხომ არ აღძრავდა მასურების სიმათათის, (რამეთუ მას უყვარს სილამაზის ჰერტა?) ათასგვარ კითხვებს აღვიძებს თეიმურაზ ხევისპირელის სახე. კითხვების რიგი კი სრულიადაც არ შეუმცირებია ნ. მგა-

ლობლიშვილის შესრულებას. მასურებელს მან ბევრი საფიქრალი და სადღეიღარაბო დაუტოვა.

ნ. მგალობლიშვილი ინტელიგენტა ტაბის მსახიობია. იგი უარყოფითი გმირების შესრულების დროს ერთობ არბოებს მეტს, ცდილობს მოძებნის რალაც ნათელი საწყისი, ბნელშიც იპოვოს ადამიანური ვადარჩენის იმედი, ეს მისი არტისტული პოზიციია, რომელიც მისსადე სხეულშია ჩასახლები (რაკი თავისი სხეულია რაღის მასალაც).

თეიმურაზს ფართოდ ვახელილი, ხან სულის სიღრმეში ჩასახედად ჩაბრუნებული ცისფერი თვლები აქვს. იგი ხშირად მეოცნებე ადამიანის, ფიქრებში ვარინდებული კაცის თვალბუბად იკითხება, ნ. მგალობლიშვილი არსად ხაზს არ უსვამს ამ თვისებას. ბუნებას ასეთად გაუჩენია და არც ეს უყვარს მის თეიმურაზს, ისე, როგორც ბევრი უსამართლობა ამეყუანდა, მორჩილება და უცნაური უკომპრომისობა, როგორც შეუთავსებელი შეთავსებასა ჰვავს. სადაც კი ნ. მგალობლიშვილის თეიმურაზი გამოჩნდება, ყველგან სვედიანი ინტონაცია იჩენს თავს. რისგან არის ამდენი სვედა მგალობლიშვილის თვლებში ჩასახლები? ეს მართო თეიმურაზის როლში რაღია. რალაც ნოსტალიგიური არის მის ოსკალდში, მის როლევეში („ასა წლის შემდეგ“), მის ტაბისში (ჩაბეკის „დედა“) და კიდევ სხვა როლებში, და ეს მაშინ, როცა მათ თითქმის არაფერი აქვთ საერთო. იქნებ რალაც შორეული საერთო სათავეებში დაიბნედა შეიღობოდეს, უფრო ფსიქოლოგიურ სფეროში, მაგრამ ეს მაინც თეორიული ასსტრაქტია. აქ კი ერთი მსახიობის „ჰურჭკლიდან“ გადმოიღინდა სული და მათ თვალბუბო არავად იკითხება მათი შემქმნელის სვედიანი მზერა. ჩანს ერთობ საცინური იყო თ. ჩხეიძისათვის ოსკალდის ვახსენება, როცა თეიმურაზის როლზე მიიწვია ნ. მგალობლიშვილი. ნ. მგალობლიშვილის ოსკალდის წარმატება ხედა. სცენის კორიფეების (ვ. ანჯაფარიძე, ა. ევასაძე) გვერდით გამოსვლა სამედამოდ დარჩება მისი ბიოგრაფიის დაუვერწყარ ფაქტად.

ეკრანზე არა იშვიათად დღეს ნ. მგალობლიშვილის თეიმურაზი. ჯაყოს და მარგოს (რომლებსაც წარმატებით ასრულებენ ა. მახარაძე და ნ. ფაჩუაშვილი) თვებრულამხვევ აქტიურობას მომწესველი სიღინჯითა და პასიურობით ხედედა თეიმურაზი. მღუბარება მისი სავსეა აზრით, მოქმედებით და ეს მღუბარება ებრძვის დროს. იმ დაუნდობივად დროს, რომელიც ჩვენს თვალწინ, ერთ წამში, მომავალს წარსულის მოგონებად აქცევს. (ყან-ლუი ბარო). თვალის პირველ ახელიდან რამდენიმე წუთი ვაკიდა და აი, უკვე თეიმურაზისათვის

მოგონებად იქცა მარგოსთან გატარებული ბედნიერი დრო, თეიმურაზს არ შეუძლია შეაჩეროს ეს დრო, რომელიც უცნაური ძალით ათამაშებს მას თავის ნებაზე. იგი ბრძოლისა და მოქმედებისთვის არ გაუჩინია ღმერთს. ცხოვრება კი მოქმედება და ბრძოლაა. ავი დასავა კიდევ დრომ, რაკი ვერ გავუგო მის არსს.

ნ. მგალობლიშვილის თეიმურაზი ეკრანზე გაივლის დიდსა და მძიმე გზას. სახეშეცვლილი, „უშუბო ყვავილივით“ ფერმკრთალი და უშუქო დვას დიდი აუდიტორიის (ცხოვრების) წინ. იგი სევდიანი ღიმილით ეთხოვება დროს,

კა ლირიკულ საწყისს ემყარება. ფაქრად ნიუნსირებული ფსიქოლოგიური დეტალები უფრო მეტად თბილსა და მსუბუქ ფერებში გამოიკვეთა. მსახიობის ბუნება ვერ ეგუება მქუხარე, რატორულ პლასტებს. მისთვის უცხოა სამყაროს პათეტიკური აღქმა.

ჭგუფში, სადაც (თეატრალურ ინსტიტუტში) იგი სწავლობდა, სულ სხვადასხვა ბუნების უახულები იყვნენ. ხასიათების განსხვავებულობა ყველა ჭგუფის სტუდენტებშია და თითქოს ამამე ვასაკვირიც არაფერია, მაგრამ როდესაც საქმე მსახიობებს ეხება, მაინც სხვა-



თეიმურაზი — ნ. მგალობლიშვილი, ჯაკო — ა. მახარაძე („ჯაკოს ხინები“)

რომელმაც თან გაიყოლა, მაგრამ დროშივე რჩება მისი კვალი.

თეიმურაზის როლის შესრულება ესთეტიკურად ღირებულია. იგი ლაბიარტული და უადრესად დახვეწილია, სტილისტურად მთლიანია, პარამონიულია, არაფერი ზედმეტი აქ არ არის და არც არაფერი რჩება დასამატებელი. ასეთი შესრულება დაამუშვენებს ნებისმიერი ქვეყნის ეკრანს, და იქნება მაგალითი თანამედროვე დიდი არტისტული წარმატებისა.

ნ. მგალობლიშვილის აქტიორული ლექსი-

გვარ ელფერს იძენს მათი თვისების სხვადასხვაობა. ოცდახუთი წლის შემდეგ უფრო ნათლად ჩანს თითოეულის თვითმყოფადი ბუნება. მათი ცხოვრება ისე წვეიდა, რომ უმრავლესობის ბედი მარჯანიშვილის თეატრს დაუკავშირდა. გ. ლორთქიფანიძის თავკაცობით ერთად დაიწყეს რუსთავეში ახალი თეატრის დაფუძნება. როგორი რწმენით და რომანტიკული გატაცებით აშენებდნენ თეატრს. რა უცებ მოიპოვა თეატრმა სახელი. ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობთა დიდმა ჭგუფმა მოი-

ყარა თავი და ეს უკვე თავდები იყო წარმატებისა. ნიჰთან ერთად თანამოაზრობა, გატაცება, შრომა, ახლის ძიება. — სხვა რაღა უნდა თეატრის!...

ნ. მგალობლიშვილის თაობას თითქმის ათ წელზე ცოტა მეტე ხნის ბიოგრაფია ჰქონდა, რუსთავის თეატრში რომ დაიწყეს მოღვაწეობა. ეს ოსტატობის გზის დასაწყისია, შესაძლებლობების სრული მოსიწვევა, გამამხნეველი იმედების ჭამბო. პოდა, დიდი იმედით დაიწყო ნ. მგალობლიშვილმაც რუსთავის თეატრში ცხოვრება. ვაგრაძელმა მისი არტისტული ბიოგრაფია. როლს როლი შეემატა და ასე მოირაკარსავე მისი რეპერტუარისა. ერთობ მოკრძალებული იყო მსახიობის წვლილი, მაგრამ თეატრში მას ჰქონდა თავისი ადგილი. ადგილი სათქმელია — „თავისი ადგილიო“, რამდენი შრომა და ბრძოლაა საჭირო, რომ ხელოვნებაში შენი ადგილი იპოვო. ზოგჯერ მთელი სიცოცხლეც არ ემარა ამისათვის. ნ. მგალობლიშვილი მაინც არ იყო კმაყოფილი. იგი ესწრაფოდა თავისი უფლებების გაფართოებას. შინაგანი სამყაროს უკეთ გადმოცემის ბუნებრივი წადილი მასში აღძრავდა ახალ იმპულსს. ერთხანს თეატრის დირექტორის როლის შესრულებაც მოუხდა. მე პირადად მსახიობის (როცა ის ნიჰიერი) დირექტორობას მისი ერთი პატარა ეპიზოდური როლი მირჩევნია. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას: ავ. ხორავას შემოქმედებას ბევრი დრო წაართვა დირექტორის პოსტმა. ამ ღვთა-

ებრივი მონაცემების მსახიობს ერთ დღეც არ უნდა დაჰკარგოდა ადმინისტრაციული საქმეებისათვის. მეტად ეფემერულია მორალური კომპენსაცია, რომელსაც ვაზრდული უფლებების შედეგად იღებს მსახიობი. იქნებ, ს. ზაქარაიძეს ერთხანს ეცოცხლა კიდევ, უდიდესი ენერჯია რომ არ წაეღო დირექტორის პოსტი. რამდენჯერ შემოუჩივლია — როლს ვეღარ ვთამაშობო. იშვიათად თამაშობდა ახალ როლებს ავ. ხორავაც. ა. ვასაძე იგონებს: „ააკვი უმეტესად არ იყო თეატრში, ვერ იცლიდა. გრძელდებოდა მისი დაუმთავრებელი მივიღინებები... ვინ მოსთელის რამდენ საქმეზე უხდებოდა სირბილი იმ საზოგადოებრივ დატვირთვასთან დაკავშირებით, რომელიც მას ჰქონდა დაკისრებული.“

და მაინც, მსახიობთა დიდი ნაწილი უცნაურის ძალით ესწრაფვის ადმინისტრაციულ კარიერას. ძნელი ასახსნელია რა კომპლექსი ჩნდება ამ დროს, რატომ იღვიძებს კოლეგებზე „მატრონობის“ ინსტინქტი, იქნებ, რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობაა ეს ყოველივე? ან იქნებ უფლებების გაფართოებისათვის ბრძოლაა. მახსოვს, როცა მარჯანიშვილის თეატრს გამოეყო ახალგაზრდობა, ვ. გომიანიშვილი მარწმუნებდა, რომ ახლა თეატრს მხოლოდ მისი დირექტორად დანიშვნა უშველიდა. როცა ვუპასუხე, რომ დიდ მსახიობს არ უნდა უნდოდეს დირექტორის თანამდებობა, გულწრფელად გოცნდა, როგორ? — აი ასე (მუშტი შეკრა) მკეყოლება მთელი თეატრი.

სცენა სპექტაკლიდან „მოჩენებანი“.
პასტორი მანდერსი — ა. ვასაძე, ოსვალდი — ნ. მგალობლიშვილი, ფრუ ალვინგი — ვ. ანჯაფარიძე.



თეატრში დისციპლინა მთავარი... ჩანს, ერთობ ნაცდუნებელია უფროსად გახდომის სურვილი. ვისთვის არის იგი უცხო? — არავისთვის. ყოველი მოკვდავი ეძებს კარიერას. ის კი არა, თვითონ შეფენიც უძღვევნი, რომელთ უმაღლეს ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება, შფოთვენ და დრტყინებენ და იტყვიან: „როდის იქნება, ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ ეს ასეა, და მაინც მახაზობისათვის „იმ სამეფოსაკენ“ ტოლღვა ახალი როლის ძიება უნდა იყოს. სხვა არა არის რა უფრო დიდი კარიერა, ვიდრე ახალი მხატვრული სახის შექმნა. მაგონდება, ერთხანს ნ. მგალობლიშვილიც აიყოლია ცდუნებამ, გამიზნუცენდა კიდეც, როცა მხარი არ დაუჭირე, მაგრამ არ ენანობ. ვინ იცის, რამდენი რამ მოაუღლებოდა მის არტისტიზმს, ცდუნებას რომ დიდხანს გაჰყოლოდა (რა თანამდებობა შეედრება მის თეიმურაზს?). ახლა სიამოვნებით ვიგონებ რუსთავის თეატრის სცენაზე შექმნილ მის ლე ბრეს („სირანო დე ბერჟერაკი“), მსახიობს („ფსკერზე“), ჩუდაკოსს („აბანო“), ოტტოს („ბანკ-ბანი“).



სცენა სპექტაკლიდან „პრემიერა“.

სცენა სპექტაკლიდან — „სირანო დე ბერჟერაკი“. ლე ბრე — ნ. მგალობლიშვილი, სირანო — თ. მელიქიანთუხუცესი, როქსანა — ქ. კიკნაძე.

დეკარისტების (კოროსტილიოვის „ასი წლის შემდეგ“, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე) „ცისფერი სისხლის“ პოეტური მეტაფორა საოცრად ზუსტად გამოხატავდა ნ. მგალობლიშვილის რილევეს სახეს. მსახიობი ქმნიდა ფიქტურში ჩამოზრული, მოაზროვნე კაცის პოეტურ გმირს. მაყურებელი მღელვარებით ადევნებდა თვალს რილევეის ცხოვრებას. მტანჯველი იყო მაყურებლის თვალწინ ცოცხალი არსების (ანუ რილევეის!) დაბადების ფარული პროცესი, გარდასახვა ხდებოდა შიგნიდან, მაგრამ ნ. მგალობლიშვილი არსად არ მიანიშნებდა ტანჯვისა და წვალების მომენტს. იგი აქაც ერთგული იყო თავისი ესთეტიკური პრინციპისა. არა ზიზღი და მხილება, არამედ აღმაიანური სიბრძნე და სევდა. რილევეის სახეს კარგად მიესადაგებოდა ეს ზოგადი მოდელი მგალობლიშვილის მოქალაქეობრივი პოზიციისა, „მეისადაგებოდათ“, ეს შეიძლება არც იყოთ ზუსტი სიტყვა. სწორედ რილევეის მოქალაქეობრივი პოზიციიდან გამომდინარე მსახიობიც და ორგანულად ერწყმოდა თავისთავს.



სცენა სპექტაკლიდან „გმირთა ვარიამი“. მეფე ალექსანდრე, კახთ ბატონი — თ. არჩვაძე, ერეკლე — ნ. მგალობლიშვილი.


ნიკოლოზ მეორესთან დაიხოვვის სცენა. გახლებული და მოჭნილი ტირანი ნიკოლოზი თ. მელიქიანთუხუცესი. „არტისტული მეწყერის“ (ლექსი „მეწყერი“, როგორც ტ ტაბიე ამბობდა!) მოზევეება მსახიობის სულში. პარი-სპირ დგანან სრულიად განსხვავებული მანერის მსახიობები — მელიქიანთუხუცესი და მგალობლიშვილი. თანამოზიარენი ახალი თეატრის მრწამსისა. ნიკოლოზისა და რილევეის როლებში განსახიერებელი მტრები. ბრძოლა არათანაბარ პირობებში წარიმართა. ნ. მგალო-





სცენა სპექტაკლიდან „ასი წლის შემდეგ“. რილევი — ნ. მგალობლიშვილი, გორინი — ი. უჩანეიშვილი.

სცენა სპექტაკლიდან „30 აგვისტო“. ენუქიძე — ტ. საყვარელიძე, პეტროვსკი — ქ. შონია, სვერდლოვი — ნ. მგალობლიშვილი.



ბლიშვილს ღიბნას არ მოუხდა თავის დაცვა. თითქოს ბელს შეგუებული იყო. ჩაკვდა მისი აქტივობა. დუმილში აზროვნებდა. ასეთი იყო მისი მოქმედების ფორმა. მაყურებელი კი თანაუგრძობდა მის აზრს.

მარჯანიშვილის თეატრში წარმატებით დაიდგა გორკის „ფსევრზე“. (რეჟ. ლ. იოსელიანი). ახალგაზრდა მსახიობთა ერთი ჯგუფი მონაწილეობდა სპექტაკლში. რამდენიმე წლის შემდეგ მათ გამოსვლა მოუხდათ გ. ლორთქიფანიძისა და ნ. გაჩავას ახალ სპექტაკლში. რუსთავეის თეატრის „ფსევრზე“ მოსკოვში თეატრის გასტროლების დროს აღიარებულ იქნა თეატრის საუკეთესო წარმოდგენად. აქაც „თავის ადგილი“ ჰქონდა ნ. მგალობლიშვილს. ანსამბლის გრანობა, წარმოდგენის საერთო მხატვრულ ქსოვილში ორგანული შენივთება მისი როლის ფართო ხედვის მანიშნებელი იყო. მთლიანობაში ხედავდა იგი სახესა და სპექტაკლს, თანაზიარობის პრინციპი უნარჩუნებდა მუდამ ტანტს. არსად არ არღვევდა საერთოს, სადაც ასე ვარგად იკითხებოდა ნ. მგალობლიშვილის გმირის მეც.

ცხოვრების ფსევრზე დაშვებული აღამიანების რომანტიკული იდეალები სინათლის სხივით მიაღწევდნენ წყვილას. ფრთების მოქნევა ეწადათ სპექტაკლის გმირებს. თითქოს ზმანებაში დაბადებულთა გაქცევა იყო, მაგრამ საით? ირგვლივ უკუნია, მხოლოდ ჩანდახან შემოიხედავს მზე, რათა წამიერად დანხედოს თავის შვილებს.

ნ. მგალობლიშვილის გმირები სიმაართლის სათქმელად არიან გაჩენილნი. სიმაართლის თქმა კი გმირობას უდრის, როცა ყველგან აღწევს სიცრუე და გაორება. მოვლენათა რიგი უცნაურო მექანიზმის ძალას იძენს, თავის ბორბლებში ითრეკს ყველას. ერთეულები აღწევენ თავს რაღაც ჯაღოსნური ხერხებით, რათა სხვები გააფრთხილოს გაექცნენ ცხოვრების ჯაღოსნურ წრეს. სიცრუე კი იზიდავს, სინათლის ძალას იძენს. ფარვანასვით მიისწრაფვიან მისკენ, რათა ფრთებით შეეხალონ და დაიღუპონ. ადამიანებს აღარ ჰყოფნით გაორება და სამსახეობას ცდილობენ, რთულ საფეხურზე გადასვლა უპაერო სივრცის გაძლებას ნიშნავს და ამასაც უძლებენ. საპიროა გონების გამაფრთხილებელი შეძახილი, რათა ეს გმირები გამოიყვანო ნიღბების კარნავალიდან სიმაართლის ხმა ისმის, ნ. მგალობლიშვილის გმირები სიმაართლეს დაღადებენ. როგორც ვთქვი, ეს ხმა არ არის მუქეპარე და ორატორული, იგი ნაზია და ინტელიგენტურად დატყეფილი. ხშირად არ ესმით მისი. ამაშია მისი დრამაც. მგალობლიშვილი კი ისწრაფვის გაკვაგებინოს თავისი გულისთქმა. როგორც კი ხმას აიმაღლებს. თავის ძალას ატანს, მისი სტილის ჯენტლმენურობაც

ირღვევა და ეგზალტაცია უხეშობაში გადადის... ასე დამართა მის გურამს („შთამომავლობა“), როცა მის უეტერო საქციელი უნდა ემხოლბინა, ნერვებმა უღალატა და რეალისტური შტრახები პათეტიკურად ახმაურდნენ. ბროლის არტისტული ცხოვრება საუეტეთსო წამები კი მინც ექ არის, როცა მგალობლი-შვილი — გურამი ბებიასთან საუბრობს, როცა მოგონებები იჭრება მის სულში. ერთდროულად ცხოვრობს რეალურსა და წარმოსახულს, ხილულსა და მოგონილს შორის. მისთვის მართლაც „ბინდისფერია სოფელი“, სინათლე აკლია მის არსებობას. ვერ აუხსნია, რით ჯოჯო სიცრუემართაბს, ადამიანები უფრო ადვილად რად იჭრებენ პირველს, ვიდრე მეორეს, რატომ არის ასე ძნელი სიმართლის თქმა? გურამს, რომ ტუტელი ვაქა, ციხეშიც არ მოხვდებოდა. თქვა სიმართლე და არ აპატიეს. სიმართლე უთხრა თავის მძასაც და მინაც არ აპატია, რადგან „სიცრუის გარეშე“ ცხოვრებას მეტი სიმშვიდე მოჰქონდა, ვიდრე უხეშ სინამდვილეს. გურამი გულის კარნახით მოქმედებს, მისი მძა კი — გონებისა. საჭიროა დადგეს დრო, როცა ისინი შეერთდებიან და ყველაფერი იცვლება. ცხოვრების ხედვის წერტილები გადაადგილდება. ადამიანებიც სხვა რაკურსით გამოიჩნდებიან. მაგრამ სცენაზე ადამიანს როგორც ქანდაკებას მსახიობმა ყოველი მხრიდან უნდა შეხედოს, სხვადასხვა მანძილიდან დაინახოს, ერთ სიმბრტყეზე წარმოადგენილს, როგორი ეფექტურიც არ უნდა იყოს, მინც არ შეუძლია მთელს გადმოცემა. ნ. მგალობლიშვილის გმირებს თითქმის ყოველთვის აქვთ მრავალი პლანი და წახნაგი. მსახიობი ცდილობს (ზოგჯერ შედეგს ვერ აღწევს), რომ აიცილინოს მომაკვივნებელი ერთხაზოვნება. მისი გმირები სწორად ერთსადამიანე დროს სულეობად მოღლილებიც არიან და მხენიც, მეოცნებეებიც და რეალისტებიც, სამართლიანნიც და უსამართლონიც. სიტუაციათა მონაცვლეობა ახალ-ახალ საწყისებს წარმოაჩენს ხოლმე და მსახიობი მარჯვედ იყენებს მას.

ნ. მგალობლიშვილი სცენის ოსტატია. ამ ბოლო წლებში მიღწეულმა წარმატებებმა სიხარულითან ერთად ბევრი საფიქრალიც გაუჩინა. შემოქმედებითი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე აუცილებელი ხდება „თავისი სტილიდან“ გასვლა, რათა არსებითად განახლდეს. ადამიანის ბუნებას განუსაზღვრელი შესაძლებლობანი აქვს. საჭიროა მანამდე შეუმჩნეველის შემჩნევა, მოუკვლევლის მიკვლევა, პირველქმნილი საწყისების აღმოჩენა. ოდესმე ყველა მსახიობის კარზე დაიჩოქებს „აქტიური სკლეროზი — შტამპი“ (მიხეილის). მეორეა რა გულუხვად იცის მოძალება, მოდება, საუეტეთსო მსახიობთა შორისაც. ზოგი

მწვევედ განიცდის მას, ზოგი ვითომც არაფერიაო, ისე უყურებს, ზოგს (სირაქლემას, მხოლოდ თავი რომ დაფარა) ბედისა აქტის, ზოგიც ვაეკაცურად ებრძვის და შედეგიც ნათლად სჩანს. ასეა თუ ისე, ნიჭიერმა (ტნიჭოს გზაც იქით ჰქონია!) კაცმა წამითაც არ უნდა მოაღწიოს ყურადღება. გულწრფელი მსახიობთა და სიმართლის არიან საინტერესონი ბევრჯერ დაისაჯნენ ისინი ამისათვის, მაგრამ ვაეკაციური შემართება და სულეერი ძალა ჰყოფნიდა გადაღობსა დაბრკოლება. იქნებ უდავლილი იყოს ნ. მგალობლიშვილთან ამ თემაზე იმ დროს საუბარი, როცა მსახიობი შემოქმედებით აღმავლობას განიცდის. როცა მას წინ თავად „შტამპი დაიჩოქოს“ და არა პირუტყუ. თეიმურაზ ხევისთავის შემქმნელისათვის ეგების უფრო უპრაიანა ზეიმი და მოსვენება (რამეთუ აწეულია საჯილდო ქვა) უფლებაც აქვს წამით ჩაიმუხლოს, მიღწეულით დატკბეს, მაგრამ ღმერთმა დიფაროს ამგვარი ცდუნებისაგან. შემოქმედის გზა გოლოგოთაა, ქრისტესაგეთ უნდა ჯვარს ეცვა, ეწამო, რათა ხალხმა დაგიჯიროს და გიწამოს: „ბედნიერი ტანჯვის“ წუთები უზუნაესი სიკეთეა. ნ. მგალობლიშვილმა იცის ასეთი წუთების ფასი. განუსაზღვრელია მისი ღირებულება. იგი არასოდეს თავისთავად არ მეორდება, ეგზემპლარულია და ახალ როლში ყველაფრის თავიდან დაწყება საჭირო, რათა გარდაქმნის სრულყოფის მტანჯველმა პროცესმა კვლავ წარმოშვას ახალი სიცოცხლე და თუ ეს პროცესი ბუნებრივია, არ შეიძლება მისი პირობითი თვითმყოფადი არ იყოს.

ნ. მგალობლიშვილი ჩასწვდა აქტიორული ხელოვნების არსს. ოსტატურად გამაჩრალა თავისი სულის ორეულები. მსახიობი მიღწევითა ახალ მიჯნაზე და მყუერებელიც აქტიორულ სიახლეებს მოელის მისგან.

საუეტუნის მეოთხედი მიიწურა მას აქეთ, ნ. მგალობლიშვილი სცენაზე რომ გამოჩნდა. იცდნაშუთი თუ ცოტა მეტი როლი შესარულა სცენაზე. ეს ბევრი არ არის. უფრო ინტენსიური უნდა იყოს მისი შემოქმედებითი ცხოვრება.

თეიმურაზით დაჯამდა ნ. მგალობლიშვილის არტისტული ძიებების გარკვეული ეტაპი.

„დავითიანის“ ქვეთავში „დავით გურამი-
შვილისაგან საწუთოს სოფლის სამღერავი“
პირველად გვხვდება გამოთქმა „მკლე კაცი“:

„მიღის-მიღის ეს სოფელი, ქართველთა ზღვა-
სებრ დღეავს!
უკან დასდევს დრო და ვაძი, მის ნაქსელავს
ქსოვს და სთელავს,
ის მქლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთი-
ბავს, რასა სცელავს?
ამად ვსწუნობ საწუთროსა, ხსულ ზნელია, რა-
საც ელავს!“

„მკლე კაცი“ მკელავის როლშია წარმო-
სახული: ხელთ ცელი უპყრია და მონდომე-
ბით იქნევს და უსევამს. იქმნება შთაბეჭდი-
ლება, თითქოსდა რეალური პიროვნება აზი-
ბინებულ ბალახში იდგეს და სერელი გაპქონ-
დეს. ყველაფრიდან იგრძნობა — ავტორი
იცნობს ასეთ კოლორიტულ სურათს და პო-
ეტური სახეც ამგვარ რეალურ სუბსტრატზეა
დაფუძნებული. ოღონდ, მხატვრული გააზ-
რების პლანში პოეტურ ხილვას რეალურო-
ბის ანტურაჟი სცილდება ხოლმე და ხელთ
გერჩება მისტიკური ხილვა — მკლე კაცი,
მიქელაგაბრიელი, რაც სიკვდილის ხილული
წარმოდგენაა და კარგი მთიბელოვით იქნევს
ადამიანთა მუსერის ნაცად იარაღს. „დავი-
თიანის“ სხვა ადგილს პოეტი ასე მიპართავს
სიკვდილს, იმავე „მკლე კაცს“: „ცელი კარგს
მთიბავს გიგავსო“. ქვეთავში „გოდება დავი-
თისა, საწუთოს სოფლის გამო ტირილი“ მო-
ხუცი პოეტი ჩივის და ელაღლებს: „სიკვდი-
ლი ცელსა მკრავს გულ-მუცელსა“. მაგრამ
ავტორი „მკლე კაცის“ მხოლოდ ასე ზოგადი
დახასიათებით როდი კმაყოფილდება. მისი
სახე, არსი, აღნაგობა და იერიჲ კი ცხადად
და თვალნათლევ აქვს წარმოდგენილი: იპ-
დენად შთაბეჭედავად და ცოცხლად აქვს წა-
რმოსახული, რომ ყოველდევ ეს უფლებას
გვაძლევს ვილაპარაკოთ „დავითიანის“ ავ-
ტორის თავისებურ, განსაკუთრებულ ვიზიო-
ნურ ნიჭზე. კიდევ მეტიც, ქვეთავში „სიკვ-
დილისა და კაცის შელაპარაკება და ცილო-
ბა“ ისევ შევთიოდ არის ჩამოქრული „მკლე
კაცის“ სახე, რომ იგი კონკრეტული პერსო-
ნაჟის ადგილს იეგრს. აი, როგორ აღწერს
ავტორი სიკვდილს:

„სიკვდილო, მიჰიარს მე შენი, ნება რაში გაქვს
ძალეზი?
ტანზდა ზორცი არ გარკავს, ხარ ცარიელი
ძვალეზი;
თავის სორიებს მიგვავს ცხვირი, პირი და
თვალეზი“.

„მკლე კაცი“

მურმან თავდიშვილი

კაცის ამ სიტყვებს მოსდევს გაბრაზებული
და გაანჩხლებული „მკლე კაცის“ პასუხი:

„აჲ ჩემოც ნახე მხატვრობა, რაც ჩემზედ შენ
იხატვარე“.

ქვეთავს „სიკვდილისა და კაცის შელაპა-
რაკება და ცილობა“ ხელნაწერში თან ახ-
ლავს სიკვდილის, იმავე „მკლე კაცის“ ნახა-
ტი. ეს არის ადამიანის ანატომიური ჩონჩხი
თავის ქალა, რომელსაც ამჩნევია თავის სო-
როს მსგავსი ცხვირისა და თვალების ფოსო-
ები. ადამიანის ამ ჩონჩხს მარცხენა ხელში
კარგი მთიბელოვით ჩაუბლუჯავს ცელი, ტარიო
მიწაზე დაბრუნელი, ხოლო მარჯვენა ხელით
ცელის პირზე მარჯვდ უსევამს სააღსავს (იხ.
კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინს-
ტიტუტის ხელნაწერი — S—1589).

სწორედ ამგვარად, მეტად მკაცრ, დაუნ-
დობელ და კაცზე მარად სამტროდ დაღირე-
ბულად წარმოუდგენია ავტორს სიკვდილი,
რომელიც ამ ნახატის შესატყვის სიტყვებს
ეუბნება ადამიანს:

„აჲ ჩემოც ნახე მხატვრობა, რაც ჩემზედ შენ
იხატვარე.
გაუწყრა, უთხარა: ბერ-კაცი, სიტყვებს რად
შეადრებ ავსაო!“

275

ოპოზიციური პარტიულმა ხალხმა ზიმიტ ალ-ნენსა დიდი პარტიული პოლიტიკის დავით გურამი-შვილის დაბადების 275-ე წლისთავი.
საზიმიტო ლონისიძეები განიარაღა მოსაოვნი, კიევი, პრეპნოზი.



ქერ შენთვის არა მცალიან, ცელს უხვამ ხალ-
ხანათ;
როცა გაელესუ, თავს მოგერი, შენს ცოლს
ჩავაძევე შენათ;
სულ ამოვიწყვეტ მოყვანთა, გვარსა და ნათ-
ხანათ.

ასე რომ, სიტყვებითაც და თანქრითაც — შესაბამისი გამომსახელობითი საშუალებე-
ბით — იხატება „მწლე კაცის“ პორტრეტი.
ეს არის ესკიზის ერთი დეტალი. მაგრამ
ნახატი შედგება ორი დეტალისაგან, რაც
ქმნის თავისებურ დასრულებულ მხატვრულ
კომპოზიციას. მეორე დეტალი ასეთია: მო-
ხუცი, გაქალაჩეებული ბერიკაცი საცოდა-
ვალ მოკუნტულ ტახტზე, ზემოდან თეთრი
სუღარა ვადაუფარებია და ქვემოდან შიშით
ამოჰყურებს „მწლე კაცს“, რომელიც გამა-
ლებით „პირს უწყობს“ ცელს და თან რო-
გორც ზეარაკს, ისე ვასცქერის სიკვდილის
მომლოდინე ბერიკაცს.
ამრიგად, ქვეთავშიც და ნახატ-ესკიზშიც
ერთმანეთს უპირისპირდება ორი მტრულ
ძალა — სიკვდილი და სიცოცხლე. როგორც
სიკვდილი („მწლე კაცი“), ისე სიცოცხლე
(მოხუცი მგოსანი) წარმოადგენილია მკაფიო

დავით გურამის მიერ



ქართველი
წიგნითმწიქნი

საღებავებით, დამახასიათებელი შტრიხებით. ამის გამო, ტექსტი ბუნებრივად გულისხმობს და მოითხოვს ნახატს, ხოლო ნახატი გულისხმობს და ვარაუდობს ტექსტს. სხვათა შორის, თვითონ ავტორი დაყენებით მოითხოვს ხოლო სათანადო ადგილებში ნახატი-ხატების ჩართვას. ლექსს „ესე კაცს ასე ილოცავს“ თან ახლავს ავტობორტრეტი. ლექსში ნათქვამი ნახატზე გამოხატულია ყალბის საშუალებით. „მზიარული ზაფხულის“ ერთ-ერთ ქვეთავს აწერია მგოსნის მითითება: „ზამთარი დაიხატოს“ და სათანადო ადგილი დატოვებულია. ვისი მისამართით არის ნათქვამი „ზამთარი დაიხატოს“? რასაკვირველია საკუთარი თავის მისამართით. ეს მოთხოვნა პოეტს შემდგომში ვეღარ განუხორციელებია. ირკვევა, რომ არც „მქლე კაცის“ ნახატი ჩაერთავს მგოსნის ტექსტში თავდაპირველად. ჭერ ადგილი დატოვებია მისთვის, ხოლო მოგვიანებით ცალკე ფურცელზე შესრულებული მხატვრობა დაუწებებია.

დ. გურამიშვილის ესკიზის იდეური შინაარსის უკეთ გასაგებად ზედმეტი არ იქნება გაიხსენოთ მე-16 საუკუნის დიდი მხატვარ ჰოლბაინ-უმცროსი. კერძოდ, მისი გრავიურების სერია „სიკვიდილის როკვა“. ამ ციკლის ყველა ნახატში მთავარი გმირის უკან ილანდება ადამიანის ჩონჩხი, როგორც შეხსენება ამქვეყნითი არსებობის საბოლოო ინსტანციისა.

განსაკუთრებით შეგნამება დავითის ნახატს ჰოლბაინის „ბერიკაცია“: ჯოხზე მიმედ დაყრდნობილი, ყველაფერზე დაყბალებული, თეთრწვეწერჩამოზრდილი და მელოტი მოხუცა (უნებლიეთ თვით დ. გურამიშვილს რომ გვაგონებს „ქაქიათა მწყემსიდან“) ხელკავით მიჰყავს... მაცთურ ჩონჩხს. ბერიკაცს თვალთ აკლავს და ვეღარ ამჩნევს, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი და ორმოში ჩაეარდება. გაიხსენოთ სხვა ნახატიც: დედოფალი ამლის თანსლებით სერირობს — სიკვიდილი კი თავაზიან კარისკაცის მანერით უჩვენებს მთხრელს.

დ. გურამიშვილი როგორც სიტყვის საშუალებით, ისე მხატვრობითაც აგრძელებს ჰოლბაინის პირქუშ გრავიურათა სერიას „სიკვიდილის როკვას“.

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ პოეტისათვის ცალკეულ შემთხვევაში განუყოფელი ყოფილა კალმისა და ფანქრის, ფუნჯის საქმიანობა, ვინაიდან ორივე ეს იარაღი მხატვრობას ემსახურებოდა და პოეტური ხილვების გამოქვეყნების საშუალებას წარმოადგენდა. როგორც ვიცით, ამგვარი პრაქტიკა არც პუშკინისა და ლერმონტოვისათვის იყო უცხო. აღარაფერს ვიტყვით ძველი მსოფლიოს ისეთ ტიტანებზე, როგორცაა

მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი...

როგორც ვხედავთ, დ. გურამიშვილი პ. ჰოლბაინისებურად აზროვნებს, მათი საზნოვნის მასალა ერთიანობას ამკლავებს. მაგრამ მართა ამით როდი ამოიწურება ყველაფერი. მსგავსება უფრო შორსაც მიდის. თუ ჰოლბაინის ნახატებსა და დავითის „მქლე კაცის“ სურათს ერთმანეთს შევადარებთ, თვალში მოგვხვდება მათი საოცარი სტილური მსგავსება. რა თქმა უნდა, პოეტის მხატვრობა შეუდარებლად მარტივი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, კუსტარულია, თუმცა დრამატიზმით, შესაძლოა, კიდევ აჭარბებდეს მსოფლიოში აღიარებული ყალბის ოსტატის ქმნილებებს. ყველაფერი ეს გვაიძულებს, წაშეგვრათ ერთი მეტად მაკთუნებელი ჰიპოთეზა.

როგორც ცნობილია, დ. გურამიშვილი „კარებ-დანაკლები“ აღმოჩნდა ცივილიზებული მტრის — გერმანელების ციხე-სიმაგრე მაგდებურზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ პოეტი სხვა ტყვე რუს ჯარისკაცებთან ერთად დაჰყავდათ ქალაქიდან ქალაქში და ფიზიკურად ძნელ სამუშაოებს ასრულებინებდნენ. როგორც ეს მაშინ წესად ჰქონდათ პრუსიელებს. ერთი წლის განმავლობაში მას, ალბათ, მიეცა საშუალება, რათა ჰოლბაინ-უმცროსის ნამუშევრებს მხატვრისავე სამშობლოში უშეუალოდ გაესტუმროდა. თუ ეს ასეა, მაშინ სრულიად ადგილი გასაგებია, ესოდენ რატომ ჩამოგვას დავითის „მქლე კაცი“ გერმანული მხატვრის ნამუშევრები.

ამ მოსაზრებას გვერდს უმარებებს ერთი ფრიალ საინტერესო გარემოება. ჩვენი აზრით, „სიკვიდილისა და კაცის“ შულაპარაკება და ცილობის“ ავტორი კარგად უნდა ყოფილიყო გარკვეული ბრეიგლისა და ჰოლბაინის სტილის მხატვრობაში. მეტიც, აღნიშნულ ოსტატებს კიდევ უნდა გულისხმობდეს ერთ საინტერესო ფრაზაში, რომლისთვისაც მკვლევარებს ყურადღება არ მიუქცევიათ. გაშარებული სიკვიდილი ერთგან კაცს ასე მიმართავს:

„კაცო, თვალი გიჩანს, არ გვირბ ნემსზედა
ძაფის აგება,
ჩემის იგავის საცნობლად რად შენ თვალებს
აგება?
ვითარცა მხატვენ მხატვარი ისე
გეგონოს აგება,
რომ შენ მოიღო ჩემზედა გამოზრული მკვდარი
კაცო ძაგება“.

ყურადღება მივაქციოთ სტრიქონს: „ვიითარცა მხატვენ მხატვარი ისე გეგონოს აგება“. ესე იგი, დავითი იცნობს მხატვრების (თანაც არა ერთის) მიერ



ჩონჩხად წარმოდგენილი და დახატული სიკვდილის აჩრდილს.

მაგრამ მივეყვით ისევ პოეტის მიერ გაკამათებული სიკვდილისა და სიცოცხლის ამბავს: კაცისა და სიკვდილის კამათ-ცილობაში საბოლოოდ იმარჯვებს ის, ვინც უნდა გაიმარჯვებოდეს. ოღონდ, მანამდე კაცი მინც ცილობას გააქილიყოს სიკვდილს, მწარე ენით გულადუსეროს, შხნაკვი ასვას და გააძვაროს.

„ღვთისგან წყუთლო სიკვდილო, აძენის საკ-

ლავთ ხოცითა

კიდევ მუღე ხარ და მშვიერი, ვერ გამაძარხარ ხორციოთა“.

სიკვდილის ირონიული დაცინვა უმაღლესდონეს აღწევს ერთ საველისხმოდ სტროფში. აგრეთვე „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობიდან“, სადაც „ქართლის ჭირის“ ავტორი თავისებური მოურიდებლობით, ეფევიზმების გამოყენებულად აშარბებს „მუღე კაცს“:

„სიკვდილო, შენი იგავი არა გახვ ფარხავს იგ

ავსო,

ძღვლები ხარ, მკვდარი, უხულო, ცელი კარკ

მთიანხვ გიგავსო;

თუ შენ გვთობ, შენ გვკამ, შენს ნაკამს ვინ გი-

ხვებტ, ვიწმინდს, გიგავსო?

თუ არავინ ვიხვებტ, უთუოდ ნუხვით ნიფხავი

შიგ ავსო“.

აქ არ შეიძლება არ გაგვასხნდეს ერთი ფრიად სიმპტომური ფაქტი: თომას მანი, ზოგიერთი მწერლის ტენდენციური კრიტიკისაგან რომ იცავდა თავის გენიულურ „ჩადოქრულ მთას“, საგანგებოდ აღნიშნავდა: „განა ხშირად მომხდარა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მომხდარა კი ოდესმე, რომ სიკვდილი კომიკურ ფიგურად ექცეოთ? (აქ იგულისხმება „ჩადოქრული მთა“ — მ. თ.), ყოველ შემთხვევაში, ეს ასე ხდება“ (Thomas Mann Gesammelte Werke, Bd. XI, S. 731).

თ. მანი რომანის უდიდეს ღირსებად თვლის სიკვდილის გაქილიყვას, მის „ჩაწიხლვა-დამცირობას“. მართლაც, განა სულითა და სხეულით ძლიერი არ უნდა იყო, ეს რომ მოიმეკმედო? მაგრამ არ არის მართალი, თითქოსდა ამგვარ რამ თომას მანამდე არ მომხდარიყო. თვით აღიარებული მხატვრები — ბრევიელი (ტილო „სიკვდილის ტრიუმფი“) და ჰოლბაინი (ციკლო „სიკვდილის რუკა“), ხოლო მათგან ირიოდ საუკუნის შემდეგ დ. გურამიშვილიც სწორედ ისე უთამამებდებან სიკვდილს, როგორც თომას მანი.¹

¹ ტურნალის რედაქცია ამ წერილს დასაბუღად ამზადებდა, როცა „კომუნისტში“ (12. X. 80) გამოქვეყნდა გ. ვაჩიჩილასი დაკვირვებანი დ. გურამიშვილის მხატვრობაზე, სადაც ბრევიელის, ჰოლბაინისა და გურამიშვილის სტილური მსგავსების თაობაზე დაახლოებით ასეთივე თვალსაზრისია გვტარებული.

როგორც ცნობილია, დ. გურამიშვილიც ღრმად მოარწმუნე პიროვნება იყო. ამიტომაც არის, საკმარისია, „მუღე კაცმა“ გააგვიზიროს რომ ის „ღვთისა ბრძანებით“ მუშავებს, მოარწმუნე პოეტი თავის წყევლა-კრულვას დაიღუმებს და სიკვდილის ქებაზე გადავა: „ახნა კი ვაქებ, სიკვდილო“. ბოლოს კი დასძენს: „სიკვდილო-სიცოცხლე, ორივე, არიან ღვთისა განგება“.

რაკი მოარწმუნე პოეტი ცნობს, რომ სიკვდილი ღვთის ნებაა, ამის შემდეგ თანახმა ხდება, მის დასახვედრად გამუღმებით იყოს მზად. ღვთის წამბაძველ პოეტს სურს სულთ ზეცამდე აღმადღეს ქრისტეს მსგავსად, ხოლო ხორცი მისი ბაძავდეს ღვთისაგან დაწესებულ სიკვდილს და მისსავე მსგავსად გახდეს „მუღე კაცი“.

რაოდენ გვაგონებს ყველაფერი ეს მუსაუკუნეების უდიდესი თეოლოგის თომა კემფელის უპოპულარულეს წიგნში „ქრისტეს მიბაძვა“ გამოთქმულ აზრებსა და მისწრაფებებს. ქვეთავში — „მასზედ, თუ ვითარი მარადის უნდა ფიქრობდეს ადამიანი სიკვდილზედ“ კვითხულობთ:

„უთუო საშუიო სიკვდილი, იქნებ საშუი იყოლს ხანგრძლივი სიცოცხლე?“ „ნეტარება ამხ, რო მელხაც მარადის თვალწინ აქვს წარმოდგენილი თავისი სიკვდილის წამი და ყოველდღე ემზადება სიკვდილისათვის“.

თითქოსდა ამ მოთხოვნას ასრულებსო, სიკვდილისა და კაცის გაბაძავებაში დავითი ერთვან პირდაპირ თომა კემფელით იმეორებს:

„რახ შეპარები, სიკვდილო, განა არ ვციო, მოხვალო

ყოველთვის მზათა დაგხვდები, თუნდა დღეს თუნდა მო ხვალო“.

თომა კემფელი ასე მსჯელობს: „გინახავს როდისმე სულთ-მოზრბავი ადამიანი“. იცოდ, შენც იგავე მოგვლის“.

და დავით გურამიშვილიც ცხადლოც წარმოსიხვას ამგვარ სულთმოზრბავ ადამიანს, ფიქრობს სიკვდილზე და სვება: ამქვეყნიური ცხოვრების გასრულებით სულაც არ თავდება ყველაფერი, რადგან სიკვდილი ამ შემდეგ იწყება მარადიული ცხოვნება. ამიტომაც არის, ასე რომ უთამამდება სიკვდილს, ასე აქილიყვებს, აშარბებს, რადგან „მუღე კაცზე“ მარადდღე ნადეიქროლს სწამს: „სიკვდილი — ეს რთული, საშუი იღუმალი ფენომენი სრულიად გამარტივება და გაუბრალოვდება, თუ მას ჩამოვაცილებთ ყველაფერი იმას, რაც საუკუნეებს მის გამო შეუთხზავს“ (მარკუს აერელიუსი).



მარჯანიშვილის თეატრი

„უნიტას“ ფესტივალზე

30 აგვისტოდან — 14 სექტემბრამდე მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრი მონაწილეობდა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „უნიტას“ ტრადიციულ ფესტივალში. ეს ფესტივალი ძირითადად საერთო-სახალხო დღესასწაულია, რასაც მშვენივრად ერწყმის პოლიტიკური ღონისძიებებიც. მასობრივ-აგიტაციური სანახაობანი.

ემეს და შვიდ სექტემბერს მარჯანიშვილის თეატრმა ბოლონის კონგრესმენთა ღარბანში წარმოადგინა სოფოკლეს „ოიდიოს მეფე“ და ნ. დუმბაიის „მე ვხედავ მზეს“.



თანამედროვე გმირი და თანამედროვეობის პრობლემა ქართულ ლოკუმენტურ კინოში

ოლა თაბუკაშვილი

დღემანდღლი ქართული კინოლოკუმენტა-
ლისტიკა დროით ნაკარნახევი ასალი პრობ-
ლემების წინაშე დგას. ამ პრობლემებიდან
გამომდინარე მინდა შევეხო ლოკუმენტური
და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების
სტუდიის 1979 წლის პროდუქციას.

ლოკუმენტური ფილმის წარმატებას, უპირ-
ველეს ყოვლისა, განაპირობებს თემის მნიშ-
ვნელობა, აქტუალობა, ამასთანავე, ინფორმა-
ციული სიმდიდრე, სიახლე და, რაღა თქმა
უნდა, ისტატივის მაღალი პროფესიული დო-
ნე. ამიტომ ყველაზე დიდი წარმატება თან
სდევს ფილმებს, რომლებიც ეძღვნება თანა-
მედროვე თემებს, ადამიანის შრომას, სამეც-
ნიერო-ტექნიკურ რევოლუციას, ზნეობისა
და მორალის საკითხებს. ცხადია, ყოველ ასეთ
თემას აქვს მრავალი ელფერი, ჭერ კიდევ შე-
უსწავლელი სიღრმე, თან ახლავს მოულო-
დნელობა და ამ თემების ხორცშესხმა ფილ-
მში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ჩაწე-
დება ავტორი ცხოვრებისეულ მასალას, შემო-
ქმედებთაღ როგორ გაიაზრებს მას.

შარშან საქართველოს ლოკუმენტური და
სამეცნიერო პოპულარული თუ სატელევიზიო

ფილმების სტუდიებში გადაღებულ 70 ლოკუ-
მენტური ფილმიდან დიდი ნაწილი თანამედ-
როვე ცხოვრებითაა ნაკარნახევი. ამ სურათ-
ებში ასახულია მუშათა კლასის, კოლმეურნე
გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის —
მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა
ბრძოლა ხუთწლედის გეგმების წარმატებით
შესრულებისათვის. ეს არის ჩვენი წარმოების
ნოვატორთა და მოწინავეთა, მეცნიერთა, ხე-
ლოვნების მოღვაწეთა ფილმი — პორტრეტე-
ბი. ეს არის ფილმები თანამედროვე მეცნიე-
რების აქტუალურ პრობლემებზე. როგორც
ვხედავთ, ერთი შეხედვით, გასული წლის პრო-
დუქცია გამოირჩევა თემათა მრავალფეროვ-
ნებით, ამასთანავე, ამ თემების უმრავლესო-
ბა თანამედროვეობას ეძღვნება.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ლოკუმენ-
ტალისტი ფიქრობს, რომ თვით თემმა წარმა-
ტების საწინდარი. შემოქმედებითი კვლევის,
მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემე-
ბის გარეშე კი მარტო თემის თანამედროვეო-
ბა ვერაფერს შესძენს სურათს და კიდევ ერთი
პირობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია
საინტერესო ლოკუმენტური ფილმი: სამწუხა-

როდ, ეკრანზე ჯერ კიდევ ხშირად ადამიანს
კი არ ვხედავთ, არამედ სხვადასხვა სიტუა-
ციებში მის საქციელთა კატალოგს. ხასიათი
კი ეკრანზე იმ მთავარი თვისებების მხატ-
ვრული განხორციელებაა, რომელიც გმირს თა-
ვისებურს, სხვებისაგან გამოირჩეულს ზღის.

ჩვენი პროდუქციის დიდი ნაწილი ცხად-
ყოფს, რომ დოკუმენტალისტებს მართებთ
ჯერ კიდევ სცენარმწებში მინდა ლიტერატურ-
ული საშუალებებით შეასწარ ხორცი დოკუ-
მენტური ფილმის გმირის ხასიათს. სწორედ
სცენარი უნდა შეიცავდეს ადამიანის კვლევის
რეალურ პროგრამას.

1979 წლის დოკუმენტური პროდუქციის
ანალიზი მინდა დავიწყო სამეცნიერო-პოპულ-
არული და დოკუმენტური ფილმების სტუ-
დიის ნამუშევრების განხილვით, სტუდიისა,
რომელიც უკვე 22 წელია, რაც ჩვენი ხალხის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ჩვენი წარსუ-
ლისა და აწმყოს შემატანედ გვევლინება.

დღეს სტუდიის კოლექტივის წინაშე განსა-
კუთრებული სიმწვაით დგას საკითხი იმის
შესახებ, თუ როგორ, რა გზით ვახდენ დო-
კუმენტური კინოხელოვნება მასშტაბური.
შთამბეჭდავი ფილმის შინაარსის, მისი ფორ-
მის, ემოციური ზემოქმედების თვალსაზრი-
სით. ამ კითხვაზე თითოეულ დოკუმენტალ-
ისტს სურს თავისებურად ვასცეს პასუხი.
მაგრამ საქმე მხოლოდ სურვილით ამოიწურე-
ბა, ვინაიდან განსაზღვრულ ფილმთა უმრავ-
ლესობაში, რომლებიც მნიშვნელოვან სოცია-
ლურ და სამეურნეო თემებს ეძღვნება («80-
ანი წლების საწარმო», «კომკავშირული ქალა-
ქი» — რეჟ. თ. ბიბილოტი; «მეშახტეთა ქა-
ლაქი» — რეჟ. თ. გოკირიძე, «ოსტატი» —
რეჟ. ე. მიქაქე, «გვირაბი კავკასიონის ქვეშ»
— რეჟ. მ. ასთაშვილი, «თავმჯდომარე», «სა-
ნიტარული ავიაცია» — რეჟ. თ. დოლოძე, «პა-
რტიის ვადაწყვეტილებანი ცხოვრებაში» —
რეჟ. გ. მონავარდიშვილი, «კინომექანიკოსი»
— რეჟ. თ. გოკირიძე) დრამატურგია, გადა-
ღება, მონტაჟი უპირატესობას უთმობენ სადი-
ქტორო ტექსტს (რომელიც, თავის მხრივ, ზა-
ღდებს უკეთესის სურვილს) და მრავალსიტყვი-
ან სინქრონულ ჩანაწერებს. ჩანაწერით ისეთ
საინტერესო ფილმებშიც კი, როგორიცაა
«გვირაბი», «კინომექანიკოსი» და «დროის მა-
ჩისცემა», კინემატოგრაფიულ ხერხებს შთან-
თქავს სიტყვითა უზომო რაოდენობა, მათ სა-
დინტარო ტექსტის მხატვრული გამომსახვე-
ლობაც კი აკლია. ასეთ ფილმებში ჩვენება
(რაც კინოხელოვნებაში მთავარი გამომსახვე-
ლი საშუალებაა) ადვილს უთმობს თხრობას.

სენტიმენტი — თუნდაც სამართლიანი და
ყოველმხრივ შემოწმებული — შარშანდელ
მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმებში
(ეს ფილმები საწარმოო თემატიკას ეძღვნება)

უპირველეს ყოვლისა, მათი სახეითი და მონ-
ტაჟური სტრუქტურის სიმწირის შედეგია.
ყველა ამ ფილმზე ლაპარაკი ერთად მიხდება,
ვინაიდან ისინი ტუტისსაყვანივით გვიანნი
ერთმანეთს, მხოლოდ სახელწოდებები აქვთ
სხვადასხვა. მე პირადად მიჭირს რომელიმე
მათგანის გამოყოფა. ძიებით, სახეითი
სტრუქტურით, დრამატურგიული მასალის
სიღრმით, რეჟისურული და ოპერატორული
ხედვის ორიგინალობით გამოირჩეული ფილ-
მები, რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს ამინ
ალიარება, მათ შორის არ არის. ეს ფილმები
კი სხვადასხვა რეჟისორებს, სცენარისტებსა
და ოპერატორებს ეკუთვნით — განსხვავებულ
საკისს, განსხვავებული გამოცდილებისა
და ნიჭის მქონე ადამიანებს, ფილმები კი
თითქოს ერთი კაცის დადგმულია. ფილ-
მიდან ფილმში გადადის ნაცნობი ფრა-
ზები, სილამაზით ტკობა. ერთი სიტუ-
აციით, არ არის ამ ფილმში ის, რასაც გუ-
წოდებთ ოსტატობას, პროფესიულ ქულ-
ტურას. არ არის შემოქმედებითი ზრუნვება,
სინამდვილის ფილოსოფიური გააზრება. ეს
ძალიან სამწუხაროა, მიუხედავად, რომ მოკ-
ლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს აქვს კარ-
გი ტრადიცია, სერიალული, სანტერესო მიგ-
ნებები და წარმატებები, რომლებიც დავაწი-
რებულა გ. ვეჯინას, გ. ჭუმბარბას, ე. მიქაქე-
ლაის, მ. გაგუას, თ. დოლოძის, თ. გურგენი-
ძის, თ. ნოზაძის, შ. შონის, მ. მონავარდიშვი-
ლის შემოქმედებასთან.

უწიფილიტობა, ცრუ პათეტიკა, ზედაპი-
რული, პასიური ინფორმაცია — აი ის «სამი
ვეშაპი», რომელმაც ჩვენი პროდუქციის უდი-
დესი ნაწილი ეყრდნობა — წერად 1978
წლის პროდუქციაზე ს. თუმშალოშვილი. ამ
თეზის გამოვრება ახლაც მოგვიწევს, ვინაიდან
მცირე მეტრაჟში ეს «სამი ვეშაპი» კვლავ ად-
გილზეა. სამაგიეროდ გვახარებს ის ახალი ტენ-
დენცია, რომელიც სრულმეტრაჟიანი ფორ-
მის ათვისებაში მდგომარეობს. ეს ქართული
კინოლოკუმენტალისტისკეთის ძალზე მნიშ-
ვნელოვანი მოვლენაა, ვინაიდან დღეს სწო-
რედ მასშია ყველაზე სრულად გამოხატული
სტუდიის კოლექტივის იდეურ-საოპერატორი
პლატფორმა. ტრადიციულმა «მოკლე მეტრა-
ჟმა» თითქოს გზა დაუთმო სრულმეტრაჟიან
დოკუმენტურ ფილმს, მაგრამ უფლება გვაქვს
ვიკონიოთ იმედი, რომ სულ მალე მოკლემეტ-
რაჟიანი ფორმაც დაიბრუნებს ყოფილ სიმაღ-
ლეებს და შექმნის იმ ტანდემის პარმონიას,
რომლის გაჩემე წარმოუდგენელია ქართული
კინოლოკუმენტალისტკია.

ახალგაზრდა ოპერატორებთან საუბრისას
ცნობილმა საბჭოთა პოეტმა მიხეილ სევეტლო-
ვმა თქვა: «რისი უნდა გეშინოდეს ჩვენს საქ-
მეში?» (მს პოეზია ჰქონდა მხედველობაში)



და თვითვე უბასხვა: — „გამარჯვების ტაბულას უნდა გვეწოდეს. ის, რომ ცხრაჯერ ცხრა ოთხმოცდენათია — შენი მოგონილი არ არის. სამშობლოს სიყვარულიც არ არის შენი იდეა. მაგრამ როგორ უნდა ვიყავარდეს სამშობლო — ეს უნდა უფრო ადამიანებსა“. ეს სიტყვები ეპიგრაფებად გამოადგება ახალ დოკუმენტურ ფილმებს.

ახალი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დიდი გზის ეტაპები“ (დამდგმელი რეჟისორი — ვ. შიქელაძე, სცენარის ავტორები — ა. სიგუა, ვ. შიქელაძე, ოპერატორები — ვ. ანდრიევიკი, ბ. ნესტერჩიქი) გამსჭვალულია ავტორთა სიყვარულით სამშობლოსადმი. ეს ფილმი ავტორთა აღსარებაა. ამ, მაღალ-მოქალაქობრივი სულიკეთებით აღსავსე სურათში ყველაზე ნათლად გამოიხატება ჩვენი ეროვნული დოკუმენტური კინოს პუბლიცისტური მიმართულება და, ამასთანავე, მისი დამდგმელი რეჟისორის სტილისტურ ძიებათა დამახასიათებელი ნიშნები — ექსპრესიული-ბა ქრონიკის მასალათა აღქმის, რიტმისა და მონტაჟის საუცხოო გრანოზა, სიზუსტე დოკუმენტური ფაქტების შერჩევაში, და რაც მთავარია რეჟისორის უნარი — ცალკეული პიროვნების ბედში მთელი თაობის ბედი ამოიკნოს.

ფილმის თემაა ლენინური კომკავშირის ბიოგრაფია, რომელშიც აირკლა საბჭოეთის ქვეყნის მატიაზე. ლენინური კომკავშირის მიერ ძლიერადაა გამოარჯევებული განვლილი გზის ეტაპებმა ბიძგი მისცეს ქართულ დოკუმენტალისტთა შემოქმედებით ფანჯიას, გააქტიურეს მათი ძიება დრამატურგიული და სახვითი გადაწყვეტის სფეროში, წარმართეს მათი შესაღწებლობები მაღალმხატვრული, ამაღლებელი ეკრანული ტილოს შესაქმნელად. ლენინური კომკავშირის 60-წლიანი გზის კონკრეტული ფაქტები ავტორისეული ჩანაფიქრის გამაღიანებელი მინის ქვეშ ეკრანზე იქცა გმირული ეპოქის განზოგადებულ მხატვრულ სახედ, საბჭოთა ახალგაზრდობის თაობათა მხატვრული სახედ. რეჟისორის წმინდა კინემატოგრაფიული საშუალებებით შემოაყვას ფილმის მხატვრულ-დოკუმენტურ სტრუქტურაში რეალური დოკუმენტური მასალა, ქრონიკის, ფოტოდოკუმენტების, სინქრონული ინტერვიუების, წერილების, დოკუმენტების ზუსტი შერჩევით ქმნის სურათის დოკუმენტურ პლასტიკას.

პუბლიცისტური თხრობის ზუსტად მიგნებული სტილი აპრობირებულია ფილმის ყველა კომპონენტში — დრამატურგიაში, სახვით გადაწყვეტაში, მუსიკაში, ფერში. ავტორისეული ჩანაფიქრის ხორცშესხმისაყენ რეჟისორი მიადის კადრის სტრუქტურის განთავისუფლების, თამამი მონტაჟური დაპირისპირების

გზით. „დიდი გზის ეტაპები“ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნამუშევარია სკკპ [XVII] 1933 და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისადმი მიძღვნილი კინორეპერტუაზიდან. ეს სურათი რაზმავს 80-იანი წლების კომკავშირელებს ახალი საბჭოებისა და მილწევებისათვის, მოუწოდებს შრომითი, მოქალაქეობრივი და ზნეობრივი გმირობისაკენ.

მაქსიმ გორკის უთქვამს, რომ ფაქტი ჯერ არ არის სიმართლე, ის მხოლოდ ნედლეულია, რომლისაგანაც ხელოვნების ჭეშმარიტი სიმაართე უნდა გამოიღონოს.

დრამატურგმა და კინორეჟისორმა რევამ თაბუკაშვილმა მართლაც რომ გამოადო დოკუმენტური ხელოვნების სიმაართე ისტორიის ძუნწი, მიუწყებელი ფაქტებიდან, ჩვენი ხალხის გმირობას რომ მოჰმოქონა.

მხატვრის მესხიერება მკვეთრი, ნათელი და მომთხოვნია. ფილმ „ალბურ ვარსკვლავში“ ის იქცევა პიროვნების სულიერ თვისებათა მძალე კრატეობამდ, მოქალაქეობრივი ღირსებისა და ადამიანური, ეროვნული თვითშეგნების აქტად.

რ. თაბუკაშვილის ფილმები „ქვალი ნათელი“ და „ალბურ ვარსკვლავი“ ახალი სიტყვაა ქართულ კინოდოკუმენტალისტიკაში. კინემატოგრაფიული რეზულტატი სინთეზია დიდი, დამახული მეცნიერულ-კლასიკითი პოზიზიასა და პოეტური განზოგადებისა. პირველ ფილმში დაწყებული თემა ერის ზნეობრივ ფასეულობათა მემკვიდრეობითობის შესახებ, გაგრძელებული და განვითარებულია „ალბურ ვარსკვლავში“.

იმ დოკუმენტური მასალის თავისებურება, „ალბურ ვარსკვლავს“ რომ დაელო სადუქველად, თავისებურ ვაზრემას მოითხოვდა. დიდი ტაქტი, ყოველგვარი სენტიმენტალური ეგზალტაციის გარეშე მიჰყავს თავისი რეპორტაჟი-ინტერვიუ ფილმის ავტორი. ავტორისეული კომენტარი უფრო ღრმად ჩაკვანდებს ხასიათების, მოვლენების სიღრმეში. ფილმის ცენტრალური ეპიზოდი — ფიქრ მოსლოწვილის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი — თითქოს დოკუმენტური ფაქტების ნამკვეცებისგანაა ნაქსოვი. მაყურებელთა თვალწინ, ტერზინა მიონტის მონაყოლის საშუალებით ავტორი აღადგინს 1943 წლის ერთ სეპელისწერი დღეს მომხდარ მოვლენებს. ამ ეპიზოდში ჩანს ეროვნული სიამაყე, რომელსაც თითოეულ ჩვენგანში იწყვეს ჩვენი თანამემამულის გმირობა და სიამაყე.

კამერა ნიჭიერი ოპერატორების ლ. ახლედიანის, ე. გერმესაშვილისა და გ. რევაზაშვილის ხელში რეჟისორის ძიებათა აქტურ თანამონაწილეა.

ფილმის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიმანია რეჟისორის ახლებური დამოკიდე-

ბუღბუღი ისტორიული მოვლენების მიმართ, შემოქმედებითი კვლევა იმ ფაქტებისა და კონკრეტული ინფორმაციისა, რომელიც 30 წლის წინ დაღუპულ გმირს ეხება. რ. თანბუჯაშვილმა თავისი დამატურგული, რეჟისორული და ადამიანური ნიჭის წყალობით შესძლო თავის გმირზე ისე მოეთხრო, როგორც ჩვენს თანამედროვეზე. მასი გმირი თანამედროვე ადამიანის ფიქრებისა და სურვილების გამომხატველია რეჟისორმა მაივან ჰარმონის მხატვრულ და ინფორმაციულ შრებზე შორის, გაიზარა ფაქტი, დოკუმენტი თანამედროვე ცხოვრების განვითარებასთან, მის კანონზომიერებებთან აკავშირში. „აღბური ვარსკვლავი“ მოქალაქეობრივი გრძნებით აღსავსე დრამატული, ემოციური კანონზომიერობაა, რომელშიც მოჩანს ქართველი ხალხის, მისი კულტურის მდიდარი ტრადიციები.

1979 წელსაა გადაღებული ლეო ბაქრაძის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფული“ (სცენარის ავტორი — ლ. გურგენიჩი, ოპერატორები — ა. შაფრანი, ვ. პასკალი), რომელიც დღემდე საკავშირო ფესტივალის ერთ-ერთ წლის საუკეთესო ფილმად აღიარა.

ლეო ბაქრაძის ფილმების შედარება საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ რეჟისორის საინტერესო ძიებებზე დოკუმენტური პორტრეტის ეაზრში. ყოველ ახალ ნამუშევარში რეჟისორი ხეყუნ თავის ინდივიდუალურ სტილს, სულ უფრო მეტ სიმახვილეს იჩენს თემისადმი დამოკიდებულებაში. თავის მასწავლებლებზე — რომან კარმენზე მოგვითხრობს ლ. ბაქრაძე თუ მფრინვე-კონსტრუქტორ შიუკაშვილზე, აკადემიკოს სვეტ-მოლდავსკიზე თუ ცნობილ ქირურგ ვლადიმერ ბურაკოვსკიზე (ფილმ „აუღოს“ გმირზე) — ჩენი დროის გმირებზე გადაღებულ ყოველ კინემატოგრაფიულ სურათში იგრძნობა დოკუმენტალიზმის ესთეტიკის ფლობის ოსტატობა, რაც კადრის გამომსახველობაში, გამოსახულების ლაიკონურობაში ჰპოვებს გაზიზხებულბას. ლ. ბაქრაძე უარს ამბობს ეფექტურ კადრებსა და რაკურსებზე, ცდილობს ღრმად ჩაწვდეს თემს, ავიწვევს გმირის ხასიათს, მის დამოკიდებულებაში გულახსობარლთა ქირურგიის ინტიტუტის კოლექტივთან. როდესაც უსმენ და უყურებ ამ ამაღლებულ მონაყოლს მამაც თეობილიათიან ადამიანებზე, რომლებიც იბრძვიან პატარების სიცოცხლის შესანარჩუნებლად, გული გეკუმშება. და რაც უფრო დიდია ამ ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ჩადენილი გმირობა, მით უფრო გჭამს მათი ძალისა, სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებასა.

ფილმის ფინალური ეპიზოდი ამ დიდი იმედის ერთგვარი მხატვრული სახეა... პატარა

ავადმყოფის წინ, თვალბში ხანდაზხულ კაცის სევდა რომ ჩასდგომია, პარდაპირ კადრში რეჟისორი იწყებს ლეკტორს ცეკვას. ცეკვავს თავგამებებით, ბავშვის ერთი ღლილი სათვის. ეკრანის ჩარჩო თითქმის ფართოვდება და მაყურებელს შეაკცერის ისევე ის ბიჭუნა, რომლის ღლილიც აღიქმება როგორც გილი, როგორც დამაბნელებელი ადამიანთა ერთობისაკენ სიკვდილის წინათარგუნავად.

სტუდიისათვის ჩვეული დოკუმენტური ეაზრის პორტრეტით წარსტრები ამყავდა რეჟისორებიც კ. ეკენია („ოთარ თაქთაქივილი“), ო. გურგენიძე (სულხან ცინცაძე), ე. ლომიძე და ი. შვილიძე („სიმონ ყაუხჩიშვილი“), ე. მიქელაძე („ევენი მიქელაძე“), შ. ჩაგუნავა („ამათა ნაკვეთე“ — რეჟოლუციონერ საშა გეგეჭკორზე). ყოველ პორტრეტში არის ცლა ხასიათის კვლევისა, მისი ნიჭის ფენომენის სიღრმეა წყვდომისა. შეიძლება დავთანხნო ან არ დავთანხნო რეჟისორულ ვადაწყვეტას როგორც, მაგალითად, კ. ეკენიას ფილმში „ოთარ თაქთაქივილი“. მე პირადად მეზამუშა, რომ ინტერვიუ მიპაყეს თავად რეჟისორის და ლამაზად ვაყვიბილ სუფრათან მიმდინარეობს სერიოზული მსჯელობა მუსიკალური ფოლკლორის საკითხებზე, თუმცა, რეჟისორი ცდილობს ინტერვიუს ქსოვილში ცოცხალი მოქმედების — რეპეტიციას შემოყვანას, მაინც სურათის ძირითადი ჩანაწიქრი გაუხსნელი რჩება. ასევე ე. მიქელაძის სურათში „ევენი მიქელაძე“, სადაც არ არის ცოცხალი გმირი (ჩვენ ვიცით, რა ძნელია ძუნწი სახვითი მასალით შექმნა ეკრანზე სისხლსავსე სახე კომპოზიტორისა), რეჟისორი ვაყვიკონმეტატოგრაფიული გამომგონებლობის გზას. ან კიდევ, ფილმში გამოჩენილ მეცნიერ სიმონ ყაუხჩიშვილზე ავტორები თავიანთი გმირის ხასიათს კი არ მტრწავენ, არამედ მის ბიოგრაფიას მოგვითხრობენ და სახვითი მასალის უქმარისობას ავსებენ ჩვეული სადიქტორო ტექსტით.

კინემატოგრაფიული აზროვნების სულ სხვა რიგში დგას ო. გურგენიძის ფილმი „სულხან ცინცაძე“. უკვე დრამატურგიულ საფუძვალზე იყო მონიშნული მომავალი სურათის კომპოზიცია და სტილისტიკა. სცენარის ავტორმა ლია მაჭუტაძემ სულხან ცინცაძის ნიჭის კვლევისას აირჩია მხატვრული სახის შექმნის ნოველისტური გზა. ასოციაციითა რიგით ერთმანეთთან დაკავშირებული სამი საყრდენი რგოლი — „ხალხური საწყისები“, „ფორმა“ და „დრამატუზმი“ დაეხმარა რეჟისორს მეცხზე კვარტეტის მაგალითზე მიგონო კომპოზიტორის შემოქმედების ხალხური საწყისებისათვის. ამ სურათის დოკუმენტური ენის სინტაქსი რამდენადმე რთულია აღსაქმლად, მაგრამ ძალზე საინტერესოა. ჩვენს თვალწინ



ერთმანეთს ცელის პოეტურ სახეთა რიგი და რეალური სინამდვილე. ავტორთა წარმატებად მიმაჩნია ის, რომ მათ მიაღწიეს არა მარტო მთელი ფილმის, არამედ თითოეული კადრის ხატოვანებას.

ზემოთ აღნიშნულ სამ ფილმთან დაკავშირებით დამებავს კითხვა: როგორ მოხდა ერთი წლის თემატურ გეგმაში სამი განაცხადი კომპოზიტორების შემოქმედებისადმი მიძღვნილი ფილმებზე? თემატური ერთფეროვნება უფროდ სტუდიის ხელშეწყობის ბრალია და, ვიმედოვნებ, მომავალში კინობორტრეტების დაკავშირებას გათავალისწინებული იქნება ეს ხარვეზი, მიუთუღებ, რომ ჩვენთან მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ სხვადასხვა პროფესიის საინტერესო ადამიანები.

ცნობილი რევოლუციონერის საშა გეგეჭკორის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიუძღვნეს თავისი ფილმი სცენარისტმა ე. ჯაფარიძემ და ჩვენმა უხუცესმა დოკუმენტალისტმა შ. ჩაგუნავამ.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო ეანრების საკითხს. უკანასკნელ წლებში ჩვენი დოკუმენტალისტები რატომღაც სრულებით აღარ მიმართავენ კინოფუნაქსისტიკის ისეთ ტრადიციულ, ძირითად ეანრს, როგორცაა რეპორტაჟი (გამონაკლისს შეადგენს ორი სპორტული ფილმი — „თასი-79“ და „ჭიდაობა“, სადაც, თუმცა ნაწილობრივ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, საქმის ცოდნითა ჩართული რეპორტაჟის ელემენტები). გასული წლების პროდუქციამ ვერ ვხედავთ კინორეკვივებს, თუ არ ჩავთვლით ე. ლომიძისა და ი. შველიძის „თბილის-ქალაქობას“. რა იქნა წმინდა ქრონიკის ეანრი? სად გაჩაა ციკლი „მონოლოგები პროფესიანზე“, რომელიც ასე საინტერესოდ დაიწყო და, რატომღაც მივიწყებას მიეცა.

ძნელი დასადგენია გასული წლის პროდუქციის ეანრული სტრუქტურა. მართალია, ეანრული წმინდა სახით არ არსებობს, მაგრამ გარკვეული ეანრული თავისებურებების გარეშე ხელოვნების ნაწარმოები ვერ იარსებებს. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი ცუდი სტრატის ავტორს გაუჭირდებოდა იმის დადგენა, თუ რა ეანრს ეკუთვნის მისი სურათი.

სამაგიეროდ, მოკლემეტრაჟიანი ფერადი ფილმის „ორაგულის ბედის“ (სცენარის ავტორი — რ. თაბუკაშვილი, დამდგმელი რეჟისორი — გ. ჭუბაბერი) ეანრული კუთვნილების დადგენა არავის გაუჭირდება — ეს არის ერთნაწილიანი სამეცნიერო-პოპულარული ნოველა, ეს არის პოეტური ამბავი მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ გამოუგონების საიდუმლოების შესახებ, ორაგულის ტრაგიკულ, ხიფათითა და შთამომავლობის შესანარჩუნნებ-

ლად ბრძოლით აღსავსე ბედს რომ ეხებოდნენ ვისი ფილმის გმირად ავტორმა ათასიდან ერთი ორაგული ამოირჩია, იგი ყურადღებით აკვირდება მას, ჩვენს თვალწინ გადმოშლის თავისი გმირის ურთულესი სიტუაციებითა და ინტრიგებით აღსავსე ცხოვრების სურათს. რ. თაბუკაშვილის ძალზე გონიერი, რბილი იუმორით შეზავებული კომენტარი რეჟისორ-რეჟისორს გვიჭუბუბრებს ოსტატობასთან კავშირში, მაყურებელზე უღიღეს ემოციურ ზემოქმედებას ახდენს.

წლების მანძილზე დოკუმენტური ფილმების სტუდია მუშაობს ციკლზე „ადამიანი და კანონი“, რომელსაც ლევან ცინცაძე ხელმძღვანელობს. გადღებულია ორმოცამდე ფილმი. ამ ციკლის მიზანია დოკუმენტური კინოს საშუალებით აქტიური ბრძოლა აწარმოოს ნეგატიურ მოვლენებთან, კინოხელოვნების საშუალებით, პირდაპირი რეპორტაჟის ფორმით გამოიკვლიოს მთელი რიგი ნაკლოვანებანი ჩვენი საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში.

გასულ წელს გამოშლული ამ ციკლის ოთხი ფილმიდან, რომლებშიც საუბარია სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან პრობლემებზე, გაკრიტიკებულია ჩვენი მსუბუქი მწეწველობის ესთეტიკური დონე, სოციალიზმურად გამოკვლეული ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემა და სხვ., ყველაზე ოსტატურად და თამამად, მაღალმშენებლობრივი პოზიციებიდანაა გაკეთებული ეურნალი, რომელიც ქალაქის ვაჭრობის ქაღალდს ეხება. მთელი რიგი სამინისტროების ხელმძღვანელობის და ვაჭრობის ქსელის ცალკეულ ხელმძღვანელთა მხილვებით, უკომპრომისოდ, დამაჯერებლად, რეპორტაჟული გადაღების, სინკრინული ინტერვიუების, მამხილებელი დოკუმენტების გამოყენებით ეურნალ „ადამიანი და კანონის“ ავტორები იხვენს მოქალაქეობრივი მოვალეობისა და დოკუმენტალისტის პასუხისმგებლობის გრანდობას.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო ციკლს, რომელიც მიჰყავს რეჟისორ გ. სალუქვაძეს — ეს არის ყოველდღიური დაკვირვება თბილისის 23-ე სკოლის ერთ-ერთი კლასის მოსწავლეებზე. ამ ციკლის გმირები ამჟამად მეშვიდე კლასში სწავლობენ. ციკლის უკანასკნელი ფილმის სათაურია „გაკვეთილების შემდეგ“. აღარაფერს ვუტყვი ამ ციკლის მნიშვნელობაზე და რეჟისორული ჩანაფიქრის ღირსებებზე. თავს უფლებას მივიცემ შევნიშნო მხოლოდ, რომ ავტორი ყველა ფილმში ვერ აგებს საინტერესო დრამატურგიულ თუ რეჟისორულ გადაწყვეტას. მისაწყველი და მომბეზრებელიც კი ვაზად სინკრინული ინტერვიუები. ამასთანავე, ფილმში აღმოჩნდა საკითხები მრავალმანაინა და ვერ ეტყვა ერთი ნაწილის

6. გოგოლი

კომედია „რეპიზორის“ დანართი

I

ნაწევები წარიღიდან, რომელიც ავტორმა „რეპიზორის“ პირველი წარმოდგენის ნახ- ვისთანავე მისწერა ერთ ლიტერატორს

... რევიზორი ნათამაშევია — და მე ის ვუფოთავ, ჩემი სული ისე საოცრადაა შეჭრული... ასეც ველოდი, წინდაწინვე ვიცოდი, რაც მოხდებოდა, მაგრამ, მაინც, მიმივე, გულისმომწყველვად მძიბე განწყობა დამეუფლა. თითქოს იგი ჩემი სულაც არაა, ჩემი ქმნილება მევე მომჩვენა უმსგავსო, საძაგელ რამედ. მთავარი როლი დაიკარგა; ამას ველოდი კიდევ. დიორმა ბეწვისოდნადაც ვერაყერი გაუგო ხლესტაკოს. ხლესტაკოვი იქცა აღნასკაროვისმაგვარ ვინმედ, იგი შეერთო მთელ წუებას ვოდვეილების ოინაზებისა, რომლებიც პარიზის თეატრებიდან მოგვიბრძანდნენ ჩვენს სცენაზე საბზრიალოდ. ხლესტაკოვი, უბრალოდ, იქცა ჩვეულებრივ ცრუენტელად. — უღიმღამო სახედ, რომელიც აგერ უკვე ორი საუკუნეა ერთი და იმავე სახით გვევლინება. ნუთუ სინამდვილეში თვით რომლიდან არა ჩანს, ვინც არის ხლესტაკოვი? ან, იქნებ, მე დროზე ადრე შემოიპყრო ბრმა სიამაყემ და იმდენად უმწეო ვარ, რომ ოდნავადაც ვერ წარმომართავს ჩემი ნებით პერსონაჟის ხასიათი, რათა ცოტათი მაინც, თუნდ, ერთი ფიორი რამე მაინც მიმეცა მსახიობისთვის? მე? მე ხლესტაკოვი ცხადო, ნათელი ხასიათი მეგონა.

ხლესტაკოვი სულაც არ ცრუობს, იგი ხელობით მატყუარა არაა. თვითონვე ავიწყდება, რომ ცრუობს, და უკვე თითქმის თვითონაც სწამს ის, რასაც ლაპარაკობს. გასაქანი ნახა, ლაღადაა, ზედაც, რომ ყველაფერი დიდებულად მიდის, თვალში შესციციენენ და მორჩა, წინ რა დაუღებება, დალაგებულად ლაპარაკობს, ენადაა გაკრუფილი. წრფელად, საყვებით გულახდილად ლაპარაკობს და ამ ტყუილის ლაპარაკის დროს თავის თავს სწორედ ისეთად წარმოაჩენს, როგორც არის. საერთოდ, ჩვენს მსახიობებს ტყუილის თქმა სულ არ ეხერხებათ. მათ წარმოუდგენიათ, თითქოს, ტყუილის თქმა რალაციის შიროშვა ლაუბობააო. ტყუილის თქმა ნიშნავს ტყუილის სინართლესთან ისე ახლოს მდგარი ტონით თქმას, ამ ტყუილის ისე ბუნებრივად, ისე წრფელად თქმას, როგორც მხოლოდ სიმართლის თქმა შეიძლება; სწორედ ესაა სიცრუის კომიკურობის მთელი თავი და ბოლო, მე თითქმის დარწმუნებული ვარ, ხლესტაკოვი გაცილებით მოიკებდა, ამ როლზე ერთი ვინმე ყველაზე უნიჭო მსახიობი დამნიშნა, ოღონდ, მისთვის მხოლოდ ის მეოქვა, რომ ხლესტაკოვი არის გაქნილი კაცი, ნამდვილად comme il faut, ჭკვიანი და, თუ გნებავთ, საინოც კი, და რომ მისი სწორედ ამგვარ კაცად წარმოიჩინაა საჭირო. ხლესტაკოვი გულგრილად ან ფანჯაროწულ-თეატრალურად სულაც არა ცრუობს. იგი გზნებით ცრუობს. მის თვალეში ამით გამოწვეული ტუბოზა ჩანს. საერთოდ, ეს ხლესტაკოვის ცხოვრების ყველაზე პოეტური, საუთუტესო წუთია — თითქმის ერთგვარი შთაგონება. რამე ამდაგვარი მაინც იყოს ნაწევრები სცენაზე!



სპექტაკლ რევიზორის დაწყების წინ: სხედან: მარინე თბილელი (მარია ანტონოვა) და რევიზორი ალექსანდრე თაყაიშვილი. დგანან: აკაი კვანტლიანი (ზემლიანიკა) და ალექსანდრე გომელაური (ბობჩინსკი). 1951 წ.

ბეჩაი ზღვსტაკოვის ხასიათი არაფრით, ოდნავადაც კი არ არის გამოკვეთილი, ანუ იგი არა ჩანს მისი სახით, გარეგნობით, მისი ფიზიონომით. რასაკვირველია, გაკეთილ-ვიცმუნდრიანია, გატრეცილსაუელიანია ბებური ჩინოვნიკების ჩაკარაკტურება გაცილებით უფრო ადვილია; მარად დანახვა და წარმოჩენა იმ ნიშნებისა, რომლებიც კაცს თვალს არ ღრის და მაღალი წრისთვის რეკლემბრივ ნორმებს აშკარად არ უჭირისპირდება, ძლიერ ოსტატს თუ შეუძლია. ზღვსტაკოვი არაფერი არ უნდა იყოს მეკეთილად ხაზგასმული. იგი იმ ყაიდის კაცია, რომელიც, ეტყობა, არც არაფრით გამოირჩევა თავისი წრის სხვა ახალგაზრდა ხალხისაგან. ზოგჯერ კარგადაც კი უჭირავს თავი, ზანდაზან კარგ რამეებსაც კი ამბობს, და მხოლოდ იმ შემთხვევებში იჩენს თავს მისი გარკვეულწილად თასხირი, უკაცური ბუნება, როცა სულერი მხნეობა ან ნებისყოფაა საქირა.

რომელიმე გორკინის როლის ნიშნები უფრო მუარია და შეხამნიევი. ამ როლს სხვათაგან უკვე გმირის მეკეთილად პერსონიფიკირებული, გაქავებული, უსულგული გარეგნობა გამოირჩევს. რაც, გარკვეული თვალსაზრისით, უკვე მუარ ხარისში აქცევს ხასიათს. ზღვსტაკოვის როლის ნიშნები კი ძალზე მოძრავია, უფრო ნატოვი, დახვეწილი და, ამდენად, უფრო მწელად შესამჩნევია. ესა ახალგაზრდა ჩინოვნიკი, და, როგორც რტყვან, თავკირანია ჩეილი, ახალგაზრდა კაცი, ოლონდ ისეთი, ვისაც მისი მრავალი ღირსების გამო მაღალი წრე თავკირანს კაცად არ თვლის, ამ თვისებების წართმევა ადამიანებისთვის, რომლებიც, არც გარკვეულ ღირსებებს არიან მოკლებულნი, მერეხებლობა იქნებოდა შეწერლის მხრივ, რადგან ამით მერეხობ იმ ხალხს ქვეყნის სახასისაროდ გახდება. უკეთესი იქნება ამ როლში ყველა ამ თვისების თავის ნამკეთილი ცდილის და, ამავე დროს, თამამად, უშუშრად უფროსს ქვეყანას, რათა მაინცდამაინც მისევე არაფერ გამოვიზიოს თითი და მისი სახელი არ წაოიმაძოს. ერთი სიტყვით, ეს სახე უნდა იყოს ტიპი, რომელიც თავს უარის ბევრს ჩასმენ, რაც გაფანტულია მრავალ რუს კაცში, ეს ბევრი რამე აქ. გარემოებათა გამო ერთ სახეში უნდა იყოს მოქცეული, როგორც ეს სინამდვილეშიც უწირად გვხვდება. ნებისმიერი ჩვენთაგანი რამდენიმე წუთით თუ არა, ერთი წუთით მაინც უყოფილართა და ვართ ზღვსტაკოვი, მაგრამ ისევე უნდა იყოს, ამის აღიარება არ გვიინდა. ჩვენ ამ ფაქტის დაიწინავე კი გვიყვარს, მაგრამ ჩვენ სხვის ზღვსტაკოვობას დავცინით და, რასაკვირველია, არა ჩვენსას. ყოჩალი გვარდიის ოფიცერი შეიძლება ზოგჯერ ზღვსტაკოვად მოგვევლინოს, სახელმწიფო მოღვაწეცა და ეს ჩვენი ცოდვილი ლიტერატორი მძაც, რაღა ბევრი გაეგარბელო. ცოცა ვინმეა, ვისაც თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ მოუხდენს ზღვსტაკოვად. სხვა საქმეა, რომ მავანი და მავანი ზღვსტაკოვად გამოიჩინას ახერხებს — ახა, ვინ მე და ვინ ზღვსტაკოვი.

კოვად მოგვევლინოს, სახელმწიფო მოღვაწეცა და ეს ჩვენი ცოდვილი ლიტერატორი მძაც, რაღა ბევრი გაეგარბელო. ცოცა ვინმეა, ვისაც თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ მოუხდენს ზღვსტაკოვად. სხვა საქმეა, რომ მავანი და მავანი ზღვსტაკოვად გამოიჩინას ახერხებს — ახა, ვინ მე და ვინ ზღვსტაკოვი.

ახა, ნუთუ ჩვენს ზღვსტაკოვში არაფერი ეს არა ჩანს? ნუთუ, იგი მხოლოდ ულინაშო, უფრეული სახეა და მე კი, ნუთუ, წუთიერი ამპარტანოვით ვიუაგი ზღვსტაკოვი, როცა ვფიქრობი, როდესაც ვინმე დიდი ტალანტის მსახიობი და მაკოლმანის-მეთქი იმისთვის, რომ ერთ სახეში ნამკეთ-ნამკეთ მოვუყარე თავი მრავალგვარ ქტევა-მოდრობას, რომლებიც მსახიობს საშუალებას მისცემდა თავისი ტალანტის მრავალი, ერთდროულად ყველა მხარე გამოეჩინა. და, აი, ბიოთურული, უსუსური ზღვსტაკოვი შემრჩა ხელი! მიივი, გულისმომხმავე, სამწუხარო ამბავია.

სპექტაკლის დასაწყისიდანვე მოქცეულია დამუფუფა. სუბლიკა სპექტაკლს მოიწონებდა და აღფრთოვანებული დარჩებოდა თუ არა, დიდად ამ მენადვლებოდა. უკველოვ მეტად თეატრში მუყოლ მსჯავრდებელთაგან ერთი მსჯავრდებლისა მერინდა, — ის მსჯავრდებელი ათავდ მე გახლდითი. ჩემი არსებობა დემსოდა ჩემივ საუვედური და ბუზღული ჩემივე პიესის მიმართ, და მემაყოფილებო ამ ხმებს სხვები მოხმობდნენ. სუბლიკა კი, მდლიანობაში, მყოფილი დარჩა. სუბლიკის ნაწილს სპექტაკლი მოეწონა კიდევ მეორე ნაწილი, როგორც ეს მიღებულია, ლინდადდა მას. ოლონდ გამომდინარე მიწრეზიდან, რომლებსაც ზღვსტაკოსთან არავითარი კავშირი არა აქვს. თუ რანაირად ლინდადდა, ამას ჩვენი პირველადი ნიშნების დროს ვიამბობი; ამაში ბევრი რამაა ქუთასა-სწალეხელი და სახელოვ ცოცა რაღა. ზოგი რამ ჩავეწერე კიდეც; მაგრამ ამაზე ლაპარაკს შეუვშაო.

ისე კი, სუბლიკას გულა „რევიზორზე“, ეტყობა, გორკინით შეუვარდა. ამაში თავიდანვე ვიუაგი დარწმუნებული, რადგან სონიციუსთან ნიერტი კაცს ამ როლში გუხსნელი არაფერი დარჩებოდა. მოხარული ვარ, სხვა თუ არაფრით, იმით მაინც, რომ მას მიუცი საშუალება მთელ სივრცეში წარმოეჩინა თავისი ტალანტი. მის ტალანტზე კი გულგრილ საუბარს უკვე იწყებდნენ და მას ბევრი ისეთი მსახიობის გვერდებდნენ, რომლებსაც, გაჯანბრია, ტუში არ აქლიათ წარამარა ნათამსუხტი ვიდევოლებისა და ბევრი სხვა მისთანა პატარ-პატარა პიესების წარმოდგენისას. მსახურის იმედულ ქმონდა, იმიტომ, რომ მსახიობს სიტყვისადმი გუ-

დოსტოიანობა და დაკარგებულობა შევატყვე. მაგრამ ორივე ჩემ-
ნი ძმა, ბობინსკიცა და დობინსკიცა, წარმოუდგენლად უფიროსი
ჩემი ვარაუდი. მე კი ვგრანობდი, რომ ისინი არ იყარებდნენ,
რადგან, როცა მე ამ რა პატია ჩინოვნიც კვნიდნი, მათ ტუაჲნი
ფაღღინი შეპყნი და რიაზანციო მებდა, მაგრამ მანვე უფრობო-
დი. მათი გარეგნობა და ვითარება, რომელსაც ისინი იმყოფებინ
როგორმე იმდენს იხანს, რომ მთლად კარიკატურული იყო შევი-
დენ-მეოტი. პირიქით კი გამოვიდა: სწორად კარიკატურა გავგრა-
ხელი. უკვე წარმოადგინე დაწვების წინ, როცა ეგვინ ჩამტყობი
დაიხლო, დიდა მეცა. ამ, კაცმა რომ თქვას, სამაოდ უფრო, ჩა-
სუქებული ჩივიანად თმადვარცხნილი ორი ჩინოვნიცს ნაცულად
რა ხალხი ვნახე? რადანცაღად მოქალაქე, კუღარა პარიკები რამ-
სიხალღუეჲ ახავიართო, აწონალან, აჭარბალან, ახურბდულან, იმ-
სიხაფთე ვალისხარები ამონახეთაო, სცენაჲ კი ისეთი პაწყვა-ტრე-
ბებმა გაახარებ, უბრალოდ, უაღვიანო საუბრებელი იყო. სართოდ
პიგისს პერსონაჲთა უმეტესობა ძალზე უფიროდ, კარიკატურულად
იყო ჩამტყობი. მე თითქმის გული მიგრანობდა ამას, როცა ვიხიო-
ე. ერთი რტებტიცა ჩაცმულებმა ვიპარეთ-მეოტი; მაგრამ დამი-
წყებს, როცა, რა საჭიროაო, ასეთი რამ არცა მალებულოო, მსახიო-
ბებმა, გსოვრობე, თავიანთი საქმე იტანო, რაჲ შევატყვე, რომ ჩემს
სიტუაცს მაინცდამაინც დიდადა არაფარად აგდებდნენ, შევეშვი. ი-
თვე ვიფირობე: მოსაწყენია, მოსაწყენი თვითონ არ ვციე, რატომ
დამჩია მარეუნილიობამ ხელი.

წარმოდგენა შევაძინე, რომ მეოთხე მოქმედების დასაწყისი
სიციხისმოგვრელი იყო; გვინია, რომ ისედაც მოსწონენ კერს ახ-
ლა მთლად დიდა ან წელს მითრევისო. გამოვუტადინე, ჯი საკიდვე
პიგისს კითხვის დროს ერთმა საქმის მცოდნე, ხალხცდელმა მსახი-
ობმა შენიშვნა მომიცა, მთლად უწირო არაა, რომ ზღესტაციო პირ-
ველად თვითონ თხოულობს ფული მასხსებუო, უკუეხი იქნეჲო-
და, ჩინოვნიცებმა მას ფული იქით შესთავაზონ. საქმალად გამჭირა-
ხული, გარკვეული მხრივ, მართებული შენიშვნაა, მაგრამ მე მაინც
ვერ გაავიდე; რა მიზეზით არ შეიძლებოდა ზღესტაციუს, რაღა ის
ხლესტაციო გახლავთ, თვითონ ეთხოვა, ფული მასხსებუო. მაგრამ
შენიშვნა გამოითქვა; ეტყობა, — ვუთხარი ჩემს თავს, — ეს სცენა
უფიროდ ამიჯა-მეთქი. და მართლაც, მხოლოდ ახლა, წარმოდგე-
ნის დროს დავინახე თვალნათლად, რომ მეოთხე მოქმედების და-
საწყისი უღიმღამო რამ იყო, მას რადანცაიერი მოთენთილობის ნი-
შანი ესეა. შინ რომ მიგბრუნდი, მამონვე შევუდექი სცენის გადა-
კეთებას. ახლა, მგონი, ცოტათი უკეთესი გამოვიდა, ყოველ შემ-
თხვევაში, უფრო ბუნებრივია, უფრო ჩანს, რა და როგორ, მაგრამ
ისინი თავი არა მაქვს, რომ სიესაში ამ ნაწყვეტის ჩამატებაზე ვი-
ზრტუო. დავიდალე, როგორც კი გამახსენდება, რომ ამისთვის სა-
ჭიროა ამდენი სიარული, ამდენი ხვეწნა და ღრეკა, ჯანდელს მაგე-
ნი თავი, მერე იყოს, როცა „რევიზორი“ კიდევ გამოვიცემ ან განვა-
ახლებ-მეოტი.

აჲ, კიდევ რა მინდა ვთქვა ბოლო სცენაზე, ეს სცენა არაფ-
რად ვარგოდა. ფარდა ისეთ დროს ეშვება, როცა ყველაფერი არე-
ულია, მუნდოვანია და პიგის დამთავრებული არ გვინია კაცს. მაგ-
რამ ამ ჩემი ბრალი არაა. ვინ დამიგონე უფრო. მე ახლაც ვამბობ,
რომ უნაასყენელ სცენას მანა არ ექნება წარმატება, ვიდრე ვერ
გაავებენ, რომ ეს, უბრალოდ, მუჭჭური სცენაა, რომ ყველაფერი
ეს უნდა წარმოსადგინდეს ერთ გაქვავებულ ჭკუფს, რომ აქ მთავრ-
დება დრამა და მას ცვლის მუჭჭური მიიქია, რომ ფარდა ორი-სამი
წუთი არ უნდა დაშვას, რომ ყველაფერი ეს უნდა ხდებოდეს იმ-
ნაირად, როგორც ამას ეგრეთწოდებულე ცოცხალი სუბაოთე-
ბი მოითხოვს. მაგრამ მე მეუბნებოდნენ, ესაო მსახიობებს შე-
ბორაკებს, საჭირო ვახდება ჭკუფთან ზალეტმეისტერმა იმეშაო-
სო, რაც რამდენადმე დამამცირებელიც კია მსახიობისთვისაო და
ა. შ. და ა. შ. კიდევ ბევრი სხვა რამეც წავიკითხე მე იმ ხალხის
სახეზე, რაც სიკუფიერად თქმულზე უფრო საწყენი იყო. ამ ბევრი
სხვა რამის მიუხედავად, მე ისევ ჩემს აზრზე ვრჩები და მეთხედ
ვიფირობე: „არა, ეს ოდნავადაც არ შებორაკებს მსახიობებს, არა,
ეს არავის დამცირებს“. თუ მაინცდამაინც — ზალეტმეისტერმა
შექმნას, წარმოსახოს ჭკუფი, თუკი მას ძალა შესწყებს, რომ ყოველი
სახის იმყოფიერი გამომეტყველება შეიგრანოს. ტალანტს მისთვის
მითითებული საზღვრები ვერ შეადგინებენ, ისევე, როგორც გრა-
ნიტის ნაპირები ვერ აჩერებს მდინარეს; პირიქით, გრანიტის ნაპი-
რებში შესული მდინარე უფრო მეტი სიჩქარით დასრავს თავის

ტალანტს. მგრანობიარე მსახიობი მისთვის ნაყარანხეუ კონსერ-
ვსელლებს ყველაფერს გამოატავს. მისთვის სახეზე არავის დაუდგრა
ბოროტი, მხოლოდ ჭკუფთა დაუნებელი საქიროებისმამრეველნი
ხიობის სახეს ყოველგვარი მოძრაობის გადმოცემა შეუძლებელი
მისი ეს გაქვავება-დამწეება მრავლისურავლება მოძრაობის შემ-
ცვლელი, ყოველი მოქმედი პირის უნიშნა რომ თავიგებურაა, ერ-
თის შემწინებელ მიქისას არა მაქვს, ისე, როგორც გრანინტის
მავეს თვით ადამიანების ბუნება, ერთნაირი არაა თვით მათი შე-
ნიშნების ხარისხი, რომელიც იმასზე დამოკიდებული, თუ ვინ რა
ზომის ეკუფებართობა გააკეთა. გროდინი სხვაგვარადაც უწრუ-
ნებულად და მისი ცოლი და ქალშეილი — სხვაგვარად თავისებ-
რად დაფრთხება მისამართად, თავისებურად წარუდგელი, სორტ-
მეისტერია ა. შ. და ა. შ. სულ სწავანიად შენიშნებთან ბობ-
ინსკიცა და დობინსკიცა, რომლებიც არც აწელი ლაღობიერ თავიანთ
თავს და ერთმანეთს ტურზე შეეუღლები შეუთხოვით მამანტარდე-
ბიან. მხოლოდ სტურტები შეიძლება ცრანაირად გაეხდნენ, მაგრამ
ისინი სურათის სიღრმეში არიან, სურათია, რომელიც უფრეა ცრ-
თი მომსიტი მოხაზება და ერთი კოლორიტით შეიფერება. ერთი
სიტუაცა, თითოეული პერსონაჲ მიმეურად განაგრძოს თავის
როლს, და, იმის მიუხედავად, რომ, როგორც ჩანს, ზალეტმეისტერ-
რის ნებას დამორჩილდა, ყოველთვის შესწლებს მაღალმეისტერ მსა-
ხიობად დარჩეს. მაგრამ მე ამდენი გაწაწინისა და კამათის ძალა
აღარა მაქვს. სულთმაც დავიდალე და ბორცოთაც ვაკიფიარ, არავინ
იციეს, არავის ემსის, როგორ ვიტანებე. ყველას დღერთმა ქალი-
მეუბარაობის, ამ სიესამ თავი მომამტარა. მინდა გავიქცე სადმე გენ-
დამისკენ და მხოლოდ მიმავალმა ჩემმა მოგზაურობამ, გემმა,
წვლამ და შორეულმა სივრცეებმა შეიძლებს ახლა გამახალისონ.
როგორ მინდა ვიფიგზურუო, ერთი ვერ გამომოთქამებს. თუ ღმერთი

სცენა სექტაქლიდან „რევიზორი“. ხლესტაციო — ვ. გომიშვილი, ზლომოვი — ა. კორეოლიანი.



გწამთ, მალე ჩამოდით, თქვენთან დაუშვებოდებოდა არსათ წავალ, მე მინდა თქვენ კიდევ ბევრი რამ გითხრათ ისეთი, რისი თქმაც აუტანელ, ცივ ხარას არ შეუძლია...

1836 წ. 25 მისი.
ს.პეტერბურგი.

II

წინასწარ უწყება მათთვის,
ვისც ინსურვებდა „რამიზორი“ ინა მთამაზა,
როგორც ეს საპირისპირო

I

გომოლის მიერ გადათქმებული
დასაწყისი ფურცლები

უველაზე მეტად უნდა გვემოხდეს, რომ კარიკატურაში არ გადავარდეთ. სულ უკანასკნელ როლებში კი არაფერი არ უნდა იყოს გადაპარბებული ან ტრივიალური, პირიქით, მსახიობი უნდა

და გაიზაროს, რისთვისა მოწოდებული ეს როლი, უნდა გაიკეთა ბიეროს პერსონაჟის მთავარი და უპირატესი საზრუნავი, რის სამსახურსაც ეწირება მთელი ცხოვრება, ის, რაც ამ პირობის დღეობა დაგი საფუძვლია, რაც მას არც ცხადში, არც ძილში არ აწყვეტს. გამოსახვის პირის ამ მთავარ საზრუნავს რომ ვაიცხადებ, მსახიობი თავადაც ისეთი ძალით უნდა განიმსჯელოს ამ საზრუნავით, მისით ისე უნდა აღივსოს, თითქოს, გამოსახვის პირის ფიქრები და მისწრაფებები მისი საყოფარი ფიქრები და მისწრაფებებიც იყოს და პიეტის წარმოდგენის მთელ მანძილზე წუთითაც ვერ იშორებდეს თავიდან მასზე ფიქრს. ცალკეულ სცენებსა და წერილობრივ ნაწარმებზე ფიქრით თავი არ უნდა იმტვიროს, ეს ცალკეული სცენები და წერილობრივი თავისთავად გამოვა კარგი და შთაბეჭდავი, თუ მსახიობი თავიდან ერთი წუთითაც კი არ ამოვიდებს იმ ფიქრს, რომელიც მისი გმირის მთელ არსებობას დაუფლებს. უკველითავე ეს ცალკეული, რანაირი გინდა წერდომანი, რომლებსაც ასე მარჯვდ იყენებს ისეთი მსახიობი კი, ვინც ხიარულსა და მოძრაობებშიც აჩაგრებს ხალხს, მაგრამ მთლიანად როლს ვერ ქნის, მხოლოდ ცალკეული საღებავებია, რომლებიც ტილის მაშინ უნდა დაადო, როცა სურათი მოღიქრებულია და სწორდება აგებული. ეს საღე-



სცენა რუსთავის თეატრის სპექტაკლიდან „რევიზორი“.

ვცადოს, რომ იყოს რაც შეიძლება მიერ ძალბებული, უბრალო, თითქოს, უფრო კეთილშობილიც კი, ვიდრე სინამდვილეში არის ის პირი, ვისაც ახასიურებენ. რაც უფრო ნაკლებ იფიქრებს მსახიობი იმაზე, რომ ხალხი გააციონს და თვითონაც სასაცილო იყოს. მით უფრო მეტად გამოჩნდება ის, რაც სასაცილოა შესასრულებელ როლში. სასაცილო თავისთავად იჩენს თავს სწორედ იმ სერიალულობაში, რომელიც დამახასიათებელია კომედიაში გამოყვანილი თითოეული პერსონაჟისთვის. უველა ისე ფაცო-ფუცით, ფუსფუსით, გულმხურვალედაც კი აკეთებს თავის საქმეს, თითქოს, სიცოცხლის უმთავრეს ამოცანას წყვეტსო. მხოლოდ მაყურებელი ზედვს, შორიდან, რომ რაც ამ ხალხს საზრუნავად გაუხდია, სულ უბრალო, წერილმანი რამეა. მაგრამ თვითონ პიეტის პერსონაჟები სულაც არ ზუმრობენ და სულაც არა მგონიათ, მათზე ვინმე თუ იცინის. კუკიანი მსახიობი, ვიდრე თავისი გმირის წვრილმან უცნაურობებსა და უწინშენლო თვისებებს ჩაალებდეს, უნდა ეცადოს, რომ როლის ზოგადდამაზნარი გამოემტკეველებს დაივიროს... უნ-

ბავები სამოსელი და სხეულია როლისა და არა სული. მამ, ასე, ჭკრ როდის ეს სული უნდა მოიხილო და არა მისი სამოსელი. ერთ-ერთი უმთავრესი როლი არის გოროდინი. ეს კაცო იმის ფიქრითაა შეპყრობილი, რომ ხელიდან არ გაუშვას ის, რაც თავისთავად მოდის. ასეთი საზრუნავის გამო, მან ვერც ერთხელ ვერ მოიკადა, რომ ცხოვრებას უფრო რამდამ ჩაეკირებოდა ან საყოფარი თავისთვისაც უფრო გულმხურვალე შეეცოთ თავით. ამ საზრუნავის გამო იგი სხვათა შეზიწროვებულად იქცა და მას თითქმის მისთვისაც შეუმჩნევლად გაუქვავდა გული, თითქმის მისთვისაც შეუმჩნევლად იმიტომ, რომ იმის ავბორიტული სურვილით კი არაა შეპყრობილი, რომ შეაქირვოს ვინმე, უბრალოდ, ის შეპყრობილია სურვილით, რომ დეპატრონოს უველაფერს, რაც ხელში მოხვდება. უბრალოდ, მას დაევიწყდა, რომ ამით იგი ვილაყეებს ამწარებს და მავანს და მავანს შავ დღეში ავდებს. მან ერთხელ მოლოდინეულად აპატია ვაქრებს, რომ იმის ავბორიტული მისი დალუჯა ქქინდით განზრახული; როცა მას სახარბილო წინადადება მისცეს, იმიტომ რომ ის

აქვა ცხოვრებისეულ ცდუნებებს, ჩამაც იგი გულქვა კაცად აქცია და მას სხვათა დადომარების გაგების, სხვისი გაიკრების შეგარების ალღო მდომარუნდა. ის გრძობს, რომ სულწაწმუნდელია და ეკლესიისადმი დადის; ის კარავს, ქვეშაირად ღვთისმოსავც კი ჰგონია თავს. მერე, როდისმე მონანიც კი აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ დიდია ძალა იმით ცდუნებისა, რაც მის ხელში გადის. მაცდუნებელია ცხოვრებისეული კეთილდღეობა და უკუაღარის მიტაცება, რაზეც კი ხელი მიუწვდება, უბრალოდ, მას ჩვევად ექცევა.

რუსი კაცია, რომელიც ღვთისმოსავსა და გვადარდნობ, მტარავალი არაა, მაგრამ მასში სიმათივის ცნება გაუღრმავებულია, ესაა კაც, ვინც თავისდაშეუმწკვლად თხემით ტრფხანდ სიცრულე ქველთა, ამტომიკავა, რომ იგი რეზინორობს, დარბიხილენი ვინმეა, მედღერობს კიდევ და ზოგჯერ ატყუებობს, აღტყუებობთაც კი ლაპარაკებს. შესაძლოა, ეს ერთი იმთავანაც კი იყოს, ვინც, თუკი დანიანად, რომ ირგველც ყველა პატიოსანია და რომ პატიოსნება მოიხიზნელებათ...

II

სრული შანი ტამსტი

23 ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიკული ალბომი, თბილისი, 1973, გვ. 356-357; ქართ. ხელნ. აღწერილობა, A-11, გვ. 50, 53.

24 შემოქმედლ-შემქმნელი (იხ. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 480); მოქმედლ-მქმნელი (იხ. სულხაძე სანაძე რაბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949, გვ. 412; ამ ტერმინი მოიხსენიება XI ს. სინიქსარის (H-2211) დამკვეთი დავით ჭიბისძე. ეს ეპითეტი ზნობად იხმარება ხელოვან — ოსტატთა მიმართ; იხ. X საუკუნის ოქრომანდაკებელი — დავით კურაპალატის წერის ოსტატი ასათი XIII ს. იენაშის მომხატველი იონა, ანტონ I-ის „კატელორისი“ (S-4176) გადამწერი გიორგი ერისთვისძე.

25 საქართველოს ეკლესიის კალენდარი, საქართველოს მამაღმთავართა სია, 1976, გვ. 279.

26 გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დისახელებული ჰყავს გაბრიელ დაფანჩელი დიდებულ აზნაურად ანუ კურაპალატის (937-954) დროს; „და აწ ნათესაეთა მისთა ჰქვიან დაფანჩულნი“, იხ. Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзотийского, Изд. Марра, СПБ, 1911, სტრ. 12.

27 ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქ. ბუზ. მოამბე, VI, 1931, გვ. 259; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბილისი, 1970, გვ. 19 (ტექსტები გამოცემა ო. დოლიძემ).

28 კ. ე. კლიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 161.

29 უხმარი — უნდო, ურგები, არ გამოსადეგი, არად სახმარი, ახ. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961, გვ. 391.

30 ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 214, 223.

31 ილ. აბულაძე, საქმე მოციქულთა, გვ. 020.

32 ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, ტაბ. 33, 36.

33 გრიგოლი იყო ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი გიორგი ვარაზეჩის (1029 წლის) შემდგომ. იხ. მ. დოლიძე, ილარიონ ქართველის ძველი რედაქციები; თბილისი, 1974, გვ. 63-67.

34 ელ. მაკუავარიანი, გადამწერსა და მხატვარს შორის... გვ. 24-30; Е. Мачавариани, Группа грузинских украшенных рукописей первой трети XI века, принадлежащая к Константинопольской художественной школе (II международный симпозиум по грузинскому искусству), Тбилиси, 1977 г.

35 ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაფხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 27.

36 ივ. ჭავჭავაძე, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1947, გვ. 32-35.

37 Г. Алибегашвили, Художественный принцип иллюстрирования... სტრ. 65-66.

38 ზაქარია მირბატისძე და არსენი მოხსენიებულია ათონის 1074 წლის ხელნაწერის აღბეჭმულ, სიუბეჭმული გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, თბილისი, 1901, გვ. 60, 62.

კოლხური

ხელოვნების

უკვლასი

კეპლავი

აჭარისწყლის

ხეობიდან

ამირან კახიძე, იური დავითაძე,
შოთა მამულაძე

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კერძოდ, ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის ერთ-ერთ უძველეს და მძლავრ მეტალურგიულ კერას წარმოადგენდა. ბრწყინვალე ბრინჯაოს იარაღების (ტული, თოხი, წალი, სეგმენტური იარაღი და ა. შ.) შექმნა ამ რეგიონთანაა დაკავშირებული. უახლოესი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით დასტურდება, რომ კოლხური კულტურის არეალში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მდინარე ჭოროხის შესართავის. აჭარისწყლის ხეობაც, უკანასკნელ წლებში აქ აღმოჩნდა კოლხურ-ყობანური კულტურისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავი ნიმუშები. 1977-1978 წლებში ხულოს რაიონის სოფელ კალთიდან სოფელ ხიხაძირში (აღვლი „იზოდედეს ახობი“) სასმელი წყლის გაყვანის დროს, არცთუ ისე დრამა აზნის გაჭრისას, მოზრდილი ქვის ლოდის ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს ვანძი, რომელშიაც,

წალთან და სემენტურ იარაღებთან ერთად, სადა და გრავირებული ცულბიც იყო. განძი ამჟამად დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.

პირველი ცული ტიპური კოლხურია, ყუბახვილი, სატარე ხერელი წვეტიან-ოვალური მოყვანილობისაა, წელი მაღალია, გარდა ასიმეტრიული პირი (უკანა ნიღრი წინაზე ოდნავ მაღლა აწეული), ყუისა და სატარე ხერელის ზედაპირი სადაა. ცულის შუაწელის ექვსეუ წახნაგზე ამოღარულია წერტილის ირგვლივ განლაგებული წრეები, რომლებიც შემოფარგლულია წიწვოვანი სამკაულის პორიზოხტალური ზოლებით. ცულის ორივე ლოყაზე სტრაზებელი ქაღალის გამოსახუნს, ხელისასანს, პირველ რიგში, ფიგურის კონტური მოუხაზავენ (შენიშნება უკანა ფეხის კონტურის შესწორება), ტანის დიდ ნაწილზე ბეწვისა და სხეულის ცალკეული ნაკეთების რელიეფური ჩვენების მიზნით გაუვლია სხვადასხვა მიმართულების მკრთალი ხაზები. ეს ხაზები და ცარიელი ადგილები შეუვსია წერტილოვანი ორნამენტით. ფიგურას აქვს დაქვევტილი ყურები, დაღებული პირი, მაღალი, სქელი და მომრგვალებული კისერი, მოკლე ტანი, მოხრილი ფეხები, მორკალული კუდი.

მეორე ცულის შუბლის წახნაგზე ყუისთან გრავირებულია წყვილი კონცენტრული წრე, წელის არეში — ცულის პირისაკენ მიმართული წერტილებით შევსებული დასაყვანილი გველები, საპირისპირო წახნაგებზე — ზენური ხეიები, ხოლო ცულის ორივე ლოყაზე პირველი ხომუის მსგავსი ძაღლების გამოსახულებანი.


კიდევ უფრო მდიდრულადაა შემკობილი მესამე კოლხური ცული. ორნამენტი და გამოსახულებანი ცულზე ფროზესებულად არის განლაგებული. პირველი ფრიზი, ე. ი. ყუისა და სატარე ხერელის არე, შემკულია ბასრი იარაღით გამოყვანილი სხვადასხვა ზომის კონცენტრული წრეებით, რომელთა შიდა ზედაპირი ჰდელუი წერტილებითაა დაფარული. კოლხური გრაფიკული ხელოსნობისათვის დამახასიათებელი კადრის სრულად გამოყენების მიზნით (გამოსახულებისა და მისთვის განკუთვნილი არის ურთიერთშეთავსება), წახნაგის ვაფართობბსთან ერთად, წრეების რიცხვი იზრდება (ჭერ თითო, შემდეგ ორ-ორი, ბოლოს სამ-სამი). სადა და ორნამენტირებული წახნაგების გამოყოფი წიბო თითქმის შუაწელამდე დაფარულია წვრილი, მეტად ფაქიზად შესრულებული ბადისებრი სამკაულით. ყუის წახნაგები კი

— მკვეთრი კონტურებით შემოფარგლული ჰდელური წერტილების კუთხოვანი ზიგზაგისებრი ზოლით, რომელიც უფროდბა ბადისებო ორნამენტთან სარტყელს; სატარე ხერელის თავსა და ბოლოში ორივე წახნაგზე სიმეტრიულადაა განლაგებული მოხარული წრეები, რომელთა წერტილოვანი ფონზე მოცემულია გვრისებრი გამოსახულებანი. სატარე ხერელის გვერდით წახნაგებზე ნაკვეთია ბადისებო ორნამენტბანი პორიზოხტალურ ზოლებს შორის მოქცეული ჰდელურწერტილებბანი წრეები (ერთზე ხუთი, მეორეზე ოთხი წრე); ასეთივე წრეებითაა დაფარული კანის, სატარე ხერელისა და ყუის წახნაგებიც.

მეორე ფრიზი, ე. ი. ცულის წელის არე, შუბლის მხრიდან იწყება ბადისებო ორნამენტბანი ვიწრო ზოლებს შორის მოქცეული წერტილებით შევსებული შედარებით ფართო კუთხოვანი ზიგზაგისებრი ზოლით, რომელიც გვერდით ორნამენტბრებულ წიბოზე აღწევს. წელის დანარჩენ ნაწილს გარს უვლის ჰდელურ წერტილებბანი მჭიდროდ, სიმეტრიულად განლაგებული წრეების სამი რიგი და ბადისებო ორნამენტბანი პორიზოხტალური ზოლი.

ბოლო, მესამე ფრიზზე, ე. ი. ცულის პირის არეში, ორივე ლოყაზე გრავირებულია ძაღლის, ხოლო შუბლის წახნაგების, დასაყვისში — გველის გამოსახულებანი. ძაღლის ფიგურები შესრულებულია კოლხურ-ყობანური გრაფიკული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მანერით: მაღალი მორკალული კისერი, წვეტიანი დაქვევტილი ყურები, დაღებული პირი, მოკლე დინამიკური ტანი, გრძელი კავისებური კუდი. მოხრილი ფეხები უტირირებელი სამკუთხა თათებით ბოლოვდება. ტანის დიდი ნაწილი ჰდელური წერტილებბითაა შემკული. კისრისა და ტანის არეს ითუყვება ვიწრო ზოლი, რომელიც შევსებულია მცირე ზომის წრეებით (ძაღლის ერთ ფიგურასზე დატანილია რვა, მეორეზე ცხრა წრე), ორივე ფიგურის თავი გველსკენაა მიმართული. ისინი არსებითად ემსგავსებიან ურთიერთს, ულორდაც ერთ-ერთი მთავანის უკანა ფეხი უორნამენტბა. გველის თავი ისრის პირის მოყვანილობისაა. კლავნილი ტანი დაწინწკლულია წერტილოვანი ორნამენტბით.


განში დაცულ გრავირებულ ცულებს არაერთი ანალოგი მოეპოვებათ როგორც დასავლურ-ქართულ, ისე ყობანურ მასალებს შორის (აჭანდარა, წითელი შუქურა, სინათლე ნიკორწმინდის სახმრეთაო, თლიას სამაროვანა, ყობანა და სხვა ცულები). აღ-



ნიშნული ნიმუშები ერთმანეთს ემსგავსებიან ძალღების, გველების, კონცენტრული წრეების, ზენური ხეივების, ზიგზაგისებური ზოლებისა და სხვა სახის სამკაულთა გამოსახვის მანერით.

ძალღის გამოსახულებიანი ცულები სამ ჯგუფად იყოფა⁹. პირველი ჯგუფის ცულებზე გამოსახულება შესრულებულია რეალისტურ-ნატურალისტური მანერით. თანდათანობით სხეულის პროპორციები ირღვევა და გამოსახულება იმდენად სტილიზებულია, რომ მისი ამოცნობა მხატვრული ხელისნობის განვითარების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელიც კი ხდება. ამ ტიპის ცული აღმოჩენილია სოფელ ხიხაძითან ახლოს ფეშტურჯაულის ძვ. წ. VII-VI სს სამაროვანზე⁷, ხევიში⁸, ფსირცხაში⁹, ემერაში¹⁰, ცხინვალში¹¹, თლიას სამაროვანზე¹² და ყობანში¹³.

პირველი ჯგუფის ცულეში ერთიანდება ხიხაძის მონაპოვრებიც, რომლებიც ძვ. წ. VIII-VII სს თარიღდებიან. ამ პერიოდისათვის, რკინის ფართოდ ათვისებასთან დაკავშირებით, ბრინჯაოს ცულს დაკარგული აქვს სამეურნეო დანიშნულება, შემორჩა სარიტუალო საკულტო ფუნქცია. სწორედ ამ ეპოქორმა განაპირობა ცულთა გრაფირება კოლხურ კულტურაში. მომდევნო ეპოქებში სხვა ნივთებზე გრძელდება კოლხური ცულების გრაფიკული დეკორით შემკობის ტრადიციები. დაფნარში ანტიკური ხანის სამარხ ქვევრზე საჭრისით დატანილია ულავი, ირემი, ძალღ და სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები. მსგავს გამოსახულებიანი ქვევრების ფრაგმენტები აღმოჩენილია დაბლაგომის სამაროვანზე, ვანის ნაქალაქარზე, წიფნარსა და ზემო ფარცხაში. როგორც ჩანს, ასეთი გამოსახულებებით შემკული ქვევრები, საგანგებოდ მზადდებოდა და ზედაშეს, ალთქმული ლენის შესანახად გამოიყენებოდა¹⁴. ქვევრებზე გამოსახულებიანი შედარებით ნაკლებად სტილიზებულია, რაც გამოსახულებისთვის განკუთვნილი კადრის სიდიდით უნდა აიხსნას.



სხალისწყლის ხეობაში აღმოჩენილი ცულების სიუვეტი ყურადღებას იმკვეს სემანტიკური თვალსაზრისითაც. ექვს გარეშეა, რომ კოლხურ ბრინჯაოს ნივთებზე მოცემული გეომეტრიული სახეები თუ ცხოველების გამოსახულებიანი ასტრალურ-ტოტემისტური შინაარსის მატარებელია. ძალი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამონადირეო და სამეურნეო საქმიანობაში. გველი უძველესი ხალხების ერთ ნაწილს ოჯახის მუდარველ ლთაებად მიაჩნდა. სხვები მასში ადამიანთა მოღმის წინაპარს ხედავენ. ზოგიერთებისთვის იგი მიცვალებულის სულია. გველის

კულტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკრაფიულ ყოფაში დღესაც განაგრძობს არსებობას. სახლ-კართან ახლოს მისი მოკვლა ტაბურებულა, ძველი სტილით აპრილის პირველ ოთხშაბათს, ე. ი. გარგნობის დღეს, ტყეში ჯობის — გარგნის, შუშის მოჭრასა და სახლში მიტანას ერიდებიან. სწამთ, რომ ისინი გველვად გადაიქცევიან. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში ეზოში (სახლში) გველი დაიბუღებს. მსგავსი რწმენა-წარმოდგენანი უძველესი შეხედულებების ანარეკლი უნდა იყოს.

ასტრალურ-სიმბოლიკურ, კერძოდ, მზის გამოსახულებებს წარმოადგენენ ცულებზე გამოყენილი წრეები; ზიგზაგები მთის მდინარეებს უნდა გამოხატვდნენ. მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით ხელოვნების ეს ნიმუშები დიდ სიახლოვეს ამცლავნებენ ჩრდილო კავკასიურ ე. წ. ყობანურ კულტურასთან. თავის მხრივ, კოლხურ-ყობანური კულტურის ზოგიერთი ელემენტი ასახავს ჰაოიებს სკვიტურ კულტურაში¹⁵.

სხალისწყლის ხეობაში აღმოჩენილი მასალებით კიდევ უფრო გაფართოვდა კოლხური კულტურის არეალის სამხრეთი საზღვრები. აშკარაა, რომ ამ პერიოდისათვის, კოლხეთის სხვა რაიონების მსგავსად, აქ მოსახლე ტომები ასულან განვითარების მაღალ საფეხურზე. საწარმოო ძალთა პროგრესი შესაბამისად ასახულა აქაურ მკვიდრთა სულიერ კულტურაშიც. ხიხაძისის მონაპოვარი კოლხური გრაფიკული ხელოვნების უზრუნველავს ნიმუშს წარმოადგენს.

შენიშვნები.

¹ Ю. Н. Воронов, М. М. Гунба. Новые памятники Колхидской культуры в Абхазии. СА, 2, 1978, с. 260 и сл.

² М. М. Трапш. Труды П.-Сухуми, 1969, с. 144, 170, табл. XV, 2, XIX, 1.

³ ი. გველშვილი, კოლხური ცულები განძი ამბროლაურის რაიონიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე XII, № 9, 1951, გვ. 564-570, სურ. 1-3.

⁴ Б. В. Техов. Центральный Кавказ в XVI—X вв. до н. э. — М., 1977, с. 87, рис. 80.

⁵ П. С. Уварова. Могилиник Северного Кавказа. — МАК, вып. VIII, М., 1900, табл. XVI, 3, XVII, 1, XXI, 5, XXII, 1.


⁶ გავიერებული კოლხური ცულები შესახებ დამერიდებით იხ.: ლ. ფანცხავა, კოლხური და ყობანური კულტურების მხატვრული ხელისნობის ისტორიისათვის, საკანდ. ნაშ., თბ., 1975.

⁷ ი. დავითაძე. გრავირებული ცული სოფელ ფურუკაულიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები VIII, თბ., 1979, გვ. 32-36, ტაბ. V.

⁸ დ. ჭორბე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 36-38, ტაბ. IX.

⁹ А. Л. Лукин. Материалы по археологии Взыбской Абхазии. — ТОИПГЭ, т. 1, Л. 1941, рис. 6, 2.

¹⁰ Б. А. Купфин. Материалы к археологии



Колхиды I. Тб., 1949, с. 192, 193, рис. 37.


¹¹ დ. ჭორბე, დასახ. ნაშ., გვ. 29, ტაბ. XIV, 10, 11.

¹² Б. В. Техов. Глиняный могильник и проблема хронологии культуры поздней бронзы — раннего железа Центрального Кавказа, СА, 3, 1972, с. 23—34, рис. 1/162, 2/220, 222, 247, 268.

¹³ П. С. Уварова, указ. соч., таб., V, VII, 4, VIII, 1.

¹⁴ ი. ვაშაყიძე, გ. ლორთქიფანიძე. კოლხური ქვეყრი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, V, თბ., 1975, გვ. 99.

¹⁵ Л. И. Панцхавя, Я. А. Киквидзе, Г. В. Авалишвили. О некоторых элементах Колхидо-Кобанской бронзы в искусстве Скифского звериного стиля. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXI 111—B, თბ., 1978, გვ. 72-76.



თეატრი ბუნთ ქველბე ცხომკრეპაში

თერ გუგუშვილი

ბ. ჟღერის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დამკვიდრებული დოლო ალექსიძის. შეიძლება ითქვას, რომ ეს მისი სისუსტე იყო „ჩემო დოლია“ — ასე მიმართავდა მუდამ და, როგორც უფროსს, როგორც განსაკუთრებულად ნაწლ უყვარდა იგი. მას ეტყვიდა, როგორც თავის „სამურვეოს“. ეს რამდენადმე, ალბათ, იმით უკარგველი, რომ ბუნთ პირველმა შეამჩნია ჰაბუთი ალექსიძის ნიჭი, როცა მან სკოლის სცენაზე დადგა ბ. ლავრენიის „რღვევა“, ბუნთ დაწერა რეცენზია — დოლო ალექსიძის ცხოვრებაში პირველი რეცენზია.

იქიდან მოყოლებული, ბუნთ უყოველთვის თვალს ადევნებდა ამ გამოჩენილი რეჟისორის შემოქმედებას, მასში ხედავდა მარჯანიშვილისა და ახმეტელის საუკეთესო ტრადიციების ერთ-ერთ გამგრძელებელს, უფრო მეტიც, მიანიჭდა, რომ სწორედ მან შეძლო ორგანოდ შერწყვა თავის თავში ამ ორი უდიდესი რეჟისორის თავისებურებანი. დოლო ალექსიძეში იგი აფასებდა მისი უდიდებანო ფანტაზიის აღმფრენას, მაღალი ტრავიკული ხელოვნებისა და მსუბუქი, მკვირცხლი კომედიურობის სინთეზს, მსახიობებთან მუშაობის უნარს. სპექტაკლ „ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი“ მიძღვნილ სტატიაში „დიდი პოეტის სცენური სახე“ — ბ. ჟღერტი წერდა: „რეჟისორმა და ალექსიძემ შექმნა კომპონოციურად მთლიანი, შეტრული სპექტაკლი, აგებული ერთიან რიტმზე. მასში არაფერია შემთხვევითი, ყველაფერი ლოკაურადაა გააზრებული, მკაცრად ემპედებაჩება, თვარჩილება ნაწარმოების ძირითად იდეას“.⁴³

კრიტიკოსი ემართა ადევნებდა და ალექსიძის შემოქმედებას, არა მარტო საქართველოში, არამედ მისი უკრაინაში მოღვაწეობის დროსაც, დაყენებით მოითხოვდა ალექსიძის ხელოვნობაში დაბრუნებას, და აუწერელი სიხარული განიცავდა, როცა ეს ასრულდა; სიხარული შეხვდა მის სპექტაკლებს „დონ კარლოსს“, „კვაკვი კვაკვიანტაძეს“ და, განსაკუთრებით, ა. კორნეიშვილის „ხსოვს გულსას“.

ჟღერტი რეჟისურას უყავშირებდა ქართული თეატრის ეროვნულ სახეს, თეატრალური ფორმის საკითხებს. და რა განსაკვირბა, რომ ბუნთ, მარჯანიშვილის მოწაფე თეატრის სფეროში, მხარს უჭერდა მაღალი რომანტიზმის თეატრს, ელვარე, დღისასწავლებლებს სახიერებს, ჰუმორიტად ეროვნული კოლორიტის თეატრს. იგი ვერ ეუბნებოდა თეატრალურ „უფორმოზას“, ამორფულობას

და როგორც მთლიანად სპექტაკლს, ასევე მსახიობის სახეების უსახო რეჟისორულ გადაწყვეტას. „განდა ისეთი ხალხი, რომელიც ამბობს, რა საქართველო ეროვნული დ. ა. შ. — ამბობდა იგი გულისტკივლით, — ჩვენ ვიცი, რა არის ინტერნაციონალიზმი, მაგრამ უველაფრის შერწყმა რომ არ შეიძლება? მაგალითად, რუსულად არის „ხლები“ და ქართულად „სურია“. აქ რა შერწყმა უნდა იქონოს?“⁴⁴ — ხუმრობდა იგი.

მაგრამ იქვე გარძნობდა, რომ სახუმაროდ არ იყო საქმე. იგი განგაშს ტეხდა იმ მანვე პროცესების გამო, რომლებიც გარკვეულ პერიოდში შეიმჩნეოდა ქართულ თეატრში, როდესაც სცენაზე ნოვაციონობის ლოზუნგით გზა გაიკვლია უფერულმა, უსახო სპექტაკლებმა, როცა თეატრში მინავლდა სცენური რეჟისორული ენის ელვარება, მასთან ერთად ქრებოდა მოქალაქეობრიობა, სასოგალოებრივი ეფერალობა სპექტაკლისა. სიახლეთა მიმდევრებმა გმირული და რომანტიკული ხომ გამოაცხადეს ანაქრონიზმად და დუპირისპირეს მას „ახალი“, ფსიქოლოგიური სწავისი. ბ. ჟღერტი აფრთხილებდა ყველას, რომ ასეთი სექმეტური დამპირებობა თეატრს ვერ მოუტანდა სიკეთეს. იგი ამბობდა: „არ არსებობს რომანტიკა ფსიქოლოგიის გარეშე. ის წერია საშუალო სკოლის სა-ვარძმდვანელოში“.⁴⁵ ჩვენი თეატრი არ უნდა კარგავდეს ეროვნულ სახეს, — ჟღერდა იმორებდა იგი და ამ პრობლემას ისევე და ისევე უყავშირებდა ქართული ენის პრობლემას და დღევანდელ შეახსენებდა, რომ სწორედ თეატრს დაეცის რა დიდი პატივი ამ მდიდოაწმოდის მფარველი და ქომაგი ყოფილიყო.

მაგრამ ქართული თეატრის, ეროვნული სახის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, ბ. ჟღერტი არასოდეს უჭერდა მხარს ამ პრობლემის პრიმიტიულად გადაწყვეტას, იგი აქაც თავისი მასწავლებლის, მარჯანიშვილის თეზისს იცავდა, რომ ქართულ თეატრსაც ორი გზა აქვს — ერთი ის გზაა, რომელსაც ის თეატრი ზოგადსაკაცობრიო ასპარეზზე გაუჭვს, მეორე კი განსახიერებს მისი ეროვნული ტრადიციების, ეროვნული სახიერების სათუთად გაფრთხილებასა და დაცვას. ამ ორი გზის შერთება მარჯანიშვილს მიანიჭა დიდალურად. მომავლის თეატრის თვალთახედვით, ბ. ჟღერტი მთლიანად იზარებად ამ პოზიციას. მას არ მიანიჭა აუცილებლობად, რომ სცენაზე აღდგენილიყო ბერიკაობის თეატრის ტრადიციები, მექანიკურად გადმოეცნათ იგი თანამედროვე სცენაზე. მან, ამასთან დაკავშირებით ილპარაკა ლ. გოთოს პიეტის „სამხახეობა რაინდისა“ განხილვავს, სადაც პასუხს ვაცავს ზოგის თეატრ-ორ-

დასასრული. იხ. „საბუთო ხელოვნება“ № 10, 1980.

ტარს, რომლებიც მოუწოდებდნენ, მომავალშიც ევლით ამ გზით, სიესში შეერთავენ და ძველს აღდგინებენ.

ღ. გოთოს განმარტება ბესოს სისარული შეხება და მას მალა-ლა შეხება მისცა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი ექსპერიმენტის სისტემაზე გადაწყვეტი წინააღმდეგ გამოიხატა. ექსპერიმენტმა, რომელიც ჩატარდა „სამსახურის ჩანდლისას“ სახით, თავისი შედეგად გამოიღო, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ამით უნდა დაიწყო ახალი მიმდინარეობა ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში. ამავე მოსიციხიდან ეკავთებოდა იგი თავის დროზე აღ. ახტებლეს, მისი ზოგჯერ ენოვარგოვით გატაცების საციხიდან დაქაშრებით.

გასაკვირო არაა, რომ ადამიანი, რომელიც ასე იყო დაინტერესებული დრამატურგიისა და რეჟისურის პრობლემებით, განსაკუთრებულ ურადღებს აქცევდა მსახიობის პრობლემას. კრიტიკოსის პოზიცია აქაც უყომარამისი გახლდათ. „ჩვენს საბჭოთა პერიოდში უნდა იყო... საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, იდეოლოგიური მებრძოლი, ის თავისი პიტიორული ქვეითი ხშირად, ესტეტიკი განაპტიკებს მის საკუთარ დიდებს ხალხში, იცავს ჩვენს საზოგადოცორებს“.

ეს მისი პოზიცია გახლდათ. იგი ვლენდებოდა პტიორებთან არა მარტო საქმიანი, არამედ მისეული მეგობრული დამოკიდებულების დროსაც.

ბ. ვლენტი მტიციე მეგობრობა აქვეშირებდა ქართული თეატრის უფლა დიდ მსახიობთან — თავის ანამედრატებთან. და არ მოიძებნებოდა მათ შორის ისეთი, თვის შესახებაც მას თავისი კითხული კრიტიკული სიტყვა არ ეთქვა. ბესოს ულამა თვალს ადევნებდა მათს შემოქმედების წრდას.

არანვეულებარავი სინაზით ივრინებდა მუდამ უშეგე ჩხეიძეს ზემოთ ვილაპარაკეთ მამლებზე, რომელსაც ვლენტი უბრალო მსახიობურ წარმატებად ეს არ აღიარებდა, არამედ რეჟისორ საქართველოს კულტურის მნიშვნელოვან მოვლენად. „ჩვენ ამ პერიოდში მამლებს სახით ვსუსტავდით, ამ სპექტაკლის შობამედიულებით ვცხოვრობდით“.⁴⁶ — ამბობდა იგი 1955 წელს ე. ჩხეიძის სხოვისანამი მიძღვნილ საღამოზე. ჩხეიძის უზარმაზარ დამსახურებად მიიჩნედა „რღვევაში“ გოდონის, ქართულ სცენაზე არსებობად პირველ თანამედროვე მბრის როლის შესრულებას. „ისეთიან მოვლენა, — ამბობდა ბესოს, — რომ მსახიობი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში არ გამოჩენილა, ახსოვდეს, არ დავიწყებოდა ხალხს — ეს უველალოდ კი მის განსაკუთრებულ ნიჭიერებას, მის მალად გონებას, მის ნათელ მორალურ პიროვნებას მიეწერება“.⁴⁷

ბ. ვლენტი ღრმა მოწინეობით იყო განწყობილი ვერიკო ანკაფარდისადმი. მათ მტიციე მეგობრობა აქვეშირებოდა, მაგრამ მის მეგობრობის სიმკაცრითაც ხასიათდებოდა. ისინი შხრად ეკავითე-ბოდნენ ერთმანეთს და ამ კამათის მომხრე დიდად სანატრებსო გახლდათ: პოლიტიკის ბესოს და პოლიტიკის ვერიკო, რომლებიც არასოდეს არსებობს უფრობადა. ბესოს არასოდეს დარჩენია ვლდში. მაგრამ ეს იყო ერთმანეთზე ისეთი „თავდასხმები“, როდესაც გრძნობს, რომ ადამიანებს აერთიანებს ძალზე მნიშვნელოვანი რამ — მრავალი წლის მანძილზე მტიციე შედეგადებებული მეგობრობა და იმ ადამიანის სახელი, რომელსაც ერთი თუთავებოდა. ამავე დროს, ცხადია, უზარმაზარი სიყვარული ერთმანეთის მიმართ, პატივისცემის გრძნობა. ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ბესოს ეთქვა: „არ ვე-თანხმები აგრეთვე ვერიკო ანკაფარდის მოსარტებებს, რომ ჩვენი თეატრის არსებობა კიბვის ქვეშ არის დავიწყებული. სანამ არსებობს ვერიკო, ჩვენ ვავჯეს და ვავქენება ქართული ნაციონალური თეატრი“.⁴⁸

ბ. ვლენტი ბევრს წერდა ვერიკოზე, აღნიშნავდა მის უზარმაზარ როლს არ მხოლოდ ქართული თეატრის, არამედ მთელი მრავალ-როვნების საბჭოთა თეატრის განვითარებაში. სანატრებსოა, რომ პირველად ამის შესახებ კრიტიკოსმა 1945 წელს დაწერა, როდესაც ჭერ კიდევ არ ჰქონდა შექმნილი მსახიობის კლუბიარტას. შედეგად ბებისა, ჩაბების სიესში — დიდის, მეშენებანეს და სხვა როლები, როდესაც ქართველმა ხალხმა ვერიკოს 60 წლის იუბილე აღ-

ნიშნა, და ვლენტი „კომუნისტური“ გამოკვეთა სტატია, სადაც კიდევ უფრო ვეგაფად და ნათლად ვიკრებ 1945 წელს, ჩამოყალიბდა თავისი დამოკიდებულება ვ. ანკაფარდის სამსახიობო მოღვაწეობის მიმართ. ეს მარტო იმით კი არ აიხსნებოდა, რომ კრიტიკოსი უკვე „დავაცდა“, არამედ იმითაც, რომ მსახიობის შემოქმედებით არსენილი მას უკვე მეტ შესაძლებლობას სთავაზობდა დასცენებისა და განსოვადებისათვის. სტატია მსგავსად ღრმა მოწინებდა მსახიობის ხელოვნებაში, უველფურისადმი, რაც კი მან ქართულ თეატრს გაკეთა. „ვერიკო ანკაფარდის მთელი შემოქმედება სიცოცხლისა და სიყვარულის შთავრეობის მიმნი, ზემონრობისა და სულიერი ჩანდობის, ერთგულებისა და ვეგაფურთავგანწრების, ზემონრობი შვიენიერებისა და სისპეტაკის მგზნებარე საგალობლია“.⁴⁹

აღტაცებითა და მადლიერების გრძნობით ევიდებოდა ბ. ვლენტი თამარ ქავეკავაძეს. ამ მსახიობს მიიჩნევდა იგი ერთ-ერთ იმთავანად, ვინც თავის დროზე მრავალმხრივ განსაზღვრა ქართული თეატრის ბედი. წარმოიადგინო, — ამბობდა ხოლმე იგი, — რომ არ მომდლოყო ბენდერის შერწყმა მსახიობისა მბრის (დღარენისის) სხესთან, მაშინ სპექტაკლს არ ექნებოდა წარმატება, არ იქნებოდა ქართული თეატრის გამარტება.

1954 წელს, თ. ქავეკავაძის შემოქმედებითის საღამოზე მომხსენებელმა ბ. ვლენტმა ვაანალოზა მისი მოღვაწეობა და განსაზღვრა მისი ავტოლი მთელი ქართული თეატრალური კულტურის განვითარებაში.

ბ. ვლენტი ძალზე ვანიცადა რუსთაველის სახელობის თეატრთან თ. ქავეკავაძის წასვლა. არ შეეძლო ამ ფაქტს შეგუდობა და ხშირად განაცხადებდა ხოლმე ტრიბუნლიდან, რითაც ვაანისა და მავანის უტამოყოფობას იწვევდა. მსახიობის მტყარტების დღეს, როდესაც უწმუნდებოდა და პატივს მიაგებდა მსახიობს, მან კიდევ ერთხელ ზანგასენი აღნიშნა ამ ამბის უსანართლობა. თ. ქავეკავაძის შემოქმედების საღამოზე მან აღნიშნა, რომ, თუ ერთგულთამადელი თეატრის ძველი თამაშისათვის ორი ქალის — ნატო ვარციანასა და მაკო საფარავა-ამაშიძის სახელები ვანსახიერება ქართული კულტურის საყუთურით თვისებებს, ჩვენი დროის 20-30-40-იანი წლების თამბუნისათვის ასეთი სახელები იყო თამარ მიყრე სიმამფრეს არა ჰქონია კატეგორიულობის პრეტენზია, მაგრამ დავიწყებისა და დასტურის საბაბს კი ნამდილიად იძიოდა.

ბ. ვლენტი დიდი მეგობარი იყო ნატო ვანიცად. არანვეულებარავი სინაზით ღალაპარებდა იგი ნატოზე, მის ავტოზე ქართული კულტურის ისტორიაში. ბესოს მას ღვაობად მიიჩნევდა, დაულალოვად აღუდგენდა ხოტბას მის სილამაზე, ადამიანურ სიკეთეს, გულსახიერებას, ერთგულებას და თვადღებებს. ბესოს დახმარებას უწევდა ნატოს მუშაობის წინაზე — „შეხვედრებს და მომწინებდა“. ნატოს მიერ ბესოსადმი მიძღვნილ წინაზე ასეთი წარწერაა: „ვერცხის ბესოს, მადლიერების გრძნობით ნატოზე ვანსანისაგან. თუქნე იუაყო ჩემი პირველი შთამავრებელი და შვეულნი ჩემთვის ახალ საქმეში. არასოდეს დავიწყებ თუქნეს გოლისხმებრ და თბილ დამოკიდებულებას ვეველა ამ ექვის მიმართ, რომელსაც კო თავს იჩინდა ხოლმე ამ პატარა წინაზე მუშაობისას“.

1974 წელს ვლენტი ბ. ვანიცაქსა და ბ. შენგელაის მიუძღვნა სტატია, აგრეთვე სტუთყო გამოიყვანა საოულებული საღამოზე, სადაც ეთქვა: „იგებ იყო კიდევ რაღაც საპართილანი კანიწონიერება, რომ ნაკოლოშ შენგელაია და ნატო ვანიცადე არავის უნახავს დახმარებულად. წელში მოხრბო, მოღუწებულად, იგებ იმისომაც, ჩვენ, მათი მეგობრები, არასოდეს შევრავებვართ მათს სიკეთეს, მუდამ სიცოცხლისმყოფაგებობს და ვაყიკობის განსახიერებლს, სიკეთილიან შეურავებულ მებრძოლ ჩანდებდა დაჩანენ ისინი ჩვენს მესხიერებაში“.⁵⁰

თავისი ვანსულა და სტატია ბესოს დათმობა ბ. შენგელაისადმი მიძღვნილი სიმონ ჩიქოვანის ლექსით, რომელიც ერთნაირად შეიძლება ბ. ვანიცაქსაც მივაუთვინოთ:

სამართლი შენ არ წიხვარ,
დავეშორდი და მაინც შორით
გვიშეუღებო.
ცისკარივით ჩემი მზე ხარ
და სიყვლილთან მირჩინალი
შეჩვენებენ...

თავის უანასწელი წყნის ბოლოსტევაობაში მჭერობა
და თანაგრძობობა“ ბ. ვლენტი წერს: „შოთათა იტყვიან მჭერობა
ველი საბჭოთა მჭერად, რომლის შესახებ მე არაფერი დამწე-
როს ჩემი ლიტერატურულ-კრიტიკული მუშაობის სახეგარი საუ-
ყუნის მანძილზე...“⁵³

ბ. ვლენტი ამავალად აკავი ხორავასთან მეგობრობით, მას აქ-
ტიურად სრულყოფილებს განსაკუთრებულ მიზნებზე, თანამე-
დროეობის უდიდეს მსახიობს უწოდებდა. საქართველოს ლარა-
გლებს ვართვის მას განუზღოვდა პირობებებზე უფრო და ლარა-
გი. მიანდ, რომ სწორედ მას ერთი პატარა თავის თავე შეერწყა
ქართული მსახიობის ყველაზე საუკეთესო, ტიპური თვისებები,
ყოველთვის, რაც დამახასიათებელი ახალ საბჭოთა ეპოქის მსახიო-
ბისათვის. ჩაში ხედავდა თანადროულობის მაღალი იდეების გა-
მომხატვლად და თვითარს მოქალაქეობრივი პოზიციის მატარე-
ბელს, ტრავადული და გმირული ხელგეობის დღევარ წარმომად-
კენებს. იყო დრო, როდესაც შემოქმედებითა მკამათა და დესუ-
სიგება ში-ში-ან წლებში განსაზღვრა ადამიანების ადგილი სხვა-
დასხვა „მანქანში“. მაგრამ წლები გადიოდა, თითქმის შეუთრე-
ბელი წინააღმდეგობის ზღვრები იშლებოდა, ვებებში „ილემქობო-
ბა“, იხრებოდა, ადგილს უთმობდა განსაღ აზრს და ყველაფერს
თავის კანონიერ ადგილს მიუზენდა. და ცხოვრების გარდაქმნა
ამ ნიადაგში, თვითარსული დღესასწაულებითა და ყოველდღეო-
რი ცხოვრების მონაკლებობაში იზრდებოდა და მტკიცებოდა
მათი შემოქმედებითა და პირად მეგობრობა, უფრო სილიდერად
და ღრმა სდებდითა მათი ურთიერთსდერადი. ბ. ვლენტი იყო
მომხსენებელი აკავი ხორავას ირვი თბილზე, ბევრს წერდა მის
შესახებ, ამკვიდრებდა რა ყოველთვის მის უდიდეს ადგილს მთელი
საბჭოთა თვითარსული კულტურის ცხოვრებაში.

იგი ვინა გოთაშვილთან მეგობრობდა. მიუხედავად შემოქმე-
დებითი კამათისა, მათ არასოდეს დაუკარგავო ერთმანეთის პატივის-
ცება, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთის ოჯახებში, დიდი ხნით ბა-
სობდნენ თვითარს პრობლემებზე და უსიტყვოდ ესმოდა ერთმა-
ნეთის. ბუგის მიანდ, რომ ვინა გოთაშვილის სხით ქართულ
თვითარს ჰყავდა თვითყოფილი, უნაკლები ნიჭის არაქველდობრი-
ვი ადამიანი, თავისს სცემდა მის. მაგრამ შეცდომად არ ახატებო-
და. იგი წერდა: რაც შეეხება გოთაშვილის ვეგას (მ. მრევილიშვი-
ლის „ვეგა“ — ო. გ.), ეს რთული და საკამათო საკითხია. რო-
გორც ვიცი, გოთაშვილი დიდი მსახიობია, რომელსაც აქვს მკვეთრი
სტესიკური პრობების შესრულების უნარი. ჩვენს თანამედრო-
ვე კლასში ვის არ ახსობს მის მიერ შესრულებული ლარაგები,
მის მიერ შესრულებული ერთკლ მეორე, ზღვრეკავი და სხვები,
ხადვ სხახიობის მაღალ კერს მიადწია, მაგრამ აქ, ამ პიესაში მან
ვერც მონახა ისეთი მახვილი საღებავები, რომელიც მის ნიქსა და
აქტიორულ შესაძლებლობას შეეადრება...⁵⁴

1983 წელს ვლენტი დაწერა ბრწინივალ სტატია გოთაშვილ-
ზე, სადაც განსვავდა მისი შემოქმედებითი გზა, განსაზღვრა მისი
ადგილი თვითარს ისტორიაში, თავად სტატიის სათაურში: „დიდი
ტრადიციების და ნოვატორული შემოქმედების ხელგეობა“ გამოქვე-
თა ავტორის პოზიცია და პათის. კრიტიკოსს მსახიობის შემოქმე-
დება, მისი ექსპრესიული რეაქციონერი, ელვარე, ღრმა, თამაში და
დღესასწაულებრივი, მოხეივ ხელგეობა გამოიყენა ამ ცრუნოვა-
ტორულ ექსპრესიონებთან დასაბრკოლებლად. რაც გამოვიინდა
და ქართული თვითარს ცხოვრების გარკვეულ პერიოდში და არა-
ვითარს საერთო არ ჰქონდა დიდ, მოქალაქეობრივ წავადაკობ-
რიული და ღრმა გრუნულ ხელგეობასთან.⁵²

კიდევ ერთი „სისხლმწიკ“ სტორია ბიუსს — შლევა დამამაშიძე.
იგი საცურად მიწიწებული იყო მის წინაშე — მსახიობისა და
ადამიანის წინაშე. შლევა ქართული თვითარსის სინდისად მიანდ,
თავისს სცემდა მის ადამიანობის თვითარსა და ცხოვრებაში.
ალიაბრები, რომ ბ. დამამაშიძის პიროვნების ეს განსაკუთრი სინფი-
ვი განაპირობებდა მსახიობის ოწივან სცენურ მომხიბვლებობას
და მაყურებელზე ზემოქმედების ძალას.

სერგო ზაქარიანი და კესო კენაბლიანი, პეტრე ამირანაშვი-
ლი და ვახტანგ ჰაბუაიანი, თათყვა თათყვიანი, შვიდი და გირგო შა-
ველიძე — შესრულებული ბესისათვის ყველა ამ მჭერფასის და
საყვარელი მსახიობის ჩამოთვლა, რომლებსაც მთლამ უწილადებდა
თავისი გულის ნაწილს!

იგივე შეშობილი ექვამ მას თავის თვითარსულ-კრიტიკულ მოდ-
ვარებაზე, არ ყოფილა ისეთი თვითარსული მოღვაწე საქართვე-
ლოში, ვისზეც მას არ დაეწერა და არ ექვამ თავისი კეთილი ან
კრიტიკული სიტყვა. ეს თებობდა როგორც „უფროსებს“, ისე „უმ-
ცროსებს“.

ხშირად ხდებოდა, რომ ბესო პირველი შეამჩნევდა ახალბე-
დას და კეთილად დაულოცავდა გზას. იგი ამბობდა, ჩვენი თვითარ-
სისა თუ ხელგეობების რომელიმე სხვა დარგის განვითარების
ყოველი პერიოდი უნდა შევავალოთ იმის მიხედვით, თუ რა ახალი
ძალეები მოვიდა. მრავალწლით წინ მან პირველმა შეამჩნია ზა-
რინე იბდილი და წერდა: „... პრანისინის გმირები“, წერდა,
რომ იგი „სამომავლ ძალაა ქართული სცენური ხელგეობებისა“. თავის
დღროვ აღნიშნა დამწეები მსახიობის სალომე ყანელიის „ჩინე-
ბული ოსტატური მტკველები, სცენური მომხიბვლობა“. ზინ
ეკრინიხობად ვეამბობს, რომ სწორედ ბესომ დაუტარა მას მხარე
მისი შემოქმედების ყველაზე სასაუბისხმებლო მომენტში,
თვით გზის დაწასწილი. იგი წერდა ახალგაზრდა აკავი გოთაშვი-
ლის ხარეისორი დებიუტზე და აღნიშნა მისი „კავი ვემოცუნება,
პიესის სწორად ვახსნის უნარი, სცენურ წარმოდგენის მაინიჭის
ძალე“. სხარაფალი შენდა ჩვენს სცენაზე. მ. მელვინიშვილ-
ისი გამიჩინა და ბოლო დღემდე ატკცებული იყო ამ მსახიო-
ბით. გარდაცვალებად ცოცა ხნით ადრე იგი წერდა: „... ბედ-
ნიერება, რომ დღევანდელ ქართულ თვითარს ჰყავს ახალი დიდი
მსახიობი. ჩაოდნ ნამდვილ ესთეტიკურ სხარაფლ უწახადეს და
პირადებია იგი ჩვენს ქვეყანას...“⁵⁴

ახალგაზრდა რეისორი რობერტ სტურუაზე მან 1965 წელს
გაუცხვად: „განდული თვითარსული სეზონში დაიდავ ერთი სექ-
ტორის, ეს არის „სიღვლის პიროვნის“, სექტორული, რომელიც ვე-
ჩვენა ახალგაზრდა რეისორის რობერტ სტურუაზე შესანაშენა ნი-
ჭი...“⁵⁵ ახალგაზრდა რეისორი კავი ჰევაიამძე მან თქვა: „ბოვ
ქევაიამძე ნამდვილად ნიჭიერი კაცია და ვისურვებდი, რომ მას
მოუკარებო, ბატონო თორა...“⁵⁶ ვევაზაშენი რუსეთში, უსტორო-
ბა... მას ხელის შეწეობა სჭირდება, მისი პიროვნობა უნდა გა-
ღრმავდეს...“⁵⁷

ურარაფალი ადევინებდა ბესო თვალს ყოველდღობს, რაც ქ-
რამ ახალი გამიჩინებდა ღრმა მჭერფარება. იგი სხარაფალი შეხე-
და და ეკიცარიძისა და ლ. სანიციის გამიჩენას, მანინვე ურარა
და სანიციის თავი მიგნებებით „ანტაგური თმბატიკისათვის“ და
თანადროულობის პრობლემებით დანეტრესებულიყო. რთულ ვი-
თარეობაში დაუტარა მხარე. თ. ჟიბაძის პიესის „მკველიობა...“
ეს არის ნიჭიერი ნაწარმოები, მუ რაიმე ხარვეჭი ჰქონდა, გამოვ-
სწროით... ჩვენ არა ვართ ასე მდიდრები, რომ ამგვარი ნიჭიერი
ღრმა მჭერფარე ნაწარმოებზე უარი ვთქვათ...“⁵⁸

ადამიანებისადმი ურარადება ბესოროს დღვრების ერთ-ერთი
ძირითადი თვისება გახლდათ. მხედველობიდან არ გამორჩენილი
თვითარს, ლიტერატურასთან, საწავადომებრი მოკვლევითან და
ეკვირვებულ სახეში ვითარება. პირად შეურაცხუვალად ღიბება
როდესაც რაიმე მოკვლევას, არ რომელიმე მოკვლევს მიმართ ურ-
რადლებობას შეინახავდა. მასხვოს, როგორც ვანაწეუნდა, როცა
% ანტონოვის იუბილზე დაბრძნში თვალი ვერ მოჭრა ქართული
თვითარს ზოგირით მოკვანქა როგორ გულწრფელად შეუწუდებო-
და ზომზე, როდესაც რომელიმე მნიშვნელოვან დასპოტზე არ
ქრებულ ცარილ დარბაზს დაინახავდა. თვითარსა და ლიტერატურ-
ის მოკვლევებისადმი ადამიანებისა ვულგარობას ვეჩარფობ ვერ
ეგუებოდა და ამავე ხმამალა ლარაქაქობდა კიდევ ტრბიუნდან.

ბ. ვლენტი ბეგორი, თვითარსული“ მეგობრობა ჰყავდა არა მარტო
საქართველოში, არამედ მის ფარგლებს ვარეყოც. ზემოთ მოხსენი-
ებულითა გარდა, იყვნენ ღრმა მჭერფარეები: ვს. ვსუფესკი და ალ. კირ-
ნილივი, ე. სომიროვი და ა. შიკიტეწკო. ს. ტრბეკავი და ბ. ვურ-
ლინი, გ. მდივანი და გ. ბააზოვი, რეისორის ვ. ანჩინაი და დ. ან-
თაძე, მ. ჰევაიამძე და ბ. დლიძე, მსახიობები ბ. დღევანოვი და
ს. უფერი, თვითარსული-კრიტიკოსები ბ. მარკოვი და ა. ახალცი-
ბელი, ა. ალტანი და გ. ვარციკი, ა. ვეფარაქვი და ა. ახალცი-
ბელი.

თავის დამოკიდებულებას ბესოსადმი ასე ახასიათებს ნაკადილი უყვი: „არცია ჩემი ახლავარადობის მეგობარს ბესო უფრენტ ვიკონენს, უმაღ თავაღნი გამოქმსახება იგი ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეა ვარგემოცხა და ატონოტორი. მთელი არსებით ცხოვრობდა საყვარელი სამშობლოს, თავისი ხალხის და ენა კულტურის ინტერესით, თითქოს თავის თავში თავისებულ და იტრებდა საბჭოთა ხელოვნების ლიტერატურის განვითარებასთან დაკავშირებული პროცესების სიმავალიცა და სიმამრც.“⁵⁹

აი, არს ამისი ნ. ახალიანი: „სხვადასხვა, აღიარებული ლიტერატორები, განსაკუთრებით მოციქვდი და მადევევიდა ერთი სასწავლობრივი ღირსება, დე მას ცხოვრების, ლიტერატურისა და მეგობრობის სარწმუნო აქვს დაჯარქმევი. არ ვიცი, ხარობ და თუ არა იგი თავისი ხარებატობით, სხვათა — თავისი თანამოძმეების, მეგობრობის და ამხანაგების წარმატებით რომ ხარობდა ისე, როგორც ავაინი, ეს კი ცხადია.“⁶⁰

ბ. ულენტი თვითონ არ არსებობდა „ადილი“ და „პატარა“ თებტარი. იგი ერთნაირი ურადღებით და ინტერესით ეციებოდა დედამაქალის თებტარებს: რუსთაველის სახელობის იქნებოდა ეს თუ მარჩანოშელის სახელობის, აგრეთვე, თბილისის ვარდა, სხვა თებტარებსაც. წინდა რეპეტიციებს, დიანტრატებული იყო მათი ცხოვრებით. არაერთხელ უღაპარავა ტრბინიდან იმ სიმღერებზე, რომლებსაც ეს თებტარი შეჯახებოდა. მიმგეგმავდა რაინდენი. ყოველთვის ესწრაფოდა ამ თებტარებთან დაკავშირებულ სახეობის ღონისძიებებს, გაწოდებოდა და განიხილებდა მათ სექტკატლებს. გჭოკსლებებისთვის იგი სავარგებლო ენაწვდებოდა, მთელი პასუხისმგებლობით, ესწრებოდა ყველა საგატროლო სექტკატს, კითხულობდა ანბანს, რომლებიც ამ თებტარებს ჩამოქმნიდა და მათ შუამოსხას სიხსენებდა. ქუთაისის, სოხუმის, ხაშურის, გორისა და სხვა თებტარების კოლექციებს, აღზარა, ახსოვია, რა ბოზოქარი კამათი იმართებოდა თებტარული საზოგადოების დარბაზში ამ გამოხელების შემდეგ. ბესო ყოველთვის ღრმა პატივისცემით ღაპარაკობდა აფხაზურ და ისორ თებტარებზე, რომ აუცილებელი იყო მათ დავცვათ თავიანთი ერთგული სახე, ოღონდ არა ჩაეტბოლი, არა ეკატბური, არამედ მასწავლებელი, მნიშვნელოვანი, ეფვარებოდა თებტარული თებტარისა. „ნამდვილი ხელოვნება არ შეიძლება იყოს ქალაქი და საქალაქო დანიშნულების, იგი უნდა იყოს ერთგული მასშტაბის“⁶¹ და შემდგომ განაცხადებდა: „ჩვენ დანტრატებულში ვართ, არა აფხაზურ თებტარი მთავალი დონეზე იდგის, რადგან იგი გამადიდებებს აფხაზი ხალხის სულიერ ცხოვრებას“.

არ შეიძლებოდა ბ. ულენტის გამოსვლას ადგილიდან რეპეტიკა არ მოყოლოდა. დღეს, როცა კითხულობ ამ სტენოგრამებს, რჩებიდებოდე აინახა ეს მრავალჯერის შეხება-შემოხება, როგორც უცდებლად მესხებებში ნამდვილი ატონოტორი ამა თუ იმ დისპუტისა, თუ თათბირის, შეიგრძნობა დარბაზის განწყობილება, დაწარწრთა დაფორტილებულია არა მარტო ორატორის მიმართ, არამედ მისი კრიტიკის ობიექტის მიმართაც, თავად თემის მიმართ. ამაზე კარგი სტატისი დაწერა შეიძლება...

ბ. ულენტი მინიმუმინი და ობიექტური იყო, ეს მის თებტარულ-კრიტიკულ მოღვაწეობასაც შეეხებოდა. თებტარული საზოგადოების ერთ-ერთი რიგის კანდიდატი, ვ. ანჭავაძისთან გამართული კოლმეობის ღონის, მან განაცხადა: „ჩვენი ამხანაგისადა სიკეთრული და პატივისცემა, მჭირფასა ვერცკო, ის იქნებოდა, როდესაც ამხანაგს მოვითხოვ ვაგაიოს, რაც შეუძლია, როდესაც ჩვენი მჭირფადა, უტობარა ამ ბრწყინვალე და მაჰალ შედეგებს ვარაუდებს და ჩვენს ხელოვნებას აიყვანს ისეთ სიმაღლეზე, რომელიც ჩვეწვა დამოკიდებულა“.⁶²

ესეც მისი პოზიცია გახლდა. შუამოსხის პროცესში მისთვის არ არსებობდა მეგობრობა და მამბობა. კაცო, რომელმაც მეგობრის ფასი იცოდა, რომელსაც უნაგარა, თავდაუწყებითი და უფრთხული მეგობრობის ნიჭი ჰქონდა ნამოძმე, რომელსაც შესწავლიდა უნაირი ყოველიყო თავგანჯარული შევიანარ-ახლომდებობისთვის, პრინციპულ საკითხებში მუდამ შეუდარკველი გახლდა. ულენტის ყველა გამოსვლა თებტარის სფეროში გასწავლულია ამ მარინკოლოგიის და მომთხოვნილობით.

ყველა იცის, როგორ სინაგებ ამღვანებდა იგი მარჩანოშელის სახელობის თებტარისადმი. მაგრამ, როცა ეს თებტარი ცდებოდა, ამის თთობაზე მან ხმამაღლა განაცხადა: „უდღესი მოყვარული ვიყავი ამ თებტარისა და აღარ შემიძლიდა ახლა ამ თებტარში“, ეს სიტყვები განაცხადა მან 1950 წელს თებტარული საზოგადოების

პლენუმზე, როდესაც თებტარის მუშაობას აკრიტიკებდა.

მსგავსი მავალიობის მოყვანა კიდევ შეიძლება. „ზოგჯერ, როდესაც ხობტას ასახადა რომელიმე თებტარს, იგი უფრთხილდებოდა მას ვაგადილოდა, აფრთხილებდა: დიდი წარმოედგინა არ შეეძლებოდა საყუარა თებტარი, თვითნაშულებას დე მიტეპობო. იკოს შეჯიბრი. — ამბობდა იგი, — დიანადაზა ნამდვილი ხელოვნება“.⁶³

მშფოთველი ბუნებისა გახლდა, მოუსწავია. მისთვის კამათისა და დისკუსიების საწყობის ვარგემო ცხოვრებას, უბრალოდ აზრი არ ჰქონდა. თებტარული ცხოვრება ვერ წარმოედგინა მშვილ და მდორე უფრედ თებტარს, — ამბობდა იგი, — არ შეუძლია ბრძოლის, მოქმედების, დისკუსიის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის ვარგემო.

ბ. ულენტი თებტარსა და ლიტერატურაში მოვიდა უკიდურესად შეუპოვარი და ბოპოქარი კამათის, დისკუსიებისა და პოლემიკის სტერეოტი. იგი ამ მძფერ ლიტერატურულ-თებტარულ ბრძოლებში გამოიბრძმედა და გამოწრთო.

ასეთივე „მუშაოვნისე“ მოუწოდება ყუელას. უყვარდა განცდილი 20-30-იანი წლების ბოპოქარი დღეების გახსენება. ვარცდაულებად იყო წლით აღტრ, რაღაც განსაკუთრებულ კენშენა გაიხსენა: მასხუსი 20-30-იანი წლების თებტარული ცხოვრება, კამათი, დისკუსიები. თებტიდან დისკუსიები ვადაგვიკონდა ჩკინიგზის კლემში. ვაასოტორი დიღანას, ღანის ორ ხასაბილ. ეს იყო შექმნილი ცხოვრება. შეიძლება ბერგას ვაპირებოდა, მაგრამ მთავარი და ძირითადი ის იყო, რომ გამოიქმნებოდა თებტარული აზრი“.⁶⁴ ერთ-ერთ დისკუსიებზე აღწერა: „ჩვენ ვინადა კამათი, აზრთა სხვადასხვაობა, თორემ ორჯერ ორი რომ ოთხია, არ იწვევს მსჯელობას. ჩვენ ვინადა, ვეპირებოდა კრიტიკა“.⁶⁵

და იქ, სადაც არ იყო გამამტრებელი სიტუაცია, თვად ამასურებდა. დედაქალაქის თებტარებს წაქეზებდა, დახეო ჩაიანის თებტარებმა წინ გაისწრებო, რითაც შეჯიბრის ატონოტორის ქმნიდა, თავს ესმობდა თავდატრებულ და თვითდამოყიდებულ ფხიზრებულად, შეშფოვლებითი ბრძოლისა და სასახულო რეპეტიციებზე იწვევდა: „რადგან მიყვარს, ამბობმ ვეამაობებ; მწნის მათ ძალებს ამბობმ ვეამაობებ“, — ამბობდა იგი თებტარული საზოგადოების პლენუმის ტრბუნინდა.⁶⁶

ღიათ, თებტარებმა თავისი თანაზარობა და სათებტარი კრიტიკის მისია ბესოს ფართო მასშტაბით ესმობდა. მისთვის ამას არა პერიოდული, არამედ ყუველდღიური მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ბ. ულენტის სტიქია ვაგადლო რეცენზია. მისი დამოკიდებულება რეცენზიის მიმართ იყო მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული, თუცა თებტარულდნდ ანაბრის მიზნად თავი ეს პროფესიონალიზმი ვლინებოდა თვით რეცენზიისადა სტრაიონული დამოკიდებულებით, რეცენზიას თებტარული მოვლენებზე კრიტიკოსის გამოსაზრების საბაძლო ოპერატულ და ყუელისმიმცევილ ფორმად მიიჩნედა. მაგრამ მისთვის არ არსებობდა „გამამტრებული“ და „რიგითი“ სექტკატები. ყუველდღიურ წერდა, ეს იყო ე. წ. „სამუშაო“ რეცენზიები, რომლებიც ქართული თებტარის ყუველდღიურ ცხოვრებას, მის ყოფას ასახავდა. მას მიანდა, რომ სათებტარი კრიტიკა ესაა კრიტიკის მეტად სასახუსმეგბლო და რთული სტერეოტი, რადგან თებტარი სინოფერის ხელოვნებაა და თავის თავში აგრეთიანებს ყუველა სახეს — ლიტერატურის, სასახოსიო და სარეჟისორის ობტკატობას, მუსიკას, სახეით ხელოვნებას, ხოლო თანამშრომელი ეტაპზე კი — ენოხელოვნებასაც.

უნდა აღვნიშნო, რომ სიცოცხლის ბოლო პერიოდში იგი ნალებად წერდა თებტარზე. ამას იმით ხსნიდა, რომ გამოჩნდნდ პროფესიული თებტარულდნები, ადამიანები, რომლებიც სასტაციონარო განათობა მიიღეს თებტარული უმაღლეს სასწავლებლებში და რი. — ამბობდა იგი, — აქ უყვე აღარფერია მესაქმეობა... და, მუსხელებად ამისა, მინერ წერდა სიცოცხლის ბოლო წუთამდე თებტართან იყო დავკავშირებული, თებტარის ინტერესებზე ცხოვრობდა, ღაპარაკობდა თებტარის საქმიობროგო საკითხებზე კერძოდ. იმაზე, რომ თებტარს არა აქვს თავისი ვატიოტი, რომ თუ ვატიოტი ცალკე ვერ გამოვა... ლიტერატურულ საქართველოს“ მინერ დავატიბის ვერცხეობა“. დღეს, როდესაც თითქმის ვადაქვევტილია ეს პრობლემა, არ შეიძლება მადღებობების გრძობრობა არ მოვიხსენიოთ, როგორ იბრძოდა ამისათვის ბესარიონ ულენტი და როგორ ვაგარებული იქნებოდა იგი დღეს...

ასე იტყობა მან თებტარში — მოუცხობი და ბოპოქარი



ცხოვრებით. სხვაგვარად არ შეიძლო და არც ეხერხებოდა. უკვე ლოგინად ჩაჯარნილი, თვატრის ახალი და სასიხარულო ამბით ხარობდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე დიდი ინტერესით ელაპარაკა გვიან ლორთქიფანიძეს და ოთარ მღვიმეთუხუცესს რუსთავის თვატრის ამბებზე, რჩევას აძლევდა — როგორ ემუშავათ, რა გზით წარემართათ თვატრის საქმიანობა.

თმა „ბესო ელენტი და თვატრი“, როგორც ერთხელ უკვე ითქვა. აქ თქმულით არ ამოიწურება. ეს წერილი მუსტის დავამოავრო ბესო ელენტის მეგობრებს და კოლეგის პრინციპულ დიპტირი ჩანელიძის სიტყვებით: „განსაუთრებთ დასაფასებელია ბ. ელენტის წვლილი ქართული საბჭოთა თვატრალური კულტურის მიღწევითა, ქართული თვატრის მემკვიდრეობის შესწავლისა და პრაქტიკის საქმეში. ბ. ელენტი ომშიც წაღწეულ გმირს, რაც ქართული მწერლობისა და დრამატურგიის ისტორიის მოვლენათა თანადროული გაშუქებით წინ უძღვის და მესვეურებს ქართული ლიტერატურის მიღწევითა ფართო დიპლომატიური შემოქმედების და საქაჟირო სარბიუღელ გამოწვევებთან. ბ. ელენტმა ქართული საბჭოთა თვატრი საძირკველი ჩაუყარა ლიტერატურული ნაწილის არსებობას, თვატრის ისტორიისათვის აუცილებელი და ძვირფასი დოკუმენტაციის შექმნას და გამოქვეყნებას.“⁶⁷ რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ბესო ელენტის სახელი მჭიდროდა დაკავშირებული ქართული საბჭოთა თვატრის ისტორიასთან.

შენიშვნები:

⁴² გორის თვატრის სექტაკლების განხილავზე წაითხული მოხსენებიდან. სოს. სტენოგრამა 1951, 8 სექტემბერი, გვ. 24.

⁴³ „ზარია ვოსტოკა“, 1949, 9 ნოემბერი.

⁴⁴ სოს. დისპუტზე წარმოთქმული სიტყვიდან. სტენოგრამა, 1965, 2 თებერვალი.

⁴⁵ სოს. დისპუტზე წარმოთქმული სიტყვიდან. სტენოგრამა, 1971, 14 მარტი, გვ. 76.

⁴⁶ უშ. ჩხიძის სხონისადმი მიძღვნილ საღამოზე წარმოთქმული სიტყვიდან. სოს. სტენოგრამა, 1953, 20 დეკემბერი, გვ. 13.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ სოს. დისპუტზე წარმოთქმული სიტყვიდან. სტენოგრამა, 1958, 33, 47.

⁴⁹ ვაზ. „კომუნისტი“, 1957, 7 მაისი.

⁵⁰ ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1977, 7 ნოემბერი.

⁵¹ სოს. დისპუტზე წარმოთქმული სიტყვიდან. სტენოგრამა, 1956, 10 აპრილი, გვ. 91.

⁵² ყურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 5, გვ. 9-18.

⁵³ ბ. ელენტი. მწერლობა და თანამედროვეობა. 1976, გვ. 763-764.

⁵⁴ ყურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1975, № 1, გვ. 13.

⁵⁵ სოს. პლენუმზე წარმოთქმული სიტყვიდან. სტენოგრამა, 1966, 28 ივნისი, გვ. 116.

⁵⁶ ო. თაქაიშვილი (ავტ.).

⁵⁷ სოს. დისპუტზე წარმოთქმული სიტყვიდან. სტენოგრამა, 1970, 28 დეკემბერი, გვ. 28.

⁵⁸ სოს. პლენუმზე წარმოთქმული სიტყვიდან. სტენოგრამა, 1970, 6 ივლისი, გვ. 116.

⁵⁹ ნ. უფვის გამოუქვეყნებელი მოგონებები.

⁶⁰ ნ. აბალიძის გამოუქვეყნებელი მოგონებები.

⁶¹ სოს. დისპუტზე წარმოთქმული სიტყვიდან. სტენოგრამა, 1971, 14 ივლისი, გვ. 72.

⁶² სოს. დისპუტზე წარმოთქმული მოხსენებიდან. სტენოგრამა, 28 დეკემბერი.

⁶³ სოს. წაითხული მოხსენებიდან. სტენოგრამა, 1970, 28 დეკემბერი, გვ. 30.

⁶⁴ სოს. V პლენუმზე წარმოთქმული სიტყვიდან. სტენოგრამა, 1974, 8 ივლისი

⁶⁵ სოს. დისპუტზე წაითხული მოხსენებიდან. სტენოგრამა, 1970, 28 დეკემბერი, გვ. 27.

⁶⁶ სოს. პლენუმზე წარმოთქმული მოხსენებიდან. სტენოგრამა, 1962, 11 იანვარი, გვ. 170.

⁶⁷ დ. ვანელიძე. სახიობა. ტ. II, „ხელოვნება“, თბ., 1972, გვ. 37.

პოლონელი მხატვრის ზიგმუნტ ვალიშევსკის ცხოვრება და შემოქმედება ისე მჭიდროდ ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან, რომ ხელოვანის ბიოგრაფიის თითოეულ პერიოდს თანხვედვება მხატვრული განვითარების გარკვეული ეტაპი.

საზეიმო ეპიტიფიასავით ყდერს ვალიშევსკის გარდაცვალების შემდეგ მხატვრის ერთ-ერთი მეგობრის ნათქვამი: „მან ხატვა დაიწყო, როგორც კი ფანქარი მოიმარჯვა, და დაასრულა, როცა გარდაიცვალა“⁶⁶.

ჩვენთვის, 20-30-იან წლების პოლონელი რევოლუციური ახალგაზრდობისათვის ზიგა ვალიშევსკი სათაყვანებელი პიროვნება იყო. იგი ბოლომდე დარწა თავისი მხატვრული და ადამიანური იდეალებისთვის შეუდრეკელ მებრძოლად, არ აცდუნებდა არავითარი იოლი გზა, მისთვის უცხო იყო პირმითეობა ძალაუფლების მფლობელთა მიმართ.

ჩვენ სიხარულს გვგვრიდა მხატვრის თითოეული სურათი, თითოეული ახალი გამოფენა. შეგვაძრუნა მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა, ღრმა გულისტკივილით მიეცვილებდით უკანასკნელ გზაზე.

დიდი მხატვრის, მისი მეგობრებისა და თაყვანისმცემლების სსონის პატივცემად დაიწერა ეს წერილი, ადამიანებისა, რომლებიც დაიღუპნენ თავიანთ ქალაქებთან ერთად ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში, დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

ვალიშევსკის ცხოვრება და შემოქმედება იქცა პოეტურ ლეგენდად, რომელიც აგერ უკვე მრავალი წელია არსებობს. ეს განაპირობა მისმა უჩვეულო პიროვნებამ, ტალანტმა, სულ ადრეულ ასაკში რომ გამჟღავნდა. მისმა ბედმა — ხანმოკლე სიცოცხლემ, მეტორიკით რომ გაიღვავა ჯერ საქართველოს მზისა და შემდგომ კი პოლონეთის ძველი ქალაქის კრაკოვის ქვეშ. დროდადრო ლეგენდა კვლავ ცოცხლდება მხატვრის ახალ გამოფენასთან, მისდამი მიძღვნილ მონოგრაფიასთან, მონოგრაფიებთან დაკავშირებით. მის განმტკიცებას მცირედ როდი შეუწყობ ხელი გამოჩენილი რუსი მწერლის კ. პაუსტოვსკის ჩანაწერებმა, რომელიც თბილისურ შთაბეჭდილებებს ეფუძნება: „მის მხოლოდ ფერწერა იტაცებდა, მხოლოდ ფერწერა იცოდა, ცხოვრების ყველა მოვლენას უყურებდა მხატვრის თვლით და

ზიგმუნდ ფლიზეუსკი

აბრამ კაპლანი

სწამდა, რომ მხოლოდ ხელოვნებას შეეძლო გარდაექმნა და შეემკო სამყარო“.

უკვე მის თანამედროვეთ მიაჩნდათ იგი უნიჭიერეს მხატვრად. ამას მოწმობს ლადო და ნინო გუდიაშვილების, რენე შმერლინგისა და სხვათა მოგონებები.

უკანასკნელი თხუთმეტი-ოცი წლის მანძილზე პოლონეთში გამოიკა მთელი რიგი სერიოზული გამოკვლევებისა, მონოგრაფიებისა: მ. მასლოუსკის, შ. ვალისის, მორტკოვიჩ-ოლჩაკოვას, დობროვოლსკის, ი. ვიცისა და აგრეთვე მრავალი საფურნალო სტატია, რომლებშიც ვალიშევსკის ცხოვრება და შემოქმედება განხილულია ომისწინა ოცნლეულის პოლონეთის ხელოვნების განვითარების კომპლექსში.

განსაკუთრებით საყურადღებოა მხატვრის მეუღლის ვანდა ვალიშევსკას მოგონებების წიგნი (1972), რომელიც შემოქმედის ცხოვრების ბევრი ფაქტის დაზუსტებაში გვეხმარება.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უხვი მასალა, ლეგენდა ვალიშევსკიზე თითქოს ორი მონაკვეთისაგან შედგება: პირველი თბილისურ პერიოდს უკავშირდება და ქართული ცხოვრებით საზრდოობს, მეორე — ვარშავა-კრაკოვის პერიოდი აღსავსეა ახალი გზების ფანატკური ძიებით. ხეიბარი, თავის უბედურებაში მარტოდმყოფი, ხელმოკლე მხატვარი მთელი არსებით მაინც ხელოვნებაში და ხელოვნებით ცხოვრობდა. ვფიქრობთ, ჯერჯერობით არასაკმარისადაა შესწავლილი ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული ის დამაკავშირებელი საწყისები, ელემენტები, რომლებიც მთელ მის შემოქმედებას ერთ მთლიანობად აქცევს.

მხატვრის მეუღლე თავის მოგონებებში წერს: „თბილისური წლები მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი პერიოდი. იგი ტრიალებდა ატმოსფეროში, რომელიც

ხელს უწყობდა მისი ტალანტის განვითარებას; გარს ერტყა კეთილშობილურ, განათლებული ადამიანები, ვისგანაც ბევრი ისწავლა და ბევრით იყო დავლენებული. მათ განუმეცნივეს რწმენა იმისა, რომ ხელოვნება ერთ-ერთი უდიდესი ფასეულობაა ცხოვრებაში და რაც უფრო მნიშვნელოვანია მხატვრის ტალანტი, მით უფრო ერთგულად უნდა ემსახუროს იგი ხელოვნებას. ამ ანდერძისთვის მას არასოდეს უღალატია“.

ვალისშევსკის მეგობრული ურთიერთობა პერინდა ახალგაზრდა მწერლებთან, რომლებმაც ტრადიციული აკადემიური ფორმების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, ახალი ხელოვნებისათვის იბრძოდნენ, ახლოს იყო „ციციანელებთან“ — ტიცთან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, მხატვრებთან — დავით კაკაბაძესთან, შალვა ქიქოძესთან, ალექსანდრე ბუხუტუძე-მელიქოვთან, ლადო გუდიაშვილთან...

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მკითხველთათვის უცნობი არ არის ზიგმუნტ ვალისშევსკის ცხოვრება და შემოქმედება¹. აქ მათ მხოლოდ შევახსენებთ, რომ ზიგა დაიბადა 1897 წელს პეტერბურგში. პაე-

ში იყო, როცა ოჯახი ჯერ ბათუმში, მერე თბილისში გადმოსახლდა. თავდაპირველად სწავლობდა ნ. სკლიფასოვსკის სახატვრო სკოლაში, შემდეგ ბ. ფოგელის ხელმძღვანელობით.

მხატვრული განათლების ადრეული პერიოდიდანვე მომავალი მხატვრის შემოქმედებაში ერთმანეთს ერწყმის პოლონეთისა და საქართველოს ისტორიისა და თანამედროვე ყოფის ამსახველი თემები და მოტივები.

ვალისშევსკის მხატვრული ხელწერის ჩამოყალიბებაზე გარკვეული გავლენა იქონია ფიროსმანაშვილის შემოქმედებამ. ამას მოწმობს მისი ადრინდელი ნამუშევრები — ძველი თბილისის ჩანახატები ფანქრით, ნატურმორტები, კაფე „ქიმიერიონის“ მოხატულობა. უკვე პირველი პერიოდის მისი ნაწარმოებები გვაოცებენ თხრობის სისადავით და შთამბეჭდავი ფერადოვნებით, სინამდვილის აღქმის სიმძაფრით. მხატვრის ქმნილებებში მკაფიოდ ვლინდება ცხოვრების მოვლენების ხან იუმორისტული შემეცნება, ხანაც გროტესკთან მიახლოებული პიპერბოლიზაცია.

ახალგაზრდა მხატვარი შესანიშნავად ფლობს რეალისტურ ნახატის პრინციპებს. მისი ნახატი გამორჩევა სილამით, თავისუფალი მონასმით, ამავე დროს, რაც შემთხვევაში, დეტალების სიზუსტითაც.

¹ გ. ბუაჩიძე, ზიგმუნტ ვალისშევსკი, „საბუთა ხელოვნება“, № 1, 1978.



ავტოპორტრეტი.
არლკინი და პიერო.

ვალისშევის შემოქმედება ფორმისა და შინაარსის დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება: ეს ვახტანგთა გრაფიკული ხანრული ნახატები, ნიგუნების დასურათებანი, საჭურნალო ილუსტრაციები, პორტრეტები...

პირველი მსოფლიო ომის დროს, მოხალისე ჯარისკაცი სანგრებში ცი ხატავს, ქმნის ოფიცერთა და მეომართა პორტრეტულ ჩანახატებს.

მძიმედ დაჭრილი მხატვარი მოსკოვში მოხვდა. აქ მას პირველად მიეცა შესაძლებლობა გასცნობოდა იმპრესიონისტთა სურათებს, რომლებიც შჩუკინისა და მოროზოვის კოლექციებში იყო დაცული. სწორედ აქ შეიგრძნო მან დიდი ხელოვნების რთულ სამყაროსთან საკუთარი თანახიზრობა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ (1917) ვალისშევისკი ძველებურად ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს, სულ უფრო აფართოვებს თემების, ჟანრების დიაპაზონს. მრავალფეროვნებას იძენს მხატვრის პალიტრაც, ძლიერდება და უფრო მეტი გაბედულება იგრძნობა სატირული დეფორმაციის, გროტესკის ტენდენციაში. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მისი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ამსახველ ჩანახატებში, ბრწყინვალე შარჟებში. ამ დროის პორტრეტული ნამუშევრებიდან

გამოირჩევა მხატვარ ბ. ფოგელისა და დედის პორტრეტები (1919), რომლებშიც ღრმა ფსიქოლოგიზმითაა აღბეჭდილი.

დიდ შემოქმედებით მიღწევებთან ერთად, არ შეიძლება არ შევნიშნოთ ისიც, რომ ვალისშევისკი განიცდის სულ სხვადასხვა სკოლისა და სხვადასხვა მხატვრის გავლენას, მაგრამ როცა დიდი ოსტატების ასლს იღებს, რაღაც თავისიც შეაქვს მასში, — ხან ფარული ირონია, ხანაც ეშმაკური გაკიღვა. არტისტული ტრადიციების გროტესკულ-პაროდიული შემცენება განსაკუთრებით გამოვლინდა ველასკესის „ინფანტებს“ პარაფრაზში.

ვალისშევისკი ღრმადაა დაინტერესებული რევოლუციისშემდგომი რუსეთის ხელოვნებით (იაკოვლევი, სორინი), რომელთა შემოქმედებით იგი დეკორატივიზმის, სიმბოლური ფერწერის გზას ადგება.

ლ. გუდიაშვილთან და კ. ზდანევიჩთან ერთად, როგორც ცნობილია, იგი მუშაობს პოეტთა „ფანტასტიკური კავეს“ მოხატულობაზე, ხოლო ს. სუდევიჩინთან, ლ. გუდიაშვილთან, და კაკაბაძესთან თანამშრომლობით კაფე „ქიმერიონის“ ფრესკებზე. აქ მას ეკუთვნოდა მამაკაცთა და ქაღალთა — მედალიონებში ჩასმული რამდენიმე ფანტასტიკური პორტრეტი.

ვალისშევისკის თბილისელი მეგობრების მოგონებებით, იგი ამ წლებში (1917-1920)

ბალზაკი.
ღონ კიხოტი და სანჩო პანსა



საქართველოს არტისტული ახალგაზრდობის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო, აქტიურად მონაწილეობდა მხატვრულ ცხოვრებაში. უკვე 1906 წლიდან დაწყებული — გამოფენებზეც.

1921 წელს, თავისი ნიჭის გაფურჩქვნის ხანაში, ზიგა ვალიშევსკი 120 წლის ტყვეობიდან განთავისუფლებულ სამშობლოში — პოლონეთში მიემგზავრება, წაიღის თავდაპირველად ვარშავაში, მერე კი კრაკოვში, რომელთანაც დაკავშირებულია მისი შემდგომი ბედ-ილაღი. შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლებით მდიდარი უძველესი ქალაქი კრაკოვი ამ დროისათვის აღორძინებული პოლონეთის კულტურული ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა: მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულებათა პაექრობა, კონსერვატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ვალიშევსკის ამ პერიოდის შემოქმედებით პრაქტიკაში შეინიშნება საგანთა არსში ღრმა წვდომის, ცხოვრებისეული რეალების ფერწერული ხორცშესხმის სურვილი. თეატრალური დეკორაციების ესკიზებთან, სათეატრო პერსონაჟებთან და ატრიბუტებთან ერთად მის ნაშუაშევრებში ჩნდება ცხოველები, ბავშვობის რემინისცენციები, ისტორიულ პირთა პორტრეტები...

ამ ხნის პორტრეტულ ნაშუაშევრებს შორის განცალკევებით დგას „ავტოპორტრეტი მწვანე ყელსახვევით“ (1922), რომელიც სახვითი მანერის იმპროვიზაციულობით ხასიათდება. მასში მხატვარი ისწრაფვის წარმოსახოს არა სწამამდე, არამედ ერთგვარი წარმავალი ხატი.

1924 წელს ვალიშევსკი პარიზს მიემგზავრება. მიუხედავად პირველი იმპერიალისტური ომისა და მისი შედეგებისა, ევროპაში რევოლუციურ მღელვარებათა პერიოდისა, პარიზმა ძველბურად შეინარჩუნა ხელოვნების მსოფლიო დედაქალაქის მნიშვნელობა. და მაინც, ფრანგული სახვითი ხელოვნების მაშინდელ სახეს განსაზღვრავდნენ არა საყოველთაოდ აღიარებული ოსტატები — ბიკასო, მატისი, დერენი, არამედ თავისი ეროვნული შემადგენლობისა და მიმართულებათა მხრივ ძალზე ჭრელი „პარიზული სკოლა“. მხატვრებს აერთიანებდათ ხელოვნების უდიდესი სიყვარული. სილამაზის კულტმა, სამყაროს მშვენიერებამ და სირთულემ თავისებური ხორცშესხმა აპოვა ფერწერის სხვადასხვა ფენისა და სფეროში. ამ სფეროთა გატაცებაში ჩაერთო ვალიშევსკიც, რომლის შემოქმედებაში ყველაზე უფრო მკაფიოდ აისახა რთული და წინააღმდეგ-

ობრივი ძიებანი მის თანამედროვე მღელვარე ეპოქის ხელოვნებაში.

ვალიშევსკი ბეჯითად სწავლობს ლუერის განმეულობას, აკეთებს ასლებს დარიოსტატების ქმნილებებიდან. მის პარიზულ ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო პლენერული ფერწერისადმი ინტერესის გაღვივება (1925-1926), ფერთა ამღერებისა და კოლორისტული ამოცანების გადაწყვეტისაკენ ლტოლვა. მხატვარი დაულალავად მუშაობს, წერს ზეთის საღებავებით, ხატავს ფანქრით, რიგ შემთხვევაში იგი ბუნების კეთილსინდისიერი მკვლევარია. პეიზაჟები გვიზღავენ ფერთა სიმკვეთით, სიცოცხლით. თავისებური ლირიზმით გამოირჩევა ნატურმორტები, ზოგჯერ იგრანძობა შარდენის, სეზანის გავლენა, სხვა შემთხვევებში — თითქოს შინაგანი ძალა არღვევს ჩვეულ ზომიერებას და მასში თავს იჩენს დეფორმაცია, ბუნების, საგნების გროტესკული გარდასახვა. გასაოცარია აგრეთვე ფაქტურის სხვადასხვაგვარობა, შუქჩრდილის კონტრასტთა ეფექტები. ვალიშევსკი მკვეთრად გამოირჩევა თავისი თაობის მხატვართაგან საკუთარი მხატვრული პოზიციის გამოხატვისაკენ სწრაფვით. იყენებს ლიტერატურულ მოტივებს, იზიდავს თემატური სურათიც, მხოლოდ არა „შიშველი“ თემა.

შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის სწორედ ამ წლებში უმტყუნა ჯანმრთელობამ. მიმემ დაავადების გამო მოკვეთეს ჯერ ერთი ფეხი (1927), შემდეგ მეორეც (1930). ხეივანის მხოლოდ ბორბლებიანი სავარძლით შეეძლო გაველა. ეს კი დიდ ფიზიკურ დატვირთვას ითხოვდა, განსაკუთრებით მუშაობის დროს. მიუხედავად ამისა, საონარკვეთილებაში აბასო-დეს ჩავარდნილა. მუდამ მოკრძალებული, საკუთარი თავისა და ხელოვნების ერთგული, მიუხედავად ფიზიკური ტკივილების და მატერიალური გაჭირვებისა, ინარჩუნებდა სულიერ სიმტკიცეს.

მოგვიანებით, როცა მხატვრის სიკვდილიდან რამდენიმე წელმა გაიარა, მორე მსოფლიო ომის შემდგომ გამართულ პოლონეთის მხატვართა კავშირის პირველ სდომიანზე ცნობილმა პოლონელმა მხატვარმა იან ციბისმა თქვა: „მე ვიცნობდი მხატვარს, რომელიც, გაცხარებული ომის დროს, ტალახით სავესე ორმოში რომ მოხვედრილიყო და შემთხვევით ქალაქის ნაღვევი აღმოჩენიდა, ტალახში ამოსვრის რაიმე ნაფიქრატაც კი დაწერდა სურათს, და შესაძლოა, შედევრსაც. ეს მხატვარი ზიგმუნტ ვალიშევსკი გახლდათ“.



ვალისშესვკი არ მიეკუთვნებოდა იმ მხატვრებს, ვინც დიდხანს ფიქრობდა ჩანაფიქრის ირგვლივ და ნელ-ნელა ახსამდა ხორცს. მას ახასიათებდა სისწრაფე, ლალი ფუნჯი. იგი არასოდეს ასწროებდა ნამუშევარს. თუ არ აკმაყოფილებდა, თავს ანებებდა და ახალ ვარიანტზე მუშაობას იწყებდა.

მხატვრის სიცოცხლის ბოლო ხუთი წელი (1931-1936) მისი ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის აპოგეაა, განცდილის, ნაფიქრის, დაგროვილის ამოხეთქვაა. ვალისშესვკიმ იპოვა საკუთარი ენა, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედება საზრდოობდა სულ სხვადასხვა წყაროებიდან. ათეულობით ნაწარმოებში, ეტიუდებში, ჩანახატებში, რომლებიც ნაირნაირი ტექნიკითა და მასალითაა განხორციელებული, ჩვენს წინაშე იშლება ერთიანი და თავისებური პოეტური სამყარო. მასში ერთმანეთს ერწყმის რეალური სინამდვილე და ფანტაზიის ნაყოფი, საქართველოში გატარებული ბავშვობის და ყრმობის შთაბეჭდილებანი, სახეებში ხორცშესხმული პოლონური ტრადიციები, რემინისცენციები — ლიტერატურული და ფერწერის დიდოსტატთა ქმნილებებისა, რომლებსაც იგი თავყვანს სცემდა და ზოგჯერ პაროდირებდა გადმოჰქონდა.

რა თქმა უნდა, მისი შემოქმედებითი ბუნების თავისებურებანი — თავდავიწყებული გატაცება, მიუთმენლობა და სიჩქარე ფერებში ჩანაფიქრის აღბეჭდვისას, ზოგჯერ თავის დაღს ასვამდა ნაწარმოებს. უხეში იყო დეფორმაცია, ნახატს აკლდა სიმყარე. შთამბეჭდავ ფრაგმენტებთან ერთად სურათში არაფრისმთქმელი, ცარიელი ადგილებიც ჩნდებოდა. მაგრამ ამ დაუსრულებლობაშიც იყო რაღაც მიხეული, გამორჩეული აღქმა და ხედვა.

როგორც აღვნიშნეთ, მხატვრის შემოქმედებისთვის ნიშანდობლივია ვარიაციულობა, კომპოზიციური სქემის ელემენტების, სახეების, მოტივების განმეორება. სწორედ ამიტომაც შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე საკვანძო თემა, ერთგვარი ლეიტმოტივი ვალისშესვკის ბოლო პერიოდის შემოქმედებაში.

მხატვარს განსაკუთრებით ხიბლავდა თეატრისა და სანახაობათა სამყარო, მათი პერსონაჟები, ნაირნაირი ფანტასტიკური სამოსის აღბეჭდავ ტილოებზე. მთელ რიგ ავტობიოგრაფიულ ეტიუდებშიც კი იგი ეგზოტიკურ თავსაბურავებსა და ყელსახევევებს გამოხატავდა. როცა ტრადიციულად თეატრალურ სამყაროს გამოხატავს, მასში შეაქვს ახალი მოტივები, ხან ერთგვარი ლირიკული საწყისი, ხანც მხატვრობის სუბიექტი და სურათების წარმოდგენის საშუალებები — იტალიური ხალხური კომედიის „დელ არტეს“ პერსონაჟები, აგრეთვე მოხეტიალე კომედიანტი, აკრობატები, კეთილშობილი შერეკლეტი, სიმართლესა და სამართლიანობას რომ ეძებენ.

თვით მხატვარს თავი წარმოუდგინა მარადიულ შთაგონებულ მოხეტიალედ, მირაჟისკენ რომ ისწრაფვის, ბედნიერებაზე რომ ოცნებობს. ალბათ ამიტომაც აღლევებდა და იზიდავდა მწუხარე სახის რაინდი — დონ კიხოტის სახე. მხატვარმა მას უძღვნა სურათების სერია (1934). ამ მხრივ იგი ახლოსაა დომიეს მიტებთან, რომელიც ოცი წლის მანძილზე მუდმივად უზრუნდებოდა დონ კიხოტის თემას და ორმოცამდე სხვადასხვა ვარიანტი და ვერსია შექმნა.

მკვეთრი, ფრაგმენტული კომპოზიცია, მთრთოლვარე კონტურები, ჩამქრალი ფერები ამ ციკლის სურათებში ქმნის დაძაბულ, მიღწეველ ატმოსფეროს, რაც კიდევ უფრო ხაზგასმულია დეფორმაციის, გროტესკის ელემენტებით. დომიესული „დემონიურობისგან“ განსხვავებით, ვალისშესვკის ნამუშევრები გამსჭვალულია მძაფრი ტიკულით, თანაგრძნობით.

მხატვრის მესსიერებაში ღრმად აღიბეჭდა ჭაბუკობის დროინდელი შთაბეჭდილებანი — ქართული ლხინი. ამ თემის გადამწყვეტის ხასიათში არის რაღაც თანხვედრის წერტილები ნიკო ფირსმანაშვილის ტილოებთან — მათში ვგრძნობთ არა მხოლოდ დიდებულ ზემიურობას, არამედ ერთგვარ ნაღველსა და ფიქრობასაც. ტრადიციის იმ შინაგან შინაარსს, რომელიც საღბინო სუფრასთან თავშეყრილ ადამიანებს აერთიანებდა.

ვალისშესვკის სიცოცხლის ბოლო პერიოდის მრავალფეროვან ნამუშევრებს შორისაა ლიტერატურულ ნაწარმოებთან მოტივებზე შექმნილი ტილოებიც. ბალზაკის შემოქმედებითაა შთაგონებული მისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ქმნილება „ბალზაკის პორტრეტი“, რომელიც ეს უდიდესი მწერლის სრულიად მოულოდნელი რაკურსითაა აღბეჭდილი. მხატვარი შეუღამაზებდა მისი თავისებური გარეგნობის და სულიერ ნიშნებს. სწორედ ამიტომ პორტრეტი გვხიბლავს დიდი სიმართლით.

ვალისშესვკი ფართოდ და თავისუფლად იყენებს ბიბლიურ და ანტიკურ მოტივებს. უჩვეულო რომანტიკულობითაა აღბეჭდილი ტილოები: „ვენერას შემოსვა“, „სიყვარულის კუნძული“, რომელიც ფლავიუსის

მანდული ბაროკოს სტილის პაროდია. მსგავსი ირონიულობითაა გამსჭვალული მხატვრის რიგი სხვა სურათებისაც.

ვალიშევსკის სპეციფიკური იუმორი, გროტესკული სახიერების ელემენტები, პარადიულობა, სატირული შეფერილობა, რომელიც ბევრ მის სურათს ახასიათებს, ფესვებს პოლონური კულტურის შორეულ წარსულში იღებს, კერძოდ, XVI საუკუნის პოლონურ მწერლობაში — რეისა და კოხანოვსკის შემოქმედების სახით. ეს უკვე აღნიშნეს პოლონელმა კრიტიკოსებმა. ვფიქრობთ, ვალიშევსკისეული იუმორის სათავეები საქართველოში გატარებული წლებიდან, ქართული ხალხური იუმორიდანაც მომდინარეობს.

1936 წელს ვალიშევსკი თავის ძაღვებს ცდის თეატრალური ფერწერის სფეროში, სადაც მისი ძიების ძირითადი მიმართულება კვლავ ფერწერული ამოცანების სფეროშია. ფერით აგებს იგი სივრცეს, მოცულობას, პერსპექტივას. მხატვრის უკანასკნელი ქმნილებაა ვაველის სასახლის ერთ-ერთი დარბაზის მოხატულობა. ეს სამუშაო ფიზიკური ძაღვების დიდ დაძაბვას ითხოვდა.

ვალიშევსკი მოულოდნელად ინფარქტით გარდაიცვალა 1936 წელს, 39 წლისა.

ამ სტრიქონების ავტორს შესაძლებლობა ჰქონდა დასწრებოდა ვალიშევსკის სიკვდილისშემდგომი პერსონალური გამოფენის გახსნას (1936 წელს), რომელიც მისმა მეგობრებმა გამართეს მხატვართა კავშირის სალონში. სხვებთან ერთად აღტაცებას მგვრიდა თემების, სიუჟეტების, კომპოზიციების უსასრულო მრავალფეროვნება, ფერთა სიმფონია.

ვალიშევსკის არ შეუქმნია თავისი სკოლა, არ ჰყოლია მიმდევარი. ომის დროს, ვაველის სასახლეში, სადაც დაცული იყო, დაიღუპა მისი ოცდათამდე პეიზაჟი და ნატურმორტი, გუაშით შესრულებული ნი-მედ ნამუშევარი.

ზიგმუნტ ვალიშევსკი ლეგენდად დარჩა პოლონურ მხატვრობაში და, ვფიქრობთ, არა მხოლოდ პოლონურში.

ფლამენგო

გივი თუშიშვილი

ფლამენგო — ეს სიტყვა შეიძლება შეგვხვდეს მსოფლიოს მრავალი ქალაქის: პარიზისა და ნიუ-იორკის, ლონდონისა და მადრიდის, ბერლინისა და პრატის, ტოკიოსა და მოსკოვის აფიშებზე. ფლამენგო ესპანეთის მშენებაა, ისევე როგორც ნოტრ-დამი პარიზისა ან კოლიზეუმი რომისა. თუმცა მათგან განსხვავებით ფლამენგო ქვაში აღბეჭდილი ხელოვნება კი არ არის, არამედ ანდალუზიის უძველესი და მარად ცოცხალი შემოქმედებაა გამოხატული მგზნებარე სიმღერითა და ცეცბლოვანი ცეკვით.

სიტყვა ფლამენგოს ეტიმოლოგია ჯერ

კიდევ არ არის საბოლოოდ დაზუსტებული. მის ირგვლივ არსებობს მრავალი ჰიპოთეზა. ზოგნი ვარაუდობენ, რომ იგი წარმომდგარა სიტყვიდან ფლამანკები — ასე უწოდებდნენ ესპანელები ფლამანდიელებს, რომლებიც პირინეის ნახევარკუნძულზე დასახლებულან ესპანეთის მეფის კარლოს I-ის მეფობის დროს. ფლამანდიელებმა მალე მალალი პოსტები დაიკავეს, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია.

იმავე პერიოდში ესპანეთში ჩამოსახლდნენ ცენტრალური და ჩრდილო ევროპიდან გამოძევებული ბოშათა ურდოები. ესპანელები არც ბოშების მიმართ იყვნენ სიმპათით განწყობილნი, მით უფრო რომ ბოშები და ფლამანკები შეთანხმებულად ცხოვრობდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ესპანელები უცხოელთა მიმართ ანტიპათიას გამოხატავდნენ ხოლმე დამცინავი ფარგონული სიტყვით ფლამენგო.

სხვა ცნობით ფლამენგო გამოხატავს ამ ცეკვის ცეცხლოვან ტემპერამენტს და წარმოდგარა ლათინური სიტყვიდან „ფლამა“, რაც ცეცხლს ნიშნავს.

და კიდევ ერთი ვერსია, რომელიც ასევე სარწმუნოა. ფლამენგოს შემსრულებლებს აქვთ მოქნილი ტანი და გრძელი კიდურები, რითაც ისინი გვაგონებენ გრძელფეხა ფრინველს — ფლამინგოს.

ასეა თუ ისე, ფლამენგო ესპანური, კერძოდ, ანდალუზიური ხალხური მუსიკალური შემოქმედების ერთ-ერთი წარწერაა. იგი გამოხატავს ესპანელი ხალხის იმპროვიზაციულ ნიჭიერებას, ექსტრაზადე მისულ ემოციურობას, დინამიზმისა და რიტმის გამახვილებულ გრძნობას. იგი განსჭვალულია კონტრასტებითა და გულშიჩამწვდომი მელოდიურობით.

ფლამენგო გიტარის მკაცრი თანხლების ფონზე სრულდება. უარესად ფართოა მისი ემოციური დიაპაზონი — თავშეკავებული ქეთინიდან ამაღლებული გრძნობების აფექტაციამდე. ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ რთულია ფლამენგოს ფორმა და სტილი, რომელიც საკმაოდ მკაცრ რიტმულ, მელოდიურ, პარამონიულ კანონზომიერებებს ეყრდნობა.

ვარაუდობენ, რომ ფლამენგოზე ზეგავლენა მოახდინა ყველა იმ ხალხების მუსი-

კალურმა ტრადიციებმა, რომლებიც ესპანეთში ცხოვრობდნენ. უპირველეს ყოვლისა, ალსანიშნავია არაბული კულტურის ზეგავლენა; არაბები ხომ დიდი ხნის მანძილზე ბატონობდნენ მათ მიერ დაპყრობილ პირინეის თითქმის მთელ ნახევარკუნძულზე, და საიდანაც დასაბამს იღებს ენ. მაგრიტანული კულტურა, რომლის ელემენტებმა გამოსახულება ჰპოვეს არა მარტო სუროთმოდებრებამო, არამედ მუსიკაშიაც.

ესპანელი მწერალი კლემენტე სამორა — ფლამენგოს კარგი მცოდნე წერს: „მაგრიტანულ სიმღერათა შორის, რომლებიც დაცულია გრანადაში, ალსანიშნავია ვარიაციები „სამბრას“ თემებზე, რომლებსაც ისეთივე სტილი და თვითმყოფადი სანიათი აქვთ, როგორც ფლამენგოს („სამბრა“ — არაბული სიტყვაა და არაბული სიმღერის სახელწოდებას წარმოადგენს).

სპეციალისტები ბევრ საერთოს პოლოზობენ ფლამენგოსა და იმ რელიგიურ სიმღერებს შორის, რომლებსაც ასრულებდნენ ესპანელი ებრაელები - სინაგოგებსა თუ დიდ სახალხო დღესასწაულებზე.

და ბოლოს, მთელს ანდალუზიურ მუსიკალურ ხელოვნებაზე, კერძოდ კი ფლამენგოზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს ესპანელმა ბოშებმა, რომლებიც განთქმულნი იყვნენ ცეკვითა და სიმღერით.

მაგრამ ფლამენგოს ძირი, მისი საფუძველი ესპანურია. არაპებმა, ებრაელებმა და ბოშებმა ზეგავლენა მოახდინეს მხოლოდ მის იერზე და არა სტილსა და სტრუქტურაზე. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა დიდი უნგრელი კომპოზიტორისა და ფოლკლორისტიკის ბელა ბარტოკის აზრი: „ბოშები ახდნენ ადგილობრივი ნუსიკის ინტონირებას, ე.ი. ისინი ქმნიან ფოლკლორის ადგილობრივი ხალხური მუსიკის საფუძველზე დაყრდნობით“. აქედან გამომდინარე ფლამენგო დაედო საფუძვლად ესპანეთის ბოშების შემოქმედებას და არა პირიქით.

ფლამენგოს ესპანურ წარმოშობაზე მეტყველებს უძველესი ხალხური სიმღერა კანტე-ხონდო, რომელიც მიეკუთვნება უძველესს, მკვლევართა მიერ დაუდგენელ პერიოდს. კანტე-ხონდო, ისევე როგორც ფლა-

მეგო სრულდება გიტარისა და ცეკვების თანხლებით. მათ შორის აღინიშნება სტილისტური ნათესაობაც. ცნობილი მუსიკონსმცოდნე ი. მარტინოვი წიგნში „ესპანეთის მუსიკა“ აღნიშნავს: „ფლამენგო და კანტე-ხონდო ის ძვირფასი ყვავილებია, რომლებიც აღმოცენდნენ შორეულ წარსულში, სამხრეთის ცის ქვეშ. ეს არის ძალზე თავისებური მოვლენა, ალბეჭდილი ფანტაზიის სიმდიდრითა და ბრწყინვალეობით, გამსჭვალული უდიდესი ექსპრესიითა და ტემპერამენტით“.

ფლამენგო აერთიანებს სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის სიმღერებს. ყოველ სიმღერას აქვს თავისი სახელწოდება, რომელიც წარმომდგარია ან იმ ადგილიდან, სადაც იგი დაიბადა, ან ტექსტუალური შინაარსიდან. ზოგჯერ იგი ატარებს გამოჩენილი შემსრულებლის გვარს.

ფლამენგოს სიმღერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „მალაგენია“ (მალაგაში შექმნილი სიმღერა) — სევდიანი, სენტიმენტალური. როგორც იქაური მაცხოვრებლები აღნიშნავენ, „მალაგენია“ ქვითინს უფრო ნაგავს, ვიდრე სიმღერას. არსებობს „მალაგენიას“ მრავალი ვარიანტი, მრავალი სახესხვაობა. ამბობენ, რომ „მალაგენია“ იმდენია, რამდენიც მომღერალი. „მალაგენიას“ ფლამენგოს მეფეს უწოდებენ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ფანტანგოს“, რომელიც ფლამენგოს უძველეს ფორმად ითვლება. აღსანიშნავია აგრეთვე სიმღერები „სევილია“, „მურსიანა“, „პეტენერა“, „როდენია“, „კარაკოლესი“, „პოლო“, აგრეთვე „სოლერესი“, წარმომდგარი სიტყვიდან სიმარტორე. როგორც სათაური მიგვანიშნებს, სიმღერა სევდიანია. „მარტინეტა“, — მჭედლის სიმღერა, „სერანა“ — მთიულური, „ფარუკა“ — გმირული, „ტრანტა“ და „კარტახენა“ — მალაროლითა და ა.შ.

ფლამენგოს სიმღერები მიუხედავად განსხვავებისა მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს ცოცხალი რიტმებით. მხურვალე ემოციურობით, მელოდიური სტრუქტურით, იმპროვიზაციულობით, ქრომატიზმებით და ეროვნული მუსიკალური სტილის სხვა ნიშნებით.

ფლამენგოსათვის დამახასიათებელია

შეძახილი „ოლე“, რომელიც ასრულებს მასტიმულირებელსა და მაორგანიზებელ როლს. იგი მსმენელთა აღტაცებას, მოწონებასა და გამხნელებას გამოხატავს. (მსგავსი მაგალითები გვხვდება ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და კავკასიის მკვიდრთა ფოლკლორშიც).

თავისებურია ფლამენგოს შესრულების წესიც. მას სრულიად მოულოდნელად იწყებს გიტარისტი, რომლის გარშემო უმალვე იკრება წრე. გიტარისტი უახლოვდება მომღერალს, ჩამოწოლილ სიჩუმეს არღვევს გაბმული მინორული აკორდები... ასე იწყება გულში ჩამწვდომი სევდიანი სიმღერა, რომელსაც შემდეგ მოცეკვავე აგრძელებს, მერე ისევ სიმღერა სრულდება, ბოლოში კი შესანიშნავ ანსამბლში ერთიანდებიან მომღერალი, მოცეკვავე და გიტარისტი. დროდადრო ისმის ტაშის რიტმული ცემა და წამოახილები „ოლე“ — ასე მონაწილეობს მყურებელი ამ სტიქიურ წარმოდგენაში, იგი ამხნეებს და აღაგზნებს შემსრულებლებს. ასე სრულდება „ფლამენგო“ ხალხში.

ესპანელი კომპოზიტორები დღენიადაც დიდი გულმოდგინებითა და სიყვარულით ამუშაებდნენ მშობლიურ ხალხურ მუსიკას, ანდალუზიურ მელოდიებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდია კომპოზიტორ მანუელ დე ფალიას ღვაწლი, იგი იყო ფლამენგოს დიდი მცოდნე და პოპულარიზატორი. მას ეკუთვნის ბალეტის „კორდოვული სიყვარული“, რომელიც გამსჭვალულია ანდალუზიური ხალხური მუსიკის მოტივებით.

დე ფალიას დიდად აღელვებდა მშობლიური მუსიკის ზედი. კანტე ხონდო და ფლამენგო საუკუნეების მანძილზე მხოლოდ ხალხის მესხიერებაში ცხოვრობდა. ამიტომაც დე ფალია შიშობდა, რომ დროთა განმავლობაში ეს შესანიშნავი ხელოვნება მივიწყებას მიეცემოდა. ამ კულტურის გადარჩენის, მისი პოპულარიზაციის მიზნით მან გრანდაში მოაწყო კანტე ხონდოს კონკურსი. ამ წამოწყებას მხარი დაუჭირა ვარსია ლორკამ, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ამ კეთილშობილურ საქმეში. კონკურსი ჩატარდა 1922 წელს.

გარსია ლორკა, რომელიც ანდალუზიური მუსიკის დიდი მცოდნე და პატრიოტი

იყო, თავადაც ჩინებულად ფლობდა გიტარას, რომელსაც არა ერთი სტროფი მიუძღვნა.

საბჭოთა ქვეყანაში — მოსკოვში, კიევში, ლენინგრადში, თბილისში არაერთხელ გამოსულან ფლამენგოს საუკეთესო შემსრულებლები.

წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვეს



ცეკვეს მარია როსა.

მოცეკვეებმა, „საპატიადოს“ (საპატო — მალაქუსლიანი ფესხანცელები) შემსანიშნავმა შემსრულებელმა — ანტონიომ და მოცეკვეე ქალმა როსარიომ, რომლის სიტყვებით — „ფლამენგოს ცეკვა ექსპრესიის უმაღლესი ხელოვნებაა“.

ფლამენგოს ცეკვის ბრწყინვალე შემ-

სრულებელია ლუსერა ტენა, რომელიც შესანიშნავად ფლობს კასტანეტებსაც (ისი ორი „სატკაცუნო“), რამაც მას ფართო აღიარება მოუპოვა. მისი წყალობით ამ ინსტრუმენტისათვის ორანჟირებულია მრავალი კლასიკური ნაწარმოები, დაწერილია კონცერტები „კასტანეტებისა და ორკესტრისათვის“. (დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ლუსერა ტენას მონაწილეობამ ი. ალბენისის საორკესტრო სუიტაში „იბერია“, რომელშიც იგი კასტანეტებზე უკრავდა).

წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ანტონინა მორენამ, რომელიც ფლამენგოს სიმღერებს ასრულებს საოცარი მიმზიდველობით.

და ბოლოს, — შეუდარებელი მანუელ კანო... რამდენი ბედნიერი წუთი მიანიჭა საბჭოთა მსმენელებს ამ შესანიშნავმა არტისტმა თავისი უზადო ხელოვნებით; ეს ვირტუოზი ერთსულოვნად იქნა აღიარებული ესპანეთის საუკეთესო გიტარისტად. მან დაატყვევა მსმენელი მუსიკალობით, არტისტიზმით, საშემსრულებლო ტექნიკით. ყურადღება მიიპყრო ნაწულე კანოს გიტარამ, რომელზედაც იგი ფლამენგოს სიმღერებს ასრულებდა. თვით კანომ განმარტა თავისი საკრავის თავისებურება — „თუ დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ მისი კორპუსის მოცულობა ჩვეულებრივზე გაცილებით დიდია, რის გამოც იზრდება მისი აკუსტიკური ძალა. იგი ყველა პოზიციიდან საუკეთესოდ ჟღერს და შორს გააქვს ბგერა. ამას გარდა გიტარის სიმებს შორის დაშორებაც დიდია, რაც საშუალებას გვაძლევს ამა თუ იმ რიტმის გამოსახატავად გამოვიყენოთ ძლიერი დარტყმები, ამასთან ერთად მეტი შესაძლებლობა, მეტი თავისუფლება გვეძენება იმპროვიზირებისათვისაც“.

მანუელ კანო იღებს გიტარას და იწყებს დაკვრას... ვაკვირდებით მის ხელებს: მოქნილი, ელასტიური თითები, საგანგებოდ წამოზრდილი ფრჩხილებით (ბგერის ასამაღლებლად) და უნებურად გვაგონდება გარსია ლორკას სიტყვები: „ო, ეს გიტარა დაკოდილი ხუთი უწყალო ჯალათის ხელით...“

ნინა

ჩაბიევა

თეიმურაზ მეშვილდე

ბინა“, რომლებშიც ნ. ჩაბიევა მთავარ როლებს — მარია პავლოვნასა და აგუნდას ანსახიერებდა.

მიმოიხილავედა რა დეკადის შედეგებს, გაზეითი „კომუნისტი“ წერდა: „სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის პირველმა სპექტაკლმა გვიჩვენა თუ როგორი აღმავლობით მიმდინარეობს ამ მთიანი მხარის კულტურისა და ხელოვნების წინსვლა რაღაც 8-9 წლის განმავლობაში (იგულისხმება 1931 წლიდან, როცა ოსეთში პროფესიული ოპერტი შეიქმნა, თ.მ.) სამხრეთ ოსეთის ხალხმა გაიარა ისეთი გზა, რომელსაც სხვა ხალხი ათეულ წლებს ანდომებს. ხანმოკლე პერიოდში ოსმა ხალხმა შექმნა თეატრი, რომელიც შეიძლება თავისუფლად დავაყენოთ დედაქალაქის თეატრების დონეზე. სპექტაკლში ბევრი მსახიობი გამოვიდა დიდი წარმატებით. პირველ რიგში ეს უნდა ნ. ჩაბიევას (მზევინარი), რომელმაც დიდი ოსტატობით შექმნა შესანიშნავი სცენიური სახე ოსეთის მტრების წინააღმდეგ მებრძოლი ქალისა“.

ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ სათანადოდ შეაფასა დეკადის მონაწილეთა წვლილი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით ნ. ჩაბიევას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი საერთოდ პირველი ქალია როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ ოსეთში, რომელსაც საპატიო წოდება მიენიჭა.

ნინა ზაქარიას ასული ჩაბიევა დაიბადა ჯავაში 1910 წლის 14 სექტემბერს. მამა იყო თბილისის რკინიგზის მუშა, დედა დიასახლისი. 1920 წელს მენშევიკების მიერ დამხრეთ ოსეთი აჯანყებამ მოიცვა. მრავალრიცხოვანი ოჯახის მამა — ზაქარია იძულებული იყო ცოლშვილი კავკასიონის უღელტეხილის გადავლით ორჯონიკიძეში ჩაეყვანა, სადაც უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო გამოცხადებული. 1921 წელს თბილისში გადმოდიან და პატარა ნინა შედის თბილისის 104-ე სკოლაში. ამ დროიდან მოყოლებული იგი სისტემატურად იღებს მონაწილეობას სკოლის დრამატული წრის წარმოდგენებში, გამოდიოდა აგრეთვე პლენაროვის კლუბის (ტრამეაის მუშაკთა კლუბი — ამჟამად ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატ-

შს იყო 1940 წლის სექტემბერს, თბილისში სამხრეთ ოსეთის კულტურისა და ხელოვნების პირველი დეკადის დროს. მაყურებელი აღტაცებული შეხვდა კხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ოსური დასის წარმოდგენას „ცეცხლი“ (პიესის ავტორი გრიგოლ ბერძენიშვილი, დადგმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვიქტორ მურულუასის). აღნიშნულ დეკადაზე თეატრს კიდევ ორი დადგმა ჰქონდა წაღებული კ. ხეთაგუროვის „დუნია“ და მ. შავლობოვის „მწყემსთა

რი) მომღერალთა გუნდში, რომელსაც თათარხან ქოქოევი ხელმძღვანელობდა. მონაწილეობდა ხალხური სახლის თეიმიოქმედებაში (ამჟამად კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი). სკოლის დამთავრების შემდეგ ერთი წელი მასწავლებლად იმუშავა ზნაურის რაიონის სოფელ ძაღინაში.

1930 წელს შედის მუსიკალურ ტექნიკუმში (ვოკალის განხრით) იქიდან გადადის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ტექნიკუმში (მუშაკი). ამავე დროს აქტიურად მონაწილეობს სცენისმოყვარეთა წრეებში. 1934 წელს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრთან არსებულ სტუდიაში გაიხსნა ოსური სექტორი, რომელმაც სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ოსური დასისათვის მოამზადა 20 მსახიობი. მუშაკის მეოთხე კურსის სტუდენტი ნ. ჩაბიევა წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს და ირიცხება აღნიშნულ სტუდიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი ქართველი რეჟისორი სანჯრო ახმეტელი. სტუდიის დამთავრების შემდეგ ცხინვალის სახელმწიფო თეატრშია, სადაც მუშაობს დღემდე. 1936-1948 წლებში შეთავსებით მუშაობდა სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. დ. მამიყეთან, ბ. ცხოვრებოვთან, ზ. გაგლოევიანთან, ვ. გაგლოევისთან და სხვებთან ერთად იგი ეკუთვნის იმ თაობას, რომელმაც სახელმწიფო ანსამბლის ჩამოყალიბება ითავა.

ომის ძნელბედობის ფაშა კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი პატრიოტულ სპექტაკლებს ღვაკიდ, ხალხს ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ აღაგზნებდა, ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ამასთანავე შექმნილი იყო აგიტბრიგადები, რომლებიც გამოდიოდნენ ცხინვალში განლაგებულ ევაკოპოსპიტლებში. ნინა ჩაბიევა აქტიურ მონაწილეობას იღებდა საუფრო კონცერტებში, აგრეთვე მთავარ როლებს ასრულებდა სპექტაკლებში: მ. შავლობოვის „პარტიზანები“, „მთები ალაპარაკდნენ“, „ბეგა“, კ. სიმონოვის „რუსი ხალხი“, გ. მდივნის „სამშობლო“ და სხვა.

ომის შემდგომ პერიოდში თეატრმა შემოქმედებითი მუშაობა განაახლა და რეპერტუარი საინტერესო სპექტაკლებით გაამდიდრა: ვ. გაგლოევის „ზალინა“, დ. თუაყვის „ობლების დედა“, გრ. ფლითის „ჩერ-



მარია პავლოვნა („ლუნა“)

სცენა სპექტაკლიდან „შურისმაძიებლები“
ხაჩევაძე — ნ. ჩაბიევა, პოლოკოვიკი
ასტატი — გ. ტაუეზოვი



მენი“, ი. ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივი“ და სხვა. ამ პერიოდშიც ნ. ჩაბიევა გამოირჩევა საინტერესო სცენური სახეების შექმნით. 1954 წლის 20 ნოემბერს ავინიშნა ოსური თეატრის დაარსების 50 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ნ. ჩაბიევას საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

1957 წელს თბილისში მოენწია სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მეორე დეკადა. საერთოდ, როგორც პირველ ასევე მეორე დეკადისათვის მზადების პერიოდში თეატრს დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტთა აკადემიის ხორავამ. დიდი მსახიობის მუშაობამ თეატრის კოლექტივთან ნაყოფი გამოიღო. სამკამოდ დახვეწილ, იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილი სპექტაკლები უჩვენეს თბილისელ მაყურებელს. დეკადაზე ოსური თეატრის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ნ. ჩაბიევამ კვლავ მოიხილა მაყურებელი.

ღვანწმოსილმა მსახიობმა პროფესიულ სცენაზე 250-ზე მეტი როლი შესრულა. რომელთაგან აღსანიშნავია: სანაითი — ე. ურუიშავიას „სანაითი“, დედა — ალ. ვან-ვეის „კუპატივების რძალი“, ვასილისა — მ. გორკის „ფსკრზე“, კრუჩინია — ო. ოსტროვსკის „უღანაშაული დამნაშავენი“, გურმიშკაია — ა. ოსტროვსკის „ტყე“, ლიდა — ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩტი“, ენიალა — უ. შექსპირის „ოტელიო“, ოთარანთ ქვრივი — ი. ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივი“, სალამინდა — ტურისა და შეინინის „მძიმე ბრალდება“ და მრავალი სხვა. ეს საინტერესო თეატრალური სახეები თეატრმცოდნეების ყურადღების გარეშე არ დარჩება, რადგან ნ. ჩაბიევას შემოქმედებას ოსურ თეატრალურ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ავტორი უკავია, იგი გზის მაჩვენებელია მომდევნო თაობებისათვის, თეატრმცოდნეები გვერდს ვერ უვლიან მის შემოქმედებას თუნდაც იმიტომ, რომ იგი ოსური თეატრის ერთ-ერთი დიდი დამამატული მსახიობია, რომელმაც სრულიად განსხვავებული, საკუთარი ხელწერის აქტიურული სკოლა შექმნა.

ვიხაც უნახავს ოთარანთ ქვრივი ნ. ჩაბიევას შესრულებით, დამერწმუნება, რომ მსახიობს შესაშური მონაცემები აქვს ძლიერი სულიერი ვნებების გადმოცემაზე. მისი ქვრივი არის დენჯი, მიმდიდ მოლაპარაკე, ჭკვიანი ქალი. ძალზე ძლიერი, შთამბეჭდავი გამოხედვით, ერთი შეხედვით უხეში და უგულო, მაგრამ თუ საქმე საქმეზე მიდგება, ადამიანს თავს ანაცვალებს, უსაზღვრო სითბო და სიკეთე გამო-

იღვრება ამ მოჭრებებითად უგულო არც მობიდან. ძალზე შთაბეჭდვად ატარება მსახიობი სცენას უკანასკნელ ნუთებში მყოფ გიორგისთან. არც ერთი ცრემლი, არც ერთი სიტყვა, ზოგჯერ რაღაცას თავისთვის ჩაიტუტუნებდა, თითქოს ამ სიტყვებთან ერთად დილის ვარსკვლავივით ტრებოდა მისი სიცოცხლე.

სულ სხვა ხასიათისაა მისი სანაითი. ამ როლში სახეებით განსხვავებული საშუალებებითა და თეატრალური დეტალებით ამბობს თავის სათქმელს მსახიობი. ასევე განსხვავებულია სხვა როლებსაგან ხატივასა — დ. თემიროვის დრამაში „შურისძიება“. ნ. ჩაბიევა თავის გმირს ისე წარმოადგენს, თითქოს ანგლოზივით უცოდველი და უბინო იყოს, სინამდვილეში კი სულიერად გადაცურებული ადამიანია, რომელიც ყველას შიშის ზარსა სცემს და ისედაც გონებადაბინდულ მთიელ ხალხს უფსკრულისაკენ უბიძგებს.

საერთოდ მსახიობს მრავალი დედის როლი უთამაშნია, როგორც ქართულ, რუსულ, ოსურ, ასევე საზღვარგარეთელ დრამატურგთა პიესებში და, მისდა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევაში ერთმანეთისაგან სახეებით განსხვავებული სახეები შექმნა. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ნ. ჩაბიევას წარმატება სახასიათო როლებში. მის მიერ შესრულებული ზარადა — მ. შავლოხოვის „სასიძოში“ და სალდეტკა ზ. ზუგაივისა და რ. ხუბერცივას „სოფლის სიმღერაში“ არასოდეს დაავიწყდება მაყურებელს როგორც კომიკური ჟანრის შესანიშნავი სახეები. მსახიობი დიდი მოწინებთა და სიყვარულით იხსენებს თავის პედაგოგ-რეჟისორებს, რომლებმაც ამოაცნობინეს თეატრალური ხელოვნების მრავალი საიდუმლო, დახმარებენ მას დაოსტატებაში. ესენი არიან ს. ახმეტელი, ა. ხორავა, ა. ვასაძე, ი. ქანთარია, ვ. მურდულია, ა. ჩხარტიშვილი, გ. გუბიკვი, ძ. კაბისოვი, ვ. კაიროვი და სხვები.

ნ. ჩაბიევა მაგალითის მიმცემია ახალგაზრდებისათვის, როგორც შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ასევე პირად ცხოვრებაში. ამჟამად მსახიობი მუშაობს დედის როლზე მ. გუმბაზოვის პიესაში „ეკრა“ და ნინოს როლზე ვ. ჰაფეზის პიესაში „მე შენ მიყვარხარ“.

ფულოცებთ ნიჭიერ მსახიობს დაბადების 70 წლისთავს და ვუსურვებთ კვლავ ახალ-ახალი საინტერესო სცენური სახეებით გაებარებინოს მაყურებელი.

ბადაუდებელი ამოცანა

ნუგზარ მექმარიაშვილი,
გიორგი ხუციშვილი

შპრნაბლ „საბჭოთა ხელოვნების“ 1978 წლის მერვე ნომერში დაიბეჭდა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფიზიკა-ობტუკური ლაბორატორიის გამგის გიორგი გილგენდორფის წერილი „ფრესკული მხატვრობის რენტგენოფისიოგრაფიით შესწავლის ახალი მეთოდი“. იგი გვაცნობს მის მიერ მიკვლეულ ფოტო-რენტგენის ახალ ხერხს და წარმატებულ შედეგებს, რაც ამ ხერხის გამოყენებას მოჰყვა ფრესკული მხატვრობის შესწავლისას.

ჯერ კიდევ სამოციან წლებში, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის ინიციატივით, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში შეიქმნა ფოტო-რენტგენო ლაბორატორია. იმათვედგ გამოვლინდა ლაბორატორიის გამგის ი. გილგენდორფის მაღალი პროფესიონალიზმი, ბეჯითი და თანმიმდევრული ძიება ფრესკული მხატვრობის ფოტოსაშუალებებით შესწავლის საქმეში უკეთესი შედეგების მისაღებად.

საქმე ის არის, რომ ამ დროისათვის ულტრაიისფერი და ინფრწითელი სხივების გამოყენება საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული საქმეში საეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, მუზეუმებში, კრიმინალისტიკაში, მრეწველობაში, ი. გილგენდორფ-

ის აღმოჩენა იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა საბჭოთა და საერთაშორისო პრაქტიკაში ულტრაიისფერი და ინფრწითელი სხივები და რენტგენოფისიოგრაფია მიუსადაგა კედლის მხატვრობის ძეგლების შესწავლას, რამაც გამოკვლევების პრინციპულად ახალი მეთოდიკა წარმოშვა.

ი. გილგენდორფის მეთოდის ეფექტურობა შემდეგში მდგომარეობს: რენტგენის სხივები, ულტრაიისფერი და ინფრწითელი გამოსხივებასთან კომპლექსში, ურთიერთმოქმედებენ კედლის მხატვრობაში შემავალი საღებავის პიგმენტებთან და მკვეთრ ანაბეჭდს იძლევიან ფოტო-ფირზე. რენტგენოფისიოგრაფიის დროს შედეგი მით უფრო მკაფიოა, რაც უფრო მაღალი ატომური წონა გააჩნიათ ფერწერის შემადგენელ პიგმენტებს. მხატვრობის ყოველ ცალკეულ ძეგლს გადაღების საკუთარი რეჟიმი ესაჭიროება და თუ გავითვალისწინებთ ფიქსაციის მეთოდების ვარიანტების შესაძლებლობას, გასაგები გახდება, რომ შრომას სათანადო შედეგიც ახლავს. აღნიშნული მეთოდების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა გავარჩიოთ წარწერები და გამოსახულებანი, რომლებიც ან ძალიან დაზიანებულია, ან კედლის შეღების მიერ თუ მესამე ზედაპირიდან უხილავ ფენაზე მდებარეობენ. ამრიგად, შესაძლებელი ხდება ზედაპირის დაუზიანებლად, ადამიანის სხეულის გაშუქების მსგავსად, გავაშუქოთ შეღების მიხედვით და მივიღოთ მასზე შემორჩენილი წარწერა-გამოსახულებები, მათი პირველი მონახაზების მკვეთრი ანაბეჭდები, რომელთა წაკითხვა-გაშიფვრა სპეციალისტების შესაძლებლობათა ფარგლებშია. ეს აღმოჩენა ხელოვნებათმცოდნეობის თვალის ახელას ნიშნავს და სპეციალისტებს აძლევს შესანიშნავ შესაძლებლობას კედლის მხატვრობის შესასწავლად. უფრო ქმედითი საშუალება დღესდღეობით მეცნიერებას არ გააჩნია.

ზედმეტა ლაპარაკი პირველგამოკვლევის წინაშე წამოჭრილი წმინდა ტექნიკური ხასიათის სიძნელეებზე, ი. გილგენდორფს მოუხდა სპეციალური და ურთულესი აპარატურის საკუთარი ხელით კონსტრუირება, მრავალი თავსატეხი პრობლემის მახვილგონივრულად გადაჭრა.

ბუნებრივია, რომ მიუხედავად მრავალრიცხოვანი ცდის უდავო წარმატებისა (ატენის სიონის, დავით-გარეჯის კედლის მხატვრობათა შესწავლა, რომლის დროსაც აღმოჩნდა მანამდე უხილავი წარწე-

რები და გამოსახულებანი), გილგენდორფის თვითნაკეთი სპეციალური რენტგენო-დანადგარები სავსე პირობებში, თავისი ზომისა და წონის გამო, საკმაოდ ძნელი გამოსაყენებელია, მითუმეტეს, რომ მთელ ამ რთულ ტექნოლოგიას ერთი კაცი უძლებს.

ის, რაც წარმატებულ აღმოჩენას წარმოადგენდა ამ თხუთმეტი წლის წინ, დღეს ტექნიკის სწრაფი წინსვლის პირობებში, უკვე ანაქრონიზშია, იმ გაგებით, რომ მიუხედავად საკავშირო და საერთაშორისო კომპეტენტური დაწესებულებებისა და სპეციალისტების აღიარებისა, მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე დახვეწა და განავითარა სავსე პირობებში კედლის მხატვრობის რენტგენოემისიოგრაფიის ტექნიკაც და ტექნოლოგიაც, ამ მეთოდის ავტორს დღესაც თვითნაკეთი ხელსაწყობით უხდება მუშაობა.

ყველა სპეციალისტი აღიარებს ი. გილგენდორფის ორიგინალობას, ქმედითობას, მისი, ასე ვთქვათ, სამრწველო ნიადაგზე დაყენების აუცილებლობას.

1975 წელს ვენეციაში „კონსერვაციის საერთაშორისო კომიტეტის“ IV კონფერენციაზე ი. გილგენდორფის მოხსენებამ და საილუსტრაციო მასალამ მრავალეროვანი აუდიტორიის აღვრთოვანება გამოიწვია. ასევე — 1977 წელს ქართული ხელოვნების ისტორიის II საერთაშორისო სიმპო-

ზიუმზე; იმავე წელს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს რესტავრატორების საატესტაციო კომისიის უმაღლესი შეფასება ხვდა. აღიარება დაიმსახურა 1978 წლის ოქტომბერში ქ. ზაგრებში „კონსერვაციის საერთაშორისო კომიტეტის“ V კონფერენციაზე და სხვაგან. გილგენდორფის მეთოდის აღიარება და მის მიმართ ცხოველი ინტერესი ჩანს ინტენსიურ მიმოწერაშიც ფრანგ, პოლანდიელ, შვედ, იტალიელ ცნობილ სპეციალისტებთან.

რა მდგომარეობაა ამ მეთოდის დანერგვის მხრივ დღეისათვის?

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება მუზეუმის ლაბორატორიის გაფართოებისა და ტექნიკური აღჭურვის გაუმჯობესების შესახებ. სასურველია ყოველწლიურად დაჩქარდეს ლაბორატორიის გაჭრთვის საკითხი და მას უნდა მიეცეს სპეციალიზებული ხასიათი.

და ბოლოს, კიდევ ერთი გადაუდებელი ამოცანა: უნდა ვიფიქროთ რენტგენოემისიოგრაფიის ამ მეთოდის პირველდამოჩენის საქმის გამგრძელებლებზე. ლაბორატორიაში უნდა მომზადდეს შემოქმედებითი ძალები აღნიშნული მეთოდით კედლის მხატვრობის ძეგლების გამოსაკვლევადაც. უთუოდ კარგ შედეგს გამოიღებს ქართული ხელოვნების შესწავლის საშვილიშვილო საქმეში.

ერეკლე II-ის ვაჟის ლევანის ხატი. XVIII ს. ჩვეულებრივი ფოტო.



ერეკლე II-ის ვაჟის ლევანის ხატი. XVIII ს. ინფრაწითელი სხივებით შესრულებული ფოტო.



მხატვარი და წიგნი



ივორ ვასილკოვსკი თავის ნამუშევარიან რესტორან „ლურჯის“ კედლობა „მესტირეები“

ანაიდა ბესტავაშვილი

როცა ვამბობთ „მხატვარი და წიგნი“, ვგულისხმობთ, აგრეთვე, „მხატვარსა და დროს“, „მხატვარსა და სამყაროს“. ამ სიტყვების შინაარსის სხვადასხვა ასპექტზე საუბარი და მსჯელობა დაუსრულებლად შეიძლება. ერთი მხატვრის შემოქმედებითაც რომ შემოვსაზღვროთ თემა, იგი მაინც ფართოდ გაიშლება. ამჯერად კი ქურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მკითხველებს გესურს მოკლედ მოვეუბნოთ იმაზე, თუ რა ადგილი უჭირავს წიგნს ისეთი საინტერესო და თვითმყოფადი ხელოვანის შემოქმედებაში, როგორცაა ივორ ვასილკოვსკი — თბილისელი მხატვარი.

მან, ვერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიის შესამე კურსის სტუდენტმა, პერსონალური გამოთენა გამართა უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში (1962), სადაც წარმოადგინა ილუსტრაციების სერია პაშუკის ცნობილი რომანისათვის „ყოჩაღი ჯარისკაცი შევიკი“. მოგვიანებით ამ ილუსტრაციებს პარიზის სამხატვრო აკადემიის დიპლომი მიენიჭა და იგი ამშვენებს ამ ერთ-ერთი უძველესი სამხატვრო სასწავლებლის გრაფიკის კაბინეტის კედლებს.

ვასილკოვსკის სადიპლომო ნაშრომი იყო ლინოგრაფიურების სერია „ფიროსმანი“, რომელმაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ამ

ნაწარმოებებმა ნათელყო ახალკაზრდა მხატვრის ფართო დიაპაზონი, სხვადასხვა ტექნიკის თავისუფალი ფლობა, ისტორიული და ეროვნული კოლორიტის გადმოცემის უნარი, იუმორი და ღრმა ლირიზმი.

„შევიკი“ ევროპული მანერითაა დასურათებული, გამსჭვალულია იუმორით, რაც შემთხვევაში, მძაფრი სატირითაც. მეორეს მხრივ — ფიროსმანის ციკლში ახალკაზრდა მხატვარმა გვიჩვენა ადამიანის შინაგან სამყაროსა და მის დრამატულ ბედში ჩაღრმავების ფაქიზი უნარაც, ისეთი ღრმად ეროვნული და განუზღოვრებელი შემოქმედის სულში წვედომის უნარი, როგორცაა ნიკო ფიროსმანაშვილი.

გამომცემლობაში (ამჟამად გამომცემლობა „მერანი“) მუშაობის დროს 1966-1968 წლებში ი. ვასილკოვსკიმ გააფორმა მთელი რიგი წიგნებისა, რომელთა შორის გესურს აღვნიშნოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეოდ გამოცემული, პოეტის ლექსთა კრებული, რომელმაც ამიერკავკასიის წიგნის გამოფენაზე ორი დიპლომი დაიმსახურა. პირველი ხარისხის დიპლომი მიეკუთვნება ბარათაშვილისავე მინიატიურულ სასუვენირო გამოცემას.

ამავე წლებში, ჯემალ ლოლუსთან ერთად, იგი აფორმებს ნ. დუმბაძის ცნობილ რომანს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.



საერთოდ, ქართული ლიტერატურის სამყარო ვასილკოვსკისათვის მშობლიური და მატერიალური იგი არ მისდევს ეროვნული კოლორიტის გარეგნული ნიშნების აღბეჭდვას, ეროვნულობას შინაგანად შეიცავს მისი ხაზი და ფერი. თვით მხატვრის მიერ დახატული შრომებიც ქართული ანბანის განუყოფელ იერს ატარებს. გვიხსენით თუნდაც ნიკოლოზ ბარათაშვილის პწკარედულ თარგმანთა კრებულის მოხდენილი სატიტულო ფურცელი.

ვასილკოვსკიმ საინტერესოდ გააფორმა მთელი რიგი ალბომებიც, რომლებიც ქართულ ძეგლებს გვაცნობს. ეს ალბომები საზღვარგარეთის საუკეთესო სტამბებშია დაბეჭდილი, გემოვნებითაა გაფორმებული, გამოირჩევა მოხდენილი კონსტრუქციით, დახვეწილი ფერადოვანი გამოთ. გაფორმებაში ყველაფერი ნაკარნახევია ეროვნული კულტურის ხასიათით. იმისათვის, რომ ასეთი ალბომი შექმნა, ღრმად უნდა იცნობდე ქართულ ხელოვნებას, არქიტექტურას, ხალხის ისტორიას.

ცხადია, არ იყო შემთხვევითი, რომ ალბომი „საქართველო“, რომელიც გამოცემულია „პლანეტამ“ გამოსცა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავზე, ერთ-ერთ საუკეთესო გამოცემად იქნა აღიარებული ამ ჩასიათის ალბომებს შორის. მოწონება დაიმსახურა.



მთის შეილები
კომპოზიცია
„უოჩალი ჯარისკაცი შევიკის“ ილუსტრაცია
გარსია ლორკას „ესპანური კაბრიჩოსი“
დასურათება. ტრიბტივი



ხუთა აგრეთვე აღზომებმა: „საბჭოთა საქართველო“, „საბჭოთა საქართველოს 50 წელი“, რომელთა მკვეთები, ილუსტრაციების განლაგება, კომპოზიცია მათ ავტორს გვიხასიათებს, როგორც ნატყფი გემოვნების, მაღალი კულტურის მხატვარს.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ საქართველოში სამოგზაუროდ განკუთვნილი გზამკვლევები, რომლებიც სხვადასხვა ენაზეა გამოცემული და რომლებიც ი. ვასილკოვსკიმ გონებამახვილურად შეამკო მოხდენილი ნახატებითა და ქართული სკენაჟი, საყურადღებოა, აგრეთვე, „ქართული კერამიკა“.

ი. ვასილკოვსკი სამართლიანად ამაყობს თავისი ბოლოდროინდელი ნამუშევრით — წიგნის „ლადო გულიაშვილი“ გაფორმებით (შემდგენელი ვ. ჰიუტელი, ტექსტის ავტორი თ. სანიკიძე, ფოტორეპროდუქციები ი. დვალისა, საქინფორმის გამოცემა, თბილისი, 1979 წ.), აქ საჭირო იყო განსაკუთრებულად ფაქიზი მიდგომა უძვირფასესი მასლისადმი. მხატვარი-გაფორმებელი ცდილა დიდი ოსტატის წინაშე პირისპირ დაეყენებინა მასურბელი, გაეცნო იგი დაწყებული ახალგაზრდული ნამუშევრებიდან ბოლო დროის გამოცდილი ხელოვნანის ქმნილებამდე. გამოცემაში მიღწეულია გაფორმების ყველა ელემენტის აბსოლუტური პარმონია.

ი. ვასილკოვსკის შემოქმედებაში თავსაჩინო ადგილი უკავია გრაფიკის სხვადასხვა სახეობებსაც. მქონდა შესაძლებლობა სხვადასხვა დროს გაცენობოდი მის ეთნოგრაფიული ხასიათის ლინოგრაფიურებს, პეიზაჟებსა და ნატურმორტებს, რომლებიც თავისებური მანერითაა განხორციელებული. მხატვრის ნაზი აკვარელები მისივე წიგნის გრაფიკის ნიმუშებს უახლოვდება.

შემოქმედის ფართო შესაძლებლობებზე მეტყველებს, ერთის მხრივ, მინიატურული ექსლიბრისები და, მეორე მხრივ, მის მიერ მოხატული ინტერიერები: საქართველოს თეატრალური საზოგადოების რესტორან „დურუჯში“ სპილენძისაგან გამოკვეთილი დეკორატიული კომპოზიციები: „მესტიერები“, „ბერიკაობა“ და სხვა, აგრეთვე, დეკორატიული პანო ძველი თბილისის მოტივებზე.

ი. ვასილკოვსკიმ თავისი ესკიზების მიხედვით გააფორმა მოსკოვში საოლიმპიადოდ გახსნილი კაფე „რუსული ჩაი“. ძველი პალატელი ოსტატების სტილიში შეასრულა მან დასასვენებელი სახლის „ჩუბუკას“ მოხატულობა.

მხატვრის ყველა ნამუშევარი, რომელს სფეროსაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს იგი, აღბეჭდილია თავისი საქმისადმი უდიდესი სიყვარულით, მაღალი პროფესიონალიზმით.



მ ო გ ო ნ ე ზ ე ზ ი

თამარ წულუკიძე

1925-26 წლის სეზონის დასასრულს რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ განიზრახა გასტროლების გაართვა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, საგასტროლოდ აირჩიეს ოთხი სპექტაკლი: „პამლეტი“, „მათრახის პანაშვილი“, „ლამარა“ და „დე-ზერტიკა“.

თეატრის ხელმძღვანელობა ფიქრობდა გასტროლების საშუალებით შიძიმე მატერიალური მდგომარეობის გამოსწორებას. ჩემთვის დღესაც გაუგებარია თუ რატომ უნდა შექმნილიყო ასეთი ვითარება მაშინ, როდესაც ყოველ საღამოს მაცურებელთა დარბაზი ხალხით იყო გაჰყდილი, ანშლაგები ჩვეულებრივი რამ იყო იმდროინდელი რუსთაველის თეატრისათვის.

ასე თუ ისე, გასტროლებზე წაიყვანეს მხოლოდ ის მსახიობები, რომლებიც თამაშობდნენ ზემოთ აღნიშნულ წარმოდგენებში. ხარჯები გაანგარიშებული იყო მაქსიმალური ეკონომიით. უარი თქვეს დამხმარე შემადგენლობაზე. მასობრივ სცენებში მონაწილეობდნენ წამყვანი ძალები. მსახიობებისათვის გამოყოფილი იყო ორი ვაგონი, ერთი პლატფორმა კი დეკორაციებისა და რეკვიზიტისათვის. და აი, აპრილის შუა რიცხვებში თეატრი გაემგზავრა საგასტროლო ტურნეში. ამ რთული მოგზაურობის ხელმძღვანელობა მარჯანიშვილმა დაავალა ს. ახმეტელს. დირექტორ-განმკარგულებლად დაინიშნა ა. ფალავა. თვით მარჯანიშვილი ოპერაციის შემდეგ არ იყო გამოჩანსალებული, იგი მოგვიანებით შემოგვიერთდებოდა ქუთაისსა ან ბათუმში.

გასტროლების დროს მოხდა ერთი უსიამოვნო ინ-

ციდენტი, რომელმაც ბიძგი მისცა თეატრის ხელმძღვანელისა და კორპორაციის ურთიერთობის გამწვავებას. საქმე ისაა, რომ პირველმა მსახიობმა ვერიკო ანჯაფარიძემ გასტროლებზე უარი განაცხადა, მას გამოსვლა სურდა მხოლოდ ქუთაისსა და ბათუმში. ამ განცხადების მიზეზი ჩემთვის დღესაც გაურკვეველია, ამიტომაც არ შევვებები ამ საკითხს. მასსოვს მხოლოდ, რომ კორპორაციამ მისი საბუთი არ სცნო დამაჯერებლად. სრულიად წარმოდგენელია, რომ ვინმეს ვერიკო ანჯაფარიძისათვის, ისევე როგორც ნინო დავითაშვილისა ან ნატალია ჭავჭავაძისათვის, შეეთავაზებინოს მასობრივ სცენებში მონაწილეობა. ამას თვით მსახიობები არ დაუშვებდნენ. მსალოდნელი იყო, რომ განჯაფარიძის განცხადება უმკაყოფილებას გამოიწვევდა არა მარტო მის ყოფილ მეგობრებში — კორპორაციის წევრთა შორის, არამედ მთელ დასში.

ასეა თუ ისე, ვერიკო დასთან ერთად გასტროლებზე არ წავიდა, ამ მიზეზ მოგზაურობაში ყველა მსახიობი-უფროსები და უმცროსები — განიციდნენ ყველაწარმადეობაში. მიუხედავად ამისა, მუშაობდნენ თავდადებით, დღე და ღამეს ასწორებდნენ. მათ იცოდნენ, რომ სწორედ ასეთ დროს, ასეთ პირობებში უნდა ეანაზრციელებულიყო კორპორაციის ძირითადი დევიზი: „ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის“.

დასი ამ დევიზს პირნათლად ასრულებდა. ორი თვის მანძილზე სპექტაკლებს ემართავდით საჭარბოვან სხვადასხვა კუთხეში — დაბებსა და ქალაქებში. ვაგონებში ვცხოვრობდით. ახალგაზრდობა ეხმარებოდა მუშებს დეკორაციების გადმოზიდვასა და დეტირთავაში. ჩვენ — ახალგაზრდა ქალები დავატრე-

გაგრძელება. იხ. „სახბუთა ხელისუფლება“ № 7, 1980 წ.

დით კოსტიუმებითა და ბუტაფორიით სავსე ყუთებსა და ჩემოდნებს. არავინ არ თაკილობდა მძიმე საქმეს. ზოგჯერ დღეში ორ წარმოდგენას ემართავდით. დილ-ლილ-დაქანსულები ვერუნდებოდით ვაგონებში, რომ-ლებსაც ღამე ხმარითა და აურზაურით უერთებდნენ რომელიმე გამკვლეულ მატარებელს. დილით ვიღვიძებ-დით სხვა სადგურზე და ყველაფერს თავიდან ვიწყებ-დით. ვცხოვრობდით მეგობრულად, სიცოცხლე, ხუმრო-ბაში ვატარებდით დროს. არავინ წუწუნებდა, არავინ გამოთქვამდა უცმაყოფილებასა და საყვედურს. თვით ნინო დავითაშვილიც კი, რომელიც უკვე საკმაოდ ხნი-ერი იყო, გმირულად იტანდა ვაჭირვებას. ეს საოცრად ორგანიზებული, ყურადღებიანი და გულისხმიერი ადა-მიანი მთელი კოლექტივის სული და გული ვახსლავ. ნატალია ჭავჭავაძევილიც, მასზე ცოტათი უმცროსი, ასე-ვე თბილი და გულისხმიერი ადამიანი იყო.

შუა გასტროლების დროს ქუთაისში ჩამოვიდა ვე-როკო ანჯაფარიძე. მას უნდა ეთამაშა ოფელია („ჰამლეტი“), რომელსაც ქუთაისის სახეგადგობა მოუთმენლად ელოდა. მაგრამ, როგორც სტუკაიანი, მოვიდა სტუკა და დახვედა ქვა... მთავარმა რეჟისორმა და კორპორანტთა საგასტროლო კომისიამ თეატრის პრიმადონა გასტრო-ლებიდან მოხსნა. ქუთაისში ოფელია ბაბუცა გამარეკე-ლმა ეთამაშა.

მართალია, ვ. ანჯაფარიძე კორპორანტად აღარ ითვ-ლებოდა, მაგრამ კორპორაციის მორალური კოდესი, რომელიც ებრძოდა პრემიერობასა და გასტროლოგიურ კაპრიზებს, დასის ყოველი წევრის მიმართ ერთნაირი ძალით მოქმედებდა.

იცვლება დრო, იცვლება თვალსაზრისიც. ახ-ლაგზარდობა შეურთიგებელია და ხშირად წინდაუხედავი თავის მსჯელობას თუ საქციელში. მაშინ მთელი ახლ-გაზრდობა მხარს უჭერდა და ამართლებდა კორპორა-ციის გადაწყვეტილებასა და პრინციპულობას. არავითარ ი კომპრომისებში, შედავათებში, დათმობებში — ასეთი იყო ყველას აზრი და სურვილი.

კოტე მარჯანიშვილი ბათუმში ჩამოვიდა. მთელი კოლექტივი დახვედა მას სადგურზე. სიხარულით შეე-გებებო, ნამდვილი ზეიმი მოვეწყვეთ დიდი ხნის უნახავ კოტეს. მაგრამ მარჯანიშვილი უცმაყოფილო ჩანდა. პი-რველსავე კრებაზე ყველამ იგრძნო მისთვის უჩვეულო ოფიციალური ტონი და უგუნებობა. კარგად მახსოვს ის უაღრესად დაპიომული, უსიამოვნო სიჩუმე, იმ კრებაზე რომ სუფევდა. ქ. მარჯანიშვილი ლაპარაკობდა მესკოედ, მკაცრად, კატეგორიულად. ზედ არავის უყურებდა. არ იძლეოდა წინააღმდეგობის გაწვევის საშუალებას, გამოი-წვევად კი იტყოდა. მან თქვა, რომ თბილისში ჩამოსე-ლისთანავე საქონილობდა შეამცირებს შტატებს, რასაც მძიმე ფინანსური მდგომარეობით ხსნიდა, ეს საკითხი ხელოვნების სამმართველოსთან არის შეთანხმებული. სიას თეატრის ფიგურა გამოეკარგა, შემცირებაში მოხე-დებიან ყველა თათბის მსახიობები, მათ შორის კორპო-

რანტიები, რომელთა ნაცვლად ძველ მსახიობებს მოვი-წვევო... დაასახელა იმედაშვილი, ზარდალიშვილი, და-ნარჩენების გვარი აღარ მახსოვს. კორპორანტები სდემ-დნენ. როგორც ჩანს, მათ არ უნდოდათ მარჯანიშვილთან შელაპარაკება დასის წინაშე. უქნაურთა — თვითონვე მოინდოდა ძველი მსახიობების მოშორება, კორპორან-ტებს ამისკენ მოუწოდებდა, ახლა კი თვითონვე იწვევს მათ. „ნეტა რა მოხდა? რაშია საქმე?“ — ფიქრობდა თვითელა ჩვენგანი.

ვილცამ სიტყვა მოკრძალებით ჩამოავლო რეპერ-ტურაზე, რის შესახებ მარჯანიშვილმა მთელი სერიოზუ-ლობით მოგვასხენა, რომ სეზონს გახსნისა ოპერეტით „არშინ-მალ-ალან“. გაევირვებისაგან სუნთქვა შეგვეკ-რა. „არშინ-მალ-ალანი?“ ასეთ ვადაწყვეტილებას არ ვე-ლოდი, რადგან იმ დროს „არშინ-მალ-ალანს“ ძალიან ხშირად თამაშობდნენ სცენის მოყვარულთა წრეებში.

დღეს კი გონია, რომ მარჯანიშვილს ამ პი-ესის საფუძველზე შეეძლო შეექმნა ნამდვილი შედეგ-ური ვააზრებული მუსიკალური ხუმრობის, პაროდის ენარში. მაგრამ იმ მომენტში მისი განცხადება კორპო-რაციის დაცინეად მივიჩნიეთ.

თეატრის ხელმძღვანელის შემდგომი შეხვედრა კო-რპორაციის წევრებთან მიმდინარეობდა დახურულ კრე-ბაზე. მიუხედავად ამისა, კრების ვითარება საიდუმლოდ არ ქცეულა. კორპორანტებს პროტესტი განუცხადებიათ თავიანთი ამხანაგების შემცირების გამო. მათ კატეგორი-ულად უარყვეს „არშინ-მალ-ალანის“ საცემად. კამათი რეპერტუარული და ორგანიზაციული საკითხების ირ-ველივ გადაიზარდა კონფლიქტში. ქ. მარჯანიშვილმა კო-რპორანტები დაადანაშაულა ყოველიწინიობასა და ქედმა-ლობაში. მან განაცხადა, რომ ისინი თავიანთი ორგა-ნიზაციის გარდა არავის არ უწვევენ ანგარიშს და ერე-ვიან თეატრის ხელმძღვანელის ფუნქციებში. ეს იყო სიტუაციის შეგნებულად გაფრთხილება, რადგან მარჯანი-შვილს შეეძლო მშვიდად, გაუმწვევლად მოეგებებინა ყველა მტკივნეული საკითხი. მით უფრო, რომ იგი კარ-გად გრძნობდა იმ თაყვანისცემასა და სიყვარულს, რო-მელსაც ამჟღავნებდა დასის ყოველი წევრი.

იმ დღეებში კორპორანტები გულისტკივილით იგო-ნებდნენ ქ. მარჯანიშვილის თბილ წერებს, რომელშიც იგი „დღურბულებს“ მხებოვლად ულოცავდა „ლამარას“ წარმატებას. „ჩვენი მიღწევები, — წერდა იგი, — გან-პირობებულია სამი ფაქტორით — თავდადებული შრო-მით, საქმისადმი ერთგული სიყვარულითა და სავსე-ბით შეგნებულად, მკაცრი დისციპლინით, რასაც კორპო-რაცია „დღურბუკი“ ანხორციელებს ფოლადისებური სი-მტკიცით... იმედო მაქვს, რომ მალე შეგნებდებით და ერთად განვაგრძობთ ჩვენს სიყვარულ საქმეს.“

მაშ, რა მოხდა? ოთხი თვის შემდეგ რამ შეცვალა მისი აზრი და დამოკიდებულება? საიდან განხდა ეჭვი და უნდობლობა? ნუთუ ყველაფერი — ერთსლოვნე-



სცენა სპექტაკლიდან „ზაგაფი“

ბა, ნდობა, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა — ფუ-
ჭი სიტყვები იყო?

კ. მარჯანიშვილი ჩვენთან არ დარჩა. დასი უიმიოდ
აგრძელებდა გასტროლებს. უგუნებოდ ვიყავით. თბი-
ლისში დაებრუნდით იენისის ბოლოს. პირველი, რაც
თვალში გვეცა, ეს იყო თეატრის ფოიეში გამოკრული
განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა ხელოვნების სამ-
მართელოს უფროსი გელვანიშვილი. განცხადებაში
ნათქვამი იყო, რომ მთელი დასი, გარდა რამდენიმე
მსახიობისა (აღნიშნული იყო ათამდე მსახიობის გვარი),
დათხოვნილია და რომ მომავალი სეზონისათვის დასი
თავიდან იქნება დაკომპლექტებული, ადვილი წარმო-
სადგენია ასე მოულოდნელად, გაუფრთხილებლად. უცე-
რემონოდ დათხოვნილი ხნიერი მსახიობების წყენა და
გულსტიკილი. ახალგაზრდობა ხომ სასოწარკვეთას
მიეცა — „ჩვენ, ალბათ, თეატრში აღარ მოვხვდებითო“...

რამდენიმე დღის შედეგ დაგვიბარეს. კ. მარჯანიშ-
ვილი დირექტორის კაბინეტში კი არ დაგვხვდა, არამედ
ქვედა ფოიეში. იგი რიგრიგობით იძახებდა მსახიობებს
და ერთ ლაკონიურ კითხვას უსვამდა:

— გინდა ჩემთან მუშაობა? თქვი: ხო თუ არა.

იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა სიტყვას „ჩემ-
თან“. მსახიობები გამოდიოდნენ აღეკვებულნი, დაბნეუ-
ლი სახეებით. ყველაფერი ეს მეტად უჩვეულო იყო.
დაღვა ჩემი ვერტიკ. შინაგანად დაძაბულმა შევალე კარი.
კ. მარჯანიშვილი საწერ მაგიდასთან იჯდა და სიბებს ათ-
ვალიერებდა. გაჯავრებულმა შემომხვდა და იგივე კითხ-
ვა დამისვა. ოდნურ შეეკოუნერი, მინდობდა მეკითხა: „მამ
ვისთან, თუ არა თქვენთან?“ მაგრამ მან მაკაცად აღუწა
ხმას:

— მიპასუხე! ხო თუ არა?

სასწრაფოდ დაუქნიე თავი და ოთახიდან გავიდი.
მან ასე დაპკითხა ყველა, ვისი დატოვებაც უნდოდა. კო-
რპორაციამ ერთხმად და კატეგორიულად უარყო თეატ-
რის ხელმძღვანელის ასეთნაირი მოქმედება. მაშინ მარ-
ჯანიშვილმა განაცხადა, რომ არ სურს მათთან მუშაობა
და სტოვებს თეატრს. კორპორანტიმ ყველანიარად
ცდილობდნენ მის დარწმუნებას, დამოშვინებას, გულ-
წრფელად სთხოვდნენ თეატრში დარჩენას. შემდეგ აირ-
ჩიეს მარჯანიშვილთან ყველაზე დაახლოებული სამი
კორპორანტი, რათა მათ როგორმე შეეცვლენინებინათ
მისი გადაწყვეტილება, მაგრამ ამაო იყო ყველაფერი.
მარჯანიშვილმა ოფიციალურად, წერილობით ამცნო
დასს თეატრიდან წასვლისა და რონში გამგზავრების
ამბავი. რონში კი იგი იმ დროს იღებდა ფილმს „სამა-
ნიშვილის დედინაცაილი“.

ვითარება გამწვავა კიდევ ერთმა გარემოებამ, რო-
მელზეც იმ დროს ხმაამოლა არ ლაპარაკობდნენ. არადა,
სწორედ ამ გარემოებამ შესარულა მნიშვნელოვანი რო-
ლი მარჯანიშვილის დამოკიდებულების ასეთ რკვეთრ
შეცვლაში. მხედველობაში მაქვს სპექტაკლი „ლამარა“,
რომლის დადგმაზე მარჯანიშვილმა და ახმეტელმა ერ-
თად დაიწყეს მუშაობა 1925 წლის შემოდგომაზე. პრე-
მერა გათვალისწინებული იყო 1926 წლის 29 იანვარს,
„დღურჯის“ მეორე წლისთვის აღსანიშნავად. მარჯა-
ნიშვილმა დაგვეგმარა პეისა, მეოთხე მოქმედება შევეცა,
დსტოვა მხოლოდ ფინალი, რომელიც მესამე მოქმედე-
ბას მიაბა. იგი სთვლიდა, რომ მეოთხე მოქმედების და-
საწყისი საგრძნობლად ასუსტებს მესამე მოქმედების კლ-
სიფიკაციური მომენტის (სუსტოთა ქეიფის სცენა) და-
ძაბულობას. ამრიგად, კ. მარჯანიშვილის გეგმით „ლა-
მარა“ სამოქმედობიანი სპექტაკლი უნდა ყოფილიყო.

შემდეგში, 1930 წელს, სანდრო ამბეტელმა აღადგინა ამ პიესის პირველი სახე.

კ. მარჯანიშვილმა „ლამარა“ ჩაიფიქრა, როგორც პოეტური მოთხრობა-ლეგენდა, რომელშიც ვაღმოცემულია ორი ხევისარი მძის სიყვარული მწვენიერი კისტეჭლის დამარასამი. ამ რაინდულ-რომანტიკულ პიესაში ჩაქსოვილია მისტიკური ხაზი, დაკავშირებული ბუნების მესაღებლის მინდიას ამაღლებულ სახესთან. პიესის სიუჟეტურ სვლაში ყალიბდება მინდიას მიწიერი ლტოლვა და სიყვარული ლამარასადმი. ეს გრძნობა მას თანდათან ჩაუკლავს ბუნების შემეცნების ალღოს. მხოლოდ სიყვარულისათვის გაღებულ მსხვერპლს უბრუნებს მინდიას ამ ლეთაებრივ, ზებუნებრივ ძალას. მარჯანიშვილი სწორედ ამ ხაზზე ამახვილებდა ყურადღებას და პიესას აღიქვამდა როგორც ლირიკულ დრამას, საიდანაც აყალიბებდა სპექტაკლის სტილს, ტემპსა და რიტმს.

მართალია, სხვათა შორის, მეც ვმონაწილეობდი მასობრივ სცენებში, მაგრამ სპექტაკლი მაინც ტუნდა მახსოვს. მასხანდება მხოლოდ წყაროსაკენ მიმავალი, დოქტორი ხელდასმევენილი კისტი გოგონების გამოხევა პირველ მოქმედებაში. ვიკონათა ჭგუფი მხიარულად გამოცივდებოდა ხოლმე მარცხენა მხრიდან (პირველი კულისი), მუსიკა ფონზე ნელა კვდა სცენას და მიმალბობდა მარჯვენა კულისებში. ამ სულს ავირგვიენდა ლამარა — ლამაზი, წარმოსადეგი, ჯიშინი თამარ ჰევეკაძე, გამოწყობილი ეფექტურ, ოპერული სტილის კოსტუმში. იგი მოდიდა შვიდად, ამაყად, თავმოწინედ, თითქოს თავისი ზემოქმედების ძალას გრძნობსო. თამარი მართლაც მწვენიერი ლამარა იყო! მახსოვს კიდევ ერთი ეპიზოდი პირველ მოქმედებიდან: მწყემსი ბიჭები წყანან აწვევებულ მღვდელზე, ოცნებთ შეყურებენ ცას, გატაცებით შიირობენ, პაექრობენ, თამაზობენ... მწყემსებს ანსახიერებდნენ მოხდენილი გოგონები, რის გამოც ეს სცენა დამაჩრულ შთაბეჭდილებას სტოვებდა. მესამე მოქმედებაში, ხევისურთა ქვიფის დროს, ჯერ მღვრიდნენ ხალხურ სიმღერას „გუმონ შვიდნი გუჩანელი“, რომელსაც მიხეილ ყვარულაშვილი იწყებდა. მეტი კი ე. ყვარულაშვილია შესთავაზა ს. ამბეტელს შესანიშნავი სიმღერა „ზამთარი“, რომელმაც ამ სცენას შესატყვისი კოლორიტი შეუქმნა.

უმანგი ჩხეიძე ანსახიერებდა თორღეის როლს მისთვის ჩვეულ დინამიზმითა და ვნებათა მხურვალეობით. მაგრამ ეს როლი აქტის ცალმხრივობის გამო არ პასუხობდა მის მდიდარ თეატრორულ ბუნებას. სხვა მეტი არაფერი მახსოვს.

სანდრო ამბეტელმა „ლამარა“ თავიდანვე სხვაგვარად დინახა, ათვისებურად გაიარა. იგი გაიტაცა დრამის გემოულ-რომანტიკულმა მოტივებმა. სანამ ახმეტელი და მარჯანიშვილი ერთად მუშაობდნენ, იგი მიჰყვებოდა უფროსი მეგობრის ჩანაფიქრს. მაგრამ როგორც კი პაეტრი დარჩა, შესცვალა, შესაძლოა, უნებურად, სპექტაკლის გეზი, რომელიც ამაღლებული რო-

მანტიკული ეფერადობით განმსკვალა. ეს გასაკვირი არც არის, რადგან ხელოვანი თავის ქმნილებას ყოველთვის მსკვალავს მისთვის დამახასიათებელი თვისებებით. იგი ვერ გადაუღდება, ვერ უუკავდება თავის მოწოდებას და ლტოლას. შემოქმედებით პროცესში ნამდვილი ხელოვანი მთელი არსებით მიჰყვება, ემორჩილება შთაგონებას, მის ნება-სურვილს.

სპექტაკლს უზარმაზარი წარმატება ხვდა. მესამე მოქმედების შემდეგ ოვალები არ წყდება. დასურულმა და იხსებდნენ სცენაზე დამდგმულსა და შემსრულებლებს. მარჯანიშვილი ავადმყოფობის გამო პრემიერას ვერ დაესწრო. მან ეს სპექტაკლი ნახა მხოლოდ მაშინ, როცა დასი დაბრუნდა გასტრავლებიდან. სპექტაკლად მისთვის გაიმართა დახურული სპექტაკლი. თითქოს ახლა ვხედვდ ბენუარის მეთორმეტე ლოქამი, ოჯახის წევრებით გარემოცულ კ. მარჯანიშვილს. მას სპექტაკლი არ მოეწონა და თავისი უკმაყოფილება საჯაროდ გამოთქვა.

მიხვს რა არ მოეწონა დიდ ხელოვანს? ნთუთ გააღიზიანა ამბეტელის რეჟისორული ხელწერის ელვარებამ, რომელმაც ჩრდილი მიაყენა მის ჩანაფიქრს? არა, ეს სრულიად წარმოუდგენელი, სრულიად დაუშვებელი აზრია. ასეთი რამ არ ახასიათებდა სცენის ამ გამოჩენილ ოსტატს. ისეთი მასშტაბისა და გაქანების ხელოვანს, როგორიც იყო კ. მარჯანიშვილი, მხოლოდ ვაახარებდა მის მიერ გამოზრდილი ტალანტის ძალა.

მაშ, რაში იყო საქმე? შესაძლოა, იმ დღეს სპექტაკლი ვერ გათანაშდა პრემიერისებური გზებით და აღტკინებდა. უკანასკნელი დღეების მძიმე ვითარებამ უზრყოფითად იმოქმედა შემსრულებელთა განწყობილებაზე. ზეით უყვე აღენიშნე, თუ რა მტკივნეულად განიცდიდა დასი ამ უეცრად მომწიფებულ კონსულტქს. არ არის ვამორიკხელ, რომ სპექტაკლის აღქმზე ვარკვეული გავლენა მოახდინა თვით კოტეს უგუნებობამაც, რასაც ხელს უწყობდა დედაყავების ამარზუნეი ჭორები, მიიქმამამიქმა. არ მსურს ყოველივე ამის გახსენება და გამეორება.

მაგრამ, ჩემის აზრით, კოტეს უკმაყოფილების მთავარი მიზეზი მოდიდა სპექტაკლის მხატვრული ვაახარებად. მესამე მოქმედებაში ნათლად ჩანდა ორი ხელოვანის შემოქმედებითი ხელწერის მვეფთარი სხვაობა. ამბეტელმა მოახდინა მარჯანიშვილის მიერ მოხაზული იდეური საწყისების ვადნაცვლება და ვადამახვილება. მართალია, მას პირველ ორ მოქმედებაში არაფერი შეუყვლია, მაგრამ სპექტაკლში ვადამწყვეტ როლს ასრულებდა მესამე აქტი, რომელმაც მიელ დიდამს ემორულ-რომანტიკული ეფერადობა მისცა.

ისე კი, სიმართლე რომ ვთქვათ, მარჯანიშვილისათვის ეს იყო საბამი, რომელსაც იგი მოეყიდა, რათა თავი დაეღწია სიტუაციების იმ მძიმე რკალიდან, რომელშიც იგი აღმოჩნდა და რაც თვით მას თრგუნავდა, აწვალებდა, თვითიკებოდა. მხედველობაში მიქვს ის უკომპრომისო სიმკაცრე და შერვიგებლობა, რომელსაც

რომ იჩენდნენ პრინციპული საკითხების გადაწყვეტის დროს, განსაკუთრებით შემოქმედებითი დისციპლინის მიმართ, რომლისადმი მორჩილებას თვით თეატრის ხელმძღვანელნიც კი მოითხოვდნენ.

შესაძლოა, კორპორანტი ამ სწორხაზოვან მიზანდასახულობაში ერთგვარ უკიდურესობამდეც მიდიოდნენ და მასწავლებლისადმი იჩენდნენ არასაკმარის ტაქტს. კ. მარჯანიშვილი კი აღვხვებდა, ცვალებად განწყობილებას, ახათანამედევრული ქცევების ადამიანი იყო. ამის გამო კორპორაციას ზოგჯერ უხედვობა მასთან კამათი, მისივე გადაწყვეტილებების დაცვა ან შეცვლა, რა თქმა უნდა, საერთო საქმის, კორპორაციის პრინციპებს საფრთხილდობდ. ასეთ ვითარებაში კი მეტისმეტად ძნელია ზომიერების დაცვა. წემი მოსაზრებები დასტურდება უშანგი ჩხეიძის მოგონებით:

„სრულად თავის ნებაზე მიშვება მარჯანიშვილისა, განსაკუთრებით ორგანიზაციულ საკითხებში, არ შეიძლებოდა, რადგან მარჯანიშვილი გრძნობის ადამიანი იყო და ხშირად განწყობილების მიხედვით მოქმედებდა... რასაკერძოვლია, ეს გტკივნეულად მოქმედებდა მასზე, მაგრამ ამას ჩავდიოდით არა პირადული, არამედ თეატრის ინტერესებიდან გამომდინარე.“¹

